გ. ბანძელაძე

•

დიალექტიკისა და ლოგიკის ურთიერთობის საკითხისათვის

სახელგამი
19 · თბილისი · 36

შესავალი

დიალექტიკისა და ლოგიკის ურთიერთობის საკითხი მარქსისტული ფილოსოფიის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური საკითხია.

როგორც ცნობილია, მარქსიზმის ჩამოყალიბება, მარქსისტული მსოფლმხედველობის შექმნა ნამდვილი ნახტომი იყო ფილოსოფიური აზროვნების' განვითარებაში. ბუნებისა და საზოგადოების ისტორიის მატერიალისტურმა გაგებამ ძველ ფილოსოფიას როგორც «მეცნიერებათა მეცნიერებას» ბოლო მოუღო, იგი ზედმეტი და უსაგნო გახადა; ძველი ფილოსოფიიდან დამოუკიდებელი მნიშვნელობა შეინარჩუნა მხოლოდ აზროვნების შესახებ მოძღვრებამ — ლოგიკამ და დიალექტიკამ.

ლაპარაკია ტრადიციულ ფორმალურ ლოგიკაზე, ერთი მხრივ, და შემეცნების თეორიაზე, გნოსეოლოგიაზე — მეორე მხრივ, რომელსაც დიალექტიკა ანუ დიალექტიკური ლოგიკა ეწოდება.

მაგრამ ერთსა და იმავე საგანზე არ შეიძლება არსებობდეს ორი მეცნიერება, და თუ როგორც ლოგიკა, ასევე დიალექტიკა სრულფასოვანი მეცნიერებაა (რაც დავას არ უნდა იწვევდეს), მაშინ მათ ერთსა და იმავე საგანთან არ უნდა ჰქონდეთ საქმე.

ფრიდრიხ ენგელსის მითითება იმის შესახებ, რომ ორივე ეს მეცნიერება აზროვნებას შეისწავლის, არ ნიშნავს ამ მეცნიერებათა საგნების აბსოლუტურ იგივეობას. აზროვნება, სინამდვილის შემეცნების პროცესი რთული მოვლენაა, იგი სხვადასხვაგვარი კანონზომიერებით ხასიათდება; ლოგიკა და

დიალექტიკა სწორედ ამ სხვადასხვაგვარ კანონზომიერებას უნდა შეისწავლიდნენ.

პრობლემის მთელი ისტორიის მანძილზე დავის საგანია სწორედ ის, განსხვავდებიან თუ არა, ან რით განსხვავდებიან ერთიმეორისაგან აზროვნების ეს სხვადასხვა ხასიათის კანონზომიერებანი და როგორი დამოკიდებულებაა მათ შორის.

ამ საკითხის გადაწყვეტას ერთგვარად აძნელებს ის, რომ დიალექტიკა არის არა მარტო აზროვნების შესახებ მოძღვრება, გნოსეოლოგია, არამედ მთელი სინამდვილის მოძრაობისა და განვითარების უზოგადესი კანონების შესახებ მოძღვრებაც, რომლის შინაარსი შეადგენს მარქსისტული მსოფლმხედველობის არსებას — დიალექტიკურ მეთოდს.

საკითხის გადაწყვეტას ართულებს ისიც, რომ აზრთა დიდ სხვადასხვაობას აქვს ადგილი ლოგიკის საგნისა და ამოცანების გაგებაში. როგორც ცნობილია, აზროვნების გარკვეულობის კანონები გარეგნულად, ფორმით ჰგვანან მეტაფიზიკური მეთოდის, მეტაფიზიკური მსოფლმხედველობის კანონებს. ამიტომ ზოგიერთი მკვლევარი აიგივეებს ლოგიკის მეცნიერებას მეტაფიზიკურ მეთოდთან და ლოგიკისა და დიალექტიკის ურთიერთობის პრობლემა დაჰყავს მეტაფიზიკისა და დიალექტიკის ურთიერთობის პრობლემაზე. ხოლო ზოგიერთი მკვლევარი, მართალია, მეტაფიზიკასთან არ აიგივეებს ფორმალურ ლოგიკას, მაგრამ იგი ლოგიკის მეცნიერების განვლილ საფეხურად მიიჩნია და ცდილობს მას დაუპირისპიროს «არაფორმალური», ე. ი. «შინაარსობრივი» ანუ «დიალექტიკური» ლოგიკა, როგორც მოძღვრება იმავე საგნის ახალ, თვისობრივად განსხვავებულ საფეხურზე. ასეთ შემთხვევაში ივიწყებენ, რომ დიალექტიკური ლოგიკა არის მარქსიზმის შემეცნების თეორია და არა სპეციალური მოძღვრება აზროვნების ფორმებზე და კანონებზე.

დიალექტიკისა და ლოგიკის საგნისა და ამოცანების ასეთი სხვადასხვაგვარი გაგება არის იმის მთავარი მიზეზი, რომ დიალექტიკისა და ლოგიკის ურთიერთობის საკითხში დღემდე არ არსებობს ერთიანი, გარკვეული და თანმიმდევრული თვალსაზრისი.

გამომდინარე აქედან, პრობლემის დალაგებას ძირითადად განვსაზღვრავთ დიალექტიკისა და ლოგიკის ცნებების ანალიზით, რომ ამით შესაძლებელი გახდეს მათ შორის მიმართების ხასიათის განსაზღვრა.

შესაბამისად, შრომის პ ი რ ვ ე ლ თ ა ვ შ ი დახასიათებულია მარქსისტული დიალექტიკა როგორც მეცნიერება, მისი საგანი და ამოცანები; განმარტებულია, თუ რა აზრით არის დიალექტიკის მეცნიერება ლოგიკა, და როგორ უპირისპირდება იგი აზროვნების მეტაფიზიკურ მეთოდს.

მ ე ო რ ე თ ა ვ შ ი დახასიათებულია ლოგიკის საგანი, ამოცანები და მისი ადგილი შემეცნების შესახებ მოძღვრებაში.

მ ე ს ა მ ე თ ა ვ შ ი დიალექტიკისა და ლოგიკის ურთიერთობაზე სხვადასხვა შეხედულებათა კრიტიკის საფუძველზე მოცემულია დასმული პრობლემის გადაწყვეტის ცდა.

კერძოდ, ავტორის მიზანია დაასაბუთოს, რომ არ იქნებოდა სწორი არც ის, რომ ფორმალური ლოგიკა მეტაფიზიკურ მეცნიერებად გამოგვეცხადებინა და ნიჰილისტურად ვყოფილიყავით განწყობილი მის მიმართ და არც ის, რომ დიალექტიკური ლოგიკის არსებობა გაგვეხადა საეჭვო. არსებობს როგორც ფორმალური ანუ ტრადიციული ლოგიკა, ისევე დიალექტიკური ლოგიკა; ხოლო ეს ორი მეცნიერება იმით კი არ განსხვავდებიან ერთიმეორისაგან, რომ ერთი შეისწავლის აზროვნების ფორმებს ზერელედ, ფორმალურად, მეტაფიზიკურად, ხოლო მეორე ღრმად, შინაარსობრივად, დიალექტიკურად (ასეთ შემთხვევაში ფორმალური ლოგიკის მიჩნევა მეცნიერებად უაზრობა იქნებოდა), არამედ იმით, რომ ისინი შეისწავლიან აზროვნების სრულიად სხვადასხვა მხარეებს, ე. ი. სრულიად სხვადასხვა საგნებს. თუ, მაგალითად, ლოგიკა შეისწავლის წინამძღვრებიდან დანასკვის გამოყვანის წესებს და კანონებს, დიალექტიკა ანუ დიალექტიკური ლოგიკა შეისწავლის ობიექტური სინამდვილის განვითარებისა და მეცნიერული აზროვნების კანონებს. დიალექტიკასაც აზროვნებასთან აქვს საქმე და ამიტომ უწოდებენ მას ამავე დროს «ლოგიკას». მაგრამ რადგან ამ ორ «ლოგიკას» განსხვავებული საგნები აქვთ, უმჯობესია სახელწოდებაც განსხვავებული ჰქონდეთ, ე. ი.

უნდა ვილაპარაკოთ, ერთი მხრივ, ლოგიკის, სოლო მეორე მხრივ, დიალექტიკის შესახებ. ტერმინების ასეთი დაზუსტება მნიშვნელოვნად დაგვეხმარება დასმული პრობლემის გადაწყვეტაში. შეიძლება პირიქით, ტერმინების ასეთი დაზუსტება უნდა იყოს შედეგი დასმული პრობლემის გადაწყვეტისა — საშუალებაც და შედეგიც (ანუ მიზანიც), ორივე ერთად.

დიალექტიკა არსებითად ისეთსავე მიმართებაშია ლოგიკასთან, როგორ მიმართებაშიც არის იგი სხვა ფილოსოფიურ დისციპლინებთან — ეთიკასთან, ესთეტიკასთან, და საერთოდ ყოველ კონკრეტულ, სპეციალურ მეცნიერებასთან.

———

თ ა ვ ი პ ი რ ვ ე ლ ი

მარქსისტული დიალექტიკა როგორც მეცნიერება

1. ფილოსოფიის საგნის შესახებ

ცნობილია, რომ მეცნიერების დარგები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან იმის მიხედვით, თუ რას შეისწავლიან ისინი. ყოველ მეცნიერებას თავისი კვლევის ობიექტი, თავისი საგანი აქვს. ამ მხრივ ფილოსოფია როგორც მეცნიერება არ შეიძლება გამონაკლისს წარმოადგენდეს.

ფილოსოფიის საგანი მთელი მისი ისტორიის მანძილზე არ ყოფილა ერთხელ და სამუდამოდ განსაზღვრული რამ. ამ მომენტის აღნიშვნა ერთგვარად დაგვეხმარება მეცნიერების სხვა დარგებისაგან ფილოსოფიის განსხვავების გარკვევაში.

ფილოსოფია, როგორც ცნობილია, ბერძნული წარმოშობის სიტყვაა და აღნიშნავდა სიბრძნის სიყვარულს. ძველ საბერძნეთში ყოველგვარი სიბრძნე, ყოველგვარი ცოდნა ფილოსოფიად იყო ცნობილი. პირველი მეცნიერება იყო ფილოსოფია და მეცნიერების ისტორია ემთხვეოდა ფილოსოფიის ისტორიას*.

ამ პირველი მეცნიერების, ფ ი ლ ო ს ო ფ ი ი ს ს ა გ ა ნ ი ი ყ ო მ თ ე ლ ი ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ე, ე რ თ ი ა ნ ი დ ა გ ა ნ უ ყ ო ფ ე ლ ი.

მეცნიერული ცოდნის განვითარება მჭიდროდ არის დაკავშირებული წარმოების ხასიათთან, მისი განვითარების დონესთან. წარმოების განვითარების ინტერესები იწვევდნენ სწავ-

---

* «ფილოსოფიის» (როგორც ტერმინის) ბერძნული წარმოშობა იმას არ ნიშნავს, რომ მეცნიერება თავის ისტორიას ძველი საბერძნეთიდან იწყებდეს. ძველ საბერძნეთზე უფრო ადრე მეცნიერება და კულტურა, როგორც ცნობილია, განვითარდა ინდოეთსა და ჩინეთში.

ლულთა ყურადღების გამახვილებას ამა თუ იმ კონკრეტულ მოვლენათა შესწავლაზე. დროთა განმავლობაში ობიექტური სინამდვილის შესახებ ცოდნა სულ უფრო კონკრეტული ხდებოდა. ბუნების მრავალფეროვან მოვლენებზე მეცნიერული ცოდნის წარმოშობისა და განვითარების ისტორია — ეს იყო ფილოსოფიიდან ბუნებისმეცნიერებათა სხვადასხვა დარგების გამოყოფის ისტორია. წარმოების განვითარების მოთხოვნილებებისა და ინტერესების მიხედვით ვითარდებოდნენ და შემდეგში თანდათან ეყოფოდნენ ფილოსოფიას ასტრონომია, მათემატიკა, მექანიკა, ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია და ა. შ. სოციოლოგიამდე.

მეცნიერებათა ისტორიული წარმოშობისა და განვითარების კანონზომიერებათა ანალიზი მეცნიერებათა კლასიფიკაციის პრობლემის შემადგენელი საკითხია და იგი სპეციალური კვლევა-ძიების საქმეა. ჩვენ ამჟამად ეს არ გვაინტერესებს. აქ მხოლოდ იმის აღნიშვნით უნდა დავკმაყოფილდეთ, რომ, თუ დასაწყისში ფილოსოფიის საგანი მოიცავდა როგორც ბუნებას, ისე საზოგადოებასა და აზროვნებას, — შემდგომში მას გამოეყო ბუნებათამეცნიერებანი და საზოგადოებრივი მეცნიერებანი. ფილოსოფიის როგორც მეცნიერების საგნად დარჩა აზროვნება და მისი კანონზომიერებანი.

ამის შესახებ ფ. ენგელსი წერდა: «როგორც კი თვითეულ ცალკე მეცნიერებას წავუყენებთ მოთხოვნას, ნათლად გამოარკვიოს თავისი ადგილი საგნებისა და საგნების შესახებ ცოდნის საყოველთაო კავშირში, ყოველი განსაკუთრებული მეცნიერება ამ საყოველთაო კავშირის შესახებ ზედმეტი ხდება. მაშინ ის, რაც მთელი ადრინდელი ფილოსოფიიდან დამოუკიდებელ მნიშვნელობას კიდევ ინარჩუნებს, არის მოძღვრება აზროვნებისა და მისი კანონების შესახებ — ფორმალური ლოგიკა და დიალექტიკა. ყოველივე დანარჩენი შედის პოზიტიურ მეცნიერებებში ბუნებისა და ისტორიის შესახებ»[1].

ფ. ენგელსის ამ დებულებიდან, ჩვენთვის, უწინარეს ყოვლისა, ის არის ხაზგასასმელი, რომ ფორმალური ლოგიკა და

[1] ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, 1952, გვ. 32.

დიალექტიკა ფილოსოფიური დისციპლინები არიან და მათი საგანია აზროვნება და მისი კანონები*.

ისმება კითხვა: ამოიწურება თუ არა ფილოსოფია ამ ორი დისციპლინით და შეადგენენ თუ არა ისინი მარქსისტულ ფილოსოფიას? აქ იჩენს თავს ერთგვარი სიძნელე მარქსისტული ფილოსოფიის საგნის გარკვევაში.

ცნობილია, რომ ყოველგვარი ფილოსოფიის ძირითადი და უმაღლესი საკითხია ცნობიერებისა და ყოფიერების, სულისა და ბუნების, იდეისა და მატერიის ურთიერთობის საკითხი, საკითხი იმის შესახებ, თუ რომელია პირველადი — იდეა თუ მატერია. იმისდამიხედვით თუ როგორ უპასუხებდნენ ამ კითხვას, ფილოსოფოსები ორ დიდ ბანაკად გაიყვნენ — იდეალისტებისა და მატერიალისტების ბანაკად.

მარქსისტული ფილოსოფია არის მატერიალიზმი, მაგრამ განსხვავებით მატერიალიზმის სხვა, ადრინდელი ფორმებისაგან, იგი არის დიალექტიკური მატერიალიზმი.

დიალექტიკური მატერიალიზმი, — როგორც ცნობილია არის მარქსისტულ-ლენინური პარტიის მსოფლმხედველობა. მას დიალექტიკური მატერიალიზმი იმიტომ ეწოდება, რომ მისი მიდგომა ბუნების მოვლენებისადმი, ბუნების მოვლენების შეცნობის მისი მეთოდი არის დიალექტიკური. ხოლო მის მიერ ბუნების მოვლენათა ახსნა, მის მიერ ბუნების მოვლენათა გაგება, მისი თეორია — მ ა ტ ე რ ი ა ლ ი ს ტ უ რ ი.

«დიალექტიკური მატერიალიზმის» ამ განსაზღვრაში დახასიათებულია მარქსისტული ფილოსოფია როგორც მ ს ო ფ ლ მ ხ ე დ ვ ე ლ ო ბ ა, რომელიც შეიცავს მეთოდს და თეორიას. ამ განსაზღვრაში უშუალოდ არ არის მითითებული იმ საგანზე, რომელსაც ეს მეცნიერება შეისწავლის** (რა თქმა უნდა, განსა-

---

* ჯერ არ შევეხებით იმ საკითხს, თუ როგორ შეიძლება რომ ორი სხვადასხვა მეცნიერება ერთსადაიმავე საგანს შეისწავლიდეს, ან არის თუ არა აქ, ნამდვილად, ერთიდაიგივე საგანი?

** არ იქნებოდა სწორი იმის თქმა, თითქოს «დიალექტიკური მატერიალიზმის» ზემომოყვანილ განსაზღვრაში ი. ბ. სტალინი ახასიათებს მის

კუთრებული მტკიცება არ სჭირდება იმას, რომ დიალექტიკური მატერიალიზმი როგორც მსოფლმხედველობა ამავე დროს მეცნიერებაა), მაგრამ, როცა ი. ბ. სტალინი ავითარებს ამ დებულებას და ალაგებს დიალექტიკური მეთოდისა და მატერიალიზმის თეორიის ნიშნებს, ამით მოხაზავს დიალექტიკური მატერიალიზმის, როგორც მეცნიერების, საგანსაც. ეს არის როგორც მთელი სინამდვილის მოძრაობისა და განვითარების უზოგადესი კანონზომიერება ანუ ობიექტური დიალექტიკა, ისე შემეცნების კანონზომიერება ანუ აზროვნების დიალექტიკა, რომელშიც ობიექტური დიალექტიკა აისახება.

ზოგიერთი მკვლევარი ანგარიშს არ უწევს ობიექტური და სუბიექტური დიალექტიკის ამ ერთიანობას და მარქსისტული ფილოსოფიის, ანუ დიალექტიკური მატერიალიზმის საგნად მხოლოდ ობიექტურ დიალექტიკას აცხადებს.

ასეთ შემთხვევაში გამოდის, რომ, ერთი მხრივ, ფილოსოფია როგორც მეცნიერება დამოუკიდებელ არსებობას ინარჩუნებს მხოლოდ როგორც მოძღვრება აზროვნებაზე და მის კანონებზე, ხოლო, მეორე მხრივ, მარქსისტულ ფილოსოფიას განსაზღვრავენ როგორც მოძღვრებას არა აზროვნებაზე, არამედ ობიექტური სინამდვილის უზოგადეს კანონებზე.

ასეთია ის ერთ-ერთი «წინააღმდეგობა» და სიძნელე, რომელიც არსებობს ჩვენს ფილოსოფიურ ლიტერატურაში, და რაც ხშირად იწვევს გაუგებრობას დიალექტიკისა და ლოგიკის ურთიერთობის გარკვევაშიც.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ სინამდვილეში აქ წინააღმდეგობა არ არის. არსებობს მხოლოდ ერთგვარი სიძნელე, ბუნდოვანე-

---

საგანს, კერძოდ: ობიექტური სინამდვილის შემეცნების მეთოდს და ამ სინამდვილის ახსნის თეორიას. დიალექტიკური მატერიალიზმის, როგორც მეცნიერების, კვლევის საგანი არ შეიძლება იყოს შემეცნების მეთოდი და თეორია იმიტომ, რომ დიალექტიკური მატერიალიზმი თვით არის ასეთი მეთოდი და თეორია.

ნამდვილად ზემომოყვანილ დებულებაში ი. სტალინი მხოლოდ ტერმინს განმარტავს, თუ რატომ ეწოდება მარქსისტულ ფილოსოფიას დიალექტიკური მატერიალიზმი. ხოლო დიალექტიკური მატერიალიზმის ცნებას და ამ მეცნიერების საგანს ი. სტალინი განმარტავს დიალექტიკისა და მატერიალიზმის ნიშნების დახასიათებით.

ბა ფილოსოფიის საგნის ამ სხვადასხვაგვარი განსაზღვრების წეთანხმებაში, და ნათელი გახდება იგი, თუ უფრო ახლოს და კონკრეტულად განვიხილავთ ფილოსოფიის საგანს, მარქსისტული მატერიალისტური დიალექტიკის როგორც მეცნიერების საგანს.

თუ გამოვალთ იქედან, რომ მარქსისტული ფილოსოფიის საგანი არის ბუნებისა და საზოგადოების არა კონკრეტული, არამედ ზოგადი კანონები, მაშინ ისმება კითხვა: როგორ შეიძლება ამა თუ იმ მეცნიერებამ შეისწავლოს მთელი სინამდვილის განვითარების ზოგადი კანონები, თუ მან არ შეისწავლა სინამდვილის კონკრეტულ სფეროთა, კონკრეტულ მოვლენათა სპეციალური კანონები? ზოგადი კანონები ხომ არ არსებობენ თავისთავად, კონკრეტული მოვლენებისა და მათი კანონების გარეშე? ე. ი. იმისათვის, რომ ფილოსოფიას შეეძლოს რაიმე გარკვეული ცოდნის მოცემა, იგი უნდა შეიცავდეს, უნდა ეყრდნობოდეს ობიექტური სინამდვილის მთელს მეცნიერულ ცოდნას მის სრულ კონკრეტობაში. სხვაგვარად განვითარების უზოგადესი კანონების დადგენა შეუძლებელია.

სწორედ ამიტომ განიხილავენ მარქსისტულ ფილოსოფიას როგორც ადამიანური აზროვნების მთელი ისტორიის შედეგს, ჯამს, დასკვნას. იგი შეიქმნა როგორც მეცნიერული ცოდნის ყოველი დადებითი მონაპოვარის განზოგადება. მარქსისტული ფილოსოფია თავის განვითარებაში ეყრდნობა კონკრეტულ მეცნიერებათა მიღწევებს და თავის მხრივ ხელს უწყობს კონკრეტულ მეცნიერებათა ახალ წარმატებებს სინამდვილის სპეციალურ კანონზომიერებათა კვლევის საქმეში.

მარქსისტული ფილოსოფია, როგორც მოძღვრება მთელი სინამდვილის ზოგად კანონებზე, მკვლევარს აიარაღებს კონკრეტულ მოვლენათა კვლევის მეცნიერული მეთოდით და ამ მოვლენათა ახსნის სწორი თეორიით.

"რა დამოკიდებულებაა ასე გაგებულ მარქსისტულ ფილოსოფიასა და იმ ფილოსოფიურ დისციპლინებს შორის, რომლებიც დარჩნენ ძველი ფილოსოფიიდან დამოუკიდებელ მეცნიერებათა სახით? ლაპარაკია ლოგიკაზე და დიალექტიკაზე, როგორც აზროვნების შემსწავლელ დისციპლინებზე.

მარქსისტული ფილოსოფია, რა თქმა უნდა, არ არის უშუალოდ ის, რაც დარჩა ძველი ფილოსოფიიდან. ძველი ფილოსოფიიდან დარჩენილი ცოდნის შინაარსი და მარქსისტული ფილოსოფიის შინაარსი ერთმანეთს არ ემთხვევა. მარქსმა და ენგელსმა მეცნიერულად გადაამუშავეს ფილოსოფიის მთელი ისტორიის დადებითი მონაპოვარი, კერძოდ, მოძღვრება აზროვნებაზე, და მისცეს მას თანამედროვე მეცნიერული სახე. ე. ი. აქ მსგავსება ან დამთხვევა მხოლოდ საგნებშია და არა ამ საგნებზე მოძღვრებაში. მარქსისტული ფილოსოფია, როგორც მსოფლმხედველობა, როგორც მეცნიერული ცოდნის მთელი ისტორიის შედეგი, არის თვისობრივად ახალი მოძღვრება შემეცნებაზე, ობიექტური სინამდვილის შემეცნების კანონებზე.

როგორც ზემოთ ითქვა, ეს არ ეწინააღმდეგება იმ განსაზღვრებას, რომ მარქსისტული ფილოსოფია არის მოძღვრება მთელი სინამდვილის უზოგადეს კანონებზე. არ ეწინააღმდეგება თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ ბუნების, საზოგადოებისა და აზროვნების უზოგადესი კანონები ერთიდაიგივეა. უფრო სწორად: აზროვნების კანონები ბუნებისა და საზოგადოების უზოგადეს კანონებს ასახავენ, მათი ასახვის შედეგად დადგინდებიან.

მაგრამ მარქსისტული ფილოსოფია როგორც მოძღვრება შემეცნებაზე არ შეიძლება დაკმაყოფილდეს აზროვნების მხოლოდ უზოგადესი კანონების დადგენით. აზროვნება ამ შემთხვევაში სხვა მეცნიერების მიერ არ შეისწავლება, იგი ფილოსოფიის საგანია და სწორედ ფილოსოფიამ უნდა იკვლიოს მისი როგორც ზოგადი, ისე სპეციალური კანონზომიერებანი. სწორედ ამიტომ ეწოდება დიალექტიკას შემეცნების თეორია. მარქსისტულ ფილოსოფიას, ე. ი. დიალექტიკურ მატერიალიზმს თავისი შემეცნების თეორია აქვს, ანუ თვითონ არის იგი მარქსიზმის შემეცნების თეორია.

ამ ცნებების ზუსტ დადგენას დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც საერთოდ, ისე განსაკუთრებით დასმული პრობლემის გადაწყვეტისა და დალაგებისათვის.

ვ. ი. ლენინის შრომებში ხშირად ვხვდებით გამოთქმას «დიალექტიკური მატერიალიზმის შემეცნების თეორია»[1], მაგრამ ასევე ხშირად ვხვდებით მითითებას იმაზე, რომ შემეცნების თეორია სწორედ დიალექტიკური მატერიალიზმის არსებითი შინაარსი[2]. საკმარისია მოვიგონოთ, თუ როგორ უსაყვედურებდა ვ. ი. ლენინი პლეხანოვს, რომელიც დიალექტიკას ალაგებდა როგორც მაგალითების ჯამს და არა როგორც შემეცნების თეორიას. ეს საკითხის არსიაო — დასძენდა ვ. ი. ლენინი. ვ. ი. ლენინის აზრით მატერიალისტური დიალექტიკა ეს არის შემეცნების თეორია.

იმავე აზრს გამოთქვამს ვ. ი. ლენინი შრომაში «კ. მარქსი»: «ამრიგად, დიალექტიკა, მარქსის მიხედვით, არის მეცნიერება როგორც გარე სამყაროს, ისე ადამიანის აზროვნების მოძრაობის ზოგადი კანონების შესახებ». იქვე ვ. ი. ლენინი წერს: «დიალექტიკა კი მარქსის გაგებით, აგრეთვე ჰეგელის თანახმად, შეიცავს იმას, რასაც ახლა უწოდებენ შემეცნების თეორიას, გნოსეოლოგიას, რომელმაც თავის საგანი უნდა განიხილოს აგრეთვე ისტორიულად, შეისწავლოს და განაზოგადოს შემეცნების წარმოშობა და განვითარება, არცოდნიდან ცოდნაზე გადასვლა»[3].

ე. ი., ჯერ ერთი, მარქსისტული დიალექტიკა შეისწავლის როგორც გარე სამყაროს, ისე ადამიანის აზროვნების ზოგად კანონებს. ბუნებისა და საზოგადოების ზოგადი კანონების შესწავლაში იგი ეყრდნობა კონკრეტულ მეცნიერებებს ბუნებისა და საზოგადოების შესახებ. ბუნებისა და საზოგადოების ზოგადი კანონების დადგენით კი აზროვნების ზოგადი კანონებიც დგინდება, არა მარტო იმ აზრით, რომ სამივე სფეროს უზოგადესი კანონების ერთდაიგივეობას წინასწარ ვუშვებთ, არამედ იმ აზრითაც, რომ ბუნებისა და საზოგადოების უზოგადესი კანონების შესწავლა იმასაც გვასწავლის, თუ როგორ უნდა შევიმეცნოთ ობიექტური სინამდვილე, როგორ უნდა ვიაზროვნოთ. და შემდეგ, აზროვნების ზოგადი კანონების გა-

---

[1] იხ. ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 14 (შრომის I, II და III თავები).

[2] იქვე, გვ. 310.

[3] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, მარქსი, ენგელსი, მარქსიზმი, 1953, გვ. 15 — 16.

ზოკვლევის საფუძველზე დიალექტიკა იძლევა აზროვნების ფაქტის, ობიექტური სინამდვილის შემეცნების ფაქტის კონკრეტულ ანალიზს და დაადგენს არა მარტო იმას, თუ როგორ ხდება შემეცნება ამჟამად, არამედ იმასაც, თუ როგორ განვითარდა ცნობიერება ისტორიულად, როგორ მოხდა «არცოდნიდან ცოდნაზე გადასვლა».

მთელი სინამდვილის მოძრაობისა და განვითარების უზოგადესი კანონზომიერებანი ზოგიერთ მკვლევარს წარმოუდგენია როგორც ბუნების დიალექტიკის, საზოგადოების დიალექტიკისა და აზროვნების დიალექტიკის ჯამი. მოძღვრებას ბუნების დიალექტიკაზე ჩვენ ვიცნობთ როგორც დიალექტიკურ მეთოდს. მოძღვრება საზოგადოების დიალექტიკაზე — ეს არის ისტორიული მატერიალიზმი; ხოლო აზროვნების დიალექტიკა — გნოსეოლოგია, შემეცნების თეორიაა. სწორედ ასე წარმოუდგენიათ მათ მარქსისტული ფილოსოფიის ელემენტები.

ასეთ გაგებაში ხაზგასმულია ის გარემოება, რომ ზოგადი დიალექტიკური კანონები სხვადასხვაგვარად ვლინდებიან სინამდვილის სხვადასხვა სფეროში, ანუ სფეროებისდა მიხედვით ზოგად დიალექტიკურ კანონებს სხვადასხვა კონკრეტული შინაარსი აქვთ. ეს, რა თქმა უნდა, სწორია, მაგრამ ასეთ გაგებას მაინც მივყევართ მთელ რიგ სიძნელეებამდე და წინააღმდეგობამდე: თუ ბუნების დიალექტიკაზე მოძღვრება ისეთივე კონკრეტული ცოდნაა ბუნების მოვლენებზე, როგორც, მაგალითად, ისტორიული მატერიალიზმია კონკრეტული ცოდნა საზოგადოებრივ მოვლენებზე, მაშინ მას ფილოსოფია კი აღარ შეისწავლის, არამედ ბუნებათმეცნიერება, უკეთეს შემთხვევაში «თეორიული ბუნებათმეცნიერება». ეს კი სხვა არაფერია, თუ არა ბუნების მოვლენების განხილვა მატერიალისტური დიალექტიკის თვალსაზრისით, ე. ი. მარქსისტული თვალსაზრისით.

თუ ფილოსოფიის საგანს ამგვარად გავაფართოებთ და მასში შევიტანთ ყოველ ცოდნას, რომელიც კი მიიღება სინამდვილის ამა თუ იმ სფეროს მარქსისტული განხილვის შედეგად, მაშინ ისმება კითხვა: რაღა შეითვისეს ფილოსოფიიდან

კონკრეტულმა მეცნიერებებმა ბუნებისა და საზოგადოების შესახებ, და როგორღა დარჩა ფილოსოფიის საგნად მხოლოდ აზროვნება და მისი კანონზომიერება?

შემდეგ, თუ დიალექტიკური მეთოდის შინაარსი ერთია, ხოლო შემეცნების თეორიისა კი სულ სხვა, მაშინ როგორ გავიგოთ დიალექტიკისა და შემეცნების თეორიის იგივეობა? ლენინი ხომ გარკვევით ამბობს: დიალექტიკა არის სწორედ მარქსიზმის შემეცნების თეორია; დიალექტიკა და შემეცნების თეორია ერთიდაიგივეაო *.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ დიალექტიკა არსებობს ერთი, სამივე სფეროსათვის საერთო, და მასზე მოძღვრება შეადგენს ჩვენს შემეცნების თეორიას, ჩვენს მეთოდს, ჩვენს მსოფლმხედველობას. ხოლო სხვადასხვა სფეროში მისი გამოვლენის ფორმები შეისწავლება ამ სფეროთა შესახებ სპეციალურ მეცნიერებებში, რომლებიდანაც მხოლოდ მაგალითები მოგვყავს დიალექტიკის კანონებისა და კატეგორიების ილუსტრირებისათვის და არა თვით დიალექტიკის თეორიის აგებისათვის. როცა მკვლევარები ასეთი ილუსტრირებით კმაყოფილდებიან, იმის მაგივრად, რომ დიალექტიკის თეორია გამოიკვლიონ და დაალაგონ სისტემატური სახით, ამით ისინი ამახინჯებენ დიალექტიკას როგორც შემეცნების თეორიას. სწორედ ამას უსაყვედურებდა ლენინი პლეხანოვს. თითქმის იგივე შეცდომები

* დიალექტიკისა და შემეცნების თეორიის იგივეობის აზრს თითქოს არ უნდა ეგუებოდეს ლენინის გამოთქმები შრომიდან «მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი»: «...როგორ იყენებს ენგელსი დიალექტიკას გნოსეოლოგიის მიმართ (მაგ., აბსოლუტური და შეფარდებითი ჭეშმარიტება)» (თხზ., ტ. 14, გვ. 303), ანდა ასეთი ადგილი: «შემეცნების თეორიაში, ისევე როგორც მეცნიერების ყველა სხვა დარგში, დიალექტიკურად უნდა ვიმსჯელოთ, ე. ი. ჩვენი ცოდნა მზამზარეულად და უცვლელად როდი უნდა ვიგულისხმოთ, არამედ უნდა გავერკვიოთ, როგორ იბადება უ ც ო დ ი ნ ა რ ო ბ ი ს ა გ ა ნ ც ო დ ნ ა, როგორ ხდება არასრული და არაზუსტი ცოდნა უფრო სრული და უფრო ზუსტი» (იქვე, გვ. 120). რა თქმა უნდა, აქ არავითარი წინააღმდეგობა არ არის, რადგან, თუ დიალექტიკა მეცნიერული კვლევა-ძიების სახელმძღვანელო პრინციპებს გვასწავლის, ამ პრინციპების დაცვა სავალდებულოა თვით დიალექტიკის მეცნიერებაშიც, ე. ი. შემეცნების თეორიაში.

ზეორდება დიალექტიკური მატერიალიზმის სახელმძღვანელოებში, როგორც ამის შესახებ აღინიშნა ჟურნალ. «Вопросы философии»-ს ფურცლებზე (1954 წ. №№ 3, 4, 5).

თუ მარქსისტულ ფილოსოფიას გავიგებთ როგორც სინამდვილის სამივე სფეროს შესახებ უზოგადეს ცოდნათა ჯამს, მაშინ რითლა განსხვავდება იგი მარქსამდელი ფილოსოფიისაგან როგორც მეცნიერებათა მეცნიერებისაგან, სადღაა მისი ძირეული და თვისობრივი სიახლე? ხომ არ შეიძლება მარქსისტული ფილოსოფიის თავისებურება მ ხ ო ლ ო დ იმით განვსაზღვროთ, რომ იგი, განსხვავებით მარქსამდელი ფილოსოფიური მოძღვრებებისაგან, უფრო ჭეშმარიტი მოძღვრებაა იმავე საგანზე? რა თქმა უნდა, არა.

ცნობილია მარქსიზმის კლასიკოსთა პირდაპირი მითითებები ამ საკითხზე: «თანამედროვე მატერიალიზმი, — წერს ფ. ენგელსი, — საერთოდ ფილოსოფიას კი აღარ წარმოადგენს, არამედ უბრალოდ მსოფლმხედველობას, რომელიც მტკიცდება და ხორციელდება არა განსაკუთრებულ მეცნიერებათა მეცნიერებაში, არამედ რეალურ მეცნიერებებში»[1].

დიალექტიკური მატერიალიზმის ჩამოყალიბებით, როგორც ენგელსი ამბობს, ძველი ფილოსოფია «მოხსნილია», ე. ი. «ერთსადაიმავე დროს გადალახულიცაა და შენარჩუნებულიც», გადალახულია მისი ფორმის მიხედვით, ე. ი. როგორც მეცნიერებათა მეცნიერება, შენარჩუნებულია მისი ნამდვილი შინაარსის მიხედვით, ე. ი. როგორც მსოფლმხედველობა. ეს მსოფლმხედველობა არის სწორედ დიალექტიკური მატერიალიზმი.

«დიალექტიკურ მატერიალიზმს, — წერს ვ. ი. ლენინი, — არ ესაჭიროება არავითარი ისეთი ფილოსოფია, რომელიც სხვა მეცნიერებებზე მაღლა იდგეს. წინანდელი ფილოსოფიისაგან რჩება «მოძღვრება აზროვნებასა და მის კანონებზე — ფორმალური ლოგიკა და დიალექტიკა»[2].

---

[1] ფ. ენ გ ე ლ ს ი, ანტი-დიურინგი, გვ. 165.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, მარქსი, ენგელსი, მარქსიზმი, გვ. 15.

ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ დიალექტიკური მატერიალიზმი სრულიად სხვაა, ხოლო მოძღვრება აზროვნებაზე, კერძოდ დიალექტიკა, კიდევ სხვა? რა თქმა უნდა, არა.

საქმე იმაშია, რომ დიალექტიკა, შემეცნების თეორია ჩვენი ფილოსოფიის, ე. ი. ჩვენი მსოფლმხედველობის, დიალექტიკური მატერიალიზმის არსებაა. ხოლო ლოგიკის ადგილი ნათელი გახდება ამ ურთიერთობაში მხოლოდ მაშინ, როცა ვუჩვენებთ მისი საგნის დამოკიდებულებას დიალექტიკის საგანთან, უფრო სწორად, ლოგიკის საგნის ადგილსა და როლს შემეცნების პროცესში.

წინასწარ შეიძლება აღინიშნოს იმ თვალსაზრისის უსაფუძვლობა, რომლის მიხედვით ლოგიკა არ არის ფილოსოფიური მეცნიერება, რადგან თითქოს ასეთ შემთხვევაში იგი ჩვენი ფილოსოფიის ნაწილი უნდა ყოფილიყო, ხოლო ჩვენი ფილოსოფია — ეს ჩვენი მსოფლმხედველობაა — პარტიული და კლასობრივი, ხოლო ლოგიკა მათი აზრით არ არის პარტიული და კლასობრივი, რადგან იგი ეხება არაპარტიულსა და არაკლასობრივ საგანს.

უსაფუძვლო იქნებოდა იმის მტკიცება, თითქოს ჩვენი ფილოსოფია, როგორც მეცნიერება არაფერს შეისწავლიდეს ისეთს, რაც მარქსისტებს გარდა არავის ახასიათებს. ეს იქნებოდა ლოგიკის საგნის კლასობრიობის აღიარება. მართალია, ჩვენი ფილოსოფია მარქსისტული აზროვნების თეორიაა, მარქსისტული ლოგიკაა, მაგრამ მან, როგორც მთლიანმა და უნივერსალურმა მოძღვრებამ აზროვნებაზე არ შეიძლება არ გამოიკვლიოს საერთოდ ადამიანური აზროვნებისათვის დამახასიათებელი ფორმები და კანონები.

აზროვნების ფორმებისა და კანონების შესახებ მოძღვრებას აღნიშნავდნენ «ფორმალური ლოგიკის» სახელწოდებით. ამ ტერმინს თავისი ისტორია აქვს, რაზედაც შემდეგ ვილაპარაკებთ. ფილოსოფიური მეცნიერების ამ დარგის ასეთმა სახელწოდებამ არ უნდა დაგვაეჭვოს, როცა მარქსისტული შემეცნების თეორიის ნაწილად მის მიჩნევაზეა ლაპარაკი. არ უნდა შეგვაშინოს არც იმან, რომ კანონები და ფორმები, რომელსაც ფორმალური ლოგიკა დაადგენს, მოქმედებენ არამარ-

ქსისტის, იდეალისტის, მეტაფიზიკის აზროვნებაშიც. არ უნდა აიღოს ხელი ჩვენმა ფილოსოფიამ ამის კვლევაზე არა მარტო იმიტომ, რომ უნდა ვიცოდეთ ისიც, თუ რა კანონებსა და ფორმებს ემორჩილება არამარქსისტის აზროვნება, არამედ არსებითად იმიტომ, რომ ამ კანონებსა და ფორმებს ემორჩილება მარქსისტის აზროვნებაც. ეს კანონები და ფორმები საერთოდ ადამიანური აზროვნების დამახასიათებელნი არიან. ხოლო ლოგიკა ფილოსოფიურ მეცნიერებად ცხადდება იმიტომ, რომ სწორედ ფილოსოფია შეისწავლის აზროვნებას, შემეცნებას ამ გაგებით და არა რომელიმე სხვა მეცნიერება.

მარქსისტული ფილოსოფიის საგნის შხოლოდ ასეთი გაგება გვიხსნის იმ ვულგარული, ეკლექტიკური აზრისაგან, თითქოს მარქსისტული ფილოსოფია სრულიად სხვაა, ხოლო მეცნიერებანი აზროვნებაზე — ლოგიკა და დიალექტიკა კიდევ სხვა. არ შეიძლება მარქსისტული ფილოსოფიის გარდა კიდევ რაღაც მისგან სრულიად განსხვავებული ფილოსოფიური დისციპლინები ვაღიაროთ. ყოველ შემთხვევაში, დიალექტიკის მიმართ ეს მეტად აშკარაა. ყოველგვარი ჭეშმარიტი მოძღვრება შემეცნებაზე და მის ფორმებზე არ შეიძლება არ შედიოდეს მარქსისტულ ფილოსოფიაში, რამდენადაც ეს საგანი სხვა მეცნიერების მიერ არ შეისწავლება.

მაშასადამე, საკითხი ისმის ჩვენი ფილოსოფიის ამ შემადგენელი ელემენტების — დიალექტიკისა და ლოგიკის დამოკიდებულების შესახებ.

ლოგიკისა და დიალექტიკის დამოკიდებულება — ეს არის დამოკიდებულება ე. წ. ფორმალურ ლოგიკასა და შემეცნების თეორიას შორის, ანუ ფორმალურ ლოგიკასა და დიალექტიკურ ლოგიკას შორის.

ე. ი. დამოკიდებულების ერთი მხარეა ლოგიკა ანუ ფორმალური ლოგიკა, ხოლო მეორე — დიალექტიკა, დიალექტიკური ლოგიკა ანუ შემეცნების თეორია.

გავარჩიოთ დამოკიდებულების ეს მხარეები ცალ-ცალკე.

2. დიალექტიკა როგორც ლოგიკა და შემეცნების თეორია

ა) მეთოდისა და თეორიის ერთიანობისათვის

დიალექტიკური მატერიალიზმის ზემომოყვანილ განმარტებაში ხაზგასმულია, რომ იგი მსოფლმხედველობაა, რომელიც ხასიათდება გარკვეული მეცნიერული მეთოდითა და თეორიით. ლაპარაკია ობიექტური სინამდვილის შემეცნების, შესწავლის, გამოკვლევის დიალექტიკურ მეთოდზე და ამ სინამდვილის კანონზომიერებათა ახსნის, მათი გაგების მატერიალისტურ თეორიაზე.

ზოგიერთ მკვლევარს კარგად არა აქვს გააზრებული მარქსისტული მსოფლმხედველობის ასეთი დახასიათების თავისებურება და მათი აზრით გამოდის, თითქოს მარქსისტული ფილოსოფია, მარქსისტული ფილოსოფიური მსოფლმხედველობა მეთოდისა და თეორიის ჯამი, მათი მექანიკური გაერთიანება იყოს. ამ შეცდომის ყველაზე აშკარა გამოხატულებაა ის მდგომარეობა, რომ დიალექტიკური მატერიალიზმის ზოგიერთ სახელმძღვანელოსა და ცალკეულ მონოგრაფიაში თითქმის სრულიად არ ეთმობა ადგილი მეთოდისა და თეორიის ერთიანობის საკითხს*.

ყურადღება არ ექცევა იმას, რომ მარქსისტული მსოფლმხედველობა გულისხმობს მეთოდისა და თეორიის შინაგან ერთიანობასა და მთლიანობას. მარქსისტული მატერიალიზმი დ ი ა ლ ე ქ ტ ი კ უ რ ი ა და მარქსისტული დიალექტიკა — მ ა ტ ე რ ი ა ლ ი ს ტ უ რ ი.

ეს ელემენტარული დებულება ყველასათვის ცნობილი და მისაღებია, მაგრამ ერთია მისი აღიარება სიტყვით, და სხვაა მისი მნიშვნელობის გათვალისწინება მეცნიერული კვლევის პროცესში.

---

* ამის შესახებ გარკვევით ითქვა 1952 და 1954 წლებში გამოსული დიალექტიკური მატერიალიზმის სახელმძღვანელოების საჯარო განხილვების დროს, ამ წიგნების შესახებ გამოქვეყნებულ რეცენზიებში და გამოუქვეყნებელი რეცენზიების მიმოხილვაში, რაც დაიბეჭდა ჟურნალ «Вопросы философии»-ის 1954 წლის № 2, 3, 4, 5-ში.

დიალექტიკისა და მატერიალიზმის დამახასიათებელ თავისებურებათა ცალ-ცალკე განხილვა არ ნიშნავს იმას, რომ მეთოდი და თეორია გათიშულია ერთმანეთისაგან. მათი ერთიანობის ხასიათი ნათლად არის გამოთქმული იმ დებულებაში, რომ დიალექტიკური მატერიალიზმი ერთიანი, მთლიანი მეცნიერული მსოფლმხედველობაა, ობიექტური სინამდვილის ზოგად კანონებზე და შემეცნებაზე ჭეშმარიტი ცოდნის მწყობრი მეცნიერული სისტემაა.

ადგილი აქვს მეორე უკიდურესობასაც: მეთოდისა და თეორიის ერთიანობა აბსოლუტურ იგივეობად მიაჩნიათ და ერთმანეთისაგან სრულებით არ განასხვავებენ დიალექტიკური მატერიალიზმის და მატერიალისტური დიალექტიკის განსაზღვრებებს.

დიალექტიკურ მატერიალიზმს განსაზღვრავენ როგორც მოძღვრებას მთელი სინამდვილის (ბუნების, საზოგადოებისა და აზროვნების) მოძრაობისა და განვითარების უზოგადეს კანონებზე. ასევე განსაზღვრავენ მატერიალისტურ დიალექტიკას, როგორც სრულსა და თანმიმდევრულ მოძღვრებას განვითარებაზე (ბუნების, საზოგადოებისა და აზროვნების განვითარებაზე). ან კიდევ, ფილოსოფიას განსაზღვრავენ როგორც მოძღვრებას აზროვნებაზე და ასევე განსაზღვრავენ დიალექტიკას როგორც ლოგიკას და შემეცნების თეორიას.

თავისთავად ასეთი დამთხვევისა და იგივეობის მომენტის აღნიშვნაში ყალბი არაფერია, მაგრამ ასეთი დამთხვევისა და იგივეობის იქით ისინი ვერ ხედავენ განსხვავებას *, უფრო სწორად, იგივეობისა და განსხვავების ერთიანობას.

ამ იგივეობის, განსხვავების და მათი ერთიანობის მომენტების აღნიშვნაა ჩვენთვის საინტერესო.

გაურკვევლობა მეთოდისა და თეორიის ურთიერთ მიმართების საკითხში იწვევს ერთგვარ შეუთანხმებლობასა და დავას დიალექტიკური მატერიალიზმის სახელმძღვანელოს სტრუქტურის დადგენაში.

---

* ე. ი. აღნიშნავენ არა იგივეობის მომენტს, არამედ აბსოლუტურ იგივეობას.

მარქსისტულ მსოფლმხედველობაში მეთოდისა და თეორიის შინაგანი ერთიანობის აღიარება, ერთი შეხედვით, საფუძველს უნდა აცლიდეს დავას იმის შესახებ, თუ რა უნდა დალაგდეს პირველ რიგში: დიალექტიკური მეთოდი თუ მატერიალისტური თეორია.

მაგრამ, ნამდვილად, ასე არ არის. ასეთმა დავამ განსაკუთრებით იჩინა თავი დიალექტიკური მატერიალიზმის ზემოაღნიშნული სახელმძღვანელოების განხილვაში.

თუ ამ «რიგს» განსაკუთრებული მნიშვნელობა არ ჰქონდა დიალექტიკური მატერიალიზმის ძირითად დებულებათა მოკლე და პოპულარულ დალაგებაში, როგორიცაა მარქსიზმის კლასიკოსთა ზოგიერთი თეორიული შრომა, სამაგიეროდ გარკვეული პრინციპული მნიშვნელობა აქვს ამ საკითხს დიალექტიკური მატერიალიზმის სპეციალური სახელმძღვანელოს აგებისათვის. ამ «რიგის» დადგენა კი თავის მხრივ იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ იქნება გაგებული მეთოდისა და თეორიის ერთიანობის საკითხი.

პროფ. ბ. მ. კედროვის აზრით, დიალექტიკური მატერიალიზმის როგორც მეცნიერების სისტემატური დალაგება არ შეიძლება იმ სტრუქტურით, რომლის მიხედვით ჯერ დიალექტიკური მეთოდის ნიშნებია დასახასიათებელი, ხოლო შემდეგ ფილოსოფიური მატერიალიზმის ნიშნები.

ამ მოსაზრებას კედროვი იმით ასაბუთებს, რომ, თითქოს ასეთი სტრუქტურა შესაძლებლობას არ იძლეოდეს განვიხილოთ დიალექტიკის ისეთი საკითხები, როგორიცაა უარყოფის უარყოფის კანონი, ლოგიკურისა და ისტორიულის პრობლემა, თითქოს ასეთი სტრუქტურა ხელს უშლიდეს დიალექტიკის კატეგორიების სრულსა და ყოველმხრივ განხილვას და სხვა. წიგნის სტრუქტურა, პროფ. კედროვის აზრით, ისეთი უნდა იყოს, რომ რაც შეიძლება გაფართოვდეს მასში განხილული ფილოსოფიური პრობლემების წრე[1].

ძნელი არაა იმის მიხვედრა, რომ მხოლოდ ასეთი, ერთგვარი «მოცულობითი» მომენტის აღნიშვნით ვერ დასაბუთ-

---

[1] იხ. «Вопросы философии», 1954, № 4, стр. 202.

დება სტრუქტურის შეცვლის აუცილებლობა. ჯერ ერთი, მთავარია არა განსახილველი პრობლემების რ ა ო დ ე ნ ო ბ ა, რასაც თითქოს განსაზღვრავს ესა თუ ის სტრუქტურა, არამედ თვით ამ პრობლემების გადაწყვეტა, რაც მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული სტრუქტურის სწორ შემუშავებაზე. შემდეგ, დაუსაბუთებელია განცხადება, თითქოს არსებული სტრუქტურა არ იძლეოდეს ზემოაღნიშნული საკითხების ანალიზის საშუალებას. ის ფაქტი, რომ მოცემულ სახელმძღვანელოში არ არის დასმული აღნიშნული საკითხები, ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ საერთოდ არ შეიძლება მათი ანალიზი ასეთი სტრუქტურის პირობებში. სუბიექტური განსაზღვრულობა არ შეიძლება გამოცხადდეს ობიექტურ აუცილებლობად (ობიექტურ შეუძლებლობად).

დაახლოებით ასეთივე არგუმენტებია გამოთქმული დიალექტიკური მატერიალიზმის აღნიშნული სახელმძღვანელოს ერთ-ერთი რეცენზენტის, ილინსკის რეცენზიაში, რომლის აზრით არ შეიძლება გავაშუქოთ მატერიალური სამყაროს შესწავლის წესი ისე, თუ წინასწარ არ განვმარტეთ რას წარმოადგენს ეს მატერიალური სამყარო, რა ფორმებში ვლინდება იგი, როგორია თვით შემეცნების წყარო და სხვა[1].

სტრუქტურის შეცვლის სასარგებლოდ აზრი გამოითქვა სხვების მიერაც, მაგრამ მათ კონკრეტულად მაინც არა აქვთ გააზრებული, თუ როგორი უნდა იყოს ახალი სტრუქტურა.

თეორიის «პრიმატობის» მომხრეებს მხედველობაში აქვთ ის, რომ მარქსისტული ფილოსოფია მ ა ტ ე რ ი ა ლ ი ზ მ ი ა. სწორედ ასე განსაზღვრავს ვ. ი. ლენინი მარქსისტულ ფილოსოფიას შრომაში «კ. მარქსი». ამ შრომაში ლენინი ჯერ ალაგებს მატერიალიზმს, ხოლო შემდეგ დიალექტიკას. როგორც ცნობილია, ვ. ი. ლენინის ამ შრომაშიც მარქსისტული ფილოსოფიის მხოლოდ ძირითადი დებულებებია დახასიათებული და არა მეთოდისა ან თეორიის მთელი შინაარსი.

ეს ფაქტი სწორედ იმაზე მეტყველებს, რომ ფილოსოფიის ძირითად დებულებათა დახასიათებისათვის «რიგს» თავისთავად პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს.

---

[1] იხ. «Вопросы философии», 1954, № 5, стр. 190.

დიალექტიკური მატერიალიზმის სისტემატური სახელმძღვანელოს შექმნისათვის კი პრინციპული მნიშვნელობა უ შ უ ა ლ ო დ «რიგს» კი არა აქვს, არამედ «რიგში მდგომთა», ანუ მეთოდსა და თეორიას შორის ურთიერთობის გაგებას. ფილოსოფიური პრობლემების დალაგების რიგიცა და ხასიათიც ამით განისაზღვრება.

ჩვენ ზემოთ განვსაზღვრეთ ეს ურთიერთობა მეთოდსა და თეორიას შორის, როგორც იგივეობისა და განსხვავების ერთიანობა.

მეთოდისა და თეორიის შინაგანი ერთიანობის აზრი, უწინარეს ყოვლისა, იმაში მდგომარეობს, რომ დიალექტიკური მატერიალიზმი არ არის ორი მეცნიერების ჯამი. დიალექტიკური მატერიალიზმი ერთი მეცნიერებაა, რომელსაც თავისი გარკვეული საგანი აქვს. ჯერჯერობით ეს საგანი ჩვენ დავახასიათეთ როგორც მთელი სინამდვილის მოძრაობისა და განვითარების კანონზომიერებანი და მათი შემეცნება, ანუ ობიექტური და სუბიექტური დიალექტიკა.

საჭიროა დავაზუსტოთ, თუ რას ვგულისხმობთ ამ ტერმინებში. მთელი სინამდვილე, როგორც ცნობილია, თავის მოძრაობასა და განვითარებაში ემორჩილება გარკვეულ კანონზომიერებას. ეს კანონზომიერება მარქსისტულ ფილოსოფიურ ლიტერატურაში ცნობილია დიალექტიკის კანონებისა და კატეგორიების სახით. ეს უკანასკნელნი მოქმედებენ როგორც ბუნების, ისე საზოგადოებისა და ცნობიერების მოვლენებში. ჩვენი ნებისაგან დამოუკიდებლად მთელ სინამდვილეში ამ კანონების ბუნებრივ მოქმედებას «ობიექტური დიალექტიკით» აღნიშნავენ. ცხადია, ობიექტური დიალექტიკა არსებობს იმის მიუხედავად, ვიცით თუ არა ჩვენ ამის შესახებ, გვაქვს თუ არა შესწავლილი სინამდვილის ეს ობიექტური კანონზომიერება. მეცნიერული აზროვნების განვითარების გარკვეულ დონეზე ადამიანი აცნობიერებს ობიექტური დიალექტიკის ამა თუ იმ თავისებურებას, ნიშანს, კანონს, კატეგორიას და ბოლოს

კი იქმნება მოძღვრება ობიექტურ დიალექტიკაზე, ანუ დიალექტიკის მეცნიერება.

რაღა არის სუბიექტური დიალექტიკა?

ამ საკითხში ჩვენს ფილოსოფიურ ლიტერატურაში ერთგვარი გაურკვევლობაა. გავრცელებულია აზრი, რომ მოძღვრება ობიექტურ დიალექტიკაზე არის სწორედ სუბიექტური დიალექტიკა, ე. ი. ობიექტური დიალექტიკა ს ა გ ა ნ ი ა, ხოლო სუბიექტური დიალექტიკა მ ო ძ ღ ვ რ ე ბ ა ამ საგანზე. ასეთი გაგებისას ეყრდნობიან ფ. ენგელსის ცნობილ დებულებას «ბუნების დიალექტიკიდან»: «ეგრეთწოდებული ო ბ ი ე ქ ტ უ რ ი დიალექტიკა ბატონობს მთელს ბუნებაში, ხოლო ეგრეთწოდებული სუბიექტური დიალექტიკა, დიალექტიკური აზროვნება, მხოლოდ ასახვაა მთელს ბუნებაში საყოველთაოდ გაბატონებული მოძრაობისა დაპირისპირებულთა გზით»[1].

ზოგიერთი მკვლევარის აზრით კი სუბიექტური დიალექტიკა არის არა ობიექტურის ასახვა, არამედ დიალექტიკის მოქმედება აზროვნების სფეროში, ანუ აზროვნების დიალექტიკა, განსხვავებით ბუნების დიალექტიკისაგან და საზოგადოების დიალექტიკისაგან. ამ შემთხვევაშიც ეყრდნობიან ენგელსის იმავე დებულებას, რომელშიც ლაპარაკია ერთი მხრივ «მთელს ბუნებაში» (ე. ი. მხოლოდ (?) ბუნებაში) გაბატონებულ დიალექტიკაზე, ხოლო მეორე მხრივ, «დიალექტიკურ აზროვნებაზე» ანუ აზროვნებაზე, რომელიც ემორჩილება დიალექტიკის კანონებს.

გაურკვევლობა აქ იმაშია, რომ ეს ორი გაგება ერთიმეორეს არ ეწინააღმდეგება, ისინი ერთმანეთს ავსებენ.

პირველ შემთხვევაში ყურადღება გამახვილებულია იმაზე, რომ დიალექტიკის მეცნიერება ობიექტური სინამდვილის კვლევას ეყრდნობა, ობიექტურ სინამდვილეში გაბატონებულ კანონზომიერებას ასახავს, რომ იგი, განსხვავებით ჰეგელის დიალექტიკისაგან, მატერიალისტური დიალექტიკაა და, როგორც ასეთი, ერთადერთი მოძღვრებაა დიალექტიკაზე.

---

[1] ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 215.

მეორე შემთხვევაში ისაა ხაზგასმული, რომ მთელი სინამდვილის უზოგადესი კანონზომიერებანი თავისებურად ვლინდებიან სინამდვილის ყოველ სფეროში. ბუნებაში დიალექტიკის კანონების გამოვლენის ფორმა განსხვავდება საზოგადოებაში მისი გამოვლენის ფორმისაგან, და ეს უკანასკნელი კი ასევე განსხვავდება დიალექტიკის გამოვლენის ფორმისაგან აზროვნებაში. ე. ი. დიალექტიკის კანონები შიშველი სახით არ არსებობენ სინამდვილეში, ისინი არსებობენ კონკრეტულ კანონებში, კონკრეტულ მოვლენებში და აქედან ხდება მათი აბსტრაგირება. დიალექტიკის კანონების კონკრეტული გამოვლენის ფორმებს ბუნების მოვლენებში, ანუ ბუნების მოვლენების მთელს კონკრეტულ დიალექტიკურ შინაარსს ახლა უკვე შეისწავლის არა ფილოსოფია, არამედ ბუნებისმეცნიერებათა სხვადასხვა დარგი.

ასევე, საზოგადოების ისტორიაში დიალექტიკის კანონების გამოვლენის ფორმებს, ანუ საზოგადოების დიალექტიკის კონკრეტულ შინაარსს შეისწავლიან საზოგადოებრივი მეცნიერებანი, კერძოდ, ისტორიული მატერიალიზმი *, პოლიტიკური ეკონომია და ა. შ.

---

* აქვე უნდა აღინიშნოს «ისტორიული მატერიალიზმის» აღგილის შესახებ საზოგადოებრივ მეცნიერებებში და ფილოსოფიაში (ხშირად ფილოსოფიასაც საზოგადოებრივ მეცნიერებათა რიგს აკუთვნებენ, მაგრამ იმისათვის, რომ განვასხვაოთ იგი მეცნიერებისაგან საზოგადოების შესახებ, შეიძლება გამოვყოთ ფილოსოფიური მეცნიერებანი საზოგადოებრივ მეცნიერებებისაგან).

ცნობილია ლენინის მითითება მარქსიზმის სამი შემადგენელი ნაწილის შესახებ. ასეთ ნაწილებად ლენინი ასახელებს მარქსისტულ ფილოსოფიურ მატერიალიზმს, პოლიტიკურ ეკონომიასა და მეცნიერულ სოციალიზმს. მარქსიზმის ეს შემადგენელი ნაწილები ამჟამად შეისწავლება პარტიის ისტორიის, დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმისა და პოლიტიკური ეკონომიის მიერ. მეცნიერული სოციალიზმის საკითხები მარქსისტულ ლიტერატურაში ძირითადად ისტორიული მატერიალიზმის საკითხებად არის ცნობილი და ამ მეცნიერებაში მეშაედება როგორც მარქსისტული მსოფლმხედველობის, მარქსისტული ფილოსოფიის უმნიშვნელოვანესი საკითხები. ეს არ ეწინააღმდეგება ლენინის მიერ ფილოსოფიისა და მეცნიერული სოციალიზმის აღიარებას მარქსიზმის ცალ-ცალკე ნაწილებად. იმავე შრომაში «მარქსიზმის სამი წყარო და სამი შემადგენელი ნაწილი» ლენინი წერს:

შესასწავლი რჩება დიალექტიკის კანონების გამოვლენის ფორმები აზროვნების სფეროში, ანუ აზროვნების დიალექტიკის მთელი კონკრეტული შინაარსი,— აი სწორედ ეს შეისწავლება სუბიექტური დიალექტიკის მიერ.

ამ მომენტისათვის ხაზგასმა მეორე თვალსაზრისში სწორია. მაგრამ არ შეიძლება იმის დავიწყება, რომ სწორედ აზროვნების დიალექტიკა რჩება საერთოდ ფილოსოფიის კვლევის საგნად და არა ბუნების დიალექტიკა ან საზოგადოების დიალექტიკა. არ არსებობს სამი დიალექტიკა. დიალექტიკა როგორც მეცნიერება ერთია, და იგი შეისწავლის აზროვნების დიალექტიკას, როგორც ობიექტური დიალექტიკის ასახვას. ე. ი. მისი საგანი სინამდვილის სავსებით კონკრეტული სფეროყოფილა, შესაბამისად, მისი შინაარსიც კონკრეტული უნდა იყოს.

მაგრამ ისმება კითხვა: როგორღა არის იგი ამავე დროს მოძღვრება მთელი სინამდვილის უზოგადეს კანონებზე?

«მარქსმა გააღრმავა და განავითარა ფილოსოფიური მატერიალიზმი და ბოლომდე მიიყვანა იგი; ბუნების ფილოსოფიურ-მატერიალისტური შეცნობა ადამიანთა საზოგადოების შეცნობაზე გაავრცელა.

მარქსის ისტორიული მატერიალიზმი მეცნიერული აზროვნების უდიდესი მონაპოვარია... მარქსის ფილოსოფია არის დამთავრებული ფილოსოფიური მატერიალიზმი, რომელმაც კაცობრიობას, განსაკუთრებით კი მუშათა კლასს, შემეცნების დიადი იარაღი მისცა» (ვ. ი. ლენინი, მარქსი, ენგელსი, მარქსიზმი, გვ. 89 — 90. ასეთივე აზრია გამოთქმული ლენინის «მატერიალიზმსა და ემპირიოკრიტიციზმში», გვ. 421).

მაგრამ, მიუხედავად ამისა, მეცნიერული სოციალიზმის საკითხების ცალკე ნაწილად განხილვას, რომელზედაც მიგვითითებს ლენინი, ის უპირატესობა აქვს, რომ ნათლად შეგვეძლება გამოვყოთ მარქსისტული ფილოსოფიის საგანი საერთოდ მარქსიზმის საგნისაგან. ამით აიხსნება, რომ საბჭოთა ფილოსოფიურ ლიტერატურაში ხშირად მარქსისტულ-ლენინურ ფილოსოფიად, მარქსისტულ მსოფლმხედველობად მიჩნეულია არა დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი, არამედ დიალექტიკური მატერიალიზმი. ხოლო ისტორიული მატერიალიზმი გაგებულია როგორც დიალექტიკური მატერიალიზმის დებულებათა გავრცელება საზოგადოებრივი ცხოვრების შესწავლაზე. ორივე კი, როგორც დიალექტიკური, ისე ისტორიული მატერიალიზმი კომუნისტური პარტიის თეორიულ საფუძვლებს შეადგენს.

1. იმით, რომ აზროვნებაში იგივე დიალექტიკური კანონები მოქმედებენ, რაც ბუნებასა და საზოგადოებაში.

2. აზროვნების დიალექტიკა ასახავს ბუნებისა და საზოგადოების დიალექტიკას, ბუნებასა და საზოგადოებაში გაბატონებულ უზოგადეს კანონებს.

3. დიალექტიკური აზროვნების კანონებად მიჩნეულია არა აზროვნების სფეროში დიალექტიკის მოქმედების კონკრეტული ფორმები, არამედ ამ ფორმებში გამოხატული შინაარსი. ეს კი, როგორც ითქვა, იგივეა, რაც ბუნებისა და საზოგადოების უზოგადესი კანონები, ე. ი. აზროვნების უზოგადესი კანონები ბუნებისა და საზოგადოების უზოგადესი კანონებია. ამდენად არის იგი ზ ო გ ა დ ი მოძღვრება მთელ სინამდვილეზე. ხოლო რამდენადაც დიალექტიკის მეცნიერება თავის საკუთარ საგნად განიხილავს დიალექტიკის კანონების აზროვნების სფეროში მოქმედების კ ო ნ კ რ ე ტ უ ლ ფორმებს, ამდენად იგი მოძღვრებაა აზროვნებაზე, შემეცნებაზე. და, როგორც სპეციალური, განსაკუთრებული მოძღვრება შემეცნებაზე, დაადგენს შემეცნების სპეციალურ კანონზომიერებასაც. იგი შეისწავლის, როგორც ამბობს ლენინი, იმას, თუ როგორ ხორციელდება შემეცნება, ე. ი. დიალექტიკა არის შემეცნების თეორია, მაშასადამე, დიალექტიკა მეთოდიც არის და თეორიაც.

ზოგადისა და კონკრეტულის ასეთი ერთიანობა ამ შემთხვევაშიც სავსებით სწორად ხსნის ფილოსოფიის როგორც მეცნიერების საგნის თავისებურებას, მეთოდისა და თეორიის ერთიანობის თავისებურებას.

ზოგადი, როგორც ვიცით, არსებობს კონკრეტულში როგორც მისი არსება. აქედან ხდება მისი აბსტრაგირება. ეს არ ნიშნავს მათ გათიშვას. ნამდვილად ზოგადი კონკრეტულის მთელს სიმდიდრეს «შეიცავს». მაგრამ ვლაპარაკობთ მასზე როგორც ზოგადზე კონკრეტულისაგან განსხვავებით იმიტომ, რომ იგი ზოგადია არა მარტო ამ გარკვეული კონკრეტულისათვის, არამედ ასევე სხვა კონკრეტულისათვისაც. ზოგადის ცნებას წინააღმდეგ შემთხვევაში აზრი დაეკარგებოდა. ზოგადი ნიშნავს განსხვავებულთა საერთოს, განსხვავებულთა იგივეობას.

ამ შემთხვევაში აზროვნების დიალექტიკა ისეთი «კონკრეტულია», რომელიც შეიცავს ზოგად დიალექტიკასაც. ეს ზოგადი დიალექტიკა კი საერთოა ბუნებისა და საზოგადოების დიალექტიკისათვისაც. ამით აიხსნება, რომ მოძღვრება დიალექტიკურ აზროვნებაზე ამავე დროს მთელი სინამდვილის ობიექტურ დიალექტიკაზე მოძღვრებაცაა. მეთოდისა და თეორიის ერთიანობის დახასიათება ზოგადისა და კონკრეტულის ერთიანობის ანალოგიით იმას არ ნიშნავს, რომ მეთოდი მხოლოდ ზოგადია და თეორია კი მხოლოდ კონკრეტული. ანალოგია გაგებული უნდა იქნას როგორც მხოლოდ ანალოგია და არა როგორც საბოლოო ამომწურავი განსაზღვრება.

მეთოდი, როგორც ვიცით, შემეცნების მეთოდია, რომელიც ეყრდნობა ობიექტური დიალექტიკის ცოდნას, ან თვით წარმოადგენს ამ ცოდნას, ობიექტური დიალექტიკის ასახვას. ამით აიხსნება, რომ «დიალექტიკა», «დიალექტიკური მეთოდი», «შემეცნების მეთოდი» ხშირად ერთი და იგივე მნიშვნელობით იხმარებიან.

დიალექტიკა არ არის მხოლოდ მეთოდი, იგი ამავე დროს თეორიაცაა. დიალექტიკა არის თეორია არა მარტო როგორც შემეცნების თეორია, არამედ აგრეთვე როგორც განვითარების თეორია, მეცნიერება განვითარების შესახებ. ჩვენს შემთხვევაში თეორიისა და მეთოდის ერთგვარი იგივეობა სწორედ ამაში მდგომარეობს. ეს იგივეობა ზედაპირული და სიტყვიერი ხასიათის კი არაა, არამედ არსებითი. არსებითობა აქ იმაშია, რომ დიალექტიკა, როგორც განვითარების თეორია, შემეცნების მეთოდიცაა და შემეცნების თეორიაც, ე. ი. ერთი (დიალექტიკა) ერთნაირად არის ორივე (მეთოდი და თეორია).

მაგრამ თუ ფილოსოფია არსებობს მხოლოდ როგორც შემეცნების თეორია, მაშინ ჩვენი ფილოსოფია (დიალექტიკური მატერიალიზმი) აგრეთვე შემეცნების თეორია უნდა იყოს. ეს ნამდვილად ასეა. ჩვენი ფილოსოფიის, ისევე როგორც ყოველგვარი ფილოსოფიის, ძირითადი საკითხი — ეს არის გნოსეოლოგიური, ანუ შემეცნების თეორიის საკითხი: რას წარმოადგენს სამყარო და როგორ ხდება მისი შემეცნება.

ყველა ის დებულება, რომლითაც ხასიათდება მარქსისტუ-

ლი ფილოსოფიური მატერიალიზმი: სამყაროს მატერიალურობა, მატერიის პირველადობა და ცნობიერების მეორადობა, ცნობიერების სპეციფიკა, როგორც სინამდვილის ასახვა, შემეცნების ობიექტური და სუბიექტური ხასიათი, შემეცნების გზა, ფორმები და ა. შ. შემეცნების თეორიის საკითხებად არის ცნობილი.

შემეცნების თეორია, ძალიან მარტივად რომ ვთქვათ, უპასუხებს კითხვაზე — როგორ ხდება ობიექტური სინამდვილის შემეცნება. იგი ეყრდნობა ცნობიერების ისტორიული განვითარებისა და შემეცნების ფაქტის კონკრეტულ ანალიზს.

ასევეა შემეცნების მეთოდიც, რომელიც უპასუხებს კითხვაზე — როგორ უნდა შევიმეცნოთ ობიექტური სინამდვილე, ანუ რა უნდა ვიცოდეთ და რა უნდა გავითვალისწინოთ იმისათვის, რომ სწორად შევიმეცნოთ ობიექტური სინამდვილე. იგი ეყრდნობა მთელი ადამიანური აზროვნების მიღწევებს, აზოგადებს მათ ობიექტური სინამდვილის მოძრაობისა და განვითარების კანონებისა და კატეგორიების სახით.

ამაში მდგომარეობს დიალექტიკური მეთოდისა და მატერიალისტური თეორიის შინაგანი ერთიანობა, მათი იგივეობისა და განსხვავების ერთიანობა, რაც ქმნის ერთიან სისტემურ ფილოსოფიურ მოძღვრებას — დიალექტიკურ მატერიალიზმს.

მაშასადამე, დიალექტიკა, დიალექტიკური მეთოდი შემეცნების მეთოდი და შემეცნების თეორიაა. იმის გასარკვევად, თუ რა აზრით არის დიალექტიკა ამავე დროს ლოგიკა, საჭიროა ძალიან მოკლედ მაინც დავახასიათოთ დიალექტიკის მეცნიერების შინაარსი. ამით, თავის მხრივ, დიალექტიკური მეთოდისა და შემეცნების თეორიის ზემოთ დახასიათებული ერთიანობაც გამართლდება და დასაბუთდება.

ბ) დიალექტიკა ბუნებაში, საზოგადოებასა და აზროვნებაში

მარქსისტული მსოფლმხედველობა გვასწავლის, რომ სამყარო მატერიალურია თავისი ბუნებით; იგი განუსაზღვრელია

დროსა და სივრცეში; მატერიის არსებობის ფორმა მოძრაობაა; წარმოუდგენელია მატერია მოძრაობის გარეშე და მოძრაობა მატერიის გარეშე; მატერიის მოძრაობისა და განვითარების პროცესი მისი თვითმოძრაობისა და თვითგანვითარების პროცესია; მატერია თავის ისტორიულ განვითარებაში იშლება მოძრაობის სხვადასხვა ფორმებში — უბრალო მექანიკური გადაადგილებიდან, რომელსაც განიცდის ფიზიკური სხეული, ადამიანის ცნობიერებამდე, როგორც მატერიის უმაღლესი პროდუქტის — ტვინის ფუნქციამდე; მთელი სინამდვილე და მისი ისტორია სხვა არაფერია, თუ არა მატერიის მოძრაობის მრავალფეროვანი ფორმების ურთიერთ კავშირისა და ურთიერთში გადასვლის, დაბალი ფორმებიდან უმაღლესი ფორმების წარმოშობის პროცესი.

ბუნების, საზოგადოებისა და აზროვნების მრავალფეროვანი მოვლენების სპეციფიკურ კანონზომიერებებს შეისწავლიან მეცნიერებათა სხვადასხვა დარგები.

ცოდნის სხვადასხვა დარგები დაადგენენ შესაბამის საგანთა სპეციფიკურ კანონზომიერებას. მაგრამ მეცნიერებათა ამ დარგების მიღწევების ანალიზი გვიჩვენებს, რომ სპეციფიკურ კანონზომიერებათა ამ მრავალფეროვნებაში არის რაღაც საერთო, მსგავსი კანონზომიერებანი.

იმაზე უფრო განსხვავებული რა შეიძლება იყოს, ვიდრე არის მექანიკური მოძრაობა და სიცოცხლე, მაგრამ ამ ორ მოვლენაშიც არის საერთო კანონზომიერება. მექანიკის კანონები თითქმის არაფრით არ გვანან ბიოლოგიის კანონებს, მაგრამ როგორც მექანიკურ მოძრაობას, ისე სიცოცხლეს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ო ბ რ ი ვ ი ბუნება ახასიათებს. მოძრაობა გულისხმობს, რომ საგანი ერთსადაიმავე დროს ერთ გარკვეულ წერტილში არის და არც არის, ანუ ამ გარკვეულ წერტილშიც არის და სხვა წერტილშიც. ს ი ც ო ც ხ ლ ე გულისხმობს, რომ ცოცხალი არსება ერთსადაიმავე დროს იგივეცაა და სხვაც.

არაორგანულ ბუნებაში მატერიის მოძრაობის ფორმათა ურთიერთკავშირი; დაბალი ფორმიდან მაღალი ფორმის წარმოშობის შესაძლებლობა; ყოველ მაღალ ფორმაში ყველა წინა ფორმის კლებადი ოდენობით არსებობა; მოძრაობის ფორმათა

გაშლა და განვითარება მარტივიდან რთულისაკენ; ფიზიკური ძალებისა და მოვლენების პოლარიზება (მაგალითად მაგნეტიზმი, ელექტრობა); ქიმიური ნივთიერებების ურთიერთში გადასვლა ამ ნივთიერებათა შემადგენელი ელემენტების რაოდენობრივი ცვლით; ამ გადასვლის ნახტომისებური ხასიათი,— ყოველივე ეს გავს ორგანული ბუნების განვითარების ზოგად კანონზომიერებას.

ორგანულ ბუნებაშიც აქვს ადგილი ურთიერთკავშირსა და ურთიერთზემოქმედებას; ცოცხალი ორგანიზმების განვითარება მიიმართება მარტივი, დაბალი ფორმებიდან ადამიანამდე; სახეთა წარმოშობის ისტორიულ პროცესში ადგილი აქვს შეუმჩნეველი თვისობრივი ცვლილებების რაოდენობრივი დაგროვების გზით ახალი სახეებისა და ფორმების წარმოქმნას; სახეთა ამ განვითარების შინაგანი კანონზომიერება მდგომარეობს ორი ურთიერთ დაპირისპირებული ფაქტორის (მომენტის, ძალის, ტენდენციის, თვისების), მუდმივ ერთიანობასა და ბრძოლაში. ეს ფაქტორებია: მემკვიდრეობა და ცვალებადობა.

საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებასაც იგივე ზოგადი კანონზომიერება ახასიათებს: საზოგადოებრივი მოვლენები ურთიერთკავშირში არიან; ამ კავშირის ფორმები მრავალგვარია; ყოველ საზოგადოებრივ მოვლენას გარკვეულობა ეძლევა მხოლოდ სხვა მოვლენებთან კავშირში; ადამიანთა თანამედროვე საზოგადოებრივი ურთიერთობანი და მათი ფორმები ისტორიულად განვითარდნენ დაწყებული პირველყოფილი ადამიანების ჯოგური ცხოვრებიდან; ამასთან, განვითარება მიიმართება მარტივიდან რთულის გზით, შეუმჩნეველი რაოდენობრივი და თვისობრივი ცვლილებებიდან ძირეულ თვისობრივ ცვლილებებზე გადასვლის გზით; კლასობრივ საზოგადოებაში ეს გადასვლა, როგორც წესი, ხდება რევოლუციების გზით; ასეთი გადატრიალების შინაგანი მიზეზი არის კლასთა შეურიგებელი ბრძოლა, რასაც საწარმოო ძალებისა და წარმოებითი ურთიერთობების შეუსატყვისობა კონფლიქტამდე მიჰყავს; ძველი წარმოებითი ურთიერთობა იმსხვრევა და იქმნება განვითარებული საწარმოო ძალებისადმი შესატყვისი, ახალი

წარმოებითი ურთიერთობა; საწარმოო ძალები მუდმივ განვითარებას განიცდიან, წარმოებითი ურთიერთობა შედარებით კონსერვატული მხარეა; ამ გარემოებას კვლავ მივყევართ საზოგადოებრივი ურთიერთობის მოძველებამდე, საწარმოო ძალებისაგან მათ ჩამორჩენამდე და, მაშასადამე, მათ დამსხვრევამდე.

ბუნებისა და საზოგადოების მოძრაობისა და განვითარების ასეთი ზოგადი კანონზომიერება მოქმედებს, ბატონობს აზროვნების სფეროშიც. ცნობიერების ანალიზი იგივე საერთო ნიშნებს ამჟღავნებს, რაც ბუნებასა და საზოგადოებას ახასიათებს.

ცნობიერება, როგორც ვიცით, ისტორიული კატეგორიაა; მისი ორგანოს განვითარების გზა იწყება გაღიზიანების შემგრძნობი პროტოპლაზმიდან და მთავრდება ადამიანის ტვინით, რომელსაც უნარი შესწევს შეიმეცნოს სინამდვილე; ბავშვის ცნობიერების განვითარება შემოკლებით იმეორებს საერთოდ ცნობიერების ისტორიული განვითარების საფეხურებს, ისევე როგორც ცოცხალი ორგანიზმის ჩანასახის განვითარება (ემბრიოლოგია) იმეორებს ცოცხალი ორგანიზმის ისტორიული განვითარების საფეხურებს (პალეონტოლოგია).

არსებობს მოსაზრება, რომლის მიხედვით შემეცნების პროცესში ასევე მეორდება ცნობიერების ისტორიული განვითარების საფეხურები; ცნობიერება იმეორებს, ანუ თავისში შეიცავს ამ საფეხურებს მოხსნილი სახით.

მეცნიერულ შემეცნებაშიც აქვს ადგილი წინააღმდეგობას, სპირალურ განვითარებას. ასეთ სპირალს ქმნის შემეცნების დიალექტიკური გზა — ცოცხალი განჭვრეტიდან აბსტრაქტული აზროვნებისაკენ და აქედან კი პრაქტიკისაკენ. შემეცნების პროცესში ერთიანობაშია ინდუქცია და დედუქცია, ანალიზი და სინთეზი, ინტუიცია და აბსტრაქცია; წინააღმდეგობაა ლოგიკური აზროვნების ელემენტარულ ფორმებშიც კი: ცუგა არის ძაღლი, ე. ი. ერთეული არის ზოგადი; წინააღმდეგობათა გზით ვითარდება მეცნიერული ცოდნა საერთოდ.

მეცნიერული აზრის განვითარების ხასიათი შესანიშნავად არის ახსნილი ენგელსის «ბუნების დიალექტიკის» ერთ-ერთ ფრაგმენტში ჰიპოთეზის შესახებ.

ბუნებისმეცნიერების განვითარების ფორმა არის ჰიპოთეზი. მეცნიერული კვლევა-ძიების პროცესში ხდება ისეთი ახალი ფაქტის აღმოჩენა, რომელსაც ვერ ხსნის იმავე ჯგუფის ფაქტების ამხსნელი ჰიპოთეზი. მაშასადამე, გამოირკვა, რომ ახსნის ეს ხერხი, ეს ჰიპოთეზი არაა ზუსტი, ნაკლოვანია. საჭირო ხდება ახალი ჰიპოთეზები. თავიდან ისინი მხოლოდ განსაზღვრული რაოდენობის ფაქტებსა და დაკვირვებებს ეყრდნობიან. შემდგომი დაკვირვების მასალა ხვეწავს ამ ჰიპოთეზებს, ერთს უკუაგდებს, მეორეს შეასწორებს — სანამ კანონი წმინდა სახით არ დადგინდება, ე. ი. სანამ ახალი ჰიპოთეზი არ დასაბუთდება და კანონად არ გადაიქცევა[1].

განვითარების ასეთი ხასიათი მარტო ბუნებისმეცნიერებას როდი აქვს. მთელი ადამიანური შემეცნება, — ამბობს ენგელსი,—მრავალგზის დახლართული მრუდით ვითარდება და თეორიები ერთმანეთს სდევნიან ისტორიის დისციპლინებშიაც — ფილოსოფიის ჩათვლით.

ანტიკური ფილოსოფია, როგორც ცნობილია, პირველყოფილი, სტიქიური მატერიალიზმი იყო. როგორც სტიქიურ მატერიალიზმს, მას უნარი არ შესწევდა გამოერკვია აზროვნების დამოკიდებულება მატერიასთან. მაგრამ ამ საკითხის გამორკვევის აუცილებლობამ გამოიწვია მოძღვრება სხეულისაგან გამოთიშულ სულზე; შემდეგ ამ სულის უკვდავების მტკიცება, ბოლოს მონოთეიზმი. მაშასადამე, ძველი მატერიალიზმი უარყოფილ იქნა იდეალიზმის მიერ. მაგრამ ფილოსოფიის შემდგომ განვითარებაში იდეალიზმიც უძლური აღმოჩნდა და იგი თანამედროვე მატერიალიზმმა უარყო.

ასევე ითქმის დიალექტიკური მეთოდის მიმართ. ძველი ბერძნები ბუნებით დიალექტიკოსები იყვნენ. ისინი სამყაროს განიხილავდნენ როგორც მთელს და ერთიანს, სადაც მრავალფეროვანი მოვლენები ურთიერთკავშირსა და განვითარებაში არიან. მაგრამ, როცა მეცნიერებათა კონკრეტული დარგების

---

[1] ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 248.

განვითარება იმ საფეხურზე ავიდა, რომ ემპირიულ მასალაში ჩაიფლო, მაშინ პირველყოფილი დიალექტიკური შეხედულება ბუნებაზე გაქრა და თანდათან ჩამოყალიბდა აზროვნების მეტაფიზიკური მეთოდი. მაგრამ იგივე ბუნებისმეცნიერების განვითარება იქამდე მივიდა, რომ შეუძლებელი გახდა მისი შედეგების გაგება და ამოხსნა მეტაფიზიკური აზროვნების წესით. მაშინ მეტაფიზიკური მსოფლმხედველობა დაიმსხვრა და კვლავ აღდგა დიალექტიკური მსოფლმხედველობა, მაგრამ ეს არ იყო ბერძნების სტიქიური დიალექტიკა. ეს იყო დიალექტიკური აზროვნების ახალი, უმაღლესი ფორმა.

წინააღმდეგობრივია ცნობიერების ბუნება საერთოდ. ეს არის წინააღმდეგობა ადამიანური შემეცნების პოტენციალურ განუსაზღვრელ უნარსა და ამ უნარის ყოველ კონკრეტულ განხორციელებას შორის.

ადამიანები, — წერს ფ. ენგელსი, — შემდეგი წინააღმდეგობის წინაშე დგანან: ერთი მხრივ, ისინი ცდილობენ ამომწურავად შეიცნონ სამყაროს სისტემა მის საერთო კავშირში, ხოლო მეორე მხრივ, ისინი, როგორც თავიანთი ბუნების, ისე სამყაროს სისტემის ბუნების მიხედვით, ვერასოდეს ვერ შეძლებენ ეს ამოცანა საესებით გადაჭრან. მაგრამ ეს წინააღმდეგობა მარტო ამ ორი ფაქტორის — სამყაროს და ადამიანის ბუნებაში როდი ძევს. იგი წარმოადგენს აგრეთვე მთელი გონებრივი წინსვლის მთავარ ბერკეტს და ყოველდღე განუწყვეტლივ იხსნება კაცობრიობის დაუსრულებელ პროგრესულ განვითარებაში, სრულიად ისევე, როგორც, მაგ., მათემატიკური ამოცანები დაუსრულებელ რიგსა ან უწყვეტ წილადებში იხსნება. ფაქტიურად სამყაროს სისტემის ყოველი აზროვნებითი ასახვა ობიექტურად ისტორიული მდგომარეობით არის შეზღუდული, ხოლო სუბიექტურად მისი ავტორის ფიზიკური და სულიერი ორგანიზაციით[1].

სწორედ ამ აზრითაა სწორი დებულება იმის შესახებ, რომ ადამიანური ცნობიერება ისევე სუვერენულია როგორც არასუვერენული. იგი სუვერენულია თავისი უნარის, მოწოდების,

---

[1] ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, გვ. 45 — 46.

შესაძლებლობის მხრივ, მაგრამ არასუფერენულია ამ უნარის ყოველ ცალკეულ განხორციელებაში. აზროვნების სუფერენობა — შეიმეცნოს უსასრულო სინამდვილე და მიაღწიოს აბსოლუტურ ჭეშმარიტებას — ხორციელდება ცოდნითა და უნარით შეზღუდულ, განსაზღვრულ, არასუფერენულ მოაზროვნეთა უსასრულო რიგში, რომლებიც იმეცნებენ მხოლოდ სასრულოვანს, შეფარდებით ჭეშმარიტებას და ამით საბოლოო ჯამში აღწევენ უსასრულოს შემეცნებას, აბსოლუტურ ჭეშმარიტებას*.

ადამიანური აზროვნების განვითარების ისტორია, მეცნიერებათა ისტორია ნათლად გვიჩვენებს, რომ აბსოლუტური ჭეშმარიტება მიიღწევა ცოდნის განვითარების არა რომელიმე საფეხურზე ამა თუ იმ «იღბლიანი» მოაზროვნის შემოქმედებაში, არამედ აზროვნების განვითარების დაუსრულებელ პროცესში, მეცნიერებათა მუდმივ წინსვლასა და განვითარებაში. მაშასადამე, ფაქტიურად აბსოლუტური ჭეშმარიტება ამომწურავად კი არ გვეძლევა, არამედ ჩვენ მას ეუახლოვდებით და მიახლოვების ეს გზა დაუსრულებელია, ე. ი. დაუსრულებელია ადამიანის აზროვნების განვითარების გზა. ამოუწურავია მეცნიერებათა განვითარების შესაძლებლობა, რადგანაც ამოუწურავია თვით სინამდვილე.

გ) დიალექტიკის მეცნიერება როგორც ობიექტური დიალექტიკის ასახვა

მაშასადამე, სინამდვილის სამივე სფეროს — ბუნების, საზოგადოებისა და აზროვნების მოძრაობა და განვითარება რაღაც საერთო კანონებს ემორჩილება**. ადამიანის გონებას

---

* შემეცნების ისტორიული განვითარების ეს წინააღმდეგობრივი ბუნება ვეო გაითვალისწინა საბოლოო ანგარიშით ჰეგელმა, მიუხედავად იმისა, რომ მან პირველმა გაიგო აზროვნება როგორც წინააღმდეგობა. ჰეგელი ხომ თავის ფილოსოფიურ სისტემას აბსოლუტურ და ყოვლისმომცველ სისტემად თვლიდა.

**«...როცა მე მათემატიკისა და ბუნებისმეცნიერების დარგში ჩემი მუშაობის შედეგებს ვაჯამებდი, — წერს ენგელსი, — საქმე იმას ეხებოდა

აქვს უნარი თანდათან შეიმეცნოს ეს საერთო კანონები, და ის მეცნიერება, რომელიც შეისწავლის მთელი სინამდვილის განვითარების ამ უზოგადეს კანონებს — არის დიალექტიკა*.

დეტალებშიც დავრწმუნებულიყავი (ზოგადის მიმართ მე ამაში არასოდეს ეჭვი არ მქონია), რომ ბუნებაში ურიცხვ ცვლილებათა ქაოსში იგივე დიალექტიკური მოძრაობის კანონები მეღავნდება, რომლებიც ისტორიაშიც მოვლენათა მოჩვენებით შემთხვევითობას განაგებენ; ეს იგივე კანონებია, რომლებიც ადამიანის აზროვნების განვითარების ისტორიაშიც წითელი ზოლივით გადიან და თანდათან მოაზროვნე ადამიანების ცნობიერებამდე აღწევენ» (ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, გვ. 14).

* ობიექტური დიალექტიკის გაცნობიერების პროცესი არსებითად ემთხვევა დიალექტიკური აზროვნების ისტორიული განვითარების პროცესს. აქ «დამთხვევა» შეიძლება იგივეობად გავიგოთ, რომელიც თავის თავში შეიცავს განსხვავების მომენტსაც. იგივეობა-განსხვავების მომენტები ამ ურთიერთობაში ასეთია:

განსხვავება—ერთია მოვლენის ობიექტური, დიალექტიკური კანონზომიერების ცოდნა, და სხვაა ამ ცოდნის საფუძველზე სწორი დიალექტიკური აზროვნების უნარის გამომუშავება. ე. ი. ერთია ცოდნა, განათლება, და სხვაა (თუმცა ამის საფუძველზე და მის გამო) გონება, აზროვნების უნარი, შემეცნების უნარი.

იგივეობა—დიალექტიკურად მაშინ აზროვნებ, როცა ობიექტურ დიალექტიკას აცნობიერებ. ამით აიხსნება, რომ დიალექტიკური აზროვნების ელემენტები მეცნიერებათა ისტორიაში ცნობილია დიდი ხნით ადრე, ვიდრე დიალექტიკაზე ერთიანი მოძღვრება შეიქმნებოდა. ამით აიხსნება ისიც, რომ აზრი დიალექტიკურია არა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი არ ეწინააღმდეგება, შეესაბამება დიალექტიკის ცნობილ კანონებს, არამედ არსებითად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი სწორია, მეცნიერულია, ხოლო ამის კრიტერიუმი პრაქტიკაა და არა რომელიმე ლოგიკური დეფინიცია ან დოგმა. მდგომარეობას სრულიად არ ცვლის ის, რომ დიალექტიკის კანონები უნივერსალურობის გამო თავისთავად მოქმედებენ, ან უფრო სწორად, დაცულნი არიან ყოველ ნამდვილ მეცნიერულ აზროვნებაში. სწორედ ამ უნივერსალურობის გამო არიან ისინი გადაქცეულნი შემეცნების მეთოდის ნიშნებად.

დიალექტიკური აზროვნების ასეთი გაგებიდან კი ის გამომდინარეობს, რომ მეცნიერული აზროვნებისათვის სრულებითაც არ არის საკმარისი დიალექტიკის კანონების დაზეპირება და აზროვნების შედეგების შემოწმება ამ კანონების მიხედვით. დიალექტიკური მეთოდი თვით «შედეგების მიღების», ე. ი. აზროვნების პროცესის მეთოდია და არა უკვე განხორციელე-

მარქსისტული მატერიალისტური დიალექტიკა გვასწავლის, რომ სინამდვილის არცერთი სფერო არ წარმოადგენს ერთმანეთისაგან მოწყვეტილი, ერთმანეთისაგან იზოლირებული და ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი საგნებისა და მოვლენების შემთხვევით თავმოყრას. როგორც ბუნება, ისე საზოგადოება და აზროვნება წარმოადგენენ მთლიანობას, სადაც საგნები და მოვლენები ორგანულად დაკავშირებული არიან ერთმანეთთან, დამოკიდებული არიან ერთმანეთისაგან და განაპირობებენ ერთმანეთს.

მატერიალისტური დიალექტიკა გვასწავლის, რომ ბუნება, საზოგადოება და აზროვნება არ არიან მყუდროებისა და უძრაობის, შეჩერებისა და უცვლელობის მდგომარეობაში. სამივე ამ სფეროში ადგილი აქვს განუწყვეტელ მოძრაობასა და ცვლილებას, განუწყვეტელ განახლებასა და განვითარებას, სამივე ამ სფეროში მუდამ რაღაც წარმოიშვება და ვითარდება, რაღაც ინგრევა და დრომოჭმული ხდება.

მატერიალისტური დიალექტიკა გვასწავლის, რომ სინამდვილის სამივე სფეროში განვითარების პროცესი არ არის ზრდის უბრალო პროცესი, მხოლოდ რაოდენობრივი ცვლილებების პროცესი, სადაც ეს რაოდენობრივი ცვლილებები არ იწვევენ თვისობრივ ცვლილებებს, განვითარებას ისეთი ხასიათი აქვს, რომ უმნიშვნელო და მალული რაოდენობრივი ან თვისობრივი ცვლილებანი არა შემთხვევით, არამედ კანონზომიერად იწვევენ აშკარა, ძირეულ თვისობრივ ცვლილებებს. ამასთან, ეს ძირეული თვისობრივი ცვლილებანი, ეს ნახტომები მოვლენების ერთ სფეროში ხდება აფეთქების გზით (როგორც, მაგალითად, არაორგანულ ბუნებაში, ფიზიკურ და ქიმიურ მოვლენებში), ხოლო მოვლენების სხვა სფეროში — აფეთქებისა და რევოლუციის გარეშე, თვისობრივი ცვლილებების თანდათანობით დაგროვების გზით, ერთი თვისობრივი მდგომარეობიდან მეორე თვისობრივ მდგომარეობაში თანდათანო-

---

ბული აზროვნების შემოწმების იარაღი. დიალექტიკური მეთოდი არ არის კანონთა ჯამი, იგი არის ცოდნა სინამდვილის განვითარების შინაარსისა, და კონკრეტული მოვლენის შემეცნება მაშინ იქნება დიალექტიკური, თუ ამ მოვლენის განვითარების შინაარსს სწორად ასახავს.

ბითი გადასვლის გზით. (როგორც, მაგალითად, ორგანულ ბუნებაში, ცოცხალი არსებისა და მისი თვისებების განვითარებაში, ან კიდევ, უკლასო საზოგადოების განვითარებაში). ძირეული თვისობრივი ცვლილებების, ანუ ნახტომის ხანგრძლივობა და ხასიათი სრულიად განსხვავებულია სინამდვილის სხვადასხვა სფეროებსა და სხვადასხვა მოვლენებში*.

მაშასადამე, დიალექტიკა გვასწავლის, რომ განვითარება არ არის წრისებური მოძრაობა, განვლილის უბრალო განმეორება. იგი არის წინსვლითი, აღმავალი ხაზით გადასვლა ძველი თვი-

---

* ა) უმნიშვნელო რაოდენობრივი ცვლილებანი «ქიმიაში» განსაზღვრულ წერტილზე იწვევენ ძირეულ თვისობრივ ცვლილებებს ნახტომის გზით. უმთავრესად ნახტომი ხორციელდება სწრაფად;

ბ) უმნიშვნელო თვისობრივი და რაოდენობრივი ცვლილებანი კლასობრივი საზოგადოების განვითარებაში იწვევენ ძირეულ თვისობრივ ცვლილებებს აფეთქების გზით, რევოლუციის გზით. აქ აფეთქებასა და რევოლუციას შეიძლება სხვადასხვა ხანგრძლივობა და სხვადასხვა ფორმა, ხასიათი ჰქონდეს სხვადასხვა შემთხვევაში;

გ) უმნიშვნელო თვისობრივი და რაოდენობრივი ცვლილებანი უკლასო საზოგადოებაში იწვევენ თვისობრივ ცვლილებებს აფეთქების გარეშე, თანდათანობით. ამასთან მისი ხანგრძლივობა განსხვავებულია სხვადასხვა პირობებსა და შემთხვევაში;

დ) უმნიშვნელო თვისობრივი ცვლილებანი ორგანულ ბუნებაში, ცოცხალი ორგანიზმის განვითარებაში იწვევენ ძირეულ თვისობრივ ცვლილებებს აფეთქებისა და რევოლუციის გარეშე. მაგალითად, ადამიანის წარმოშობა მაიმუნიდან იყო თვისობრივი ცვლილება ცოცხალი ორგანიზმების განვითარებაში, იყო ნახტომი, მაგრამ ადამიანი ერთბაშად კი არ დაბადებულა რომელიღაც «ბედნიერი» მაიმუნის წიაღიდან, არამედ იგი საუკუნეების განმავლობაში ეთიშებოდა მაიმუნს და ყალიბდებოდა ადამიანად, ისევე როგორც საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა მეტყველებისა და აზროვნების უნარი. შემდგომი ძირეული ცვლილებებიც მეტყველებისა და აზროვნების განვითარებაში ხდებოდა თანდათანობით, უმნიშვნელო თვისობრივი ცვლილებების დაგროვების გზით (დარვინის სახეთა განვითარების თეორია წინააღმდეგ დეფრიზის «მუტაციების თეორიისა» ბიოლოგიაში; ლიაიელის თეორია წინააღმდეგ კიუვიეს «კატაკლიზმების თეორიისა» გეოლოგიაში; მოწინავე საბჭოთა ასტრონომიის მოძღვრება წინააღმდეგ ჯემს ჯინსის «აფეთქების» კოსმოგონიური ჰიპოტეზისა).

სობრივი მდგომარეობიდან ახალ თვისობრივ მდგომარეობაში, მარტივიდან რთულისაკენ, დაბლიდან უმაღლესისაკენ.

დიალექტიკა გვასწავლის, რომ სინამდვილის ყოველ მოვლენას ახასიათებს შინაგანი წინააღმდეგობა; ყოველ საგანსა და მოვლენას აქვს თავისი უარყოფითი და დადებითი მხარე, თავისი წარსული და მომავალი, აქვს ის, რაც კვდება და ის, რაც ვითარდება; რომ ამ დაპირისპირებულთა ბრძოლა, ბრძოლა ძველსა და ახალს შორის, მომაკვდავსა და მზარდს შორის, დრომოჭმულსა და განვითარებადს შორის შეადგენს განვითარების პროცესის შინაგან შინაარსს. ე. ი. განვითარების პროცესი მოვლენათა ჰარმონიული გაშლის წესით კი არ მიმდინარეობს, არამედ საგნებსა და მოვლენებში არსებულ წინააღმდეგობათა გახსნის წესით, ამ წინააღმდეგობათა საფუძველზე მოქმედ დაპირისპირებულ ტენდენციათა ბრძოლის წესით.

სინამდვილის დიალექტიკური კანონები მოქმედებენ ყოველ სფეროში, ყოველ მოვლენაში. მაგრამ მათი მოქმედების გამოვლენის ფორმა სხვადასხვაგვარია როგორც სხვადასხვა სფეროებში, ისე ყოველი სფეროს ცალკეულ მოვლენებშიც. სწორედ ამიტომ არიან ეს კანონები აბსტრაგირებულნი მთელი სინამდვილის სხვადასხვა სფეროებიდან, სხვადასხვა მოვლენებიდან, როგორც მოძრაობისა და განვითარების ზოგადი ფორმები და კანონები.

გამოთქმები: «ბუნების დიალექტიკა», «საზოგადოების დიალექტიკა», «აზროვნების დიალექტიკა» არსებითად სხვადასხვაგვარ დიალექტიკურ კანონზომიერებებს კი არ გამოხატავენ, არამედ სინამდვილის სხვადასხვა სფეროში ერთი და იგივე დიალექტიკური კანონზომიერების გამოვლენის სხვადასხვა ფორმებს [1].

მაგალითად, როცა ბუნების პროცესების დიალექტიკურ სურათს დავხატავთ, ამით გარკვეული «ბუნებრივი მოვლენის» შინაარსში ვუჩვენებთ იმავე დიალექტიკური კანონების მოქმედებას, რასაც მაგალითად, ვუჩვენებდით საზოგადოებრივი ცხოვრების დიალექტიკური სურათის აღწერის დროს.

---

[1] იხ. ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 276.

სხვა სიტყვებით, 'დიალექტიკური კანონები, როგორც ზემოთ ითქვა, შიშველი სახით კი არ მოქმედებენ ობიექტურ სინამდვილეში, ან აზროვნების მიერ კი არ არიან შექმნილი წმინდა სახით, «ბუნებრივი მატერიის გარეშე», არამედ ისინი მოქმედებენ სინამდვილის კონკრეტულ მოვლენებში, სპეციფიკურ კანონებში, ამ კანონებთან ერთად, ამ კანონების საფუძვლად და ამ სპეციფიკური კანონებიდან ხდება მათი აბსტრაგირება და შესწავლა*.

აქედან, ერთი მხრივ, აუცილებლობა ამა თუ იმ კონკრეტული მეცნიერების შესწავლისა, თუ გვინდა ნამდვილად ღრმად და შემოქმედებითად დავეუფლოთ დიალექტიკურ მეთოდს

---

* დიალექტიკის კანონები სპეციფიკურ კანონთა საფუძველს წარმოადგენენ. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ დიალექტიკის კანონები ამოსწურავენ მოვლენის სპეციფიკურ, კონკრეტულ განსაზღვრულობათა მთელ სიმდიდრეს.

მოყავს რა უარყოფის უარყოფის მაგალითები ბუნებიდან, საზოგადოებიდან და აზროვნებიდან, ფ. ენგელსი ასკვნის:

«მაშ რა არის უარყოფის უარყოფა? ესაა ბუნების, ისტორიის და აზროვნების განვითარების უაღრესად ზოგადი და სწორედ ამიტომ უაღრესად ფართოდ მოქმედი და მნიშვნელოვანი კანონი; როგორც დავინახეთ, ამ კანონს ძალა აქვს როგორც ცხოველების, ისე მცენარეების სამეფოში, როგორც გეოლოგიასა, მათემატიკასა და ისტორიაში, ისე ფილოსოფიაში... თავისთავად იგულისხმება, რომ მე ჯერ კიდევ არაფერს ვამბობ განვითარების იმ გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ უ ლ პროცესზე, რომელსაც, მაგალითად, ქერის მარცვალი გაღის ნაყოფის მატარებელი მცენარის ჩასახვიდან დაწყებული სიკვდილამდე, თუ ვიტყვით, რომ იგი უარყოფის უარყოფაა მეთქი. იმიტომ რომ, რადგან ინტეგრალური აღრიცხვაც აგრეთვე უარყოფის უარყოფას წარმოადგენს, საწინააღმდეგო დებულების მტკიცებით მხოლოდ იმ უაზრობას მტკიცებას დავიწყებდი, რომ ქერის ღეროს სიცოცხლის პროცესი ინტეგრალური აღრიცხვაა ან თუ განებავთ სოციალიზმია მეთქი. მაგრამ სწორედ ესაა, რასაც მეტაფიზიკოსები მუდამ დიალექტიკას მიაწერენ. თუ მე ყველა ამ პროცესის შესახებ ვამბობ, ისინი უარყოფის უარყოფაა მეთქი, მე მათ ყველას ამ ერთი მოძრაობის კანონის ფარგლებში ვაქცევ და სწორედ ამიტომ უყურადღებოდ ვტოვებ ყოველი ცალკე სპეციალური პროცესის თავისებურებას. დიალექტიკა კი სხვა არა არის რა, თუ არა მეცნიერება ბუნების, ადამიანთა საზოგადოების და აზროვნების მოძრაობისა და განვითარების ზოგადი კანონების შესახებ» (ანტი-დიურინგი, გვ. 167 — 168).

და, მეორე მხრივ, აუცილებლობა დიალექტიკის ცოდნისა, თუ გვსურს მეცნიერულად გამოვიკვლიოთ, ღრმად შევისწავლოთ და სწორად გავიგოთ სინამდვილის სხვადასხვა მოვლენათა სპეციფიკური კანონზომიერებანი, ე. ი. აუცილებლობა ყოველი დარგის მკვლევარის მიერ მარქსისტული მატერიალისტური დიალექტიკის ღრმა დაუფლებისა. ეს იმას ნიშნავს, რომ დიალექტიკის მეცნიერება არის კვლევა-ძიების მ ე თ ო დ ი, ნამდვილი მეცნიერული აზროვნების თეორია ანუ ლოგიკა.

«შემეცნების მეთოდი» და «აზროვნების თეორია» აქ ერთმანეთს ემთხვევიან, რადგან შემეცნება და აზროვნება არსებითად ფარავენ ერთმანეთს. ნამდვილი შემეცნება ფაქტიურად მხოლოდ აზროვნების პროცესში ხორციელდება* და აზროვნების პროცესის ერთადერთ შინაარსს შემეცნება წარმოადგენს. ამდენად, აზროვნების წესი, კანონი, ფორმა შემეცნების წესი, კანონი და ფორმაა. შემეცნების შეთოდი და თეორია აზროვნების მეთოდი და თეორიაა. ასე, რომ «მარქსიზმის შემეცნების თეორია» და «დიალექტიკური ლოგიკა» ერთიდაიგივე ცნების გამომხატველი ორი სხვადასხვა ტერმინია.

---

* მხედველობაში გვაქვს ის, რომ შეგრძნება, აღქმა და წარმოდგენა შეშეცნების საფეხურები არიან და აბსტრაქტული აზროვნება მხოლოდ მათ ბაზაზე არის შესაძლებელი. მაგრამ აქ ლაპარაკია შემეცნების პროცესის არა იმ შინაარსზე, რომლითაც გნოსეოლოგია ფსიქოლოგიას ენათესავება, არამედ, სწორედ პირიქით, იმ შინაარსზე, რომლითაც გნოსეოლოგია ეთიშება ფსიქოლოგიას და ენათესავება ლოგიკას.

აზროვნებისა და შემეცნების, ლოგიკისა და გნოსეოლოგიის გაიგივებას თავისი ისტორია აქვს ჯერ კიდევ იდეალისტური ფილოსოფიის განვითარებაში. პირველად ჰეგელმა მოგვცა ასეთი გაიგივების თანმიმდევრული იდეალისტური თვალსაზრისი. ამ თვალსაზრისს სხვადასხვა ჰანგზე იმეორებენ ლიპსი, კოჰენი, ნატორპი და სხვა იდეალისტი-ფილოსოფოსები. ასეთი იდეალისტური გაიგივების სიყალბე იმაშია, რომ წმინდა ლოგიკური ფორმა არის გადაქცეული ერთადერთ შინაარსად, მაშინ როცა გაიგივების მარქსისტული თვალსაზრისი აზრის ლოგიკურ ფორმას განიხილავს როგორც მისი შინაარსის განვითარების ასახვას, ე. ი. აზროვნების კანონად გაიგება სინამდვილის მოძრაობისა და განვითარების ზოგადი კანონი. მხოლოდ ასე გაგებული ლოგიკაა შემეცნებას თეორია და არა მოძღვრება სილოგიზმზე ან ინდუქციაზე.

ჩვენ.უნდა ვაჩვენოთ, რომ დიალექტიკის მეცნიერება არის ხწორედ მეთოდი, ანუ შემეცნების თეორია და ლოგიკა, ე. ი. უნდა ვაჩვენოთ, რომ დიალექტიკა არის აზროვნების თეორია, რომ დიალექტიკის კანონები აზროვნების კანონებია, აზროვნების არა მარტო ისტორიული განვითარების, არამედ აზროვნების პროცესის, მისი წარმართვის, ანუ შემეცნების, კვლევა-ძიების კანონები.

დიალექტიკის კანონები აზროვნების კანონებია. ეს ნიშნავს არა მარტო იმას, რომ აზროვნება, როგორც გარკვეული ფაქტი, და მისი განვითარება ემორჩილება ამ კანონებს *, არა-

---

* დიალექტიკის კანონები თვით აზროვნებაშიც რომ მოქმედებენ, ამის მრავალი მაგალითია მოყვანილი ზემოთ. აქ შეიძლება მოვიყვანოთ დიალექტიკის კანონის აზროვნების სფეროში გამოვლინების ერთ-ერთი მაგალითი:

ცნობილია, რომ რამდენად მეტი იცი, იმდენად უფრო გონიერი ხარ. რაც მეტს კითხულობ მეცნიერულ, პოლიტიკურ თუ მხატვრულ ლიტერატურას, იმდენად უფრო ღრმად, ნათლად და გარკვევით აზროვნებ. ე. ი. ცოდნის ერთგვარი «რაოდენობრივი დაგროვება» — განათლების დონე, გამოხატულებას პოულობს აზროვნების უნარში. აზროვნების უნარის სიღრმე და სიძლიერე არსებითად ცოდნის დონეზეა დამოკიდებული, თუ, რა თქმა უნდა, ინდივიდუალური ცნობიერების შესაძლებელ სუბიექტურ დეფექტებს გამოვრიცხავთ. მაშასადამე, ნიჭი ცოდნის ფუნქციაა. აქედან აშკარაა ნიჭის თანდაყოლილობის იდეალისტური თეორიის სიყალბე. ნიჭი, როგორც ენგელსი ამბობს, თანდაყოლილი შეიძლება იყოს მხოლოდ უნარის, მიდრეკილების, მოწოდებისა და შესაძლებლობის სახით, რომლის განვითარება და სრულქმნაა საჭირო, ხოლო ერთადერთი გზა ამ უნარის სრულქმნისათვის, ანუ თეორიული აზროვნების უნარის განვითარებისათვის არის ცოდნის შეძენის გზა (ენგელსი ლაპარაკობდა ფილოსოფიური აზროვნების ისტორიის შესწავლაზე).

ზოგჯერ მიუთითებენ ხოლმე განათლების გარეშე ნიჭის არსებობის ფაქტზე. მხედველობაში ყავთ უმთავრესად ჭკვიანი, გამოცდილი გლეხები, რომლებმაც ზოგჯერ წერა-კითხვაც კი არ იციან და აზროვნების უნარი კი განვითარებული აქვთ. მაგრამ ეს სრულებითაც არ უარყოფს ნიჭსა და ცოდნას შორის ზემოგანმარტებულ დამოკიდებულებას. საქმე იმაშია, რომ ცოდნის შეძენის ერთადერთი გზა წიგნი და უნივერსიტეტი როდია. ადამიანს პირადი დაკვირვების, გამოცდილების და სხვა საშუალებით შეუძლია დააგროვოს ცოდნა მის გარემომცველ მოვლენებზე. მაშასადამე, ამ შემთხვევაშიაც ნიჭიერება ცოდნითაა გაპირობებული.

ნედ აგრეთვე იმას, რომ მათი სახით გვაქვს შემეცნების ზოგადი პრინციპები, რომელთა საშუალებით ვიკვლევთ საგანთა ბუნებას. დიალექტიკის სხვაგვარი გაგებით მისი გავულგარება გამოგვივა და საბოლოო ანგარიშით ჰეგელის მისტიფიცირებულ ცნებათა დიალექტიკას მივიღებთ.

მაშასადამე, დიალექტიკა, უპირველეს ყოვლისა, უნდა გავიგოთ როგორც მთელი სინამდვილის მოძრაობისა და განვითარების კანონზომიერება. დიალექტიკა არის მოძღვრება ობიექტური სინამდვილის კანონზომიერებაზე და სწორედ ამდენად არის იგი მოძღვრება აზროვნებაზე. მატერიალისტური დიალექტიკა გვასწავლის, რომ ობიექტური სინამდვილის მოვლენები უნდა განვიხილოთ ურთიერთკავშირში და ურთიერთგანპირობებულობაში, მუდმივ მოძრაობასა და განვითარებაში. განვითარების პროცესი უნდა გვესმოდეს არა როგორც უბრალო ევოლუციური პროცესი, არა როგორც მხოლოდ რაოდენობრივი ცვლილება, არამედ როგორც რაოდენობრივი ცვლილებების თვისობრიობაში გადასვლა, რომ თვით მოვლენათა, საგანთა დედაარსში უნდა ვეძებოთ, უნდა აღმოვაჩინოთ მათი განვითარების შინაგანი პრინციპი — წინააღმდეგობათა ერთიანობა და ბრძოლა. ერთი სიტყვით, მატერიალისტური დიალექტიკა გვასწავლის, თ უ რ ო გ ო რ უ ნ დ ა გ ა ნ ვ ი ხ ი ლ ო თ, რ ო გ ო რ უ ნ დ ა გ ა ვ ი ა ზ რ ო თ დ ა რ ო გ ო რ უ ნ დ ა შ ე ვ ი მ ე ც ნ ო თ ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ე. ამდენად არის დიალექტიკა ლოგიკა, შემეცნების თეორია და პრაქტიკული მოქმედების სახელმძღვანელო.

რატომ უნდა განვიხილოთ მოვლენები სწორედ ასე და არა სხვაგვარად, სად არის გამართლება დიალექტიკისა? — ასე უნდა განვიხილოთ იმიტომ, რომ მოვლენები სწორედ ასე ვითარდებიან. ეს კი დასტურდება ყოველ ფეხის ნაბიჯზე. ბუნება დიალექტიკის სასინჯი ქვაა. ყოველი მეცნიერება და მისი განვითარება უამრავ მასალას იძლევა ამ გასინჯვისათვის. მა-

---

ცოდნისა და გონების დამოკიდებულებაში რაოდენობის თვისობრიობაში გადასვლის დიალექტიკური კანონის მეორე მხარეც დაცულია: გონება, აზროვნების უნარი თავის მხრივ განსაზღვრავს შემეცნების პროცესის ხანგრძლიობას და ხარისხს. რაც უფრო ღრმად აზროვნებ, მით უფრო მალე შეისწავლი ამა თუ იმ მოვლენას და მით უფრო მეტს ვაიგებ ამ მოვლენის შესწავლაში.

შასადამე, დიალექტიკა, როგორც მოძღვრება აზროვნებაზე გვასწავლის, რომ სინამდვილე უნდა განვიხილოთ ისე, როგორც იგი არის, უცხო დამატებათა გარეშე. ამდენად არის დიალექტიკური აზროვნება მთელი სინამდვილის ობიექტური დიალექტიკის ასახვა, მისი შემეცნება. აქაა სწორედ მარქსისტული დიალექტიკის ძირეული განსხვავება ჰეგელის დიალექტიკისაგან.

დიალექტიკური მეთოდის, მარქსიზმის შემეცნების თეორიისა და დიალექტიკური ლოგიკის ერთიანობისა და იგივეობის არავითარი სხვაგვარი — «ღრმა ფილოსოფიური» (არსებითად კი სქოლასტიკური) დასაბუთება საჭირო არაა.

მაშასადამე, დიალექტიკური მეთოდი არის, უწინარეს ყოველისა, ლოგიკა და შემეცნების თეორია, რომელიც, ეყრდნობა რა ობიექტურ დიალექტიკას, მოითხოვს ჩვენგან საგნების კონკრეტულ-ისტორიულ განხილვას; იგი გვასწავლის, რომ ჭეშმარიტება კონკრეტულია, რომ არ არსებობს აბსოლუტური ჭეშმარიტება, იგი ყოველთვის რელატიურია და ამ რელატიურ ჭეშმარიტებათა გზით ცოდნის მუდმივი განვითარების პროცესში მიიღება აბსოლუტური ჭეშმარიტება. დიალექტიკური მეთოდი გვასწავლის, რომ საგნის კონკრეტულ-ისტორიული განხილვა და ჭეშმარიტების კონკრეტულობა პრაქტიკის მომენტს მოიცავს როგორც კრიტერიუმს. საზოგადოებრივი პრაქტიკა არის შემეცნების არა მარტო კრიტერიუმი, არამედ მისი ამოსავალიც და საერთოდ საბოლოო მიზანი ადამიანისა*.

ე. ი. მოძღვრება დიალექტიკურ აზროვნებაზე — დიალექტიკური ლოგიკა ანუ მარქსისტული მატერიალისტური შემეცნების თეორია ამავე დროს ბუნებისა და საზოგადოების დიალექტიკაზე მოძღვრებაა, რამდენადაც აზროვნების უზოგადესი კანონები ბუნებისა და საზოგადოების უზოგადესი კანონებია. ეს აზრი მოკლედ და მკაფიოდ გამოთქვა ლენინმა თავის «ფილოსოფიურ რვეულებში»: დიალექტიკა, ლოგიკა და მატერია-

---

* ის საბოლოო მიზანი, რომელსაც მოქმედებაში მოყავს ჩვენი ცნობიერება და განსაზღვრავს მის მოღვაწეობას, არის სინამდვილის გარდაქმნა მისი შემეცნების გზით და არა თვით შემეცნება.

ლიზმის შემეცნების თეორია ერთიდაიგივეა, საჭირო არ არის სამი სიტყვა.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ აზრი დიალექტიკის, ლოგიკისა და შემეცნების თეორიის იგივეობის შესახებ პირველად ჰეგელმა წამოაყენა, მაგრამ ეს იგივეობა ჰეგელთან დამყარებულია მის იდეალისტურ ამოსავალ თვალსაზრისზე — ობიექტური და სუბიექტური დიალექტიკის ურთიერთდამთხვევაზე, მათ აბსოლუტურ ერთიდაიგივეობაზე. ჰეგელთან მხოლოდ ცნებათა დიალექტიკა გვაქვს და ბუნებაში კი ამ უკანასკნელის სხვადაყოფნას ხედავს. ამის გამო ვ. ი. ლენინი წერდა: «ჰეგელი გენიალურად მ ი ხ ვ დ ა ცნებათა დიალექტიკაში საგანთა (მოვლენათა, სამყაროს, ბ უ ნ ე ბ ი ს) დიალექტიკას... სწორედ რომ მ ი ხ ვ დ ა არა მეტი» [1].

მარქსის «კაპიტალში» მატერიალისტურ საფუძველზე არის დასაბუთებული დიალექტიკის, ლოგიკისა და შემეცნების თეორიის იგივეობა-ერთიანობა.

«კაპიტალში» გარკვეული საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციის, კაპიტალისტური წარმოებითი ურთიერთობის ობიექტური დიალექტიკაა დალაგებული. აქ ობიექტური პროცესების შემეცნება, გამოკვლევა და დალაგება აგრეთვე დიალექტიკური ხასიათისაა, რადგან შეიმეცნება ობიექტური დიალექტიკა, ე. ი. გვაქვს დიალექტიკური აზროვნება. «კაპიტალის» დალაგების ლოგიკური ხასიათი სხვა არაფერია, თუ არა კაპიტალისტური საზოგადოების განვითარების დიალექტიკის ასახვა. ე. ი. ლოგიკური ისტორიულის ასახვაა, მისი შემოკლებული და «სუფთა» «განმეორებაა» ძირითად კატეგორიებსა და ცნებებში, მათს კავშირში, ურთიერთგადასვლაში, და ურთიერთდაქვემდებარებაში. ასეა ეს მარქსის «კაპიტალში», და ასევე უნდა იყოს საერთოდ დიალექტიკის დალაგებაში, როგორც სამართლიანად აღნიშნავდა ლენინი. ლოგიკაში კი უნდა იყოს ფიქსირებული და შეჯამებული საერთოდ ცნობიერების ისტორია, მისი განვითარების საფეხურები, მისი განვითარების კანონზომიერებანი. ამ აზრით ლოგიკა ნამდვილად არის ცნობიერების ისტორიის ჯამი, შედეგი, დასკვნა.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, ფილოსოფიური რვეულები, კრებული IX, 1935, გვ. 111.

რომელი ლოგიკა არის (ან, ყოველ შემთხვევაში, უნდა იყოს) ასეთი: დიალექტიკური მეთოდი, თუ ფორმალური ლოგიკა? ლენინს აქ მხედველობაში აქვს დიალექტიკა, დიალექტიკური მეთოდი როგორც ლოგიკა და შემეცნების თეორია.

ე. ი. მეცნიერული აზროვნების თეორია (მეთოდი, ლოგიკა) არის დიალექტიკა, დიალექტიკის მეცნიერება, სუბიექტური დიალექტიკა, რომელიც ობიექტურ დიალექტიკას ასახავს.

დიალექტიკის მეცნიერება როგორც შემეცნების მეთოდი (შემეცნების თეორია) ამომწურავად აქვს დახასიათებული ვ. ი. ლენინს ფრაგმენტში «დიალექტიკის საკითხისათვის».

ამ ფრაგმენტში ლენინი ახასიათებს დიალექტიკური მეთოდის არსს, მის არსებით, ძირითად თავისებურებას, როგორც ერთიანის გაორებას და მისი წინააღმდეგობრივი ნაწილების შემეცნებას. დიალექტიკური მეთოდი მოითხოვს რა ამას, გამოდის ობიექტური სინამდვილის კანონზომიერებიდან. დიალექტიკური მეთოდის ამ მოთხოვნის, ამ კანონის სისწორე საბუთდება მეცნიერებათა ისტორიის მიერ.

დაპირისპირებულთა იგივეობა და ერთიანობა, რასაც დიალექტიკური მეთოდი მოითხოვს, ეს არის წინააღმდეგობრივი, ერთიმეორის უარმყოფელი, მოპირისპირე ტენდენციების აღიარება და, მაშასადამე, აღმოჩენა ბუნების, საზოგადოებისა და აზროვნების ყველა მოვლენასა და პროცესში.

ვ. ი. ლენინმა ამ ფრაგმენტში გვიჩვენა, თუ როგორ შეიძლება დიალექტიკის ყოველი კანონისა და კატეგორიის მონახვა (აღწერა, გამოყვანა, შემეცნება) არა მარტო ცნობიერებაში საერთოდ, არამედ უბრალო წინადადებაშიც კი.

ასე აგებული დიალექტიკა, როგორც ლოგიკა და შემეცნების მეთოდი, რომელიც ამავე დროს თავისი შინაარსით მთელი მსოფლმხედველობაა, უპირისპირდება არა ფორმალურ ლოგიკას, არამედ მეტაფიზიკურ მეთოდს, მეტაფიზიკურ მსოფლმხედველობას. ერთმანეთს უპირისპირდება აზროვნების ორი წესი, ორი მეთოდი, ორი თეორია — მეტაფიზიკური და დიალექტიკური.

დიალექტიკისა და მეტაფიზიკის ეს დაპირისპირება უფრო დეტალურად უნდა განვიხილოთ იმ მიზნით, რომ ნათელი წარ-

მოდგენა გვქონდეს აზროვნების მეტაფიზიკურ მეთოდზე, მეტაფიზიკურ ლოგიკაზე და არ ავურიოთ იგი ფორმალურ ლოგიკაში.

3. დიალექტიკა უპირისპირდება მეტაფიზიკას და არა ლოგიკას

აზროვნების მეტაფიზიკური მეთოდი ვერ ასახავს და ვერ ხსნის ობიექტური სინამდვილის განვითარების დიალექტიკურ ხასიათს და ძირეულად უპირისპირდება მარქსისტულ დიალექტიკურ მეთოდს.

თუ დიალექტიკური მეთოდი თვლის, რომ ბუნებაში მოვლენათა ურთიერთკავშირი არსებობს და ურთიერთზემოქმედების კატეგორია უნივერსალური დიალექტიკური კატეგორიაა, რომელიც გასაგებს ხდის მოვლენათა შორის ყოველგვარ დამოკიდებულობას, — მეტაფიზიკური მეთოდი უარყოფს ამ საყოველთაო ურთიერთზემოქმედებას და ბუნებას განიხილავს როგორც ერთმანეთისაგან იზოლირებული და დამოუკიდებელი საგნების შემთხვევით თავმოყრას.

ასევე უარყოფს მეტაფიზიკა დიალექტიკის სხვა კანონებს.

აზროვნების მეტაფიზიკური წესი ხასიათდება «გაქვავებული» ფორმებითა და კატეგორიებით. მას უპირისპირდება აზროვნების დიალექტიკური წესი, თავისი მოძრავი და დენადი კატეგორიებით. მაგრამ, მიუხედავად ამისა. ამბობს ენგელსი, აზროვნების მეტაფიზიკური წესი, მეტაფიზიკური კატეგორიები გარკვეულ პირობებში მაინც ინარჩუნებენ ძალასა და მნიშვნელობას[1].

იმის გასარკვევად, თუ როგორ უნდა გვესმოდეს დიალექტიკასა და მეტაფიზიკას შორის ასეთი დამოკიდებულება, როცა, ერთი მხრივ მეტაფიზიკა გამორიცხული და უარყოფილია, ხოლო, მეორე მხრივ, იგი ძალასა და მნიშვნელობას ინარჩუნებს, — საჭიროა რამდენადმე უფრო ახლოს განვიხილოთ მეტაფიზიკური აზროვნების კონკრეტული ფორმები, მეტა-

---

[1] იხ. ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 208, 217, 220; ანტი-დიურინგი, გვ. 143, 145.

ფიზიკური კატეგორიები, რომელთა დახასიათებას იძლევა ენგელსი «ბუნების დიალექტიკაში».

* * *

1. «წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ო ბ ა თ ა» შ ე ს ა ხ ე ბ. აზროვნების მეტაფიზიკური წესი თვლის, რომ წინააღმდეგობა უაზრობაა და იგი შეუძლებელია რეალურ სინამდვილეში არსებობდეს. დიურინგი, მაგალითად, ამტკიცებდა, რომ «უპირველესი და უმნიშვნელოვანესი დებულება არსის ძირითადი ლოგიკური თვისებების შესახებ ეხება წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ო ბ ი ს გ ა მ ო რ ი ც ხ ვ ა ს. წინააღმდეგობრივი ისეთი კატეგორიაა, რომელიც შეიძლება მხოლოდ აზრთა კომბინაციას ეკუთვნოდეს, მაგრამ სინამდვილეს კი არა. საგნებში არაა არავითარი წინააღმდეგობა, ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რეალურად აღიარებული წინააღმდეგობა უაზრობის მწვერვალს წარმოადგენს» [1]. ეს არის მეტაფიზიკური მსჯელობის ნიმუში.

წინააღმდეგობის უაზრობად გამოცხადება და მისი უარყოფა, ენგელსის აზრით, «ჯანსაღი გონების» მქონე ადამიანებს ისევე თავისთავად საგულისხმოდ ეჩვენებათ, როგორც ის დებულება, რომ წრფე შეუძლებელია მრუდი იყოს, ხოლო მრუდი წრფე. მაგრამ, შენიშნავს ენგელსი, «ჯანსაღი ადამიანური გონების» ყოველი პროტესტის მიუხედავად დიფერენციალური აღრიცხვა განსაზღვრულ პირობებში ათანაბრებს წრფესა და მრუდს და ამით აღწევს ისეთ წარმატებებს, რომელთაც ვერასოდეს ვერ მიაღწევდა «ჯანსაღი ადამიანური გონება», თუ იგი გაჯიქდებოდა წრფისა და მრუდის იგივეობის უაზრობაზე.

რით აიხსნება ის ფაქტი, რომ «ჯანსაღი ადამიანური გონებისათვის» წინააღმდეგობა ნამდვილად უაზრობას წარმოადგენს? ამაზე ერთგვარ პასუხს იძლევა ფ. ენგელსი თავისი მოძღვრებით მეტაფიზიკური და დიალექტიკური კატეგორიების მოქმედების სხვადასხვა «სფეროებზე». «სფეროთა» ამ განსხვავების პრინციპის, ან «სფეროთა» გაყოფის საფუძვლის ზუსტი განსაზღვრა აუცილებელია, რადგან დ ა წ ყ ე ბ უ ლ ი პ ლ ე ხ ა ნ ო ვ ი დ ა ნ მარქსისტულ ფილოსოფიურ ლიტერა-

---

[1] იხ. ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, ანტი-დიურინგი, გვ. 141 — 142.

ტურაში ძირითადად ამ პრინციპზე ფუძნდება დიალექტიკისა და ლოგიკის ურთიერთ დაპირისპირება.

ფ. ენგელსი ამ საკითხზე «ანტი-დიურინგში» წერს: «სანამ ჩვენ საგნებს ისე განვიხილავთ როგორც უძრავსა და უსიცოცხლოს, თვითეულს თავისთავად, ერთიმეორის გვერდითა და ერთიმეორის შემდეგ, მართლაც არავითარ წინააღმდეგობას არ წავაწყდებით მათში. ჩვენ აღმოვაჩენთ განსაზღვრულ თვისებებს, რომლებიც ნაწილობრივ საერთო, ნაწილობრივ განსხვავებულია, კიდევ მეტი, ერთიმეორის საწინააღმდეგოა, მაგრამ ამ შემთხვევაში სხვადასხვა საგნებს შორისაა განაწილებული და, მაშასადამე, თვით არავითარ წინააღმდეგობას არ შეიცავს. სანამ განხილვის საგანს ეს სფერო წარმოადგენს, ჩვენ შეგვიძლია აზროვნების ჩვეულებრივი მეტაფიზიკური წესით დავკმაყოფილდეთ. მაგრამ სულ სხვაა, როცა ჩვენ საგნებს მათ მოძრაობაში, მათ ცვალებადობაში, მათ ცხოვრებაში, მათ ურთიერთ ზეგავლენაში განვიხილავთ. აქ მაშინვე წინააღმდეგობებს წავაწყდებით. თვით მოძრაობაც წინააღმდეგობაა; თვით მარტივი მექანიკური ადგილგადანაცვლება შეიძლება მოხდეს მხოლოდ ისე, რომ სხეული დროის ერთსადაიმავე მომენტში ერთ ადგილზეცაა და იმავე დროს მეორე ადგილზეც, ერთსა და იმავე ადგილზე იმყოფება და არც იმყოფება. და მოძრაობა სწორედ ამ წინააღმდეგობის მუდმივი დადგინება და იმავედროული გადაწყვეტაა» [1].

ფ. ენგელსს მოყავს ასეთი რეალური წინააღმდეგობის მაგალითები სინამდვილის სხვა სფეროებიდანაც — საზოგადოებრივი ცხოვრებიდან და ცნობიერებიდან.

სინამდვილის სამივე სფეროში არსებობს რეალური ობიექტური წინააღმდეგობა, და თუ ჩვენ გვინდა, რომ ავსახოთ ობიექტური სინამდვილე, უნდა გავითვალისწინოთ ეს წინააღმდეგობა.

წინააღმდეგობა, როგორც ვიცით, მოვლენის არსებას ახასიათებს, არსების წინააღმდეგობაა და ვიდრე მოვლენის არსებაში არ შეეჭრილვართ, ანუ ვიდრე მოვლენებს განვიხილავთ

---

[1] ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, გვ. 143.

ზერელედ, ზედაპირულად, ამ წინააღმდეგობას ვერც შევამჩნევთ.

მართალია, ზოგჯერ ასეთი ზედაპირული განხილვაც გვიჩვენებს, რომ ორი მოვლენა ერთმანეთს უწინააღმდეგება, მაგრამ ეს არის გარეგანი და არა შინაგანი წინააღმდეგობა, ეს არ არის არსების წინააღმდეგობა, წინააღმდეგობა ერთიდაიგივე მოვლენის არსების შიგნით და ამ არსების ამსახველი. ასეთი გარეგანი წინააღმდეგობა, ენგელსის აზრით, სხვადასხვა საგნებს შორის არის განაწილებული, ე. ი. სხვადასხვა მოვლენებს ახასიათებს და არა ერთიდაიგივე მოვლენის არსებას *.

---

* სხვადასხვაგვარ წინააღმდეგობათა განსხვავების ეს მომენტი მეტად საინტერესოა წინააღმდეგობის ყოველი კონკრეტული მაგალითის სწორად შეფასებისათვის. კერძოდ, ყოველი მაგალითის მიმართ უნდა გაირკვეს: ერთსა და იმავე მოვლენას, ერთსა და იმავე პირობებში ერთი და იმავე აზრით აქვს ურთიერთგამომრიცხველი მომენტები, როგორც, მაგალითად, «მოძრაობისა» და «სიცოცხლის» მაგალითებში, თუ მხოლოდ სხვადასხვა აზრით, სხვადასხვა მიმართებაში, როგორც, მაგალითად, «ვათიშვა გაერთიანებისათვის» (ლ ე ნ ი ნ), «შემეცნება ისევე სუფერენულია, როგორც არასუფერენული» (ე ნ გ ე ლ ს ი), «წარმოება მოხმარებაა» (მ ა რ ქ ს ი). რეალური წინააღმდეგობა მოიაზრება, გამოითქმება და აიხსნება აზროვნებაში რაიმე სპეციალური წინააღმდეგობის დაშვების გარეშე. თუ ვიტყვით, რომ არ არსებობს ფორმალურ-ლოგიკური წინააღმდეგობა, ამით სრულებით არ უარვყოფთ საგანთა, და თვით აზროვნების როგორც ფაქტის წინააღმდეგობას. ეს ნათელი იქნება, თუ გავითვალისწინებთ როგორი ხასიათისაა წინააღმდეგობა «სუფერენობის» მაგალითში. «...ადამიანის აზროვნება ისევე სუფერენულია, როგორც არასუფერენული, მისი შემეცნების უნარი ისევე შეუზღუდველია, როგორც შეზღუდული. იგი სუფერენული და შეუზღუდველია ნიჭის, მოწოდების, შესაძლებლობის, ისტორიული საბოლოო მიზნის მიხედვით. არასუფერენულია და შეზღუდულია განცალკევებული განხორციელებისა და ამა თუ იმ დროს მოცემული სინამდვილის მიხედვით» (ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, ანტიდიურინგი, გვ. 102 — 103).

აქ გამოთქმულია რეალური წინააღმდეგობა ცნობიერების სფეროდან, მაგრამ ლოგიკური აზროვნების არც ერთი კანონი არაა დარღვეული. აზროვნება სრულიად სხვადასხვა აზრით არის ერთსა და იმავე დროს სუფერენული და არასუფერენული. ძალიან ბევრია ისეთი მოვლენა, რომელთა არსებაში ურთიერთგამომრიცხველი მომენტები აბსოლუტურად ერთსა და იმავე პირობებში არ მოქმედებენ. მაგრამ განსხვავების ნიუანსი ხშირად ისე უმნიშვნელოა, რომ მას ვერ ვამჩნევთ, ხოლო ზოგჯერ განგებ ყურადღებას არ

მოვლენების ზედაპირული განხილვის შემთხვევაში, ფ. ენგელსის აზრით, ჩვენ შეგვიძლია აზროვნების ჩვეულებრივი მეტაფიზიკური წესით დავკმაყოფილდეთ. მაგრამ თუ გვინდა მოვლენის არსებაში შევიჭრათ, უნდა განვიხილოთ მოვლენები მათს მოძრაობაში, ცვალებადობაში, ურთიერთზემოქმედებაში. ასეთ შემთხვევაში ჩვენ წინააღმდეგობებს აღმოვაჩენთ და მათი ასახვისათვის (თვით აღმოჩენისათვის) ჩვეულებრივი მეტაფიზიკური აზროვნების წესი და მეტაფიზიკური კატეგორიები საკმარისი აღარ არიან.

მაშასადამე, მეტაფიზიკური და დიალექტიკური კატეგორიების (აზროვნების წესის) გამოყენების «სფეროების» გაყოფა მოვლენათა სირთულისა და სიმარტივის მიხედვით არ შეიძლება. ამის შესახებ ფ. ენგელსის ყოველი გამოთქმა: «შინ სახმარად», «მეცნიერული მეწვრილმანეობისათვის», «ჩვეულებრივი ყოველდღიური აზროვნებისათვის», «დროის მცირე მონაკვეთში», «პატარა მასშტაბებში», «მარტივი მიმართებანი», «დაბალი მათემატიკა» და სხვ. ჩვენ გვახვედრებს, თუ დაახლოებით როგორ განსხვავდებიან ეს «სფეროები». თვით საგანთა ბუნება განსაზღვრავს აზროვნების ამ წესების გამოყენების საზღვრებსო, ამბობს ფ. ენგელსი. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ საქმე გვაქვს სხვადასხვა მოვლენათა არა მექანიკურ დაჯგუფებასთან უძრავ და მოძრავ საგნებად, არამედ გარკვეულ ლოგიკურ საფუძველთან, გარკვეულ გონებრივ მოქმედებასთან. გარემოება, კონკრეტული სიტუაცია, გონება გვეუბნება იმას, თუ რა პირობებში და რა აზრით შეიძლება ესა თუ ის მოვლენა ვიგულისხმოთ უცვლელად, იზოლირებულად, თავისთავად, სხვა მოვლენების მხრივ ზემოქმედებისა და განვითარების გარეშე. საგანთა ასეთი განხილვის შესაძლებლობა

ვამახვილებთ მასზე და მოვლენას განვიხილავთ როგორც ცოცხალ წინააღმდეგობას. მაგრამ ეს არ გამორიცხავს ნამდვილად რეალურ წინააღმდეგობათა არსებობას. არსებობს რეალური წინააღმდეგობანი და წინააღმდეგობის პრინციპი იმდენად უნივერსალური და აბსოლუტურია, რომ ზოგიერთ ლოგიკოსს იგი აიძულებს «ლოგიკურად გასაგები» წინააღმდეგობაც ამ რეალურ და ცოცხალ წინააღმდეგობაზე დაიყვანოს.

აბსტრაქციის უნარის ერთ-ერთი უპირველესი და უმარტივესი გამოვლინებაა.

«სფეროებად» დაყოფის ეს საფუძველი ლოგიკურია, გონებრივია, რასაც თავის მხრივ განხილვის საგანთა ბუნება განსაზღვრავს.

სხვა შემთხვევაში ვერ ავიცდენთ საკითხის ისეთ ვულგარულ გაგებას, რომლის მიხედვით მკვლევარს ერთ ჯიბეში მეტაფიზიკური მეთოდი აქვს, მეორე ჯიბეში დიალექტიკური, როცა უძრავს საგნებს შეისწავლის — მეტაფიზიკურ მეთოდს ამოიღებს; ხოლო როცა მოძრავს — დიალექტიკურს.

სინამდვილის «სფეროებად» დაყოფის საფუძველი არ შეიძლება იყოს მოვლენათა, საგანთა სირთულის ხარისხი. არ შეიძლება მაგალითად მეტაფიზიკა მარტივ საგანთა შემეცნების მეთოდად გამოვაცხადოთ, ხოლო დიალექტიკა რთულ მოვლენათა შემეცნების მეთოდად. ასეთ შემთხვევაში, მოსაძებნი იქნება კვლავ ახალი საფუძველი იმისათვის, რომ განვსაზღვროთ, თუ რომელი მოვლენა ჩავთვალოთ მარტივად და რომელი რთულად. შემდეგ, «მარტივ» მოვლენებშიც ხშირად ისეთივე წინააღმდეგობას ვაწყდებით, როგორც «რთულში».

მაგალითად, ცნობილია, რომ უმაღლესი მათემატიკის ერთ-ერთი მთავარი საფუძველია წინააღმდეგობა, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ გარკვეულ პირობებში (მაგალითად, უსასრულოდ მცირე სიდიდეთა მიმართ) წრფე და მრუდი განიხილება როგორც ერთი და იგივე, და ამ იგივეობის საფუძველზე წარმოებული ოპერაციები შესაძლებლობას გვაძლევს ამოვხსნათ დაბალი მათემატიკისათვის მიუწვდომელი ამოცანები.

ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ მხოლოდ უმაღლეს მათემატიკაში აქვს ადგილი წინააღმდეგობას და არა დაბალ მათემატიკაში? რა თქმა უნდა, არა. ფ. ენგელსი გარკვევით წერს, რომ დაბალი მათემატიკა სავსეა წინააღმდეგობებითო. მაგალითად, აშკარა წინააღმდეგობაა, რომ A-ს ფესვი იყოს A-ს ხარისხი, მაგრამ ამისდა მიუხედავად $\sqrt{A}=A^{1/2}$. ან კიდევ წინააღმდეგობა: უარყოფითი სიდიდე უნდა იყოს რაიმე სიდიდის კვადრატი, ვინაიდან ყოველი უარყოფითი სიდიდე თა-

ვის თავზე გამრავლებული დადებით კვადრატს იძლევა. ამიტომ $\sqrt{-1}$ წარმოადგენს არა მარტო წინააღმდეგობას, არამედ აბსურდულ წინააღმდეგობას, ნამდვილ უაზრობას. მაგრამ $\sqrt{-1}$-ის გარეშე, როგორც ცნობილია, არ იარსებებდა არც დაბალი და არც უმაღლესი მათემატიკა[1].

მაშასადამე, «მარტივ» მოვლენებშიც აღმოჩნდა წინააღმდეგობა, თანაც უფრო რთული წინააღმდეგობა, ვიდრე ზოგჯერ «რთულ» მოვლენაში არსებობს. მართლაც, განა უფრო რთული წინააღმდეგობა არსებობს, ვიდრე «მოძრაობის» წინააღმდეგობაა? და თანაც მოძრაობის იმაზე უფრო მარტივი ფორმა არსებობს, ვიდრე უბრალო მექანიკური ადგილგადანაცვლებაა?

ეს იმას ნიშნავს, რომ ძირშივე შემცდარია პრინციპი სინამდვილის დაყოფისა მარტივ და რთულ მოვლენებად *. განსხვავებაა მხოლოდ საგანთა და მოვლენათა განხილვის წესში, ხასიათში, მიზანში. თუ მათ ვიხილავთ ზედაპირულად, ზერელედ, თუ შემეცნების მიზანი არ სცილდება მოვლენათა გარეგნული ურთიერთგანსხვავებისა და გარკვეულობის დადგენას, მაშინ «მეტაფიზიკური» კატეგორიებიც საკმარისი არიან.

მეტი გარკვეულობისათვის აქ შეიძლებოდა მაგალითად მოგვეყვანა მოვლენისა და არსების კატეგორიები **. მაგრამ გაყოფის საფუძვლად იგი მაინც არ გამოგვადგება მოვლენისა და არსების დიალექტიკური ერთიანობის გამო. გამოდის, რომ ფაქტიურად ვერ ვიპოვეთ «გაყოფის» საფუძველი. ეს ლოგიკურად არ ასაბუთებს, მაგრამ ერთგვარად მაინც მიგვითითებს იმაზე, რომ მკაცრად რომ ვთქვათ, არავითარ ნამდვილ დაყოფასთან არ უნდა გვქონდეს საქმე. სინამდვილე ერთიანია, და აქ საკითხი ეხება ამ ერთიანი სინამდვილის შემეცნებას, რომ

---

[1] ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, გვ. 145.

* ლაპარაკი «მარტივ» და «რთულ» მოვლენებზე შეიძლება მხოლოდ პირობითად, როცა ორ მოვლენას გარეგნულად ვადარებთ ერთმანეთს და აღვნიშნავთ, რომ ერთი მოვლენა შედარებით «მარტივია» მეორეზე.

** მოვლენისა და არსების კატეგორიის ანალოგიით ცდილობს დიალექტიკისა და ლოგიკის ურთიერთობის საკითხის გადაწყვეტას, მაგალითად, ვინმე ლოზოვსკი, მაგრამ ამის შესახებ შემდეგ.

ყოველთვის ერთი გარკვეული მეთოდით უნდა მივუდგეთ მას. ჩვენთვის მოვლენებისადმი მიდგომის ასეთი მეთოდი არის დიალექტიკა. არ შეიძლება, მაგალითად, მეცნიერებაში დიალექტიკოსი იყო, ხოლო «ოჯახში» მეტაფიზიკოსი. დიალექტიკოსობა, ძალიან მარტივად რომ ვთქვათ, გონიერებას ნიშნავს, ხოლო გონება ისევე საჭიროა «ოჯახში», საგანთა «მარტივ» მიმართებებზე მსჯელობის დროს, როგორც საჭიროა იგი მეცნიერებაში.

მართალია, არაა სწორი ნაწილისა და მთელის, დადებითისა და უარყოფითის, განსაკუთრებულისა და ზოგადის ან მიზეზისა და შედეგის «მეტაფიზიკური» დაპირისპირება, მაგრამ ვ. ი. ლენინი წერდა: «... არ შეიძლება მაინც დავივიწყოთ ელემენტარული ლოგიკური განსხვავება გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ უ ლ ს ა და ზ ო გ ა დ ს შორის»[1], ე. ი. ერთია მათი მეტაფიზიკური დაპირისპირება, და სხვაა მათ შორის განსხვავების აღნიშვნა.

ვ. ი. ლენინი მთელი დიალექტიკის დედაარსს დაპირისპირებულთა ერთიანობასა და ბრძოლაში ხედავდა, მაგრამ ამისაგან მკაცრად განასხვავებდა ეკლექტიკასა და სოფისტიკას და ებრძოდა ამ უკანასკნელთ. «ამ საბუთებს ჩვენ საესებით ვიზიარებთ, — წერდა ვ. ი. ლენინი, — მაგრამ ლოგიკურია განა ერთსა და იმავე საკითხზე, ერთსა და იმავე დროს ურთიერთგამომრიცხველი საბუთების მოყვანა?»[2]. «მხოლოდ სოფისტს თუ შეუძლია, იმპერიალისტურ ომსა და ეროვნულ ომს შორის არსებული განსხვავება უკუაგდოს იმ მოსაზრებით, რომ ერთი სახის ომი შ ე ს ა ძ ლ ე ბ ე ლ ი ა მეორე სახის ომად იქცეს. დიალექტიკა არა ერთხელ გამოუყენებიათ—ბერძნული ფილოსოფიის ისტორიაშიც — ხიდად სოფისტიკისაკენ. მაგრამ ჩვენ დიალექტიკოსებად ვრჩებით და ვებრძვით სოფიზმებს არა საერთოდ ყოველგვარ გადაქცევათა შესაძლებლობის უარყო-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 22, გვ. 440.

[2] იქვე, გვ. 427.

ფით, არამედ მოცემულის კონკრეტული ანალიზით მის გარემოსა და განვითარებაში»[1].

* * *

2. ჭეშმარიტება და შეცდომა. ჭეშმარიტება და შეცდომა, ფ. ენგელსის აზრით, პოლარულად დაპირისპირებული ლოგიკური კატეგორიებია და მათ დაპირისპირებას «მხოლოდ მეტად შეზღუდულ დარგში» აქვთ აბსოლუტური მნიშვნელობა. დიალექტიკის უპირველესი და უმთავრესი მოთხოვნაა ასეთი დაპირისპირების უკმარობა. როგორც კი ამ დაპირისპირებას გამოვიყენებთ «ვიწროდ შემოფარგლულ სფეროს გარეთ», იგი შეფარდებითი, რელატიური გახდება და, მაშასადამე, მკაცრი მეცნიერული გამოთქმისათვის გამოუსადეგარი. ხოლო თუ ჩვენ შევეცდებით ეს დაპირისპირება გამოვიყენოთ «იმ სფეროს გარეთაც» როგორც აბსოლუტურად სწორი, სრულ მარცხს განვიცდით, დაპირისპირების ორივე პოლუსი თავიანთ წინააღმდეგობად იქცევა, ჭეშმარიტება შეცდომა გახდება, ხოლო შეცდომა ჭეშმარიტებად.

მაგალითისათვის ფ. ენგელსს მოყავს ბოილის ცნობილი კანონი, რომლის მიხედვით აირის მოცულობა უცვლელი ტემპერატურის პირობებში უკუპროპორციულია წნევისა, რომელსაც ის განიცდის. რენიომ აღმოაჩინა, რომ ეს კანონი ზოგიერთ შემთხვევაში არ მართლდება, მაგრამ რენიოს აქედან არ გაუკეთებია დასკვნა, რომ ბოილის კანონი შეცდომაა. ბოილის კანონის ხელაღებით შეცდომად გამოცხადება მეორე უკიდურესობაში გადავარდნა იქნებოდა; ასეთი დასკვნის შემთხვევაში რენიოს ჭეშმარიტების მარცვალი გაქრებოდა დიდ უხეშ შეცდომაში. მაშასადამე, თავის პირვანდელ სწორ შედეგს რენიო შეცდომად აქცევდა, რომლის მიმართ ბოილის კანონი თავისი «თანდაყოლილი პაწია შეცდომითურთ» ჭეშმარიტებად მოგვევლინებოდა. რენიომ, წერს ფ. ენგელსი, როგორც ეს მეცნიერს შეეფერება, ასეთი ბავშვური შეცდომა არ ჩაიდინა, მან კვლევა განაგრძო და აღმოაჩინა, რომ ბოილის

[1] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 22, გვ. 391.

კანონი მხოლოდ დაახლოებითაა სწორი, რომ მას ძალა არა აქვს იმ აირების მიმართ, რომლებიც წნევის ზეგავლენით შეიძლება წვეთობრივ-თხევად მდგომარეობაში გადავიდნენ, სახელდობრ, ბოილის კანონს ძალა არა აქვს, როცა წნევა იმ წერტილს უახლოვდება, სადაც წვეთობრიობა იწყება.

მაშასადამე, აღმოჩნდა, რომ ბოილის კანონი სწორია მხოლოდ გარკვეულ საზღვრებში. მაგრამ არც ერთი ფიზიკოსი არ დაიწყებს იმის მტკიცებას, რომ ამ საზღვრებში ბოილის კანონი აბსოლუტურად ჭეშმარიტია. ფიზიკოსი მხოლოდ იტყვის: ამ კანონს ძალა აქვს წნევისა და ტემპერატურის განსაზღვრულ ფარგლებში და მხოლოდ ზოგიერთი აირისათვის; ფიზიკოსი არასოდეს არ გამორიცხავს იმას, რომ მომავალი კვლევა-ძიების შედეგად შესაძლოა საჭირო იქნეს ამ კანონის კიდევ შეზღუდვა. როგორც ფ. ენგელსი შენიშნავს, მენდელეევისა და ბოგუსკის მიერ უფრო ზუსტი ხელსაწყოებით ჩატარებულმა კვლევა-ძიებამ დაამტკიცა, რომ ყველა ნამდვილი აირი ცვალებად ურთიერთობას ამჟღავნებს წნევასა და მოცულობას შორის. მაშასადამე, ბოილის კანონს კიდევ დამატება დასჭირდა მთელი რიგი სპეციალური კანონების სახით.

მაშასადამე, აზროვნების მეტაფიზიკური წესი დოგმატურად თიშავს შეცდომასა და ჭეშმარიტებას და აბსოლუტურ ხასიათს აძლევს მათ დაპირისპირებულობას, ამით ამახინჯებს რეალური სინამდვილის ობიექტურ კანონზომიერებას და ახშობს გზას სწორი მეცნიერული შემეცნებისაკენ.

აზროვნების დიალექტიკური წესი ხედავს რა განსხვავებას და დაპირისპირებულობას ჭეშმარიტებასა და შეცდომას შორის, აღიარებს ამ დაპირისპირების შეფარდებით ხასიათს, შეცდომისა და ჭეშმარიტების ყოველი მომენტის კონკრეტული გათვალისწინებით აღწევს რეალური სინამდვილის კანონზომიერებათა სწორ ასახვას, ე. ი. მეცნიერული შემეცნების ფართო შესაძლებლობას.

ამ მსჯელობაში ნათელია, თუ როგორ უნდა გავიგოთ ჭეშმარიტებისა და შეცდომის დაპირისპირებულობის შეფარდებითი ხასიათი.

მაგრამ რას ნიშნავს ჭეშმარიტებისა და შეცდომის დაპირისპირებულობის აბსოლუტური მნიშვნელობა «მხოლოდ მეტად შეზღუდულ დარგში». რა «დარგზეა» აქ ლაპარაკი? ანუ რა შემთხვევაში ვხმარობთ ჩვენ ყოველდღიურ სალაპარაკო ენაში და მეცნიერული აზროვნების დროსაც, სავსებით სამართლიანად, და, თანაც, ყოველგვარი შენიშვნების გარეშე, ასეთ გამოთქმებს: «ეს შეცდომაა», «ეს ჭეშმარიტებაა», «ეს სწორია», «ეს არაა სწორი»?— ამაზე პასუხის გაცემა ზედმეტია, რადგან თავისთავად ცხადია და ნორმალურად მოაზროვნე •დამიანებში აქ ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს. ფ. ენგელსი ასეთ შემთხვევაში მიგვითითებდა ბანალურ ჭეშმარიტებათა მაგალითებზე, ფაქტების აღნუსხვაზე და ა. შ.

* * *

3. დ ა დ ე ბ ი თ ი დ ა უ ა რ ყ ო ფ ი თ ი. მთელს სინამდვილეში ბატონობს ობიექტური დიალექტიკა, ანუ მოძრაობა დაპირისპირებულთა გზით. ეს დაპირისპირებულნი თავიანთი განუწყვეტელი ბრძოლითა და საბოლოოდ ურთიერთ გადასვლით, ან უმაღლეს ფორმებში გადასვლით, განაპირობებენ სწორედ ბუნების სიცოცხლეს. მაგნეტიზმი, ელექტრობა, ქიმიური პროცესები, უჯრედის ბირთვის წარმოშობა, სახეთა წარმოშობა და სხვ. წარმოადგენენ ან შეიცავენ დაპირისპირებულ ძალთა, მომენტთა პოლარიზებას.

ორგანულ ბუნებაში, მაგალითად, დარვინმა ახსნა, თუ როგორ ხდება სიცოცხლის ფორმათა განვითარება მარტივი უჯრედიდან ადამიანამდე მემკვიდრეობისა და შეგუების მუდმივი განუწყვეტელი ბრძოლით. განვითარების ასეთი პოლარიზებული ფორმების ასახვისათვის არ გამოდგება ისეთი კატეგორიები, როგორიცაა «დადებითი» და «უარყოფითი», ე. ი. კატეგორიების მეტაფიზიკური გათიშვა და აბსოლუტური ურთიერთდაპირისპირებულობა; არ გამოდგება იმიტომ, რომ ობიექტურ სინამდვილეში პოლარიზებული მომენტები აბსოლუტურად გათიშულნი არ არიან ერთმანეთისაგან, ისინი გარკვეულ პირობებში ერთმანეთში გადადიან და, თუ მათი ასახვა გვინდა, ჩვენი კატეგორიებიც და ცნებებიც ასეთივე მოძრავი და ელასტიურნი უნდა იყვნენ.

მაგალითისათვის ავიღოთ იგივე დარვინის სახეთა განვითარების თეორია. განვითარების ფაქტორები: «მემკვიდრეობა» და «შეგუება» ანუ «ცვალებადობა» აბსოლუტურად როდი არიან გათიშულნი და დაპირისპირებულნი. მემკვიდრეობა შეიძლება გაგებულ იქნას როგორც დადებითი, შემნახავი მხარე; ხოლო ცვალებადობა — როგორც უარყოფითი, მემკვიდრეობითი ნიშნების მუდმივ .დამანგრეველი მხარე. მაგრამ ამდენადვე ცვალებადობა შეიძლება გაგებულ იქნას როგორც შემოქმედი, აქტიური, დადებითი მოქმედება, მემკვიდრეობა — როგორც წინააღმდეგობის გამწევი, პასიური, უარყოფითი მოქმედება.

ასეთია დიალექტიკური შეხედულება ამ დაპირისპირებაზე, პოლარიზაციაზე.

მაგრამ ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ჩვენ რაიმე პრაქტიკული მოსაზრებებით არ შეგვეძლოს შეთანხმება, რომელს ვუწოდოთ დადებითი და რომელს უარყოფითი?

რა თქმა უნდა, არა. ფ. ენგელსი წერს: «მსგავსად იმისა, როგორც ისტორიაში პროგრესი არსებული წესწყობილების უარყოფის სახით გამოდის, ასევე აქაც წმინდა პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ი მოსაზრებებით უკეთესია შეგუება უარყოფით მოქმედებად იქნეს გაგებული»[1].

მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ მეტაფიზიკურად გავთიშოთ უარყოფითი და დადებითი და კონკრეტულ შემთხვევაში არ დავინახოთ მათი ურთიერთში გადასვლა, ანუ დადებითში უარყოფითი მომენტები და უარყოფითში დადებითი მომენტები.

დადებითისა და უარყოფითის ეს დიალექტიკა კარგად არის გამოხატული ხალხურ სიბრძნეში. ლოგიკურად სხვას არაფერს ნიშნავს, მაგალითად, ძველი ქართული ანდაზები: «ზოგი ჭირი მარგებელიაო», «გლახა მოყვარეს, კარგი მტერი სჯობიაო», ან კიდევ, შოთა რუსთაველის ცნობილი აფორიზმი: «რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია».

რა შემთხვევაში და რა პირობებში შეიძლება ლაპარაკი «დადებითისა» და «უარყოფითის» დაპირისპირებაზე, პოლარი-

---

[1] ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 215 — 216.

ზაციაზე ისე, რომ მეტაფიზიკოსობა არ დაგვწამონ? ამას კვლევის ან მსჯელობის ყოველი კონკრეტული შემთხვევა გვეტყვის.

* * *

4. «ა ნ-ა ნ!». «ან-ანი!»-ის კატეგორია სინამდვილის გარკვეულობას ეყრდნობა, მაგრამ მეტაფიზიკის მიერ გააბსოლუტურების შემთხვევაში სავსებით უარყოფს წინააღმდეგობას, ხელოვნურად სთიშავს საგნებსა და მოვლენებს ორ ჯგუფად და გამორიცხავს დაპირისპირებათა ერთიანობას. ამრიგად, «ან-ან!»-ის მეტაფიზიკური გაგება ამახინჯებს გარკვეულობის პრინციპს და მიუღებელია მეცნიერული შემეცნების თეორიისათვის. მაგრამ აქედან მისი საერთოდ უარყოფა როდი გამოდის. მეტაფიზიკური დამახინჯებისაგან მისი განთავისუფლების შემთხვევაში იგი არათუ საჭიროა, არამედ აუცილებელიცაა ჭეშმარიტი შემეცნებისათვის.

ფ. ენგელსი წერს: «ისტორიაში დაპირისპირებულთა გზით მოძრაობა განსაკუთრებით თვალნათლივ იჩენს მოწინავე ხალხების ყველა კრიტიკულ ეპოქაში. ამგვარ მომენტებში ხალხს დილემის მხოლოდ ორ უკიდურესობას შორის დარჩენია არჩევანი: «ან-ან!» და მასთან საკითხი სულაც არ ისმება ისე, როგორც ეს მოესურვებოდა ყველა დროის მოპოლიტიკანო ფილისტერობას. თვით 1848 წ. გერმანელი ლიბერალი ფილისტერი უეცრად და მოულოდნელად 1849 წელს თავისი ნებასურვილის წინააღმდეგ აღმოჩნდა ამგვარი საკითხის წინაშე: ან კიდევ უფრო სუსხიანი ფორმის ძველი რეაქციისადმი დაბრუნება, ანდა რევოლუციის განგრძობა რესპუბლიკამდე სოციალიზმით უკანა პლანზე. მას დიდხანს არ უფიქრია და მანტოიფელის რეაქციის, როგორც გერმანული ლიბერალიზმის გვირგვინის შექმნას ხელი შეუწყო. სწორედ ასევე 1851 წელს ფრანგი ბურჟუა აღმოჩნდა მისთვის უთუოდ მოულოდნელი დილემის წინაშე: ან იმპერიის კარიკატურა, პრეტორიანელობა და საფრანგეთის ყველაფა არამზადების ბანდის მხრივ, ანდა სოციალურ-დემოკრატიული რესპუბლიკა — და მან არამზადების ბანდის წინაშე ქედი მოხარა, რათა მისი მფარველობით შესაძლებლობა ჰქონოდა მუშების ექსპლოატაცია განეგრძო»[1].

---

[1] ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 216.

მაშასადამე, კონკრეტული სოციალური მოვლენის განხილვისას «ან-ან!» შეიძლება სავსებით სწორად ასახავდეს ობიექტურ მდგომარეობას. მაგრამ ყოველ სფეროში და ყოველ პირობებში როდი შეიძლება მოვლენათა ასეთი აბსოლუტური გამიჯვნა.

მაგალითად, დარვინის სახეთა განვითარების თეორიასთან შეუთავსებელია აბსოლუტურად მკვეთრი გამმიჯნავი ხაზები. ხერხემლიანთა და უხერხემლოთა შორის, თევზებსა და ამფიბიებს შორის, ფრინველებსა და ქვეწარმავალთა შორის გამმიჯნავი ხაზები ფაქტიურად არ არსებობენ, ისინი მუდმივ იცვლებიან, ანუ მეცნიერული და ემპირიული კვლევა-ძიება თანდათან აღმოაჩენს ფორმათა შემაერთებელ რგოლებს, სახეთა გარდამავალ საფეხურებს. მეცნიერება სპობს გამმიჯნავ ხაზებს და აღადგენს განვითარების სრულ და ერთიან სურათს.

კომპსოგნათუსსა და არქეოპტერიქსს შორის, — წერს ფ. ენგელსი, — მხოლოდ მცირეოდენი შუალედი წევრები აკლია, ხოლო კბილებიანი ნისკარტები ფრინველებისა ორივე ნახევარსფეროში აღმოჩნდა .«ან ეს, ან ის!» თანდათან სულ უფრო და უფრო არადამაკმაყოფილებელი ხდება. დაბალ ცხოველებში სრულიად შეუძლებელია ინდივიდუუმის ცნების მკვეთრი დადგენა არა მარტო იმ აზრით, წარმოადგენს თუ არა ეს ცხოველი ინდივიდუუმს ან კოლონიას, არამედ იმ აზრითაც, რომ შეუძლებელია განსაზღვრა იმისა, თუ სად თავდება განვითარების პროცესში ერთი ინდივიდუუმი და სად იწყება მეორე («მკვეზავნი»). ბუნებისმეცნიერების განვითარების ასეთ საფეხურზე, როცა ყველა განსხვავება შუალედ საფეხურებში გადადის და მათში იკარგება, ყველა დაპირისპირება შუალედი წევრების საშუალებით ერთმანეთში გადადის, აზროვნების ძველი მეტაფიზიკური მეთოდი საკმარისი აღარ არის. დიალექტიკა, რომელიც ასევე არ სცნობს არავითარ hard and fast lines (აბსოლუტურად მკვეთრ გამმიჯნავ ხაზებს), არ სცნობს არავითარ ყველგან გამოსადეგ უთუო «ან-ან!»-ს, დიალექტიკა, რომელსაც ერთმანეთში გადაჰყავს უძრავი მეტაფიზიკური განსხვავებანი და — «ან-ან!»-ის გვერდით სათანადო ადგილას აღიარებს აგრეთვე «როგორც ეს, ასევე ის!»-ს და დაპირისპი-

რებებს აშუალებს, აზროვნების ერთ-ერთი უაღრესად შესაფერი მეთოდია (ბუნებისმეცნიერების განვითარების დღევანდელი სტადიისათვის). რასაკვირველია, ყოველდღიურ სახმარად, მეცნიერული მეწვრილმანეობისათვის მეტაფიზიკური კატეგორიები თავიანთ ძალასა და მნიშვნელობას ინარჩუნებენ[1].

აქ საყურადღებოა ის, რომ დიალექტიკა «ან-ან!»-ს კი არ უარყოფს საერთოდ (ისტორიის განხილულ მაგალითზე ჩვენ ვნახეთ, რომ «ან-ან!» სწორედ ასახავს ობიექტურ მდგომარეობას), არამედ უარყოფს მის აბსოლუტურ მნიშვნელობას. დიალექტიკა ამბობს, რომ «ან-ან!» უთუოდ ყველგან გამოსადეგი არ არის, რომ «ან-ან!»-ის გვერდით, სათანადო ადგილას (ე. ი. იქ, სადაც ეს საჭიროა საკვანძო ობიექტური მდგომარეობის მიხედვით) შეიძლება გამოყენებულ იქნას «როგორც ეს, ასევე ის!», ე. ი. დიალექტიკური მეთოდი «ან-ან!»-ის გამოყენებას შეფარდებით ხასიათს აძლევს და სადაც ეს საჭიროა დაპირისპირებებს აშუალებს.

ყოველდღიურობაში, მოვლენათა ზედაპირული ლოგიკური გარკვეულობით დაკმაყოფილების საფეხურზე, დაპირისპირებათა გაშუალებას უმთავრეს შემთხვევაში არა აქვს ადგილი და არაა საჭირო. სწორედ ამ საფეხურზე და ამ ფარგლებში შეიძლება ვიხმაროთ «ან-ან!» უშენიშვნოთ, ისე რომ არავინ დაგვწამოს მეტაფიზიკოსობა.

ე. ი. თუ ჩვენ ამ «მეტაფიზიკურ» კატეგორიას ძალასა და მნიშვნელობას ვუნარჩუნებთ ამ ვიწრო ფარგლებში, ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ჩვენ მეტაფიზიკურად ვაზროვნებთ. მეტაფიზიკოსები მაშინ ვიქნებით, ჩვენ რომ ეს კატეგორია ამ ფარგლებს გარეთ, ყველგან, ყოველ პირობებში უთუოდ ვიხმაროთ. არ შეიძლება მეცნიერებაში დიალექტიკოსი — «ოჯახში» მეტაფიზიკოსად გადაიქცეს, იმის გამო, რომ «ოჯახში» ძ ა ლ ა უ ნ ე ბ უ რ ა დ უნდა იხმარო ასეთი «მეტაფიზიკური» კატეგორიები*.

---

[1] ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 216 — 217.

* გამოთქმების ასეთ ვარიანტზე შეთანხმება ჯობია სხვა ვარიანტს, როგორიცაა მაგალითად: როცა კი ჩვენ მეტაფიზიკურ კატეგორიებს ძალასა და მნიშვნელობას ვუნარჩუნებთ, მაშინ ჩვენ მეტაფიზიკურად ვაზროვნებთ

* * *

5. ი გ ი ვ ე ო ბ ა დ ა გ ა ნ ს ხ ვ ა ვ ე ბ ა. ბუნებისმეცნიერების განვითარებამ დაამტკიცა, — წერს ფ. ენგელსი, — რომ აბსტრაქტული იგივეობა (A=A და უარყოფითი ფორმითაც; A არ შეიძლება ერთსა და იმავე დროს უდრიდეს და არც უდრიდეს A-ს) არ შეიძლება გამოყენებულ იქნას ორგანულ ბუნებაში. მცენარე, ცხოველი, ყოველი უჯრედი, თავისი სიცოცხლის ყოველ მომენტში თავისი თავის იდენტურიც არის და მისგან განსხვავებულიც. რადგან მასში მიმდინარეობს ახალი უჯრედის წარმოშობისა და კვდომის, ნივთიერებათა მიღებისა და გამოყოფის პროცესი. რაც უფრო მეტად ვითარდება ფიზიოლოგია, მით უფრო მნიშვნელოვანი ხდება მისთვის ეს განუწყვეტელი, ეს დაუსრულებელი პატარა ცვლილებები, მაშასადამე, მით უფრო მნიშვნელოვანი ხდება მისთვის აგრეთვე განხილვა განსხვავებისა იგივეობის შ ი გ ნ ი თ. და იგივეობის ძველი აბსტრაქტული ფორმალური თვალსაზრისი, რომლის თანახმადაც ორგანული არსება განხილულ უნდა იქნას როგორც უბრალოდ თავის თავთან იდენტური, მუდმივი რამ, დრომოჭმული და მოძველებულია.

ასეთივე მდგომარეობაა, ფ. ენგელსის აზრით, არაორგანულ ბუნებაში. არაორგანულ ბუნებაში აბსოლუტური იგივეობა, როგორც ასეთი, არ არსებობს. ყოველი სხეული განუწყვეტლივ განიცდის მექანიკურ, ფიზიკურ, ქიმიურ ზემოქმედებას, რაც მის ცვლილებას იწვევს. ისეთ აბსტრაქტულ მეცნიერებაშიც კი, როგორიცაა მათემატიკა, რომელსაც საქმე აქვს აზრობრივ საგნებთან (თუმცა მაინც რეალობის ანასახებთან) და სადაც კიდევ შეიძლებოდა ლაპარაკი აბსტრაქტულ იგივეობაზე და მის დაპირისპირებაზე განსხვავების მი-

---

ყველგან, ოჯახში იქნება ეს თუ მეცნიერებაში, მაგრამ დასაშვებია მეტაფიზიკური აზროვნება «ოჯახში», ხოლო მიუღებელია მეცნიერებაში. ანუ მეტაფიზიკურ კატეგორიებს შეიძლება შევუნარჩუნოთ ძალა და მნიშვნელობა მხოლოდ ოჯახში და არა მეცნიერებაში. შეთანხმების ასეთი ვარიანტის შემთხვევაში ჩვენ ხან მეტაფიზიკოსები გამოვდივართ და ხან დიალექტიკოსები, ეს უხერხულობაა, უფრო მეტი — უაზრობაა.

მართ, — აქაც კი განუწყვეტლივ იხსნება ეს იგივეობა და დაპირისპირება. ფ. ენგელსი «ბუნების დიალექტიკაში» იმოწმებს ჰეგელის აზრს ამ საკითხზე. ის ფაქტი, რომ იგივეობა შეიცავს განსხვავებას, გამოხატულია ყ ო ვ ე ლ წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა შ ი, სადაც შემასმენელი ქვემდებარისაგან აუცილებლად განსხვავებულია. მ თ ი ს შ რ ო შ ა ნ ა არის მ ც ე ნ ა რ ე, ვ ა რ დ ი არის წ ი თ ე ლ ი, აქ ან ქვემდებარეში ან შემასმენელში არის ისეთი რამ, რაც შემასმენლის ან ქვემდებარის მიერ ვერ იფარება. გასაგებია, რომ თ ა ვ ი ს თ ა ვ თ ა ნ ი გ ი ვ ე ო ბ ა ს თავიდანვე უკვე აუცილებლად აქვს შესავსებად გ ა ნ ს ხ ვ ა ვ ე ბ ა ყ ვ ე ლ ა ს ხ ვ ა დ ა ნ ა რ ჩ ე ნ ი ს ა გ ა ნ*.

ასეთ განუწყვეტელ ცვალებადობას, ე. ი. თავისთავთან აბსტრაქტული იგივეობის მოხსნას, ადგილი აქვს მთელ სინამდვილეში, როგორც ორგანულ, ისე არაორგანულ ბუნებაში, საზოგადოებაშიც და აზროვნებაშიც. მაშასადამე, იგივეობის პრინციპი, რომელიც «ძველი მეტაფიზიკური აზრით ძველი მსოფლმხედველობის ძირითადი პრინციპია», ბუნებისმეცნიერების თითქმის ყოველ დარგში უკუგდებულია. «მაგრამ თეორიის სფეროში, — წერს ფ. ენგელსი, — ის მაინც კიდევ განაგრძობს არსებობას, და ძველის მომხრენი მას მაინც კიდევ უპირისპირებენ ახალს: «ნივთი არ შეიძლება ერთდროულად იყოს თვითონაც და იყოს სხვაც»... როგორც ყველა მეტაფიზიკური კატეგორია, აბსტრაქტული იგივეობა საკმარისია მხოლოდ შ ი ნ სახმარებლად, სადაც გათვალისწინებულია მცირე მიმართებანი ან დროის მცირე მონაკვეთები; საზღვრები, რომელთა ფარგლებშიც ის გამოდგება, თითქმის ყოველი შემ-

* ცნობილია, რომ ვ. ი. ლენინს არ ჰქონდა წაკითხული «ბუნების დიალექტიკა», მაგრამ ჰეგელის ამ აზრს არსებითად იგივე, მხოლოდ უფრო ღრმა კომენტარს უკეთებს: «უნდა დავიწყოთ უმარტივესით, ჩვეულებრივით, მასობრივით, რ ო მ ე ლ ი ც გ ი ნ დ ა წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ი თ: ხის ფოთლები მწვანეა, ივანე ადამიანია, მურია ძაღლია და სხვ.. აქ უკვე არის (როგორც ჰეგელმა გენიალურად შენიშნა) დიალექტიკა: ც ა ლ კ ე უ ლ ი ა რ ი ს ზ ო გ ა დ ი: მაშასადამე, დაპირისპირებულნი (ცალკეული უპირისპირდება ზოგადს) «იგივენი არიან» (ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, მარქსი, ენგელსი, მარქსიზმი, გვ. 365).

ოხვევისათვის განსხვავებული არიან და საგნის ბუნებით არიან გაპირობებული; პლანეტათა სისტემაში, სადაც ჩვეულებრივი ასტრონომიული გამოანგარიშებისათვის ელიპსი შეიძლება აღებული იქნეს ძირითად ფორმად, ისე, რომ პრაქტიკულად შესამჩნევი ცდომილებანი არ იქნეს დაშვებული, ეს საზღვრები ბევრად უფრო ვრცელია, ვიდრე რომელიმე მწერის განსილვის დროს, მწერისა, რომელიც თავის მეტამორფოზებს რამდენიმე კვირაში ამთავრებს (მოვიყვანოთ სხვა მაგალითები, მაგ., სახეთა ცვალებადობანი, რომელნიც მთელ რიგ ათასეულ წლებს ითვლიან), მაგრამ განმაზოგადებელი ბუნებისმეცნიერებისათვის, თვითეულ ცალკე დარგშიც კი, აბსტრაქტული იგივეობა სრულიად არადამაკმაყოფილებელია, და თუმცა საერთოდ და მთლიანად ახლა იგი პრაქტიკულად უკუგდებულია, მაგრამ თეორიულად მაინც ბატონობს გონებაზე, და ბუნების მკვლევართა უმრავლესობას წარმოუდგენია, რომ იგივეობა და განსხვავება შეურიგებელ დაპირისპირებებს წარმოადგენენ და არა ცალმხრივ პოლუსებს, რომლებსაც მხოლოდ მათს ურთიერთზემოქმედებაში, ი გ ი ვ ე ო ბ ა შ ი განსხვავების ჩართვით გაჩნიათ ჭეშმარიტება»[1].

მაშასადამე, მარქსისტული დიალექტიკური მეთოდი, გამოდის რა ობიექტური დიალექტიკიდან, თვლის, რომ ბუნების, საზოგადოებისა და ცნობიერების ყოველი მოვლენა უნდა განვიხილოთ მუდმივ ცვალებადობასა და განვითარებაში, რომ სინამდვილეში არ არსებობს აბსოლუტური იგივეობა, იგივეობა ყოველთვის შეიცავს განსხვავებას, და მათი ერთიანობა, ანუ იგივეობაში განსხვავების აღიარება აუცილებელი პირობაა იმისა, რომ ღრმად შევისწავლოთ და სწორად შეგაფასოთ სინამდვილის მრავალფეროვანი მოვლენები და კანონზომიერებანი. მეტაფიზიკური მეთოდი თვლის, რომ მოვლენები უცვლელნი არიან და იგივეობის შიგნით არავითარ განსხვავებას არ აქვს ადგილი, რომ იგივეობა და განსხვავება პოლარულად დაპირისპირებული ცნებებია და ამ დაპირისპირებას აბსოლუტური ხასიათი აქვს.

---

[1] ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 220.

უარყოფს თუ არა დიალექტიკური მეთოდი იგივეობის პრინციპს საერთოდ? არა, არ უარყოფს. მარქსისტული დიალექტიკა იძლევა მხოლოდ ამ პრინციპის სწორ გაგებას. ობიექტურ სინამდვილეში არსებობს არა მარტო განსხვავება, არამედ იგივეობაც. განვითარება და ცვალებადობა გარკვეული მოვლენების განვითარება და ცვალებადობაა, და მოვლენების გარკვეულობის პრინციპის ლოგიკური გამოხატულობა სხვა არაფერია, თუ არა იგივეობის აღიარება შეფარდებითი აზრით. იგივეობის პრინციპის ასეთი შეფარდებითი ანუ სწორი გაგება პრინციპულად განსხვავდება მისი ძველი მეტაფიზიკური გაგებისაგან. ამიტომ წერდა ფ. ენგელსი: «იგივეობის პრინციპი ძველი მეტაფიზიკური აზრით ძველი მსოფლმხედველობის ძირითადი პრინციპია»[1], ან კიდევ: «იგივეობის ძველი აბსტრაქტულ-ფორმალური თვალსაზრისი»[2].

ძალიან მოკლედ: არა მხოლოდ იგივეობა, და არა მხოლოდ განსხვავება, არამედ იგივეობისა და განსხვავების ერთიანობა. აზროვნების დიალექტიკური ფორმა გაუგებარი იქნება მთლიანი პროცესის განსხვავებული, დაპირისპირებული მომენტების ერთიანობის გარეშე. მეტაფიზიკაა მომენტების გამოცხადება მთელად. დიალექტიკაა მომენტების აღიარება, ანუ მეტაფიზიკისათვის აბსოლუტურის შეფარდებითად გამოცხადება. ცნების შინაარსის ცვლილება სინამდვილის შემეცნების პროცესში აუხსნელი და გაუგებარი იქნება, თუ შემეცნების ყოველ მომენტში ცნების გარკვეულობა არ იქნება «დაჭერილი» (მაშასადამე, საგნის გარკვეულობა), რადგან, ჯერ ერთი, თვითონ ცვალებადობაა გარკვეული, როგორც ცვალებადობა, და შემდეგ, ცვალებადობა არის გარკვეულობის მოხსნა, ანუ გარკვეულობის ცვალებადობა; ეს ნიშნავს ცნების შინაარსის გამდიდრებას, ცნების კონკრეტიზირებას.

მაშასადამე, აბსტრაქტული იგივეობის ძველ ფორმალურ-მეტაფიზიკურ გაგებას უპირისპირდება შეფარდებითი იგივეობის ახალი კონკრეტულ-დიალექტიკური გაგება.

---

[1] ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 220.

[2] იქვე, გვ. 218.

ამ შემთხვევაშიაც მკაცრად უნდა შევთანხმდეთ, რომ ფ. ენგელსი იგივეობის ორთავე გაგებას კი არ ტოვებს ძალაში, რომ ზოგჯერ ერთი გაგებით გამოვიყენოთ იგი და ზოგჯერ მეორეთი, არამედ მოხაზავს იგივეობის პრინციპის სწორად გამოყენების შესაძლებელ შემთხვევებს.

იგივეობის პრინციპის მეტაფიზიკური გაგება ის კი არაა, რომ მას ძალა აქვს ფ. ენგელსის მიერ ჩამოთვლილ შემთხვევებში, ამ «შემოსაზღვრულ სფეროში», არამედ, პირიქით, იგივეობის პრინციპის ამ «სფეროს» გარეთ გავრცელებაა მისი მეტაფიზიკური გაგება. ხოლო ამ «სფეროს» შიგნით მისი აღიარება იგივეობის სწორი, დიალექტიკური გაგებაა.

ფ. ენგელსის აზრებიდან სხვაგვარი ლოგიკური დასკვნის გაკეთება არ შეიძლება.

ასეთივე შეფარდებითი ხასიათი აქვს მიზეზისა და შედეგის, მარტივისა და შედგენილის, ნაწილისა და მთელის და სხვა კატეგორიების ურთიერთდაპირისპირებას.

ზემოთ ჩვენ მოვიყვანეთ ფ. ენგელსის აზრი იმის შესახებ, რომ ყოველდღიურ სახმარად, მეცნიერული მეწვრილმანეობისათვის მეტაფიზიკური კატეგორიები თავიანთ ძალასა და მნიშვნელობას ინარჩუნებენ *.

როგორც ვნახეთ, ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ძალასა და მნიშვნელობას ინარჩუნებს მეტაფიზიკური აზროვნების წესი, რომ მკვლევარი «ყოველდღიურობაში», «ოჯახში» შეიძლება მეტაფიზიკოსი იყოს, ხოლო მეცნიერებაში — დიალექტიკოსი. რა თქმა უნდა, არა. ფ. ენგელსის ზემომოყვანილი აზრის

---

*აქაა ძირი იმისა, რომ ხშირად ფორმალური ლოგიკა, უმთავრესად აზროვნების ფორმალურ-ლოგიკური კანონები, მეტაფიზიკური აზროვნების წესად ცხადდება და მას უპირისპირებენ დიალექტიკას, დიალექტიკური აზროვნების წესს, დიალექტიკურ ლოგიკას.

მეტაფიზიკური და ფორმალურ-ლოგიკური აზროვნების წესებს ასე აიგივებდნენ ენგელსის დროს, სხვა აზრი ჰეგელის შემდეგ არ არსებულა და ენგელსიც ამ აზრს იხსენიებს თითქმის ყველგან. ამჟამად ასეთი გაიგივებისათვის არ უნდა არსებობდეს არავითარი საფუძველი. თანამედროვე მარქსისტულ ლიტერატურაში დამკვიდრებული ტერმინოლოგიის მიხედვით დიალექტიკა უარყოფს მეტაფიზიკას, ხსნის მას, ხსნის ყოველგვარი შენახვის გარეშე.

მხოლოდ ისეთი გაგებაა სწორი, რომ ადამიანის ყოველდღიური აზროვნება ერთმანეთისაგან უნდა განასხვავებდეს მოვლენებს, ვიდრე მათ ურთიერთკავშირზე და ურთიერთში გადასვლაზე იმსჯელებდეს; რომ ნაწილი და მთელი, მიზეზი და შედეგი, დადებითი და უარყოფითი და სხვ. სალაპარაკო ენაში, როგორც ასეთნი, არსებობენ, ე. ი. გარკვეულად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ამ განსხვავების დადგენის გარეშე და ამ განსხვავებიდან გამოსვლის გარეშე შეუძლებელია ლაპარაკი მათ დიალექტიკურ ურთიერთობაზე.

მაშასადამე, აქ ლაპარაკი უნდა იყოს არა მეტაფიზიკის შენარჩუნებაზე, არამედ აზროვნების გარკვეულობის მოთხოვნაზე, რომლის კანონებსა და წესებს ლოგიკის მეცნიერება დაადგენს.

უაზრობა იქნებოდა იმის მოთხოვნა, რომ ადამიანი ყოველდღიურ ცხოვრებაში არ უნდა სარგებლობდეს აზროვნების გარკვეულობის კანონებით, ანდა ე. .წ «მეტაფიზიკური», ნამდვილად კი ჩვეულებრივი დაპირისპირებული კატეგორიებით: ნაწილი და მთელი, მარტივი და შედგენილი, შემთხვევითობა და აუცილებლობა, მიზეზი და შედეგი, დადებითი და უარყოფითი და სხვ.. როცა, მაგალითად, მარქსისტი ამ კატეგორიებით ტრადიციულად სარგებლობს, ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ იგი ივიწყებს ამ დაპირისპირებათა შეფარდებით ხასიათს, ივიწყებს იმას, რომ მეცნიერული, დიალექტიკური აზროვნება ხსნის მათ მეტაფიზიკურ დაპირისპირებას და ამის ნაცვლად ამ კატეგორიების დიალექტიკურ ურთიერთობას აღიარებს? რა თქმა უნდა, არა*. ნუთუ მეტაფიზიკური იქნება

---

* ვ. ი. ლენინი თავის წიგნში «ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან», ასაბუთებდა რა პარტიისა და კლასის ერთმანეთში არევისა და გაიგივების უმჯობესობას, წერდა, რომ არ შეიძლება ერთმანეთში ავრიოთ ნაწილი და მთელი. განა ამ განსხვავების დადგენა კლასსა და პარტიას შორის ყოველგვარი კავშირისა და მიმართების უარყოფას ნიშნავს მათ შორის? პირიქით. პარტიასა და კლასს შორის, ნაწილსა და მთელს შორის ურთიერთობისა და კავშირის დასადგენად სწორედ ამ განსხვავების ჩვენებაა საჭირო. ნაწილის და მთელის ურთიერთ განსხვავების დადგენა არის გზა, საშუალება მათ შორის ერთიანობისა და კავშირის დასადგენად. დიალექტიკური აზროვნება ხსნის ე. წ. მეტაფიზიკური კატეგორიების აბსოლუტურ დაპირისპირებულო-

მსჯელობა, მაგალითად, თუ ვიტყვით, რომ ფაშისტური გერმანიის თავდასხმა ჩვენს ქვეყანაზე იყო უარყოფითი მოვლენა ჩვენს ცხოვრებაში, ანდა, მეორე ფრონტის გახსნა ინგლის-ამერიკის ჯარების მიერ დადებითი მოვლენა ჩვენი სამამულო ომის მსვლელობაში? მსჯელობა მეტაფიზიკური იქნებოდა, რომ არ დავიტოვოთ უფლება აღვნიშნოთ სამამულო ომის დადებითი შედეგები, ან დასავლეთ ევროპაში ინგლის-ამერიკის ჯარების შემოსვლის უარყოფითი შედეგები. ვინ წაგვართვა ეს უფლება? პირიქით, რა უფლებითაც გარკვეული აზრი გამოვთქვით მოვლენების შესახებ პირველ შემთხვევაში, ასეთივე ძალით შეგვიძლია ვილაპარაკოთ იმავე მოვლენებზე მეორე შემთხვევაში. საქმე ეხება ერთი და იგივე მოვლენის სხვადასხვა ,მხარეების ასახვას.

რა იგულისხმება «მეტაფიზიკური კატეგორიების» ცნებაში? «მეტაფიზიკას» ჩვენ ვხმარობთ მხოლოდ ისტორიული მნიშვნელობით. მაგალითად, გარკვეულობის ან იგივეობის პრინციპი ძველი მსოფლმხედველობის პრინციპი კი არ არის საერთოდ, არამედ, როგორც ამას ფ. ენგელსი გარკვევით ამბობს, მხოლოდ ძველი მეტაფიზიკური აზრითაა ძველი მსოფლმხედველობის პრინციპი. და თუ ჩვენ ვლაპარაკობთ იგივეობის და სხვა პრინციპებზე, რომ ისინი ძალას ინარჩუნებენ გარკვეულ პირობებში, განსაზღვრული აზრით, ამით ძველ მსოფლმხედველობას კი არ ვიცავთ, არამედ არისტოტელეს მიერ გამოკვლეულ აზროვნების ძირითად ფორმებსა და კანონებს, არისტოტელეს ლოგიკას, რომელშიც მეტაფიზიკურმა მსოფლმხედველობამ თავისი თეორიული გა-

---

ბას და აღიარებს ამ დაპირისპირებულობის შეფარდებითობას (არა მხოლოდ იგივეობა: ნაწილი = მთელს; პარტია ავრიოთ კლასში; და არა მხოლოდ განსხვავება: ნაწილი და მთელი სულ სხვადასხვანი არიან; პარტიასა და კლასს არაფერი აქვთ საერთო; არამედ განსხვავებისა და იგივეობის მეცნიერული დიალექტიკური ერთიანობა). მაგრამ ასეთ შემთხვევაში ეს კატეგორიები აღარ არიან ღირსნი ტრადიციულად «მეტაფიზიკურ» კატეგორიებად იწოდებოდნენ.

ასეთივე დიალექტიკური აზროვნების ნიმუშია ლენინის დებულება: «სანამ გავერთიანდებოდეთ და იმისათვის, რომ გავერთიანდეთ, ჩვენ ჯერ გადაჭრით და გარკვევით უნდა გავიმიჯნოთ».

მოხატულება ჰპოვა მას შემდეგ, რაც სქოლასტიკამ დაამახინჯა არისტოტელეს ლოგიკა, დასცალა იგი ცოცხალი შინაარსისაგან და ჩააყენა თეოლოგიის სამსახურში.

* * *

დამოკიდებულება მეტაფიზიკური აზროვნების წესსა და დიალექტიკური აზროვნების წესს შორის, რაც ჩვენ ცალკეული კატეგორიების მიხედვით განვიხილეთ, ფ. ენგელსს შემდეგნაირად აქვს გამოთქმული:

«რა დამოკიდებულებაც აქვს ცვლად სიდიდეთა მათემატიკას მუდმივ სიდიდეთა მათემატიკასთან, იმავე დამოკიდებულებაშია დიალექტიკური აზროვნება მეტაფიზიკური აზროვნებისადმი»[1].

ასეთი ანალოგია კიდევ უფრო ნათელს ხდის ენგელსის აზრს იმის შესახებ, რომ დამოკიდებულება აზროვნების დიალექტიკურ წესსა და მეტაფიზიკურ წესს შორის არსებითად შეიძლება გამოიხატოს მოძრაობისა და უძრაობის კატეგორიებით. დიალექტიკური მეთოდი გამოდის მთელი სინამდვილის მუდმივი მოძრაობისა და ცვალებადობის პრინციპიდან, ხოლო მეტაფიზიკური მეთოდი უძრაობისა და უცვლელობის პრინციპიდან. შესაბამისად მეტაფიზიკური აზროვნება ხასიათდება უძრავი, «გაქვავებული» კატეგორიებით, ხოლო დიალექტიკური — მოძრავი, დენადი კატეგორიებით.

აზროვნების განვითარების ისტორიაში მეტაფიზიკური მსოფლმხედველობა მოხსნა დიალექტიკურმა მსოფლმხედველობამ.

მეტაფიზიკას პრაქტიკულად ნიადაგი გამოაცალა ბუნებისმეცნიერების მძლავრმა განვითარებამ მე-18 — 19 საუკუნეებში. ბუნებისმეცნიერებათა მიღწევებმა განსაზღვრეს აზროვნების მეტაფიზიკური წესის შეცვლის აუცილებლობა.

ხოლო თეორიულად აზროვნების ამ წესის კრიტიკა მოგვცა ჰეგელმა, რომელმაც არისტოტელეს შემდეგ პირველმა გამოიკვლია სისტემატურად დიალექტიკური აზროვნების ძირითადი ფორმები.

---

[1] ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, გვ. 145.

ჰეგელი, როგორც აღვნიშნეთ, აიგივებდა მეტაფიზიკას და ფორმალურ ლოგიკას, იგი ლაპარაკობდა დიალექტიკის მიერ მეტაფიზიკის, ანუ ფორმალური ლოგიკის მოხსნაზე.

«მოხსნის» ჰეგელისეული ცნება (Aufheben) ნიშნავს შენახვასაც, ანუ მოხსნილად შენახვას *. შეიძლება თუ არა, ან რა აზრით შეიძლება ვილაპარაკოთ მარქსისტული დიალექტიკური მეთოდის მიერ მეტაფიზიკური მეთოდის შენახვაზე? მხოლოდ და მხოლოდ იმ აზრით, რომ დიალექტიკა აღიარებს ე. წ. «მეტაფიზიკური», ნამდვილად კი ფორმალურ-ლოგიკური აზროვნების ფორმებისა და კატეგორიების შეფარდებით მნიშვნელობას. ენგელსი სწორედ ამ აზრს ავითარებს. მის მიერ მოცემული მრავალი მითითება «მეტაფიზიკური» კატეგორიების გამოყენების სფეროსა და პირობების შესახებ სწორედ იმას ნიშნავს, რომ ისინი გარკვეულ პირობებში ძალასა და მნიშვნელობას ინარჩუნებენ, მაგრამ უკვე ამ ფარგლებში და ამ განსაზღვრულ პირობებში ისინი ცუდი, არასწორი, მეტაფიზიკური აზროვნების წესს კი არ წარმოადგენენ, არამედ სავსებით ჯანსაღი, ნორმალური ადამიანის აზროვნების წესს.

ე. ი. ფაქტიურად აქ მეტაფიზიკა კი არა გვაქვს, არამედ სწორი გამოყენება იმისა, რასაც მეტაფიზიკა ამახინჯებს და აბსოლუტურ ხასიათს აძლევს. ეს არის მოძღვრება საგნებისა და აზრების გარკვეულობაზე. მაგრამ რამდენადაც არცერთ სფეროში და არცერთ საფეხურზე არ შეიძლება სწორად გაგებული გარკვეულობის მომენტის უარყოფა და იგნორირება, ამიტომ არაა გამართლებული მეტაფიზიკისა და ფორ-

---

* ჰეგელი ერთგვარად განმარტავს ასეთი დამოკიდებულების ხასიათს სპინოზიზმის დიალექტიკური მოხსნის მაგალითზე: სისტემაში, რომელიც არ შეიძლება განხილულ იქნას როგორც აბსოლუტურად მცდარი, რომელიც შეიძლება და უნდა დაძლეულ იქნას, ამ სისტემაში მცდარია მხოლოდ იმის აღიარება, რომ მისი თვალსაზრისი აბსოლუტურად სწორია. ნამდვილად ჰეშმარიტი სისტემა არ შეიძლება, ამიტომ, ისეთი დამოკიდებულებაში იყოს მასთან, რომ იგი მხოლოდ უპირისპირდებოდეს, ეწინააღმდეგებოდეს მას. ასეთ შემთხვევაში ეს საწინააღმდეგო დაპირისპირებული სისტემა თვითონ იქნებოდა ცალმხრივი. პირიქით, როგორც უფრო მაღალი მან თავისთავში უნდა მოიცვას დაბალი სისტემა (Гегель, Соч. т. VI, стр. 9).

მალური ლოგიკის გაიგივება და დიალექტიკისა და მეტაფიზიკის ურთიერთობის გადატანა დიალექტიკისა და ფორმალური ლოგიკის ურთიერთობაზე.

როცა ლაპარაკია მეტაფიზიკაზე და დიალექტიკაზე, როგორც აზროვნების განვითარების საფეხურებზე, მაშინ მათ შორის ასეთი დამოკიდებულება (Aufheben) იმას არ ნიშნავს, რომ ისინი შეთანხმებულნი არიან და არ ეწინააღმდეგებიან ურთმანეთს. ისინი ერთმანეთის გვერდით კი არ არსებობენ სხვადასხვა «სფეროების» შემეცნებისათვის, არამედ ერთი იქვემდებარებს მეორეს, დიალექტიკა — მეტაფიზიკას. ცალკეული კატეგორიების გარჩევის დროს ჩვენ ვნახეთ, რომ ეს ორი თვალსაზრისი ერთსა და იმავე პირობებში პრინციპულად გამორიცხავს ერთმანეთს, შეურიგებელნი არიან. დიალექტიკა კი არ უთანხმდება, არამედ უპირისპირდება მეტაფიზიკას, როგორც მოხსნილ საფეხურს.

იმაზე უფრო კომიკური არაფერია, წერს ფ. ენგელსი «ბუნების დიალექტიკაში», როგორც მათემატიკოსთა უბადრუკი ხრიკები, უხეირო თავდასაძვრენი ფანდები და ნაძალადევი ხერხები, რათა ეს წინააღმდეგობა გადაჭრან, უმაღლესი და დაბალი მათემატიკა ურთიერთ შეათანხმონ, თავიანთი გონებისათვის ნათელჰყონ ის, რომ ის, რაც მათ უდაო შედეგის სახით მიიღეს, მტკნარ უაზრობას არ წარმოადგენდეს,—და საერთოდ რაციონალურად ახსნან უსასრულობის მათემატიკის გამოსავალი წერტილი, მეთოდი და შედეგი*.

---

* ფ. ენგელსი ლაპარაკობს დაბალი და უმაღლესი მათემატიკის შეუთანხმებლობაზე. ეს შეუთანხმებლობაც ერთგვარად შეფარდებითად უნდა გავიგოთ და არა აბსოლუტურად. არ შეიძლება, მაგალითად, იმის მტკიცება, რომ უმაღლესი მათემატიკა აბსოლუტურად უარყოფს დაბალ მათემატიკას, მის ყოველ შედეგს, მის ყოველ მიღწევას. თვითონ ენგელსი ამბობს, რომ $\sqrt{-1}$-ის გარეშე, რომელიც დაბალი მათემატიკის სფეროს ეკუთვნის, შეუძლებელი იქნებოდა უმაღლესი მათემატიკა. ინტეგრალური აღრიცხვა როდი თვლის, რომ 2×2 4, ან რომ პითაგორას თეორემა სისულელეა. აქ დამოკიდებულებას ისეთი ხასიათი აქვს, რომ უმაღლესი მათემატიკის მიღწევები არასეზით არ შეიძლება აიხსნას დაბალი მათემატიკის საშუალებით და მისი თვალსაზრისით, ხოლო მეორე მხრივ, უმაღლესი

ფ. ენგელსის ცნობილი ანალოგიით თუ ვიმსჯელებთ, ასევე კომიკურია ცდა აზროვნების მეტაფიზიკური და დიალექტიკური წესის შეთანხმებისა. ისინი პრინციპულად გამორიცხავენ ერთმანეთს.

მეტაფიზიკას დიალექტიკური აზროვნება ნამდვილად გამორიცხავს, მაგრამ ფორმალურ-ლოგიკურ მომენტს, ანუ გარკვეულობის მომენტს (ე. ი. იმას, რასაც მეტაფიზიკა ამახინჯებდა) დიალექტიკური აზროვნება ყოველთვის შეიცავს.

მაშასადამე, დიალექტიკის მეცნიერება ასახავს რა მთელი სინამდვილის ობიექტურ დიალექტიკას, შემეცნებისა და კვლევა-ძიების მეთოდია, აზროვნების თეორიაა, რომელიც უპირისპირდება არა ფორმალურ ლოგიკას, არამედ აზროვნების მეტაფიზიკურ მეთოდს და პრინციპულად გამორიცხავს მას.

მათემატიკა კი არ უარყოფს დაბალი მათემატიკის მიღწევებს, არამედ ხედავს მის შეზღუდულობას და უფრო შორს მიდის, რაოდენობრივ მიმართებათა წინააღმდეგობრივ ბუნებას არკვევს, რაც არასოდეს არ შეუძლია დაბალ მათემატიკას. ენგელსის მიერ გაკეთებული ანალოგიის მიხედვით დაბალი და უმაღლესი მათემატიკის ურთიერთობის ზოგიერთი მომენტი შეიძლება გადატანილ იქნას «მეტაფიზიკისა» და დიალექტიკის ურთიერთობაზე. როგორც არ არსებობს დღეს, პრინციპულად, მათემატიკის ორი მეცნიერება, რადგან არსებობს მათემატიკის მეცნიერება, რომელიც შეიცავს «დაბალ» მათემატიკასაც, ასევე არ არსებობს აზროვნების წესის შესახებ ორი მეცნიერება. არსებობს მოძღვრება აზროვნების დიალექტიკურ მეთოდზე, იგი შეიცავს იმ მასალის სწორ ინტერპრეტაციას, რასაც მეტაფიზიკა ამახინჯებდა. დიალექტიკის მეცნიერება ასახავს აზროვნების ერთიან დიალექტიკურ პროცესს, შემეცნების პროცესს, რომელშიც გარკვეულობის მომენტი არა მარტო ხანდახან, არამედ ყოველთვის არსებობს. შემეცნების პროცესის ამ მომენტს შეისწავლის ლოგიკა, როგორც შემეცნების შესახებ მოძღვრების გარკვეული ნაწილი.

თავი მეორე

ლოგიკის მეცნიერების საგანი და ამოცანები

1. შემეცნების თეორია და ლოგიკა

როგორც ვნახეთ, დიალექტიკა მეცნიერული აზროვნების თეორიაა. იგი მთელი სინამდვილის მოძრაობისა და განვითარების უზოგადეს კანონებს გვასწავლის და ამით გვიკაფავს გზას სინამდვილის მრავალფეროვანი მოვლენების სპეციფიკურ კანონზომიერებათა შემეცნებისათვის. მაგრამ დიალექტიკის როგორც მეცნიერების საგანი მთელი სინამდვილის უზოგადესი კანონებითა და კატეგორიებით არ ამოიწურება. რადგან დიალექტიკის მეცნიერების ძირითადი შინაარსი ობიექტური სინამდვილის შემეცნების კანონებია, ამიტომ დიალექტიკა განიხილება როგორც მეცნიერება შემეცნების პროცესის შესახებ საერთოდ, ანუ როგორც შემეცნების თეორია*.

---

* თუ გავითვალისწინებთ, რომ მეცნიერება შემეცნებაზე გვკვირდება არა უბრალო ცნობისმოყვარეობისათვის, არამედ იმისათვის, რომ განვავითაროთ ობიექტური სინამდვილის კანონზომიერებათა შემეცნების საქმე, მაშინ ცხადი გახდება, რომ ეს მეცნიერება არა მარტო უნდა მოიცავდეს ჭეშმარიტი აზროვნების უზოგადეს პრინციპებს, არამედ ეს უკანასკნელი უნდა შეადგენდეს მის არსებით შინაარსს. ჩვენ კი ვიცით, რომ ჭეშმარიტი აზროვნების, ანუ მეცნიერული კვლევა-ძიების სახელმძღვანელო პრინციპები დიალექტიკის კანონები და კატეგორიებია, ე. ი. მარქსისტული გნოსეოლოგია დიალექტიკაა. მხოლოდ ამ გაგებით აქვს აზრი დიალექტიკისა და შემეცნების თეორიის იგივეობას.

თუ შემეცნების თეორია შეიცავს მოძღვრებას დიალექტიკურ აზროვნებაზე როგორც ობიექტური დიალექტიკის ასახვაზე, მაშინ აღარ რჩება არავითარი საგანი ფილოსოფიისათვის საერთოდ და მარქსისტული ფილოსოფიის ერთადერთ შინაარსად თვით შემეცნების თეორია ცხადდება. «დიალე-

შემეცნების თეორია შეისწავლის ცნობიერების ისტორიული წარმოშობისა და განვითარების, შემეცნების პროცესის კანონზომიერებას, ცოდნის ბუნებას, ხასიათს, თავისებურებას და სხვა. ე. ი. შემეცნების თეორია იკვლევს და გვასწავლის არა მარტო იმას, თუ როგორ მოხდა ისტორიულად არცოდნიდან ცოდნაზე გადასვლა, არამედ იმასაც, თუ როგორ შევიმეცნებთ სინამდვილეს, როგორია შემეცნების გზა და საფეხურები.

მარქსისტული შემეცნების თეორია გვასწავლის, რომ ობიექტური სინამდვილის შემეცნება იწყება ცოცხალი განჭვრეტით. საგნები და მოვლენები, მოქმედებენ რა ჩვენი გრძნობის ორგანოებზე, იწვევენ შეგრძნებებს. /გრძნობათა ორგანოების საშუალებით ჩვენ შევიგრძნობთ და აღვიქვამთ საგნებსა და მოვლენებს. შეგრძნებებისა და აღქმების საფუძველზე მუშავდება წარმოდგენები და ბოლოს ცნებები. ცნებების საშუალებით ჩვენ შევიმეცნებთ საგნებისა და მოვლენების არსებას. მოვლენის არსების შემეცნება არის სწორედ ამ მოვლენის შემეცნება. სანამ მოვლენის არსება არ შეგვიმეცნებია და ცოცხალი განჭვრეტის ანუ შეგრძნებების, აღქმისა და წარმოდგენის საფეხურზე ვართ, მანამდე ჩვენ გვაქვს ცოდნა ამ მოვლენის მხოლოდ გარეგნულ, ზედაპირულ თვისებებზე და ნიშნებზე. ასეთი ხასიათის ცოდნას, იმის გამო, რომ იგი შიღებულია ადამიანის ცნობიერების უშუალო კავშირით საგნებთან და

ქტიკურ მატერიალიზმს, — წერს ვ. ი. ლენინი, — «არ ესაჭიროება არავითარი ისეთი ფილოსოფია, რომელიც სხვა მეცნიერებებზე მაღლა იდგეს». წინანდელი ფილოსოფიისაგან რჩება «მოძღვრება აზროვნებასა და მის კანონებზე — ფორმალური ლოგიკა და დიალექტიკა». დიალექტიკა კი მარქსის გაგებით, აგრეთვე ჰეგელის თანახმად, შეიცავს იმას, რასაც ახლა უწოდებენ შემეცნების თეორიას, გნოსეოლოგიას, რომელმაც თავისი საგანი უნდა განიხილოს აგრეთვე ისტორიულად, შეისწავლოს და განაზოგადოს შემეცნების წარმოშობა და განვითარება, არცოდნიდან ცოდნაზე გადასვლა» (იხ. ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, მარქსი, ენგელსი, მარქსიზმი, გვ. 15—16). ე. ი. ძველი ფილოსოფიიდან დარჩა მხოლოდ აზროვნებაზე მოძღვრება—დიალექტიკა და ლოგიკა.

მოვლენებთან, უშუალო ცოდნა ეწოდება, ხოლო ცოდნის ამ საფეხურს, უშუალო ცოდნის საფეხური*.

უშუალო ცოდნის, ანუ ცოცხალი განჭვრეტის საფეხური შემეცნების პირველი საფეხურია. შემეცნების პროცესი აუცილებლად მოითხოვს ამ საფეხურს, მაგრამ იგი საკმარისი არ არის.

ობიექტური სინამდვილის შემეცნებისათვის საჭიროა კანონის შემეცნება, მოვლენათა არსების შემეცნება, იმ ზოგადის შემეცნება, რაც ახასიათებს ცალკეულ მოვლენებს. მაგრამ არსებისა და კანონის შემეცნება შეუძლებელია მხოლოდ ცოცხალი განჭვრეტით; ამისათვის საჭიროა ა ზ რ ო ვ ნ ე ბ ა. აზროვნების პროცესი უშუალო ცოდნის, ანუ შეგრძნებების, აღქმებისა და წარმოდგენების ერთგვარი გადამუშავების პროცესია. აზროვნება ეყრდნობა შეგრძნებებს, აღქმებსა და წარმოდგენებს, ადარებს მათ ერთმანეთს, გამოყოფს ამ მონაცემებში არსებითს არაარსებითისაგან. აზროვნების ამ მოქმედებას ა ბ ს ტ რ ა ქ ც ი ა ეწოდება. აბსტრაქციის პროცესის საშუალებით ჩვენ ვიჭრებით მოვლენის არსებაში და შევიცნობთ მას. რადგან არსება უშუალოდ არ გვეძლევა და მხოლოდ აბსტრაქტული აზროვნების საშუალებით შევიცნობთ მას, ამიტომ შემეცნების ამ საფეხურს გაშუალებული ცოდნის ანუ ა ბ ს ტ რ ა ქ ტ უ ლ ი აზროვნების საფეხური ეწოდება. ე. ი. შემეცნების პროცესი მიიმართება ცოცხალი განჭვრეტიდან აბსტრაქტული აზროვნებისაკენ.

(აბსტრაქტული აზროვნებით მიღებული ცოდნის სისწორე მოწმდება პ რ ა ქ ტ ი კ ა შ ი. პრაქტიკა არის როგორც გამოსავალი წყარო, ისე კრიტერიუმი ცოდნისა და საბოლოო მიზანი შემმეცნებელი სუბიექტისა) ცოცხალი განჭვრეტიდან აბსტრაქტული აზროვნებისაკენ და აქედან პრაქტიკისაკენ — ასეთია, როგორც გვასწავლის ვ. ი. ლენინი, ობიექტური სინამდვილის შემეცნების დიალექტიკური გზა.

ობიექტური სინამდვილის შემეცნების ეს რთული პროცესი მიმდინარეობს აზრების წარმოშობის, მათი კავშირის, ერთმანე-

---

* თავის მხრივ უშუალო ცოდნა გაშუალებულია კაცობრიობის მთელი ისტორიით, ცნობიერებისა და ადამიანის შრომითი საქმიანობის მთელი ისტორიით, მაგრამ ამაზე ახლა აქ არ არის მსჯელობა.

თიდან გამომდინარეობისა და ურთიერთში გადასვლის სახით. აზრთა ეს ურთიერთკავშირი, მისი ფორმები და პრინციპები შემეცნების ერთიანი პროცესის ის მომენტია, რომელსაც ფილოსოფიური მეცნიერება — ლოგიკა შეისწავლის.

შემეცნების პროცესის ამ მომენტის დახასიათება აუცილებელია დიალექტიკისა და ლოგიკის ურთიერთობის გარკვევისათვის.

2. აზროვნების გარკვეულობის კანონები

ლოგიკის მეცნიერების საგანი, მისი ამოცანა, როგორც ცნობილია, აზროვნების გარკვეულობის კანონებისა და იმ ფორმების დალაგებაა, რომლებშიც და რომელთა საშუალებით ხორციელდება სინამდვილის შემეცნების პროცესი.

აქ ჩვენთვის საკითხის მხოლოდ რამდენიმე მომენტია საინტერესო, რომელთა გაგება ერთგვარ დავას იწვევს საბჭოთა ლოგიკოსებსა და ფილოსოფოსებს შორის და საიდანაც მომდინარეობს სწორედ ლოგიკის მეცნიერების დაპირისპირება დიალექტიკისადმი.

ეს არის საკითხი აზროვნების კანონებისა და ფორმების ხასიათის, თავისებურებათა და სპეციფიკის შესახებ.

რას წარმოადგენენ აზროვნების კანონები?

მივმართოთ ლოგიკის მამამთავარს. არისტოტელე «მეტაფიზიკის» მეოთხე წიგნში განმარტავს, რომ ფილოსოფია უნდა იკვლევდეს არა მარტო არსებულს, როგორც ასეთს, მისი ნიშნებითურთ, ე. ი. საგანთა და მოვლენათა სპეციფიკურ კანონებს, არამედ მთელი სინამდვილის უზოგადეს პრინციპებსაც. ასეთი პრინციპები, რამდენადაც სინამდვილის, არსის პრინციპებია, ამდენად იგი შემეცნების პრინციპებიცაა და მას უნდა შეისწავლიდეს «პირველი ფილოსოფია». მისი საგანი უნდა იყოს ყველაზე სარწმუნო და ზოგადი საწყისები არსისა და აზრისა. ხოლო ყველაზე სარწმუნო ამ საწყისებიდან არის ის, რომ «შეუძლებელია ერთი და იგივე ახასიათებდეს (ეკუთვნოდეს) და არ ახასიათებდეს ერთსა და იმავეს ერთი და იგივე აზრით». არ შეუძლია არავის დაამტკიცოს, — განმარტავს არისტოტელე, — რომ ერთი და იგივე არსებობს და არც არსებობს, ჰე-

რაკლიტე ამას სიტყვიერად აღიარებდა, მაგრამ ვერ ამტკიცებდაო.

შეუძლებელია, რომ საწინააღმდეგო მოვლენები ერთად არსებობდნენ ერთსადაიმავე პირობებში ერთიდაიგივე აზრით; სადაც არის წინააღმდეგობა, იქ ერთი აზრი ეწინააღმდეგება მეორეს, მაშინ ცხადია, ერთსა და იგივე პიროვნებას არ შეუძლია აღიაროს, რომ ერთიდაიგივე საგანი არის და არც არის. წინააღმდეგ შემთხვევაში მას ორი საწინააღმდეგო აზრი ექნებოდა. ამ წესს ეყრდნობა ყოველგვარი დასაბუთება და ეს არის საწყისი ყველა სხვა აქსიომისათვის. ეს საწყისი არისტოტელეს აზრით იმის მოთხოვნა კი არაა მოწინააღმდეგისაგან (მოკამათისაგან), რომ მან აღიაროს რაიმეს არსებობა ან არარსებობა, არამედ ეს საწყისი იმას ნიშნავს, რომ მოკამათემ თავის სიტყვებში უნდა იგულისხმოს რაღაც გარკვეული შინაარსი, გარკვეული თავისთვისაც და სხვისთვისაც. წინააღმდეგ შემთხვევაში ასეთი ადამიანი ვერ იმსჯელებდა ვერც თავისთვის და ვერც სხვისთვის. მხოლოდ ამ პირობით არის შესაძლებელი კამათი და რაიმეს დასაბუთება[1].

თუ, მაგალითად, კამათში ვლაპარაკობთ ადამიანზე როგორც ორფეხა ცხოველზე, მაშინ ვალდებულნი ვართ სიტყვა ადამიანი მხოლოდ ამ გაგებით ვიხმაროთ. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ადამიანს სხვა ნიშანი არ ჰქონდეს. ადამიანს შეიძლება მრავალი განსაზღვრება ჰქონდეს, მაგრამ, როცა ლაპარაკია რომელიმე ერთ განსაზღვრებაზე, მაშინ არ უნდა შევცვალოთ იგი (ფარულად) სხვა განსაზღვრებით, თორემ, წინააღმდეგ შემთხვევაში, იმის გამო, რომ სიტყვას განუსაზღვრელი რაოდენობის მნიშვნელობა აქვს, ლაპარაკი შეუძლებელი იქნებოდა.

სხვადასხვა მნიშვნელობის არსებობა, — წერს არისტოტელე — ნიშნავს არცერთი მნიშვნელობის არ არსებო-

---

[1] იხ. Аристотель, Метафизика, 1934, стр. 64.

* პლატონის გადმოცემით სოკრატეს შეუძლებლად მიაჩნდა კამათის გაგრძელება იმასთან, ვინც ზუსტად არ იცავდა ცნების გარკვეულობას, და სწორედ ამიტომ იგი კამათის დაწყებამდე მოითხოვდა იმის მკაცრად დადგენას, თუ რა მნიშვნელობით იხმარდნენ ამა თუ იმ ცნებას. ცნების განსაზღვრის მოთხოვნა ერთ-ერთი არსებითი მომენტია სოკრატესთან.

ბას*. ხოლო თუ სიტყვებს არა აქვთ მნიშვნელობა, არ შეიძლება არავითარი მსჯელობა, რადგან არ შეიძლება აზროვნება, თუ არ იცი რაზე აზროვნებ. ამასთან, მთავარია არა ის, რომ გარკვეულ საგანზე მსჯელობაში ყოველთვის ერთიდაიგივე ს ი ტ ყ ვ ა ვიხმაროთ ამ საგნის განმსაზღვრელი, არამედ ის, რომ ერთიდაიგივე ს ა გ ა ნ ი ვიგულისხმოთ თუნდაც სხვადასხვა სიტყვებში.

როცა ვინმეს ეკითხებიან: ეს ადამიანია თუ არაო, მაშინ მან პირდაპირ და არაორაზროვნად უნდა უპასუხოს. მან არ უნდა თქვას, რომ ადამიანი ერთსა და იმავე დროს თეთრიცაა და მაღალიც. ადამიანი თეთრიც შეიძლება იყოს, მაღალიც და ვინ იცის კიდევ რამდენნაირი, მაგრამ როცა ლაპარაკია ამ მრავალთაგან რაიმე ერთ ნიშანზე, მაშინ ჩვენი აზრი და პასუხი მხოლოდ ამ ერთ ნიშანს უნდა ეხებოდეს. თუ მოკამათე ამ წესს არ იცავს, მაშინ ამას კამათი არ შეიძლება ეწოდოს.

ისინი, რომლებსაც წინააღმდეგობა შესაძლებლად მიაჩნიათ, არსის, სინამდვილის არსებას უარყოფენ, რადგან ამით ისინი ამტკიცებენ, რომ ყველაფერს შემთხვევითი ხასიათი აქვს. მაგალითად, ადამიანის არსება არ არის ის, რაც ნამდვილად არის, არსება სწორედ ამით განსხვავდება შემთხვევითი ნიშნისაგან. ადამიანი შეიძლება თეთრი იყოს, მაგრამ ადამიანის არსება არ უდრის თეთრს. ხოლო თუ ვერ განვასხვავებთ ამას, ხელიდან გაგვიქრება არსება. შემთხვევითი ნიშნები შეიძლება არსებობდნენ როგორც რაღაც არსების ნიშნები**.

არსება ყოველთვის გარკვეულია და ამიტომ საწინააღმდეგო დებულებები არ შეიძლება გამოითქვას ერთსა და იმავე დროს.

---

*იგულისხმება ისეთი მრავალმნიშვნელობა, როცა ყურადღება არაა აქცენტირებული რომელიმე ერთ მნიშვნელობაზე, როგორც საყრდენზე სხვა მნიშვნელობათა გააზრებისათვის.

** სუბსტანციისა და აქციდენციების დამოკიდებულების საკითხი ჩვენ ძმეამად არ გვაინტერესებს და ამიტომ მხოლოდ იმ აზრებს დავალაგებთ, რომლებიც აზროვნების კანონებს აღწერენ და ახასიათებენ.

თუ ერთსა და იმავე საგანზე სწორია ყველა საწინააღმდეგო დებულება, მაშინ ყველაფერი ერთიდაიგივე იქნება. ერთიდაიგივე იქნება გემიც, კედელიც, ადამიანიც. ასეთი აზრი კი მხოლოდ იმათთვის არის მისაღები, ვინც აღიარებს პროტაგორას რელატივიზმს.

რატომ მიდის ასეთი კაცი მეგარაში და არ რჩება სახლში ან არ ვარდება ხრამში? რატომ იჩენს იგი სიფრთხილეს და აკეთებს ერთსა და არა მეორეს? ე. ი. მისთვის ზოგიერთი რამ კარგია, ზოგიერთი ცუდი; და ერთიდაიგივე არ არის მისთვის ცუდი და კარგი. მაშასადამე, ასევე უნდა განასხვავოს მან სხვა მოვლენებიც. ადამიანი და არაადამიანი, ტკბილი და არატკბილი. მაშასადამე, ასეთი გარკვეულობა არა მარტო აზროვნების, არამედ არსებობის პირობაცაა*.

---

* ასეთივე შეცდომად აცხადებს არისტოტელე პროტაგორას თეზისს, რომელიც ჭეშმარიტად აღიარებს ყოველგვარ წარმოდგენას. თუ ჭეშმარიტია ყველაფერი, რასაც მოვიაზრებთ გონებით და რასაც წარმოვიდგენთ, ან რაც გვეჩვენება, მაშინ ყველაფერი ჭეშმარიტიც უნდა იყოს და მცდარიც.

ეს შეცდომა იქედან მომდინარეობს, რომ ერთიდაიგივე საგანმა, სუბსტრატმა შეიძლება მოგვცეს ორი საწინააღმდეგო წარმოდგენა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ერთიდაიგივე საგანი ადრე ერთნაირად იყო ორივე (საწინააღმდეგოს შემცველი). ასევე ამბობს ანაქსაგორი, რომ მატერიის ყოველ ნაწილში ყველაფერი ერთმანეთშია არეულიო. ამასვე ვხედავთ დემოკრიტესთან, რომელიც ამტკიცებს, რომ ცარიელი და სავსე ერთად გვეძლევა ყველგან, სადაც კი რაიმე ნაწილაკია სხეულისა, თუმცა, მისი აზრით, ამ ორიდან ერთი არსებულია, მეორე არარსებული.

წარმოდგენის სისწორის შეფასების ამ სიძნელის გამო ამბობდა დემოკრიტე, რომ არაფერი არ არის ჭეშმარიტი, ან, ყოველ შემთხვევაში, ჭეშმარიტი ჩვენთვის უცნობიაო.

გრძნობადი აღქმა მათ გონიერ აზროვნებად მიაჩნიათ და ამიტომ თელიან ჭეშმარიტად ყოველივე იმას, რაც გრძნობად აღქმაში ეძლევათ. ანაქსოგორა თვლიდა, რომ საგნები ისეთები არიან, როგორადაც ისინი გვეჩვენებიან.

ეს რომ სწორი იყოს, — წერს არისტოტელე, — მაშინ ჭეშმარიტების ძიება იგივე იქნებოდა, რაც ჰაერში ჩიტების დევნა.

ასეთი შეხედულების შეცდომა იმაშია, რომ რეალურ საგნებად მხოლოდ გრძნობადი აღქმის საგნებს მიიჩნევენ, ეს უკანასკნელი კი გაურკვეველობის მრავალ მომენტს შეიცავს.

«მეტაფიზიკის» მეოთხე წიგნის მეშვიდე თავში არისტოტელე ასაბუთებს იმას, რომ არაფერი არ შეიძლება არსებობდეს საწინააღმდეგო მსჯელობებს შორის. ერთსადაიმავე საგანზე რაიმე პრედიკატი ან უნდა ვამტკიცოთ ან უნდა უარვყოთ.

არისტოტელე აყალიბებს აზროვნების გარკვეულობის კანონებს. ეს კანონებია: იგივეობის, წინააღმდეგობის შეუძლებლობისა და მესამის გამორიცხულობის კანონი.

არისტოტელეს აზრით ა) ცნება იგივეობრივი უნდა იყოს თავისი თავისა; ბ) შეუძლებელია რაიმე ამტკიცო და უარყო ერთსადაიმავე დროს ერთიდაიგივე აზრით; გ) რაიმე ან უნდა ამტკიცო ან უნდა უარყო.

როგორც ზემოთ ვნახეთ, არისტოტელე ასაბუთებს, ან ყოველ შემთხვევაში ცდილობს დაასაბუთოს ეს კანონები. არისტოტელეს არგუმენტები ძალიან მოკლედ ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს:

აზროვნების პროცესში ცნებათა იგივეობის დაცვა აუცილებელია, რადგან წინააღმდეგობა ცნებებში სინამდვილის გაურკვევლობას გამოხატავდა და ასეთ შემთხვევაში შეუძლებელი იქნებოდა მისი შემეცნება, მაშინ როცა სინამდვილის შემეცნება ფაქტია, რადგან სინამდვილე გარკვეულია.

გარდა ამისა ისინი ხედავდნენ, რომ მთელი რეალური ბუნება მოძრაობაშია. ხოლო იმის მიმართ, რაც იცვლება, არაეითარი განსაზღვრა არ არის სწორი. აქედან მათ გამოუმუშავდათ შეხედულება, რომ ცვალებად სხეულზე არ შეიძლება სწორი აზრის შემუშავება.

ასეთი შეხედულების საფუძველზე წამოიჭრა უკიდურესი თვალსაზრისი ჰერაკლიტეს მიმდევრებისა, რომელსაც იცავდა კრატილიც. ეს უკანასკნელი ბოლოს იმ აზრამდე მივიდა, რომ საერთოდ ლაპარაკი არ შეიძლებაო და მხოლოდ თითს აქნევდა უარყოფის გამოსახატავად. — ამით უსაყვედურებდა ჰერაკლიტეს, რომელიც ამბობდა: არ შეიძლება ერთსადაიმავე მდინარეში ორჯერ შესვლაო.

თვითონ კრატილი კი ამ დროს ფიქრობდა, რომ ერთსადაიმავე მდინარეში შესვლა არ შეიძლება არც ერთხელ.

ასეთ მსჯელობას არისტოტელე უპირისპირებს თავის მოძღვრებას პოტენციალურ და რეალურ არსებობაზე.

სინამდვილის ცვალებადობამ არ შეიძლება წარმოშვას საწინააღმდეგო დებულებები, რადგან თუ განვასხვავებთ სივრცეში და დროში სინამდვილის ცალკეულ მომენტებს (რასაც ნიშნავს სწორედ ლაპარაკი სინამდვილის ცვალებადობაზე), მაშინ გვაქვს საფუძველი დებულებათა გარკვეულობისათვის.

საწინააღმდეგო დებულებათა მიღების საფუძველია არსისა და არარსის მიღება. საჭიროა «არსი და არარსი» შეიცვალოს არსის ორი ძირითადი ფორმით — შესაძლებლობით და სინამდვილით.

საწინააღმდეგო დებულებები შეიძლება ეყრდნობოდეს სხვადასხვა აღქმებს. მაგრამ კრიტერიუმად მხოლოდ ერთი აღქმა უნდა ავიღოთ და არა ორი.

ამასთან, შეხედულების შეცვლის მიზეზი შეიძლება იყოს სუბიექტი და არა ობიექტი («ჩვენ და არა საგანი»). ამიტომ, იმისათვის, რომ არ აღმოცენდეს საწინააღმდეგო აზრები, კამათის დასაწყისში საჭიროა შეთანხმება სახმარი ცნების ზუსტ შინაარსში, მის ზუსტ აზრში.

ხოლო ცნებათა ზუსტი განსაზღვრა შესაძლებელია, რადგან, თუ არაა სწორი არც მტკიცება, არც უარყოფა, ხოლო ჩვენ ვიცით, რომ ყველაფერი არის ან მტკიცება ან უარყოფა (რადგან ყველაფერი გარკვეულია), მაშინ ყველაფერი მცდარი ყოფილა. ისიც, რომ თითქოს, არაფერი არ შეიძლება განისაზღვროს ზუსტად.

როგორც ვხედავთ, არისტოტელე ზოგჯერ მიმართავს სიტყვიერ დასაბუთებას, მაგრამ ყველაზე მთავარი და არსებითი არგუმენტი აზროვნების გარკვეულობის პრინციპების დასასაბუთებლად — ეს არის მრავალგზის მითითება ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ი ს გ ა რ კ ვ ე უ ლ ო ბ ა ზ ე. აზრის გარკვეულობის კანონს იგი აყალიბებს არსის გარკვეულობაზე მითითებით. აზრში წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონს ასაბუთებს იმით, რომ უარყოფს რეალურ სინამდვილეში არსებულ ცოცხალ წინააღმდეგობას და აკრიტიკებს ყველა იმათ, ვინც ამ წინააღმდეგობას აღიარებდა (ჰერაკლიტე, კრატილი).

მაშასადამე, აზროვნების გარკვეულობის კანონები არისტოტელესთან ამავე დროს სინამდვილის, არსის კანონებიცაა.

აქედან მომდინარეობს მისი მერყეობა ობიექტურ და სუბიექ-ტურ დიალექტიკას შორის. არისტოტელესთან კატეგორიებიც როგორც აზრის, ასევე არსის უზოგადესი განსაზღვრებებია.

სწორედ ეს იგულისხმება, როცა ლაპარაკია არისტოტელეს მიერ ჩამოყალიბებული ლოგიკური კანონების ო ნ ტ ო ლ ო-გ ი უ რ ხასიათზე. ასე გაგებულ «ონტოლოგიზმში» სრულებით არაფერია ცუდი და მიუღებელი. მაგრამ არისტოტელესთან აზროვნების ლოგიკური კანონების ასეთი ონტოლოგიური ხა-სიათი შემდეგში, ემპირიული ბუნებისმეცნიერების განვითა-რების პერიოდში, გახდა საფუძველი ლოგიკის კანონების მ ე-ტ ა ფ ი ზ ი კ უ რ ი ი ნ ტ ე რ პ რ ე ტ ა ც ი ი ს ა. წარმოიშვა აზროვნების მეტაფიზიკური წესი, რამაც თავისი თეორიული გამოხატულება ჰპოვა სქოლასტიკის მიერ ცოცხალი შინაარ-სისაგან დაცლილ არისტოტელესეულ ლოგიკაში. არისტოტე-ლე კი, როგორც ვნახეთ, იძლევა საფუძველს ლოგიკური კანონ-ების ასეთი მეტაფიზიკური ინტერპრეტაციისათვის მის მიერ რეალური წინააღმდეგობის უარყოფით.

ლოგიკური აზროვნების კანონები მეტაფიზიკური აზროვნე-ბის კანონებად იქცნენ.

არისტოტელესეულ ლოგიკის მეცნიერებას პირველად კან-ტმა უწოდა «ფორმალური», მის მიერ შექმნილი «ტრანსცენ-დენტალური» ლოგიკისაგან განსასხვავებლად და დასაპირისპი-რებლად. კანტის აზრით ძველი ლოგიკა აზრის ცარიელი ფორ-მის ლოგიკაა, ხოლო ტრანსცენდენტალური ლოგიკა ფორმისა და შინაარსის სინთეზის ლოგიკა. ცნობილია, თუ როგორი ხა-სიათისაა ეს «სინთეზის» ლოგიკა.

ჰეგელმა წმინდა ფორმალურ, ანუ მეტაფიზიკურ ლოგიკას თავისი დიალექტიკური ლოგიკა დაუპირისპირა და აზროვნე-ბის მეტაფიზიკური მეთოდის ყველაზე საფუძვლიანი, დამა-ჯერებელი კრიტიკა მოგვცა, თუმცა საბოლოოდ მაინც ვერ დაძლია იგი მისი იდეალიზმის გამო.

მეტაფიზიკური აზროვნების მეთოდს ნამდვილად გამოაცა-ლა საფუძველი ბუნებისმეცნიერების მძლავრმა განვითარებამ და ახალმა, მარქსისტულმა ფილოსოფიამ, რომელმაც შეით-

ვისა და განაზოგადა ბუნებისმეცნიერების განვითარების შედეგები.

მარქსიზმის კლასიკოსები მათ მიერ ჩამოყალიბებულ და მეცნიერებათა ისტორიის მიერ გამართლებულ დიალექტიკურ მეთოდს უპირისპირებდნენ მეტაფიზიკურ მეთოდს და მეტაფიზიკური აზროვნების ლოგიკურ თეორიას.

სანამ ლოგიკის მეცნიერება გაგებული იყო როგორც მეტაფიზიკური აზროვნების თეორია, არ შეიძლებოდა მისთვის არ დაეპირისპირებინათ არამეტაფიზიკური, ე. ი. დიალექტიკური აზროვნების თეორია*.

სხვაგვარად არც შეიძლებოდა, რადგან ფორმალური ლოგიკა, თუ მას შემეცნების მეთოდად მივიჩნევთ — იგივეა, რაც აზროვნების მეტაფიზიკური მეთოდი. მარქსიზმის კლასიკოსები აღნიშნავდნენ ამ მეთოდის შეზღუდულობას. მაგრამ ამით ისინი კი არ აკანონებდნენ ლოგიკის მეტაფიზიკურ ინტერპრეტაციას, არამედ აღნიშნავდნენ მხოლოდ ფაქტს. ისინი არ აიგივებდნენ ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ ა დ ლოგიკის მეცნიერებასა და მეტაფიზიკას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ არისტოტელეს მიერ ჩამოყალიბებული ლოგიკის მეცნიერების ნამდვილი განვითარების გზა არის არა აზროვნების მეთოდად მისი გადაქცევის გზა (რაც მეტაფიზიკური აზროვნების მეთოდს გვაძლევს), არამედ აზროვნების სპეციფიკური ფორმებისა და კანონების შესახებ კონკრეტულ მეცნიერებად აღიარებისა და განვითარების გზა. სწორედ ამიტომ ამბობდნენ ისინი, რომ ძველი ფილოსოფიიდან ფორმალური ლოგიკა რჩება და ინარჩუნებს არსებობას, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერებაო.

მარქსიზმის კლასიკოსები ფორმალური ლოგიკის კრიტიკით, არსებითად აკრიტიკებდნენ მისი კანონების მეტაფიზიკურ ინტერპრეტაციას. მაგრამ მისი შინაარსის ასეთი არასწორი ინტერპრეტაციის ფაქტის გამო არ თვლიდნენ მას სისულელედ და მიუთითებდნენ კიდეც მისი სწავლების აუცილებლობაზე. შეიძლება უამრავი მაგალითის მოყვანა, თუ როგორ ამ-

---

* მარქსიზმის კლასიკოსთა შრომებში ბევრგან არის ასახული ეს დაპირისპირება, რასაც დაწერილებით შემდეგ განვიხილავთ.

ეღავნებდნენ მარქსიზმის კლასიკოსები თავიანთ მოწინააღმ-
დეგეთა აზრებში ლოგიკურ შეცდომებს და დასცინოდნენ მათ
ამის გამო.

მაშასადამე, ფორმალური ლოგიკის შინაარსის მეტაფიზიკუ-
რი ინტერპრეტაცია მისი არასწორი ინტერპრეტაციაა.

როგორი უნდა იყოს ლოგიკის შინაარსის სწორი ინტერ-
პრეტაცია? უპირველეს ყოვლისა, საქმე ეხება აზროვნების
ლოგიკური კანონების სწორ გაგებას.

ლოგიკური აზროვნების არცერთი კანონი არ ეწინააღმდე-
გება დიალექტიკის კანონებს.

1. ი გ ი ვ ე ო ბ ი ს ლ ო გ ი კ უ რ ი კ ა ნ ო ნ ი იმას კი არ
ამტკიცებს, რომ ობიექტური სინამდვილის მოვლენები, პრო-
ცესები უცვლელნი, იგივეობრივნი არიან, როგორც ამას ამ-
ტკიცებს იგივეობის მეტაფიზიკური კანონი.

. იგივეობის ლოგიკური კანონი არც იმას უარყოფს, რომ
ჩვენი ცნებებიც, ჩვენი აზრებიც ობიექტური სინამდვილის
შესახებ მუდმივ ცვლილებებსა და განვითარებას განიცდიან,
რომ ჩვენ შემეცნების პროცესში უფრო ღრმად ვიჭრებით მოვ-
ლენის არსებაში და მის ცნებას ვაზუსტებთ, ვაკონკრეტებთ,
ვანვითარებთ.

იგივეობის კანონი მოვლენათა გარკვეულობას ასახავს და
ამ კანონიდან გამომდინარე აზროვნების წესი მხოლოდ იმას
მოითხოვს, რომ როცა ვლაპარაკობთ ამა თუ იმ ცნების დაკონ-
კრეტებაზე, გაღრმავებაზე, განვითარებაზე, ცვლილებაზე, მა-
შინ ეს ცნება შეგნებულად ან შეუგნებლად არ შეგვეცვალოს
სრულიად სხვა ცნებით. უნდა ვილაპარაკოთ ამა და ამ გარკვე-
ული ცნების განსაზღვრების შემდგომ დაზუსტებაზე და არა
სხვა ცნების შესახებ. მოვლენების არსების შემეცნების პრო-
ცესში გამორიცხული არაა შესაძლებლობა, რომ ერთი ცნება
გადავიდეს მეორე ცნებაში, უფრო ზოგად ან უფრო ღრმა,
კონკრეტულ, საპირისპირო ან დაქვემდებარებულ და ა. შ.
ცნებებში. აზროვნების ლოგიკური კანონი არც ამას უარყოფს.
პირიქით, იგი იმას მოითხოვს, რომ აღინიშნოს ცნებათა ეს გა-
ღასვლა, გარდაქმნა, აღინიშნოს ის ფაქტი, რომ დავიწყეთ
ერთი ცნებით და მივიღეთ სხვა ცნება.

როგორც ვხედავთ, იგი მხოლოდ გარკვეულობის მომენტის დაცვას მოითხოვს. ცნებების გარდაქმნა შემეცნების პროცესში დიალექტიკური აზროვნების კანონებს ექვემდებარება. აზროვნების იგივეობის კანონი აქაც მუდამ ძალაშია, როგორც ამ ცნებათა გარკვეული გარდაქმნის, ანუ გარდაქმნის გარკვეულობის ამსახველი მომენტი.

2. წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ო ბ ი ს შ ე უ ძ ლ ე ბ ლ ო ბ ი ს ლ ო გ ი კ უ რ ი კ ა ნ ო ნ ი იმას კი არ ამტკიცებს, რომ რეალურ სინამდვილეში წინააღმდეგობა არ არსებობს, რომ, მაგალითად, მოძრაობა ან სიცოცხლე არ არის რეალური წინააღმდეგობის განსახიერება, როგორც ამას თვლიდა წინააღმდეგობის შეუძლებლობის მეტაფიზიკური კანონი, არამედ მხოლოდ იმას, რომ, როცა ჩვენ გარკვეულ კონკრეტულ მომენტში გარკვეული კონკრეტული აზრით ვთქვით, რომ მოძრაობა და სიცოცხლე რეალური წინააღმდეგობის ცოცხალი განსახიერებაა, იმავე დროს, იმავე კონკრეტული აზრით არ უნდა ვთქვათ ამის საწინააღმდეგო, ე. ი. არ უნდა ვთქვათ, რომ მოძრაობა და სიცოცხლე არ წარმოადგენენ წინააღმდეგობის ცოცხალ განსახიერებას.

ეს კანონი არც იმას უარყოფს, რომ წინააღმდეგობა არსებობს არა მარტო ბუნებასა და საზოგადოებაში, არამედ აზროვნებაში. წინააღმდეგობრივია აზროვნების ისტორიული განვითარების პროცესი, ასევე შემეცნების პროცესი. ეს კანონი არც იმას უარყოფს, რომ ორი საპირისპირო აზრი შეიძლება არსებობდეს. ამ კანონიდან გამომდინარე ნორმატიული წესი მხოლოდ იმას მოითხოვს, რომ თუ ვლაპარაკობთ წინააღმდეგობის არსებობაზე აზროვნებაში, მაშინ იმავე დროს და იმავე აზრით არ უნდა ვილაპარაკოთ წინააღმდეგობის შეუძლებლობაზე აზროვნებაში.

3. მ ე ს ა მ ი ს გ ა მ ო რ ი ც ხ ვ ი ს კ ა ნ ო ნ ი (მისგან გამომდინარე აზროვნების ნორმატიული წესი) იმას არ მოითხოვს, რომ, მაგალითად, კაცი ან მაღალი იყოს და ან დაბალი, ან ბრძენი იყოს ან დილეტანტი, ჭეშმარიტება ან შეფარდებითი იყოს ან აბსოლუტური. ამ კანონის მოთხოვნა შემდეგში მდგომარეობს:

როცა დიალექტიკოსი ამტკიცებს, რომ ობიექტურ დიალექტიკაში შეფარდებითია განსხვავებაც შეფარდებითსა და აბსოლუტურ ჭეშმარიტებას შორის ანუ, რაც იგივეა, ობიექტური დიალექტიკისათვის შეფარდებითშიც არის აბსოლუტური, ხოლო სუბიექტივისტი კი ამტკიცებს, რომ შეფარდებითი მხოლოდ შეფარდებითია და გამორიცხავს აბსოლუტურს, — ასეთ შემთხვევაში ან ერთი თვალსაზრისია სწორი ან მეორე, — მესამე გამორიცხულია.

უფრო მარტივად, როცა დიალექტიკოსი ამტკიცებს, რომ ობიექტური სინამდვილე მუდმივ განვითარებაშია, ხოლო მეტაფიზიკოსი ამას უარყოფს, — არ შეიძლება ორივე სწორი იყოს ერთსა და იმავე დროს (წინააღმდეგობის შეუძლებლობა), ე. ი. ან ერთი უნდა იყოს სწორი ან მეორე, მესამე გამორიცხულია.

როცა მეტაფიზიკოსი თვლის, რომ ფორმულა «ან-ან!» აბსოლუტურად გამოსადეგია ყოველი მოვლენის მიმართ ყოველგვარ პირობებში, ხოლო დიალექტიკოსი უპასუხებს, რომ ფორმულა «ან-ან!» მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევაშია გამოსადეგი, ხოლო სხვა შემთხვევებში, საგნის ბუნებისდამიხედვით, გამოსადეგია სხვა ფორმულები: «როგორც ეს — ისე ის!» ან «არც ეს — არც ის — მესამე!», ასეთ შემთხვევაში ან ერთი კონცეფციაა სწორი ან მეორე, მესამე არ არსებობს.

4. საკმაო საფუძვლის კანონი შეიძლება ითქვას მთელი ლოგიკის არსებას გამოხატავს*. იგი მოითხოვს, რომ აზროვნების პროცესში ყოველი დებულება ჭეშმარიტი, სწო-

---

* შეიძლება სწორედ ამით აიხსნება ის, რომ არისტოტელემ იგი არ ჩამოაყალიბა აზროვნების კანონად, ხოლო ამ კანონში ასახულ მდგომარეობას რომ ითვალისწინებს არისტოტელე, ეს აშკარად ჩანს «ანალიტიკაში». მოთხოვნა იმისა, რომ ყოველ დებულებას ჰქონდეს თავისი საფუძველი — სხვას არაფერს ნიშნავს. არისტოტელესთან კი, როგორც ვიცით, მთელ ცოდნას (და არა მარტო ცოდნას) მივყევართ პირველ საწყისამდე, რომელსაც გარეშე დასაბუთება აღარ ესაჭიროება. ლოგიკაში ეს ივიდენობის უცხადესი დებულებაა. სხვაგან — პირველი მამოძრავებელი, უსია, სუბსტანცია და სხვა. მთელი ცოდნის და არსის პირველი უცხადესი დებულებიდან გამოყვანის პრინციპი. ან ჩანასახი «კარგად» იქნა რეალიზებული შემდეგ, ფიხტეს იდეალისტურ ფილოსოფიაში

რი, დასაბუთებული იყოს. ჭეშმარიტების მომენტი აქ იმდენად აუცილებელია, რომ სხვაგვარად ამ კანონს ყოველგვარი აზრი ეკარგება.

ლოგიკაში ცნობილია აზროვნების ერთ-ერთი ფორმა, რომელსაც ენთიმემა ეწოდება. იგი იმაში მდგომარეობს, რომ ზოგჯერ, როგორც ყოველდღიური, ისე მეცნიერული აზროვნების პროცესში, აზრთა ლოგიკური მსვლელობისათვის საკმალდებულო არაა ყოველი აზრი გამოვთქვათ. ზოგჯერ აზრებს ვგულისხმობთ (სულში — ἐν διανοίᾳ) და ისე ვაკეთებთ დასკვნებს. ჩვენს აზროვნებას ხშირად პოლისილოგიზმის სახე აქვს, ენთიმემური პოლისილოგიზმის სახე. მაგრამ ასეთი გულისხმობა შეიძლება მხოლოდ ჭეშმარიტი აზრის, ყველასათვის ცხადი, ყველასათვის ნაცნობი, სწორი აზრის და არა მცდარი ან ნებისმიერი აზრის. წინააღმდეგ შემთხვევაში ვერასოდეს ვერ აღვნიშნავდით ვინმეს მსჯელობაში ლოგიკურ შეცდომებს, რადგან იგი გვეტყოდა: ეს «სულელური» დასკვნა აბ პრემისებიდან გამომდინარეობს იმიტომ, რომ მე გარდა ამ პრემისებისა ვგულისხმობ ამა და ამ «არასწორ» დებულებასო.

სწორედ ამიტომ მოითხოვს ლოგიკა ამა თუ იმ აზრის დასაბუთებისათვის პრემისების ჭეშმარიტებას, წინააღმდეგ შემთხვევაში, ენთიმემური აზროვნების ფორმა შეუძლებელი იქნებოდა, მაშინ როცა აზროვნების ეს ფორმა ათასეული წლობით არის დამკვიდრებული ადამიანის აზროვნებაში. ფაქტიურად ჩვენ ყოველთვის მხოლოდ ჭეშმარიტ აზრს ვგულისხმობთ, ან ისეთ აზრს, რომელიც ჭეშმარიტად მიგვაჩნია. საკმაო საფუძველის კანონი იმას მოითხოვს, რომ ყოველი ჩვენი დებულება, ყოველი აზრი სწორი იყოს, ჭეშმარიტი იყოს, დასაბუთებული იყოს, ლოგიკურად გამომდინარეობდეს სწორი აზრებიდან*.

---

* ეს იმას არ ნიშნავს, რომ გავამართლოთ აზრთა ჭეშმარიტებისა და აზრთა თანმიმდევრულობის აბსოლუტური გაიგივების ვულგარული თვალსაზრისი ლოგიკაში. ასეთი გაიგივების ტენდენცია არსებითად ჰეგელიდან მომდინარეობს და სავსებით შეესატყვისება მისი ფილოსოფიის გამოსავალ იდეალისტურ პრინციპს. ლოგიკის სრულ უცოდინარობას ამეღავნებს ის, ვინც ვერ ხედავს ვერავითარ განსხვავებას აზრთა ჭეშმარიტებასა და აზრთა

ასეთია აზროვნების ლოგიკური კანონების მარქსისტული, დიალექტიკური ინტერპრეტაცია, წინააღმდეგ მათი მეტაფიზიკური ინტერპრეტაციისა.

გარდა აზროვნების ლოგიკური კანონებისა, როგორც ვიცით, ლოგიკის შინაარსს შეადგენს მოძღვრება აზროვნების ფორმებზე, ცნებებზე, მსჯელობებზე, დასკვნებზე.

აზროვნების ისტორიაში წარმოშობილა, «დაგროვილა» ცნების, მსჯელობისა და დასკვნის უამრავი ფორმები. ლოგიკის ამოცანაა განმარტოს ეს ფორმები და მოგვცეს მათი სწორი მეცნიერული კლასიფიკაცია.

ლოგიკის მეცნიერების ამ ნაწილის არასწორი ინტერპრეტაცია თავისი შედეგებით და ხასიათით, არსებითად განსხვავდება აზროვნების ლოგიკური კანონების ჩვენს მიერ განხილული არასწორი ინტერპრეტაციისაგან.

საქმე იმაშია, რომ აზროვნების ლოგიკური კანონების არასწორი ინტერპრეტაცია (ჩვენს მიერ განხილული შემთხვევები) იძლევა მეტაფიზიკური აზროვნების წესს, მეტაფიზიკურ

გამომდინარეობას შორის. ლაპარაკია ჭეშმარიტებასა და სისწორეს შორის განსხვავებაზე ლოგიკაში. უხერხულობას იწვევს აქ მხოლოდ ტერმინების არასწორი შერჩევა. «სწორი» და «ჭეშმარიტი» არაფრით არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, მაგრამ ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ის ცნებები, რომელთა გამოხატვაც სურთ ამ ტერმინებით. კერძოდ, აზრის თანხმობა საგანთან, რასაც აღნიშნავენ «ჭეშმარიტებით», და აზრის თანხმობა აზრთან, რასაც აღნიშნავენ «სისწორით».

როცა აზრი ეთანხმება საგანს, მაშინ ჭეშმარიტებასთან გვაქვს საქმე, მაგრამ როცა აზრი ეთანხმება სხვა აზრს, მაშინ საკითხი ღიად რჩება და ჭეშმარიტება იმაზეა დამოკიდებული ეთანხმება თუ არა საგანს ის სხვა აზრი. მაგრამ რადგან სალაპარაკო ენაში და მეცნიერულ ტერმინოლოგიაშიც «სწორი» და «ჭეშმარიტი» ერთნაირი მნიშვნელობით იხმარებიან, ამიტომ «სისწორის» მაგიერ უნდა იხმარებოდეს «გამომდინარეობა», «თანმიმდევრულობა» ან რაიმე სხვა.

მარქსიზმის კლასიკოსთა შრომებიდან შეიძლება არაერთი მაგალითის მოყვანა, თუ როგორ ანსხვავებდნენ ისინი ჭეშმარიტებასა და «სისწორეს». ცნობილია, მაგალითად, ლენინის გამოთქმა: «ფორმალურად სწორია, ფაქტიურად კი სისულელე», ან კიდევ მარქსის გამოთქმა: «შეხედულება თანმიმდევრულია, მაგრამ მცდარი».

მსოფლმხედველობას. ხოლო ცნების, მსჯელობისა და დასკვნის ფორმების არასწორი ინტერპრეტაცია მეტაფიზიკური აზროვნების მეთოდს კი არ იძლევა, არამედ უბრალოდ ამ საგნის შესახებ არამეცნიერულ მოძღვრებას. ლოგიკის ისტორიაში ასეთი არასწორი ინტერპრეტაცია გაცილებით მეტია ცნობილი, ვიდრე სწორი ინტერპრეტაცია. მხოლოდ მარქსისტული შემეცნების თეორიის საფუძველზეა შესაძლებელი ლოგიკის ამ ფორმათა სწორი ინტერპრეტაცია და მეცნიერული გამოკვლევა-დაჯგუფება. მხოლოდ მარქსისტული მსოფლმხედველობა ხდის გასაგებს აზროვნების ლოგიკურ ფორმათა ნამდვილ ბუნებას, თვით აზროვნების ლოგიკურ კანონთა ნამდვილ ბუნებას.

საკითხი ეხება იმას, თუ რას წარმოადგენენ აზროვნების ეს ფორმები და კანონები. ე. ი. საკმარისი არაა სწორად განვმარტოთ მათი შინაარსი, ასევე სწორად უნდა გვესმოდეს მათი წარმოშობის ხასიათი და ბუნება.

იდეალიზმი, მაგალითად, თვლის, რომ აზროვნების ფორმები და კანონები, როგორც წმინდა აზრის კანონები, აპრიორული ხასიათის არიან.

მატერიალიზმი თვლის, რომ ეს ფორმები და კანონები არ არიან აპრიორული ხასიათის, ისინი არ არიან საერთოდ «წმინდა აზრის» კანონები, არამედ გარკვეული ობიექტური საფუძველი აქვთ, ისინი ობიექტური სინამდვილის გარკვეულ თავისებურებას ან მომენტს ასახავენ.

მეტაფიზიკური მსოფლმხედველობისათვის სულ ერთია, როგორი იქნება ამ ფორმების კლასიფიკაცია, და საერთოდ იგი დაკმაყოფილდება ამ ფორმების უბრალო ჩამოთვლით.

დიალექტიკური მსოფლმხედველობა კი მოითხოვს ეს ფორმები ისე დავაჯგუფოთ, რომ დაჯგუფების წესში მათი ისტორიული ჩამოყალიბების კანონზომიერებაც ავსახოთ, ან ყოველ შემთხვევაში, რაიმეგვარად ასახოს ლოგიკურმა ისტორიული.

ლოგიკის მეცნიერების საგნის — აზროვნების ფორმებისა და კანონების დახასიათებისათვის საინტერესოა ენგელსისა და ლენინის ზოგიერთი დებულების დეტალური განხილვა.

ფ. ენგელსი ფორმალური ლოგიკის შესახებ

«ბუნების დიალექტიკაში» ფ. ენგელსი წერს:

1. «ურთიერთ გამაძევებელი ჰიპოთეზების რიცხვი და ცვლა, ბუნების მკვლევართა ნაკლოვანი ლოგიკური და დიალექტიკური* მომზადების გამო, ადვილად ბადებს წარმოდგენას იმის შესახებ, თითქოს ჩვენ არ შეგვეძლოს ნივთთა ა რ ს ე ბ ი ს შემეცნება (ჰალერი და გოეთე). ეს მარტო ბუნებისმეცნიერებისათვის როდია დამახასიათებელი, ვინაიდან მთელი ადამიანური შემეცნება მრავალგზის დახლართული მრუდით ვითარდება, და თეორიები ერთმანეთს დევნიან ისტორიის დისციპლინებშიც — ფილოსოფიის ჩათვლით, — მაგრამ რის გამოც, აქედან, მაგალითად, არავინ არ დაასკვნის, რომ ფორმალური ლოგიკა უაზრობაა»[1]. დავას იწვევს, თუ როგორ გავშალოთ ენგელსის ეს ენთიმემა.

ეს ადგილი, უწინარეს ყოვლისა, ასე შეიძლება გავიგოთ: თეორიები ერთმანეთს დევნიან ცოდნის ყოველ დარგში, ფილოსოფიაშიც, ე. ი. აზროვნების შესახებ მოძღვრებაში. მაგრამ თუ ასეთი აზრთა მერყეობაა აზროვნების ფორმებისა და კანონების შესახებ მეცნიერებაში, მაშინ ლოგიკოსებს რომ ბუნებისმკვლევართა მსგავსად სუსტი თეორიული (ლოგიკური და დიალექტიკური) მომზადება ჰქონდეთ, ისინიც დაასკვნიდნენ: შეუძლებელია აზროვნების ფორმებისა და კანონების, აზროვნების არსების შემეცნება, ლოგიკის მონაცემები სარწმუნო არაა და, მაშასადამე, იგი უაზრობაა.

---

* ყურადღების ღირსია აქ განსხვავება ლოგიკურსა და დიალექტიკურს შორის. «და» აქ ესათუოდ განსხვავების მომენტს უნდა ასახავდეს. ზოგჯერ «და» განსხვავებულთა ერთიანობაზე მიუთითებს. ამ შემთხვევაშიც ენგელსის აზრით განსხვავებულთა ერთიანობასთან უნდა გვქონდეს საქმე. ენგელსთან ლოგიკურსა და დიალექტიკურს შორის ელემენტარულ განსხვავებასაც კი ჩვენთვის პრინციპული მნიშვნელობა აქვს. აქ ლოგიკური და დიალექტიკური იმავე აზრითაა განსხვავებული, რა აზრითაც ანსხვავებს ენგელსი მათ სხვაგან, როცა ლაპარაკობს ფორმალურ ლოგიკაზე და დიალექტიკაზე.

[1] ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 248.

ასეთი გაგების სისწორეს ადასტურებს ენგელსის მითითება «ანტი-დიურინგიდან» იმის შესახებ, რომ «აზროვნების კანონების თეორია არასგზით არაა ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი «სამარადისო ჭეშმარიტება», როგორც ეს ფილისტერის გონებას წარმოუდგენია სიტყვა «ლოგიკის» გაგონებაზე. თვით ფორმალური ლოგიკა, არისტოტელედან დაწყებული დღემდე, ცხარე კამათის ასპარეზად რჩება»[1]. ე. ი. ენგელსის აზრით, ლოგიკის ისტორიაში აზრთა ასეთი ბრძოლისა და კამათის მიუხედავად (შეიძლება უფრო მეტიც, სწორედ იმიტომ, რომ ასეთი აზრთა ბრძოლაა), ლოგიკის მონაცემები პრინციპულად სარწმუნოა, მათ გარკვეული მნიშვნელობა აქვთ, ეს საყოველთაოდ აღიარებულია და ამიტომ არავინ არ დაასკვნის, რომ ფორმალური ლოგიკა უაზრობაა*.

ფორმალური ლოგიკის მნიშვნელობაზე მითითება ენგელსთან სავსებით გასაგებია, რადგან მან კარგად იცის, რომ შემეცნების განვითარების «მრავალგზის დახლართული მრუდი» და ცოდნის ყოველ დარგში თეორიების ურთიერთცვლა არსებითად ეხება შემეცნების შინაარსს და არა აზროვნების ლოგიკურ ფორმებს, რომლებშიც ხდება ამ ჰიპო-

---

[1] ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი გვ. 394. ასეთივე აზრი გამოთქმული აქვს ფ. ენგელსს «ანტი-დიურინგის» მე-107 გვერდზე: «მრავალი წიგნი, რომელიც ლოგიკაზე დაწერილა და კიდევ დაიწერება, საკმაოდ ამტკიცებს, რომ აქაც უკანასკნელი ინსტანციის საბოლოო ჭეშმარიტებანი ნაკლებ უზვადაა გაბნეული, ვიდრე ზოგიერთს ჰგონია».

* მაგრამ ფ. ენგელსის «ბუნების დიალექტიკიდან» ზემომოყვანილი ადგილის სხვაგვარი ინტერპრეტაციაც შეიძლება. კერძოდ, ამ ადგილიდან შეიძლება ამოვიკითხოთ ენგელსის შეხედულება ფორმალურ ლოგიკაზე, როგორც აზროვნების ისეთ თეორიაზე, რომელიც იგივეობის, უცვლელობის პრინციპს ემყარება, როგორც მეტაფიზიკური აზროვნების გამომხატველ ლოგიკურ თეორიაზე, მაგრამ რომელსაც მაინც გარკვეული მნიშვნელობა აქვს და ამიტომაც არავინ არ აცხადებს მას უაზრობად.

თეზებისა და თეორიების ჩამოყალიბება* და რომელ ფორმებსაც ფორმალური ლოგიკა შეისწავლის. ინგრევიან და იცვლებიან ჰიპოთეზები და თეორიები, მაგრამ არ ინგრევა და არ იცვლება აზროვნების გარკვეულობის პრინციპები; აზრთა ბრძოლა ამ პრინციპების, კანონებისა და ფორმების გაგებისა და დალაგების საკითხში არათუ ზედმეტსა და უაზროს ხდის ფორმალურ ლოგიკას, არამედ პირიქით, უფრო მეტად საჭიროსა და აუცილებელს. მაშასადამე, ამ ფრაგმენტში ენგელსი გარკვევით ამტკიცებს, რომ ფორმალური ლოგიკა (როგორც ლოგიკა და არა როგორც მეტაფიზიკა) არ არის უაზრობა.

* * *

2. «გ ა ნ ს ჯ ა დ ა გ ო ნ ე ბ ა». ამ ჰეგელისეულ განსხვავებას, რომლის თანახმადაც მხოლოდ დიალექტიკური აზროვნება არის გონივრული, გარკვეული აზრი აქვს. ჩვენ ცხოველებთან საერთო გვაქვს განსჯის მოქმედების ყველა სახეობანი: ი ნ დ უ ც ი რ ე ბ ა, დ ე დ უ ც ი რ ე ბ ა, მაშასადამე, აგრეთვე ა ბ ს ტ რ ა ჰ ი რ ე ბ ა (დიდოს გვარეობითი ცნებები: ოთხფეხნი და ორფეხნი), უცნობ საგანთა ა ნ ა ლ ი ზ ი რ ე ბ ა (კაკლის გატეხვა უკვე ანალიზის დაწყებაა), ს ი ნ თ ე ზ ი რ ე ბ ა (ცხოველთა ეშმაკური ფანდების შემთხვევებში), ხოლო ორივეს გაერთიანების სახით ე ქ ს პ ე რ ი მ ე ნ ტ ი რ ე ბ ა (ახალ დაბრკოლებასა და უცხო მდგომარეობაში). ტიპისდა კვალობაზე ყველა ეს მეთოდი, მაშასადამე, მეცნიერული კვლევის ყველა საშუალება, რომელთაც ჩვეულებრივი ლოგიკა აღიარებს, სრულიად ერთნაირი აქვთ ადამიანსა და უმაღლესი გვარეობის ცხოველებს. მხოლოდ (სათანადო მეთოდის განვითარების) ხარისხის მიხედვით განსხვავდებიან ისინი. მეთოდის ძირითადი ნიშნები ერთნაირია და ერთსადაიმავე შედეგებამდე მივყევართ ადამიანსა და ცხოველში, სანამ ორივე მხოლოდ ამ ელემენტარული მეთოდებით მოქმედებენ ან კმაყოფილდებიან. პირიქით, დიალექტიკური აზროვნება, — სწორედ იმიტომ, რომ მას თვით

---

* აქ უმჯობესია ვიხმაროთ სიტყვა «თეორიები», რადგან «ჰიპოთეზი» თვითონ ერთგვარი ფორმაა მეცნიერული აზრის განვითარებისა, რასაც სწორედ ისევ ლოგიკა შეისწავლის.

ცნებათა ბუნების გამოკვლევა აქვს წანამძღვრად, — მხოლოდ ადამიანს შეუძლია და ამასაც განვითარების მხოლოდ შედარებით მაღალ საფეხურზე (ბუდისტები და ბერძნები), და თავის სრულ განვითარებას მხოლოდ გაცილებით გვიან აღწევს თანამედროვე ფილოსოფიაში, — და მიუხედავად ამისა კოლოსალური შედეგები ჰქონდათ ჯერ კიდევ ბერძნებს, რომელთაც ბევრად დაასწრეს კვლევას!»[1].

ა) აქ გამოთქმულია აზრი იმის შესახებ, რომ უმაღლესი გვარეობის ცხოველებსაც აქვთ (განსჯისეული) აზროვნების ჩანასახები და ამ ჩანასახებში უკვე მოცემულია მეცნიერული კვლევის ყველა საშუალება, ყველა მეთოდი, რომელთაც ჩვეულებრივი ლოგიკა იცნობს. მაშასადამე, აზროვნების ამ ფორმების ჩამოყალიბების, შექმნის ისტორია უნდა ვეძებოთ არა ადამიანის ჩამოყალიბების შემდეგ, არამედ უფრო უკან, უფრო ადრე; ჯერ კიდევ ცხოველებს აქვთ განვითარების მეტ-ნაკლები ხარისხით ეს ფორმებიო*.

ეს იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ადამიანური აზროვნება, ჯ ე რ-ე რ თ ი, იმთავითვე გულისხმობს ყველა ამ ფორმის არსებობას, ე. ი. თითქოს გამორიცხული უნდა იყოს ამ ფორმების ჩამოყალიბება და შემუშავება მეცნიერებათა ისტორიაში (სადაც შეიძლება ვეძებოთ ამ ფორმათა განვითარების მხოლოდ ხარისხები). ისინი უკვე შექმნილნი არიან ადამიანური აზროვნების გარიჟრაჟზე და უფრო ადრეც, ცხოველური (განსჯისეული) აზროვნების საფეხურზე. მაშასადამე, აზროვნების დახასიათებისათვის ყველა ეს ფორმა აუცილებელია. შ ე მ დ ე გ, ადამიანის აზროვნების სპეციფიკას სრულებითაც არ უნდა შეადგენდეს ეს ელემენტარული (განსჯისეული) ფორმები. ადამიანის აზროვნების სპეციფიკას წარმოადგენს მხოლოდ დიალექტიკური აზროვნება, გონება. ე. ი. ენგელსის მიხედვით გამოდის, რომ დიალექ-

---

[1] ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 228.

* ლადიგინა-კოტსისა და სხვების გამოკვლევებში ექსპერიმენტალურად დასაბუთებულია, რომ უმაღლესი გვარეობის ცხოველებში ადგილი აქვს აზროვნების ჩანასახოვან ელემენტებს (იხ. Т. Павлов, Теория отражения, 1949, стр. XII).

ტიკური აზროვნება თავის ისტორიას ფაქტიურად იწყებს არა უშუალოდ ობიექტური დიალექტიკის გაცნობიერებით, არამედ გაცილებით უფრო ადრე, თვით ცოდნის (ცნების) ბუნების გარკვევით, ე. ი. ზოგადის გაგებით (ბუდისტები და ბერძნები, უფრო ადრე — ჩინელები).

აქედან ის გამომდინარეობს, რომ ადამიანური აზროვნება საერთოდ დიალექტიკური აზროვნებაა. მაშ, როგორღა არსებობენ მეტაფიზიკურად მოაზროვნე ადამიანები, მეტაფიზიკოსი მეცნიერები? როგორ უნდა აიხსნას საერთოდ მეტაფიზიკური აზროვნების ფაქტი? ხომ არა გვაქვს აქ «დიალექტიკური აზროვნების» რამდენადმე სხვაგვარი გაგება?

ასეთია ამ ფრაგმენტის გაგების სიძნელე.

ბ) აზროვნების ფორმების, მეთოდების ძირითადი ნიშნები, წერს ფ. ენგელსი, ერთნაირია და ერთსადაიმავე შედეგამდე მივყევართ ადამიანსა და ცხოველებში, სანამ ორივე მხოლოდ ამ ელემენტარული მეთოდებით მოქმედებენ ან კმაყოფილდებიან. აქ სიტყვა «კმაყოფილდებიან» (რომელიც, რა თქმა უნდა, მხოლოდ ადამიანებს ეხება) იმას ნიშნავს, რომ ადამიანს შეუძლია არ დაკმაყოფილდეს ამ ელემენტარული მეთოდებით. მაგრამ რა შეიძლება უპირისპირდებოდეს ენგელსის აზრით ამ «ელემენტარულ» მეთოდებს? აქვს თუ არა დიალექტიკურ აზროვნებას (გონებას) სხვა ფორმები, სხვა მეთოდები, განსხვავებით ამ «ელემენტარული» ლოგიკური ფორმებისაგან? რას შეიძლება გულისხმობდეს ენგელსი აზროვნების არაელემენტარულ მეთოდებსა და ფორმებში? ამაზე ერთგვარ პასუხს გვაძლევს ენგელსის სხვა ფრაგმენტი:

«აზრის განსჯისეული განსაზღვრებების ურთიერთდაპირისპირებულობა: პ ო ლ ა რ ი ზ ა ც ი ა. მსგავსად იმისა, როგორც ელექტრობის, მაგნეტიზმისა და ა. შ.. პოლარიზაცია ხდება და დაპირისპირებულობათა გზით მოძრაობენ, ასევე აზრებიც. ისე როგორც იქ არ შეიძლება ერთი რომელიმე ცალმხრივობის შენარჩუნება, რაზეც არც ერთი ბუნების მკვლევარი არ ფიქრობს, ასევეა აქაც»[1].

მაშასადამე, აზროვნების დიალექტიკური ფორმა, წესი

---

[1] ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 217.

არსებითად სხვა არაფერია, თუ არა აზრის განსჯისეული განსაზღვრებების, უფრო ზოგადი მნიშვნელობით, აზროვნების ელემენტარული (განსჯისეული) ფორმებისა და კატეგორიების აბსოლუტურობის მოხსნა, მათი შეფარდებითობის გამოცხადება მათი ურთიერთდაპირისპირებულობით, პოლარიზაციით. ასე, მაგალითად, დიალექტიკურ აზროვნებაში შეფარდებით არიან ურთიერთდაპირისპირებულნი, პოლარიზებულნი დადებითი და უარყოფითი, ნაწილი და მთელი, მარტივი და შედგენილი, იგივეობა და განსხვავება, აუცილებლობა და შემთხვევითობა, მიზეზი და მოქმედება, ინდუქცია და დედუქცია, ანალიზი და სინთეზი და სხვა.

ასეთი პოლარიზების გარეშე, ფ. ენგელსის აზრით, «არსების» ჭეშმარიტ ბუნებას ვერ ავსახავთ, რადგან არსებაში ყველაფერი შ ე ფ ა რ დ ე ბ ი თ ი ა (მაგალითად, დადებითი და უარყოფითი, რომელთაც აზრი მხოლოდ თავიანთ ურთიერთ თანაფარდობაში აქვთ და არა თვითეულს ცალ-ცალკე თავისთავად).

მაშასადამე, აზროვნების არაელემენტარულ, არაგანსჯისეულ ფორმებში ენგელსი გულისხმობს ამავე ფორმების გონებისეულ, დიალექტიკურ გამოყენებას, ცალკეული მათგანით არდაკმაყოფილებას და მათ შეფარდებით ურთიერთდაპირისპირებას, ე. ი. მათი ვარგისიანობის შეფარდებითობის აღიარებას. ყოველივე ეს გამოხატულია აზროვნების დიალექტიკურ კანონებსა და კატეგორიებში, რაც ობიექტური სინამდვილის კანონზომიერებათა სწორი, გონებრივი რეპროდუქციაა მხოლოდ.

მაშასადამე, ენგელსი აზროვნების არაელემენტარულ, გონებისეულ მეთოდებში და ფორმებში აბსოლუტურად არაფერს გულისხმობს სხვას, თუ არა აზროვნების დიალექტიკურ მეთოდს, დიალექტიკის კანონებს და კატეგორიებს. ამას ადასტურებს ენგელსის მითითება იმის შესახებ, რომ ეს, ნამდვილად ადამიანური დიალექტიკური აზროვნება თავის სრულ განვითარებას მხოლოდ გაცილებით გვიან აღწევს თანამედროვე ფილოსოფიაში, ე. ი. ჰეგელის დიალექტიკაშიო.

მაშასადამე, ენგელსის ფრაგმენტში ნაჩვენები ერთ-ერთი სიძნელე ახსნილია. «დიალექტიკური აზროვნების» პრინციპულად რაიმე სხვა გაგება ენგელსთან არ არსებობს. ამ მხრივ ერთადერთი, რაც შეიძლება ითქვას, ეს — დიალექტიკური აზროვნების განვითარების ხარისხია, რომელიც იწყება ბუდისტებისა და ბერძნების აზროვნებით და «მთავრდება», «სრულ განვითარებას აღწევს» ჰეგელის ფილოსოფიაში.

თუ ძნელი იყო დადგენა აზროვნების ელემენტარული ფორმებისა და მეთოდების ისტორიისა*, რაც ადამიანური აზროვნების პრეისტორიაში იკარგება (რის გამო ზოგიერთი ლოგიკოსი ამ ფორმებს აპრიორულ მნიშვნელობას ანიჭებს), სამაგიეროდ, სრულიად ნათელია აზროვნების დიალექტიკური ფორმების, უფრო სწორად, დიალექტიკური აზროვნების წესის ჩამოყალიბებისა და თანდათანობითი განვითარების ხანგრძლივი ისტორია ბუდისტებიდან — ჰეგელამდე, ხოლო კიდევ უფრო ნათელია ამ წესის გაცნობიერებისა და შეგნებული გამოყენების ისტორია. ეს ისტორია დიალექტიკური აზროვნების გაცნობიერებისა, რა თქმა უნდა, არ ემთხვევა დიალექტიკური აზროვნების ჩამოყალიბების ისტორიას. როგორც ცნობილია, ადამიანები დიალექტიკურად აზროვნებდნენ დიდი ხნით ადრე, ვიდრე გაიგებდნენ, რა არის დიალექტიკა.

ფ. ენგელსის იმავე ფრაგმენტში შეიძლება ვეძებოთ მეტაფიზიკური აზროვნების ფაქტის ახსნის სიძნელეც. ნამდვილი ადამიანური აზროვნება დიალექტიკური აზროვნებაა, რომელიც არ კმაყოფილდება აზროვნების განსჯისეული ფორმებით, მაგრამ როცა ვინმე დაკმაყოფილდება ამ განსჯისეული ფორმებით, მაშინ არ გვექნება საქმე დიალექტიკურ აზროვნებასთან, ე. ი. საქმე გვექნება მეტაფიზიკურ აზროვნებასთან. მაგრამ მეტაფიზიკური აზროვნება არ შეიძლება თავისი შინაარსითა და შედეგებით იგივე იყოს, რაც უმაღლესი გვარეობის

---

* ამ განსჯისეული აზროვნების ფორმების განვითარების ერთგვარი სურათის გასაცნობად ენგელსი გასაღებს გვაძლევს ამავე ფრაგმენტში, როცა წერს: ტიპისდა კვალობაზე ყველა ეს მეთოდი ერთნაირი აქვთ ადამიანსა და უმაღლესი გვარეობის ცხოველებს, მხოლოდ სათანადო მეთოდის განვითარების ხარისხის მიხედვით განსხვავდებიან ისინიო.

ცხოველების აზროვნება; რადგან თუ მეტაფიზიკოსისა და, მაგალითად, მაიმუნის აზროვნება ერთმანეთს წააგავენ, აზროვნების ელემენტარული ფორმების ტიპობრივი ერთიანობით, ერთიდაიგივეობით, სამაგიეროდ განსხვავდებიან აზროვნების ამ საერთო ელემენტარული ფორმების განვითარების სხვადასხვა ხარისხით მაიმუნსა და ადამიანში. «შედეგების ერთიანობა», რომელზედაც ლაპარაკობს ენგელსი, ნაცვლად განსხვავებისა, მოქმედებების მხოლოდ გარეგნულ მსგავსებას უნდა ნიშნავდეს. ე. ი. მეტაფიზიკურია აზროვნება, როცა იგი განსჯისეული განსაზღვრებებით კმაყოფილდება და ვერ ხედავს ამ განსაზღვრებათა შეფარდებითობას. ამის გარეშე ხომ შეუძლებელია მოვლენის არსების ნამდვილი შემეცნება, ე. ი. შეუძლებელია დიალექტიკური აზროვნება.

მაგრამ სწორედ აქ ჩანს ყველაზე კარგად, რომ აზროვნების მეტაფიზიკური წესი ელემენტარული ფორმებისა და მეთოდების გამოყენებაში კი არ მდგომარეობს საერთოდ, არამედ მათს არასწორ, არამეცნიერულ, არადიალექტიკურ გამოყენებაში, და ერთია ამ ფორმების, ამ მეთოდების გამოკვლევა, აღწერა და დალაგება, რასაც აკეთებს ლოგიკის მეცნიერება, და სხვაა მათი არასწორი, არამეცნიერული გამოყენება, რასაც ადგილი აქვს მეტაფიზიკოსთა აზროვნებაში. მართალია, ლოგიკის მეცნიერებამ როგორც აზროვნების ერთგვარმა სახელმძღვანელომ, ისიც უნდა გვასწავლოს, თუ როგორ უნდა გამოვიყენოთ სწორად ეს ფორმები (ამას იგი გვასწავლის, უწინარეს ყოვლისა, თავისი მასალის სწორი მეცნიერული დალაგებით და ღრმა ანალიზით. ნიმუში: მსჯელობათა ენგელსისეული კლასიფიკაცია), მაგრამ ასეთ შემთხვევაში საჭიროა ლოგიკის ამა თუ იმ სახელმძღვანელოს კრიტიკა და არა ლოგიკის მეცნიერების უარყოფა.

ე. ი. ამოცანაა ლოგიკის მარქსისტული სახელმძღვანელოების შექმნა და არა ამ მეცნიერების უარყოფა ან დაკნინება.

უარყოფს თუ არა ენგელსი ფორმალური ლოგიკის როგორც მეცნიერების საჭიროებას და მოითხოვს თუ არა მის შეცვლას დიალექტიკური ლოგიკით?

ფ. ენგელსი ერთი მხრივ, გამოთქვამს რა იმ დროისათვის საყოველთაოდ გავრცელებულ შეხედულებას ფორმალურ ლოგიკაზე, როგორც მეტაფიზიკური აზროვნების ამსახველ მეცნიერებაზე, — მაინც არ უარყოფს მას და აღიარებს ეს გარკვეულ მნიშვნელობას და დამოუკიდებელ ფილოსოფიურ მეცნიერებად არსებობის აუცილებლობას (ან ასეთი არსებობის ფაქტს); ხოლო მეორე მხრივ იგი აკრიტიკებს აზროვნების ფორმებისა და კანონების ისეთ დალაგებასა და ინტერპრეტაციას, როგორც ეს იყო ლოგიკის მეცნიერების განვითარების მაშინდელ საფეხურზე. ამასთან, ენგელსი იძლევა ლოგიკის მეცნიერების მახალის სწორი, დიალექტიკური დალაგებისა და ინტერპრეტაციის ნიმუშებს (ამ ნიმუშებს ჩვენ ქვემოთ განვიხილავთ, ახლა კი განვაგრძოთ მსჯელობა ლოგიკური ფორმების შესახებ).

* * *

3. აზროვნების ფორმათა ისტორიულობისა და საყოველთაობის შესახებ. ფ. ენგელსის ზემოთ განხილული ფრაგმენტის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ადამიანური აზროვნების ისტორიაში ჩვენ არ უნდა გვქონდეს საქმე ჩვენთვის ცნობილ ელემენტარულ ლოგიკურ ფორმათა შექმნასთან, ჩამოყალიბებასთან. ისინი, უფრო სწორად, მათი ჩანასახები, შექმნილნი არიან ჯერ კიდევ მაღალგანვითარებული ცხოველების აზროვნების საფეხურზე. ადამიანური აზროვნების ისტორიაში მხოლოდ ხარისხობრივი განვითარებაა ელემენტარული ლოგიკური ფორმებისა და ამ ფორმათა მთელი მრავალფეროვანების გაშლა.

შეიძლება თუ არა აქედან იმ დასკვნის გაკეთება, რომ საერთოდ აზროვნების ეს ფორმები აპრიორულნი არიან? არა, არ შეიძლება.

დიურინგი ლაპარაკობდა ლოგიკური ფორმების აპრიორულობაზე (რომ არაფერი ვთქვათ კანტზე), სწორედ ამიტომ აკრიტიკებდა მას ენგელსი. ენგელსი უშუალოდ არ ლაპარაკობს ლოგიკური ფორმების აპოსტერიორულობაზე, მაგრამ ასეთი დასკვნა კეთდება ენგელსის აზრებიდან ყოველგვარ

შემთხვევაში. სწორედ ამიტომ საჭიროა ვუჩვენოთ ასეთი დასკვნის სისწორე, ლოგიკურობა, ჭეშმარიტება.

დიურინგი, როგორც ვიცით, ქურდობდა რა ჰეგელიდან, თელიდა, რომ ფილოსოფია მეცნიერებათა მეცნიერებაა და თავისში შეიცავს ცოდნისა და ნებელობის პრინციპებს. ეს პრინციპები, მისი აზრით, მარტივი ან დღემდე მარტივად ნაგულისხმევი შემადგენელი ნაწილებია, რომელთაგანაც შედგება მთელი ჩვენი ცოდნა და ნებელობა. სხეულთა ქიმიური კონსტიტუციის მსგავსად საგანთა ზოგადი აღნაგობაც შეიძლება ძირითად ფორმებსა და ძირითად ელემენტებზე დავიყვანოთ. როცა ეს პრინციპები ან ელემენტები მოპოვებულია, ისინი გამოდგებიან არა მარტო უშუალოდ ცნობილი და მისაწვდომი, არამედ ჩვენთვის უცნობი და მიუწვდომელი ქვეყნიერებისათვის.

ყოველგვარი არსებობის ამ ძირითადი პრინციპების, ძირითადი ფორმების გარდა ფილოსოფიას კიდევ აქვს ორი განსაკუთრებული საგანი — ბუნება და საზოგადოება. ამისდა მიხედვით ფილოსოფიის მთელი შინაარსი სამ ჯგუფად ლაგდება: ზოგადი მსოფლიო სქემატიკა, მოძღვრება ბუნების პრინციპებზე და მოძღვრება ადამიანზე. ამ თანმიმდევრობაში, დიურინგის აზრით, შინაგანი ლოგიკური წესრიგიცაა მოცემული, იმიტომ, რომ პირველი ადგილი უჭირავს ფორმალურ ძირითად დებულებებს, რომლებსაც ძალა აქვთ მთელი სინამდვილისათვის, ხოლო შემდეგ დაქვემდებარების მიხედვით მოდიან საგნობრივი დარგები, რომელთა მიმართ ხდება მათი გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ ა. ასეთია დიურინგის მსჯელობა.

ამის შემდეგ ფ. ენგელსი წერს:

«მაშასადამე, იგი ლაპარაკობს პ რ ი ნ ც ი პ ე ბ ზ ე, ა ზ რ ო ვ ნ ე ბ ი დ ა ნ და არა გარეგანი ქვეყნიერებიდან გამოყვანილ ფორმალურ ძირითად დებულებებზე, რომელნიც უნდა გამოვიყენოთ ბუნებისა და ადამიანთა სამეფოს მიმართ, რომელთა მიხედვით, მაშასადამე, უნდა მიიმართებოდნენ ბუნება და ადამიანი. მაგრამ საიდან ღებულობს აზროვნება ამ ძირითად დებულებებს? თავისი თავიდანვე? არა, თვით ბატონი დიურინგი ამბობს: წმინდა იდეალური დარგი განსაზღვრულია

ლოგიკური სქემებით და მათემატიკური ფორმებით (ეს უჭანასკნელი, როგორც ქვემოთ დავინახავთ, სწორი არაა). ლოგიკური სქემები შეიძლება მხოლოდ აზროვნების ფორმებს ეხებოდეს; აქ კი ლაპარაკია მხოლოდ არსის, გარექვეყნის ფორმებზე, ეს ფორმები კი აზროვნებას შეუძლია შექმნას და გამოიყვანოს არა თავის თავიდან, არამედ მხოლოდ გარექვეყნიდან»[1].

აქ, უწინარეს ყოვლისა, აღნიშნულია განსხვავება აზროვნების ლოგიკურ ფორმებსა და არსის, გარექვეყნის ფორმებს შორის. შემდეგ ახსნილია, რომ არსის ფორმების გამოყვანა ადამიანს შეუძლია არა თავისი თავიდან, არამედ ისევ გარექვეყნიდან. შეიძლება თუ არა აქედან გავაკეთოთ დასკვნა იმის შესახებ, რომ თუ არსის ფორმები არა, ყოველ შემთხვევაში აზროვნების ფორმები მაინც არიან გამოყვანილი თვით აზროვნებიდან? ასეთი დასკვნის გაკეთება არ შეიძლება, რაც არ უნდა ლოგიკური ჩანდეს ეს ენგელსის კონტექსტში.

ფ. ენგელსი აქ მხოლოდ ანსხვავებს აზროვნების ფორმებს არსის ფორმებისაგან, ონტოლოგიური პრინციპებისაგან და მეტი არაფერი. ხოლო თუ როგორია ენგელსის აზრი ლოგიკური ფორმების ხასიათზე ამ მხრივ, ეს ჩანს ერთ შენიშვნაში, ნაწყვეტში «ანტი-დიურინგის» მოსამზადებელი სამუშაოებიდან.

«ცდის ორი სახე არსებობს, — წერს ფ. ენგელსი, — გარეგანი, მატერიალური და შინაგანი — აზროვნების კანონები და აზროვნების ფორმები: აზროვნების ფორმებიც აგრეთვე ნაწილობრივ მემკვიდრეობით გადაეცემა განვითარების გზით (თავისთავად სიცხადე, მაგალითად, მათემატიკური აქსიომებისა ევროპიელებისათვის, მაგრამ, რასაკვირველია, არა ბუშმენების ან ავსტრალიელი ზანგებისათვის»)[2].

ლაპარაკი აზროვნების ფორმების ნაწილობრივ შეძკვიდრეობით გადაცემაზე ნიშნავს მათ ნაწილობრივ თან-

---

[1] ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, 1952. გვ. 43.

[2] იქვე, გვ. 401 — 402.

დაყოლილობას*, მაგრამ ეს არ ნიშნავს ამ ფორმათა აპრიორულობას, რადგან განვითარების თეორიით დამტკიცებულია, რომ ყოველივე თანდაყოლილი და მემკვიდრეობითი ოდესღაც შეძენილია, განვითარებულია, და ეს შეძენისა და მემკვიდრეობით გადაცემის მუდმივი პროცესი არის სწორედ ორგანული ბუნების განვითარების პროცესის შინაარსი**. ცნობიერების წარმოშობის ისტორიული ხასიათი იმთავითვე გულისხმობს ცნობიერების ადამიანური ფორმების წარმოშობის ისტორიულობასაც***.

მაშასადამე, აზროვნების ლოგიკური ფორმები და კანონები არა აპრიორული, არამედ აპოსტერიორულნი არიან, ისტორიულად წარმოშობილნი და განვითარებულნი, თუნდაც ეს ისტორია იწყებოდეს ცხოველური აზროვნებიდან.

აზროვნების ლოგიკური ფორმებისა და კანონების დახასიათებისათვის აუცილებლად უნდა აღინიშნოს მათი ო ბ ი ე ქ ტ უ რ ო ბ ა, ბ უ ნ ე ბ რ ი ვ ო ბ ა დ ა ს ა ყ ო ვ ე ლ თ ა ო ბ ა.

---

* აზროვნების ჩვეულებრივი ლოგიკური ფორმების ნაწილობრივ ან ერთგვარ თანდაყოლილობაზე მიუთითებს ენგელსი სხვაგანაც, როცა ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ დიალექტიკური აზროვნება, ანუ ხელოვნება ცნებათა მოხმარებისა არაა თანდაყოლილი და არც ჩვეულებრივ ყოველდღიურ ცნობიერებასთან ერთადაა მოცემული (იხ. ანტი-დიურინგი, გვ. 18).

დარვინის თეორიამ, — წერს ფ. ენგელსი, — მთავარ ხაზებში დაადგინა ორგანიზმთა განვითარების რიგი მცირე და მარტივი ფორმებიდან სულ უფრო მრავალფეროვან და რთულ ფორმებამდე — ადამიანის ჩათვლით. ამის წყალობით შესაძლებელი გახდა არა მარტო ორგანული სიცოცხლის არსებული ფორმების ახსნა, არამედ «მოცემულია აგრეთვე საფუძველი ადამიანის გონის წინაისტორიისათვის, იმისათვის, რომ გამოკვლეული იქნას მისი განვითარების სხვადასხვა საფეხურები, დაწყებული უდაბლესი ორგანიზმების მარტივი, უსტრუქტურო, მაგრამ გაღიზიანების შემგრძნობი პროტოპლაზმიდან და გათავებული ადამიანის მოაზროვნე ტვინით. ხოლო ამ წინაისტორიის შეუსწავლელად ადამიანის მოაზროვნე ტვინის არსებობა სასწაულებად დარჩება» (ბუნების დიალექტიკა, გვ. 201).

*** თუ როგორ ყალიბდებიან აზროვნების ლოგიკური ფორმები, ამაზე ნათელ პასუხს იძლევა ლენინი: ლოგიკური ფორმები აქსიომატურ ხასიათს იღებენ მილიარდჯერ განმეორებით ადამიანის თავში.

აზროვნების ფორმებისა და კანონების ობიექტურობა იმაში კი არ მდგომარეობს, რომ ისინი ობიექტური სინამდვილის კანონებია,— ეს მისი მეტაფიზიკური ინტერპრეტაციაა. ისინი არ არიან ობიექტური სინამდვილის კანონები. ისინი მხოლოდ აზროვნების კანონები და ფორმები არიან. მათი ობიექტურობა იმაშია, რომ მათი საფუძველი ობიექტური სინამდვილის გარკვეულობის მომენტია.

მათი ბუნებრივობა იმაში მდგომარეობს, რომ ისინი ადამიანების მიერ კი არ არიან შექმნილნი, შეთხზულნი, არამედ ადამიანთა ნებისაგან დამოუკიდებლად, ბუნებრივად არიან ჩამოყალიბებულნი და მოქმედებენ აზროვნების პროცესში თავისთავად.

მათი საყოველთაობა იმაში მდგომარეობს, რომ აზროვნების ფორმები და კანონები საერთოა ყოველგვარი მსოფლმხედველობის, რწმენის, კლასისა და ერის ადამიანისათვის*. სხვა სიტყვებით, მათ არა აქვთ კლასობრივი, პარტიული ხასიათი.

ლოგიკის საგანს, აზროვნების ფორმებსა და კანონებს საერთო არაფერი არა აქვთ კლასებისა და პარტიების ბრძოლასთან. აზროვნების ლოგიკური ფორმები და კანონები ისევე ემსახურება ექსპლოატატორ კლასს, როგორც ექსპლოატირებულ კლასს. ასე არის ეს დღეს და ასე იყო ისტორიულად, კლასების წარმოშობისა და განვითარების მთელს მანძილზე.

ლოგიკა აზროვნების მსოფლმხედველობრივ გარკვეულობას როდი სწავლობს, რომ მის კლასობრივ და პარტიულ ხასიათზე შეგვეძლოს მსჯელობა. ლოგიკა სწავლობს აზროვნების (თუ შეიძლება ასე ითქვას) «ლოგიკურ» გარკვეულობას, აზროვნების პროცესისა და უნარის თავისებურებასა და კანონზომიერებას.

მსოფლმხედველობის განსხვავებას აზროვნების უნარისაგან პრინციპული მნიშვნელობა აქვს ლოგიკის საგნის არაპარტიულობის შესახებ მსჯელობისათვის.

---

* ფ. ენგელსი ამ შემთხვევაში გამორიცხავდა ბუშმენებსა და ავსტრალიელ ზანგებს, რომელთა შესახებ იგი ამბობდა, რომ ისინი გონებრივი განვითარებით დაბალ დონეზე დგანან.

თუ აზროვნების განვითარება საერთოდ წარმოებითა და საზოგადოებრივი ცხოვრებითაა განსაზღვრული, ეს იმას არ ნიშნავს, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების კვალი ერთნაირად აჩნდეს აზროვნების უნარს და აზროვნების «პროდუქტს». თუ საზოგადოების გათიშვა კლასებად და კლასობრივი ბრძოლა უშუალოდ აისახება აზროვნების «პროდუქტის» იმ ნაწილში, რომელიც მსოფლმხედველობას შეადგენს, კერძოდ პოლიტიკურ, იურიდიულ, მხატვრულ, რელიგიურ და ფილოსოფიურ შეხედულებებში, სამაგიეროდ ამ სახით ასე უშუალოდ არ აისახება კლასობრივი ბრძოლა აზროვნების უნარის განვითარებაში, ცნების, მსჯელობისა და დასკვნების ახალ-ახალი ფორმების ისტორიულ ჩამოყალიბებასა და მოხმარებაში.

თუ აზროვნების «პროდუქტს», მეცნიერული აზრის ძიღწევებს კლასობრივ საზოგადოებაში უწინარეს ყოვლისა გაბატონებული კლასი იყენებს მისი ინტერესებისათვის, ასე როდი ითქმის აზროვნების უნარის შესახებაც. აზროვნების უნარი ასევე შეუძლია გამოიყენოს ექსპლოატირებულმა კლასმაც, რამდენადაც ამ უნარის გამოყენება აზროვნების პროცესითვე ამოიწურება.

სულ სხვა საკითხია, რომ ექსპლოატირებულ კლასს ნაკლები დრო და საშუალებები აქვს აზროვნების უნარის გაშლისა, გაღრმავებისა და განვითარებისათვის. მოვიგონოთ მარქსიზმის კლასიკოსების შეხედულება ამ საკითხზე. მეცნიერული სოციალიზმი შეიძლებოდა შექმნილიყო არა სტიქიურად და არა სახარატო დაზგასთან, გვასწავლიდნენ ისინი, არამედ განათლებული ინტელიგენტების თავებში, რომლებიც მეცნიერული აზროვნებისათვის საკმაო დროისა და მინიმალური ხელსაყრელი პირობების არსებობის შემთხვევაში შესძლებდნენ ობიექტური ისტორიული ვითარების სწორად ასახვას და საზოგადოებრივი განვითარების პერსპექტივების მეცნიერულ წინასწარ განჭვრეტას.

ეს სრულიად სხვა საკითხია, რამდენადაც მეცნიერული მუშაობის პირობების სხვადასხვაობა როდი ჰქმნის სხვადასხვა კლასის მიერ აზროვნების ლოგიკურ ფორმათა თვისობრივად სხვადასხვაგვარი გამოყენების შესაძლებლობას.

აზროვნების ლოგიკურ კანონებს, ფორმებსა და წესებს ზოგადსაკაცობრიო ხასიათი აქვთ. ისინი საყოველთაო მნიშვნელობის არიან ყველა კლასის, ყველა ერისა და ყველა ქვეყნისათვის. სწორედ ამით აიხსნება, რომ შესაძლებელია აზრთა ურთიერთ გაგებინება სხვადასხვა ერისა და სხვადასხვა ქვეყნის ადამიანებს შორის.

თარგმნის შესაძლებლობა არ იარსებებდა, რომ არ არსებობდეს აზროვნების ერთიანი საყოველთაო კანონები, ცნებების, მსჯელობებისა და დასკვნების ერთიანი საყოველთაო ფორმები. ამის ნათელი დადასტურებაა იდიომებისა და ანდაზების თარგმნის სიძნელე. როგორც ცნობილია, ხშირ შემთხვევაში მათ კი არ ვთარგმნით, არამედ შესატყვისს ვუძებნით. ეს იმით აიხსნება, რომ იდიომებსა და ანდაზებში კლასის, ერისა ან ქვეყნის ისტორიული განვითარების სპეციფიკური გამოცდილებაა ფიქსირებული ცნებათა სპეციფიკური შინაარსით და ზოგჯერ, შეიძლება, ერთგვარად სპეციფიკური «ლოგიკური» ფორმითაც კი. ამ სპეციფიკური ცნებებისა და «ლოგიკური» ფორმების ზუსტად თარგმნა მეტად ძნელია, თუ სხვა ერს არ გააჩნია ასეთივე ან მსგავსი ისტორიული გამოცდილება ასეთსავე ან მსგავს ცნებასა და «ლოგიკურ» ფორმაში ჩამოყალიბებული.

მაშასადამე, სრულიად ცხადია, რომ ის საგანი, რომელსაც ლოგიკის მეცნიერება შეისწავლის, ეხება საერთოდ ადამიანს და არა რომელიმე კლასისა ან პარტიის წარმომადგენელს. აქედან გასაგებია, რომ წარმოუდგენელია ლაპარაკი ლოგიკის საგნის კ ლ ა ს ო ბ რ ი ვ და პ ა რ ტ ი უ ლ ხასიათზე.

მაშასადამე, ჩვენ ვნახეთ, რომ აზროვნების ლოგიკურ ფორმებსა და კანონებს ობიექტური, ბუნებრივი, საყოველთაო ხასიათი აქვთ. ადამიანური აზროვნება საერთოდ თავისი შინაგანი ბუნებით ემორჩილება და იცავს ამ კანონებს იმისდა მიუხედავად — გაცნობიერებული აქვს თუ არა მოაზროვნეს ეს კანონები, უსწავლია თუ არა მას ლოგიკა.

მაგრამ თუ ეს ასეა, რაღა საჭიროა მაშინ ამ კანონების გაცნობიერება და ამ გაცნობიერებაზე ამდენი თავის მტვრევა, რაც ლოგიკის ისტორიაშია ცნობილი? ხომ არ გამორიცხავს

აზროვნების ლოგიკური ფორმებისა და კანონების ბუნებრივი ხასიათი მისი კვლევისა და სწავლების აუცილებლობას?

თუ ჩვენ ისედაც ვიცავთ ამ კანონებს, ე. ი. სწორად ვაზროვნებთ, — მაშინ რაღა საჭიროა მათი შესწავლა?

ჰეგელი სწორად შენიშნავს ამის შესახებ: ლოგიკა ისევე ვერ გვასწავლის აზროვნებას, როგორც ფიზიოლოგია ვერ გვასწავლის საჭმლის მონელებას.

მაგრამ ისიც სწორია, რომ მხოლოდ შემეცნებითი ინტერესი არ გვამოძრავებს, როცა აზროვნების ფორმებს ვიკვლევთ. მათ შესწავლას დიდი გამოყენებითი მნიშვნელობა აქვს.

ეს მოჩვენებითი წინააღმდეგობა ძალიან მარტივი ასახსნელია. ფიზიოლოგია არ გვასწავლის საჭმლის მონელებას, მაგრამ ყველასათვის ცხადია, თუ რატომ ვსწავლობთ ფიზიოლოგიას. ზუსტად ასევეა ლოგიკის მიმართაც.

ლოგიკის ეს გამოყენებითი მომენტი კარგად აქვს «დაჭერილი» იდეალისტ ზიგვარტს, როცა ამბობს: ლოგიკა განხორციელებული აზროვნების მიმართ კრიტიკული დისციპლინა არისო. ამ აზრში ჭეშმარიტების გარკვეული ელემენტია (ზიგვარტი, როგორც ცნობილია, ლოგიკას განსაზღვრავდა, როგორც ტექნიკურ მოძღვრებას აზროვნებაზე, — ასეთ განსაზღვრებას, ცხადია, ვერ დავეთანხმებით).

ადამიანური აზროვნება ბუნებრივად ემორჩილება ლოგიკურ ფორმებს და კანონებს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ, სხვადასხვა სუბიექტური, ან შემეცნების საგნის ბუნებით გამოწვეული მიზეზებით, ადგილი არ ჰქონდეს ამ კანონებიდან გადახვევარე მოთხოვნების დარღვევას აზროვნების პროცესში და, მაშასადამე, ლოგიკურ შეცდომებს.

საქმე იმაშია, რომ ჩვენი ყოველდღიური აზროვნება, და მითუმეტეს მეცნიერული შემოქმედება, ყოველთვის ისე დაწყობილი, გამოკვეთილი, რაფინირებული ფორმებით (ვთქვათ, სილოგიზმებით) როდი მიიმართება, რომ ადვილად შეგვეძლოს ცნებათა მიმართებებს შორის თვალყურის დევნება აზროვნების მთელ პროცესში. ხშირად ეს შეუძლებელი, ან ყოველ შემთხვევაში მეტად რთული ხდება* არათუ ლოგიკის არმცოდნისა-

* «ანტი-დიურინგის» მოსამზადებელ მასალებში ფ. ენგელსი წერს:

თვის, არამედ თვით ლოგიკის სპეციალისტისათვისაც კი. როცა ვიცით ეს კანონები, ვიცნობთ ამ ფორმებს და მათგან გამომდინარე წესებსა და მოთხოვნებს, მაშინ არის შესაძლებლობა განხორციელებულ აზროვნებაში ვიპოვოთ შეცდომა და გავასწოროთ იგი.

აზროვნების ჩვეულებრივი პროცესი ამგვარად გამოკვეთილი ლოგიკური ფორმებით არ მიმდინარეობს, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია აზროვნების ყოველი აქტი გამოვკვეთოთ, დავსახსროთ, ჩამოვაყალიბოთ მსჯელობებად (განხორციელებული აზროვნებიდან გამოვკვეთოთ), დასკვნებად. იქ, სადაც ერთი შეხედვით არა ჩანს არც სუბიექტი, არც პრედიკატი, არც მსჯელობა, არც დასკვნა, — იქ შეიძლება ყოველივე ეს ვიპოვოთ და აზროვნების სტრუქტურა «აღვადგინოთ», აზროვნების ჩონჩხი გამოვაჩინოთ. ასეთ შემთხვევაში ნათელი გახდება ის წესები და კანონები, რომლებსაც ბუნებრივად ემორჩილება სწორი აზროვნება და რომლებიც არ უნდა დავარღვიოთ.

მაგალითად, მარქსის «ზედმეტი ღირებულების თეორიებში» ვკითხულობთ:

«Не лучше, впрочем, и те экономисты (как, например, Дж. ст. Милль), которые хотят об'яснить кризисы такими простыми, заключенными в метаморфозе товаров возможностями кризисов, как разделение купли и продажи. Эти определения, об'ясняющие возможность кризиса, далеко еще не об'ясняют превращения этой возможности в действительности. Они не об'ясняют еще, почему фазы процесса вступают в такой конфликт, что их внутреннее единство может выразиться только в кризисе, только путем насильственного процесса. Это

«თუ ჩვენი წინამძღვრები სწორია და თუ ჩვენ სწორად ვიყენებთ მათ მიმართ აზროვნების კანონებს, მაშინ შედეგი სინამდვილეს უნდა შეესატყვისებოდეს, სწორედ ისევე როგორც გაანგარიშება ანალიზურ გეომეტრიაში უნდა შეესატყვისებოდეს გეომეტრიულ კონსტრუქციას, თუმცა ორივე სრულიად სხვადასხვა საბის მეთოდს წარმოადგენს. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს არასოდეს ასე არ არის ხოლმე, და თუ არის, ისიც სრულიად მარტივ ოპერაციებში» (გვ. 402).

разделение проявляется в кризисе., это элементарная форма его. Об'яснять кризис из этой его элементарной формы — значит, об'яснять существование кризиса таким образом, что выражать его существование в абстрактной форме; это значит, следовательно, об'яснять кризис кризисом»[1].

მაშასადამე, რთული მოვლენის (აქ კრიზისი) ელემენტარული ფორმით განსაზღვრა ნიშნავს ამ მოვლენის არსებაში შეუჭრელობას, გარეგნულ განსაზღვრას, როცა არსება ისევ ასახსნელი რჩება, ე. ი. გამოდის, რომ მოვლენას განვსაზღვრავთ იმავე მოვლენით. ეს არის ტავტოლოგია, ლოგიკური შეცდომა. მაშასადამე, ლოგიკური შეცდომები ერთბაშად კი არ გვეცემა თვალში, როგორც ეს ხდება ლოგიკის სახელმძღვანელოებში მოყვანილი მარტივი მაგალითებიდან, როცა აზროვნების ანალიზს მოვახდენთ და აზრთა მსვლელობას გამოვხატავთ ლოგიკურ ფორმებში, მაშინ აღმოჩნდება ესა თუ ის ლოგიკური შეცდომა (თუკი დაშვებულია). ხოლო იმისათვის, რომ ასეთი ანალიზი შეგვეძლოს—ლოგიკის შესწავლაა საჭირო. მაშასადამე, ლოგიკური ფორმების ბუნებრივი ხასიათი არ გამორიცხავს მათი შესწავლის უტილიტარულ ხასიათს.

ე. ი. აზროვნების ლოგიკური ფორმები და კანონები არიან ობიექტური და ბუნებრივი ხასიათის, მნიშვნელობით საყოველთაონი და წარმოშობით ისტორიულნი.

გნოსეოლოგიის (შემეცნების თეორიის, — დიალექტიკის) საქმეა აზროვნების ამ ფორმათა ისტორიული წარმოშობისა და განვითარების კანონზომიერების ასახვა. ვ. ი. ლენინი სწორედ ამ ამოცანას უსახავს გნოსეოლოგიას, როცა წერს: გნოსეოლოგიამ «თავისი საგანი უნდა განიხილოს აგრეთვე ისტორიულად, შეისწავლოს და განაზოგადოს შემეცნების წარმოშობა და განვითარება, არცოდნიდან ცოდნაზე გადასვლა»[2].

ხოლო ლოგიკამ ისე სრულად და ისე სწორად უნდა დაალაგოს, დააჯგუფოს ეს ფორმები, რომ ამით ერთგვარად აისახოს

---

[1] К. Маркс, Теории прибавочной стоимости, 1936, т. II, часть 2, стр. 182.

[2] ვ. ი. ლენინი, მარქსი, ენგელსი, მარქსიზმი, გვ. 15 — 16.

ამ ფორმების ისტორიული განვითარებისა და ურთიერთდამოკიდებულების სურათი.

* * *

4. ფ. ენგელსი «ბუნების დიალექტიკაში» მიგვითითებს მსჯელობათა ჰეგელისეული კლასიფიკაციის მაგალითზე, როგორც მსჯელობათა სწორი დიალექტიკური კლასიფიკაციის ჩანასახზე, ან მის ერთ-ერთ ვარიანტზე. განვიხილოთ ეს მაგალითი.

«დიალექტიკური ლოგიკა, — წერს ფ. ენგელსი, — წინააღმდეგ ძველი, წმინდა ფორმალური ლოგიკისა, არ კმაყოფილდება ამ უკანასკნელის მსგავსად იმით, რომ ჩამოთვალოს და ყოველგვარი კავშირის გარეშე ერთმანეთის გვერდით დააწყოს აზროვნების მოძრაობის ფორმები, ე. ი. მსჯელობათა და დასკვნათა სხვადასხვა ფორმები. მას, პირიქით, ეს ფორმები ერთიმეორედან გამოჰყავს, იგი მათ შორის ნაცვლად კოორდინაციისა სუბორდინაციის დამოკიდებულებას ამყარებს და დაბალი ფორმებიდან უმაღლეს ფორმებს ავითარებს»[1].

მსჯელობათა ასეთი დიალექტიკური კლასიფიკაციის ნიმუშად ენგელსს მოჰყავს მსჯელობის ჰეგელისეული დაჯგუფება, რაც ჰეგელის მთელი ლოგიკის სტრუქტურას ასახავს.

1. ა რ ს ე ბ ო ბ ი ს მ ს ჯ ე ლ ო ბ ა — მსჯელობის უმარტივესი ფორმა, რომელშიც რომელიმე ცალკეულ ნივთზე დასტურით ან უარყოფით გამოითქმება რაიმე ზოგადი თვისება. მასში შედის:

დადებითი მსჯელობა: «ვარდი არის წითელი».

უარყოფითი მსჯელობა: «ვარდი არ არის ლურჯი».

განუსაზღვრელი მსჯელობა: «ვარდი არ არის აქლემი» *.

---

[1] ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 229.

* განუსაზღვრელი მსჯელობის სტრუქტურის ასეთი გამოსახვა (S არ არის P) უკვე თავისში შეიცავს განუსაზღვრელი მსჯელობის სტრუქტურის ძველი ფორმალურ-ლოგიკური ინტერპრეტაციის (S არის არა P) კრიტიკას. აქ აშკარად ჩანს, რომ მსჯელობის სახეს მისი განყენებული წმინდა ფორმა კი არ განსაზღვრავს, არამედ მსჯელობის შინაარსი, ცნებებს შორის დამოკიდებულების ხასიათი. ვარდისა და აქლემის მიმართების განუსაზღვრელობას ის კი არ განსაზღვრავს, თუ როგორი კოპულა აგრთიანებთ მათ: «არის არა», თუ «არ არის», არამედ ის, რომ ვარდსა

2: რ ე ფ ლ ე ქ ს ი ს მ ს ჯ ე ლ ო ბ ა, რომელშიც სუბიექტის შესახებ გამოითქმება რაიმე შეფარდებითი განსაზღვრება, რაიმე მიმართება. მასში შედის:

სინგულარული მსჯელობა: «ეს ადამიანი მოკვდავია».

პარტიკულარული მსჯელობა: «ზოგიერთი ადამიანი მოკვდავია».

უნივერსალური მსჯელობა: «ყველა ადამიანი მოკვდავია», ან «ადამიანი მოკვდავია».

3. ა უ ც ი ლ ე ბ ლ ო ბ ი ს მ ს ჯ ე ლ ო ბ ა, რომელშიც სუბიექტის შესახებ გამოითქმება მისი სუბსტანციალური გარკვეულობა. მასში შედის:

კატეგორიული მსჯელობა: «ვარდი არის მცენარე».

ჰიპოთეტური მსჯელობა: «თუ მზე ამოდის, დღე იწყება».

დისიუნქტური მსჯელობა: «ქერცლოვანი ან თევზია, ან ამფიბია».

4. ც ნ ე ბ ი ს მ ს ჯ ე ლ ო ბ ა, რომელშიც სუბიექტის შესახებ გამოითქმება ის, თუ რამდენად შეესატყვისება იგი თავის ზოგად ბუნებას ანუ, როგორც ჰეგელი ამბობს, თავის ცნებას. მასში შედის:

ასერტორული მსჯელობა: «ეს სახლი ცუდია».

პრობლემატური მსჯელობა: «თუ სახლი ასეთი და ასეთია, მაშასადამე, კარგია».

აპოდიქტიკური მსჯელობა: «სახლი, ასე და ასე მოწყობილი, კარგია».

პირველი ჯგუფი — ეს ერთეული მსჯელობაა, მეორე და მესამე ჯგუფი — კერძოობითი მსჯელობაა, მეოთხე ჯგუფი — ზოგადი მსჯელობა[1].

და აქლემს არაფერი საერთო არა აქვთ გარდა უზოგადესი გვარისა (მატერიალობისა). მაშასადამე, თუ «დიალექტიკურ» ლოგიკაში უარყოფითი და განუსაზღვრელი მსჯელობები გარეგნულად, სტრუქტურით, არ განსხვავდებიან ერთიმეორისაგან, ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან შინაარსით. ლოგიკის მეცნიერებამ შინაარსიანი ფორმები უნდა განიხილოს და არა «წმინდა» ფორმები.

[1] ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 229.

ფ. ენგელსი შენიშნავს, რომ მსჯელობათა ასეთ კლასიფიკაციას, მიუხედავად იმისა, რომ იგი მშრალად წასაკითხია და ამა თუ იმ პუნქტში თვითნებურიც კი ჩანს, შინაგანი ჭეშმარიტება და აუცილებლობა ახასიათებს, რასაც თავისი «ღრმა საფუძველი აქვს არა მარტო აზროვნების კანონებში, არამედ ბუნების კანონებშიც»[1].

ამის დასამტკიცებლად ენგელსს მოჰყავს მაგალითი ფიზიკის ისტორიიდან.

ხახუნი რომ სითბოს წარმოშობს, პრაქტიკულად ეს უკვე წინაისტორიულმა ადამიანებმა იცოდნენ, როდესაც მათ გამოიგონეს ხახუნით ცეცხლის მიღება, შესაძლებელია ჯერ კიდევ 100.000 წლის წინ, ხოლო ამაზე უფრო ადრე სხეულის გაცივებულ ნაწილებს სრესვის საშუალებით ითბობდნენ. მაგრამ ამ ხნიდან იმის აღმოჩენამდე, რომ ხახუნი საერთოდ სითბოს წყაროს წარმოადგენს, მრავალი ათასი წელი გავიდა. ბოლოს ადამიანის ტვინი იმდენად განვითარდა, რომ გამოთქვა მსჯელობა: «ხ ა ხ უ ნ ი ს ი თ ბ ო ს წ ყ ა რ ო ა». ეს არსებობის მსჯელობაა, წერს ფ. ენგელსი, და მასთან დადებითი.

კვლავ ათასეული წლები გავიდა, ვიდრე 1842 წ. მაიერმა, ჯოულმა და კოლდინგმა გამოიკვლიეს ეს სპეციალური პროცესი იმ დროს აღმოჩენილი მსგავსი სახის სხვა პროცესებთან მის მიმართებაში და ასეთი მსჯელობა ჩამოაყალიბეს: «ყ ვ ე ლ ა მ ე ქ ა ნ ი კ უ რ მ ო ძ რ ა ო ბ ა ს უ ნ ა რ ი ა ქ ვ ს ხ ა ხ უ ნ ი ს ს ა შ უ ა ლ ე ბ ი თ ს ი თ ბ ო დ გ ა რ დ ა ი ქ მ ნ ა ს». ესოდენ დიდი დრო და ემპირიული ცოდნის უზარმაზარი რაოდენობა იყო საჭირო იმისათვის, ამბობს ფ. ენგელსი, რომ საგნის შემეცნებაში წინ წაგვეწია არსებობის ზემომოყვანილი დადებითი მსჯელობიდან რეფლექსიის ან უნივერსალურ მსჯელობამდე.

ამის შემდეგ საქმე უკვე სწრაფად წავიდა წინ. სამი წლის შემდეგ მაიერმა შეძლო რეფლექსიის მსჯელობა იმ საფეხურზე აეყვანა, რომელზედაც მას უნივერსალური ძალა და ღირებულება აქვს.

---

[1] ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 230.

«მოძრაობის ყოველი ფორმა იმდენადვე უნარიანია, რამდენადაც იძულებულია თვითეული შემთხვევისათვის გარკვეულ პირობებში პირდაპირ ან არაპირდაპირ, გარდაიქმნას მოძრაობის ყოველ სხვა ფორმად». ეს ცნების მსჯელობაა და მასთან აპოდიქტიკური, მსჯელობის უმაღლესი ფორმა საზოგადოდ.

ამრიგად, ის, რაც ჰეგელის მოძღვრებაში მსჯელობის, როგორც ასეთის, სააზროვნო ფორმის განვითარებას წარმოადგენს, აქ ჩვენს წინაშე გამოდის როგორც ემპირიულ საფუძვლებზე დამყარებული ჩვენი თეორიული ცოდნის განვითარება მოძრაობის ბუნების შესახებ საზოგადოდ. მაგრამ ეს ხომ იმას გვიჩვენებს, რომ აზროვნების კანონები და ბუნების კანონები აუცილებლივ ერთმანეთს ეთანხმებიან, თუკი ისინი სწორედ არიან შემეცნებული.

ჩვენ შეგვიძლია პირველი მსჯელობა განვიხილოთ როგორც ერთეულობის მსჯელობა: მასში რეგისტრირებულია ის ცალკეული ფაქტი, რომ ხახუნი სითბოს წარმოშობს. მეორე მსჯელობა შეიძლება განვიხილოთ როგორც კერძოობის მსჯელობა: მოძრაობის რომელიმე კერძო ფორმამ, სახელდობრ, მექანიკურმა ფორმამ, გამოამჟღავნა თვისება, რომ გარკვეულ გარემოებაში (ხახუნის საშუალებით) გარდაიქმნას მოძრაობის სხვა კერძო ფორმად, სითბოდ. მესამე მსჯელობა არის ზოგადობის მსჯელობა: მოძრაობის ყოველ ფორმას აღმოაჩნდა უნარი და იძულებულია გარდაიქმნას მოძრაობის ყოველ სხვა ფორმად. ამ ფორმით კანონმა თავის უკანასკნელ გამოხატულებას მიაღწია. ჩვენ შეგვიძლია ახალი აღმოჩენებით მას ახალი საბუთები, ახალი უფრო მდიდარი შინაარსი მივცეთ. მაგრამ თვით კანონს იმ სახით, რა სახითაც იგი აქ არის გამოთქმული, ვეღარაფერს ვერ მივუმატებთ. თავის ზოგადობაში, რომელშიც ფორმაცა და შინაარსიც ერთნაირად ზოგადია, მას არავითარი შემდგომი გაფართოების უნარი არა აქვს: იგი ბუნების აბსოლუტური კანონია[1].

სპეციალური კვლევის საგანია ბუნების კანონების ისტორიულობისა და აბსოლუტურობის საკითხი, რაც ბუნების ერთგვარობის პრინციპისა და მეცნიერებათა გეოცენტრიულობის

---

[1] ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 230—231.

საკითხის გარკვევას მოითხოვს. ამაზე ახლა აქ არ შეეჩერდებით.

ზემომოყვანილი ციტატიდან ჩვენთვის მნიშვნელოვანია შემდეგი: ფ. ენგელსი ამბობს, რომ აზროვნების კანონები და ბუნების კანონები აუცილებლად ეთანხმებიან ერთმანეთს, თუ ისინი სწორედ არიან შემეცნებულნი.

მოყვანილ მაგალითში ბუნებაზე (გარეგბუნებაზე) იმდენად არის მსჯელობა, რამდენადაც განხილული კანონის შინაარსი ეხება მას. სხვა მხრივ კი აქ მხოლოდ აზრის ისტორიული განვითარებაა და არა ბუნების ისტორიული განვითარება, რადგან ის უნივერსალური კანონი ფიზიკისა ობიექტურად ისევე ძალაში იყო აზროვნების განვითარების დასაწყისში, და საერთოდ ადამიანის წარმოშობამდეც, როგორც ახლა არის იგი ძალაში. ჩვენ კანონის გაცნობიერების ისტორია განვიხილეთ, ე. ი. აზრის ისტორია და არა ობიექტური კანონის ისტორია. კანონი მაშინ კი არ წარმოშობილა, როცა შევიმეცნეთ* იგი, და იმისდა მიხედვით კი არ ვითარდებოდა, თუ როგორ ვაზუსტებდით, ვანვითარებდით და ვაკონკრეტებდით** ჩვენს ცოდნას ამ კანონზე. არა. ზოგადიდან კონკრეტულზე ასვლა, — გვასწავლის კ. მარქსი, — მარტოოდენ წესია, რომლითაც კონკრე-

---

* კანონის შემეცნება საერთოდ არ ნიშნავს მის შექმნას. წინააღმდეგ შემთხვევაში კანონი წმინდა სუბიექტური ხასიათის იქნება და ობიექტურ საფუძველს მოკლებული. ასეთ შეცდომას ჩადიოდა დიურინგი, რომელიც ამტკიცებდა: «უარყოფის უარყოფა» ჰეგელის მიერ არის მოგონილი. ამაზე ფ. ენგელსი წერს: «ადამიანები დიალექტიკურად აზროვნებდნენ დიდი ხნით ადრე, სანამ გაიგებდნენ, რა არის დიალექტიკა, ისევე როგორც ისინი პროზით ლაპარაკობდნენ, დიდი ხნით ადრე, ვიდრე სიტყვა «პროზა» შეექმნებოდა. უარყოფის უარყოფის კანონი, რომელიც ხორციელდება ბუნებასა და ისტორიაში და, სანამ იგი შემეცნებული არაა, შეუგნებლად ხდება აგრეთვე ჩვენს თავებშიც, პირველად მხოლოდ ჰეგელმა ჩამოაყალიბა მკვეთრ ფორმულაში» (ანტი-დიურინგი, გვ. 169).

**«მოძრაობის ფორმის ცვალებადობის ზოგადი კანონი ბევრად უფრო კონკრეტულია, ვიდრე ამის თვითეული ცალკე «კონკრეტული» მაგალითი» (ბუნების დიალექტიკა, გვ. 228). — კონკრეტულისა და აბსტრაქტულის პრობლემის გადაწყვეტისათვის ენგელსის ამ დებულებას პრინციპული მნიშვნელობა აქვს.

ტულის შემეცნება ხდება და არა კონკრეტულის შექმნა, როგორც ეს მიაჩნდა ჰეგელს.

ზემომოყვანილ მაგალითში ისაა ნაჩვენები, რომ ადამიანური ცნობიერება ჩასწვდება ობიექტურ სინამდვილეს არა ერთბაშად, არამედ თანდათანობით და ამ თანდათანობით ჩაწვდომის ისტორიას გვიჩვენებს ამა თუ იმ კანონის ისტორია. მაშასადამე, ჩვენს მიერ განხილულმა კანონის ისტორიამ შემეცნების განვითარების კანონზომიერება, მისი ერთ-ერთი მომენტი გვიჩვენა, კერძოდ, მსჯელობის ფორმების ისტორია. ენგელსი, როგორც ვნახეთ, გარკვევით ამბობს: «ამრიგად, ის, რაც ჰეგელის მოძღვრებაში მსჯელობის, როგორც ასეთის, სააზროვნო ფორმის განვითარებას წარმოადგენს, აქ ჩვენს წინაშე გამოდის როგორც ემპირიულ საფუძველზე დამყარებული ჩ ვ ე ნ ი თ ე ო რ ი უ ლ ი ც ო დ ნ ი ს გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ა (ხაზგასმა ჩემია. — **გ. ბ.**) მოძრაობის ბუნების შესახებ საზოგადოდ».

მაშასადამე, აქედან ის დასტურდება, რომ მსჯელობის ფორმათა დიალექტიკური კლასიფიკაცია ამ ფორმათა ისტორიული აღმოცენების კანონზომიერებას ასახავს, რომ მსჯელობის ფორმათა დიალექტიკური კლასიფიკაციის პრინციპი ისტორიულისა და ლოგიკურის ერთიანობის პრინციპია.

იგივე შეიძლება დადასტურდეს ლოგიკის მეცნიერების სხვა საკითხების, დასკვნა-დასაბუთების ფორმების ისტორიის განხილვით (ინდუქცია-დედუქცია, ანალიზი-სინთეზი და სხვა).

განხილული მაგალითი გვიჩვენებს შემდეგს: ლოგიკის მეცნიერების შინაარსი ისე უნდა დალაგდეს, რომ აზროვნების ისტორიული განვითარების თავისებურებაც ასახოს. ამ აზრით ლოგიკაც უნდა იყოს აზროვნების ისტორიის შედეგი, ჯამი, დასკვნა. ლოგიკაშიც უნდა იყოს ლოგიკურისა და ისტორიულის ერთიანობა.

მაგრამ ამას ლოგიკა მაშინ შეძლებს, როცა მას გნოსეოლოგია დაეხმარება და მიაწვდის ცოდნას ამ «საფეხურებისა» და ფორმათა ისტორიული ჩამოყალიბების კანონზომიერების შესახებ.

ჩვენს მიერ განხილულ მაგალითში ენგელსი ფორმალურ ლოგიკას უპირისპირებს არა დიალექტიკური ლოგიკის

ნამდვილ მეცნიერულ კურსს (რაც არათუ ენგელსის დროს, არამედ დღესაც კი არაა შექმნილი), არამედ ჰეგელის დიალექტიკურ ლოგიკას და რადგან მოსწონს ენგელსს მსჯელობათა ჰეგელისეული კლასიფიკაცია (ზოგიერთი შენიშვნის მიუხედავად), ამით გამოთქვამს აზრს, რომ მსჯელობათა ნამდვილი მეცნიერული კლასიფიკაცია ასეთი და ასეთი უნდა იყოსო.

ზოგიერთ მკვლევარს ჰგონია, რომ აქ, ამ კონკრეტულ კონტექსტში — «დიალექტიკურ ლოგიკაში» იგულისხმება მარქსისტული დიალექტიკა როგორც მეცნიერება, და რომ, მაშასადამე, ენგელსი მოითხოვდა მარქსისტული დიალექტიკის კურსში შესულიყო მოძღვრება აზროვნების ლოგიკური ფორმების — ცნების, მსჯელობისა და დასკვნის შესახებ*.

ზოგიერთი კი აქედან აკეთებს დასკვნას, რომ საჭიროა შეიქმნას მარქსისტული დიალექტიკური ლოგიკის კურსი, განსხვავებით ფორმალური ლოგიკის კურსისაგან და განსხვავებით მარქსისტული დიალექტიკური მეთოდის კურსისაგან. ენგელსი არაფერს ამბობს იმის შესახებ, რომ უნდა შეიქმნას დიალექტიკური ლოგიკის კურსი მეთოდისაგან განსხვავებით ფორმალური ლოგიკის საპირისპიროდ და მის გვერდით. ენგელსი მხოლოდ იმას ამბობს, რომ ლოგიკური ფორმები უფრო სწორად ასე და ასე უნდა დავალაგოთ და გავიგოთ. პირიქით. ენგელსი ასაბუთებს, რომ დიალექტიკური ლოგიკა ეს იგივე დიალექტიკური მეთოდია, მარქსიზმის შემეცნების თე-

---

* ეს მოსაზრება მხოლოდ იმ მხრივ შეიძლება იყოს სწორი, რომ მარქსისტული დიალექტიკის კურსში არის ადგილი (კერძოდ, მოძღვრებაში შემეცნების გზისა და პირობების შესახებ), სადაც უნდა განხილულ იქნას ლოგიკის საგანიც, აზროვნების კანონები და ფორმები, მაგრამ იმის გამო, რომ მოძღვრება ამ საგანზე მთელ დამოუკიდებელ კურსს ქმნის, იგი განიხილება როგორც ცალკე მეცნიერება, ხოლო დიალექტიკის კურსში მხოლოდ გაკვრით და ზოგადად ეხებიან ლოგიკის საგანს. მაგრამ იმის თქმა, რომ უ შ უ ა ლ ო დ დიალექტიკის კურსში უნდა იქნას შეტანილი ლოგიკის მთელი შინაარსი და კერძოდ მოძღვრება მსჯელობათა კლასიფიკაციაზე, არ იქნებოდა მართებული.

საუკუნეზე მეტია, რაც არსებობს მარქსისტული დიალექტიკა როგორც მეცნიერება, დიალექტიკის ცალკეულ საკითხებზე უამრავი შრომა

ორიაა, რომელსაც უნდა ეყრდნობოდეს ყოველი მეცნიერება (ყოველი მკვლევარი) სინამდვილის შემეცნების დროს (ამ შემთხვევაში, ლოგიკაში მსჯელობათა კლასიფიკაციის დროსაც). ამასვე ამტკიცებდა ვ. ი. ლენინიც. ამით აიხსნება ისიც, რომ როცა ი. სტალინმა მეთოდი დაალაგა, ერთი სიტყვაც კი არ უთქვამს «დიალექტიკური ლოგიკის» შექმნის აუცილებლობაზე.

ფ. ენგელსი მისდროინდელ ფორმალურ ლოგიკას მეტაფიზიკური აზროვნების გამომხატველ თეორიად აცხადებდა.

დღევანდელ პირობებში, როცა თითქმის ყოველ მეცნიერებაში დიალექტიკა საყოველთაოდ აღიარებული მეთოდია და მხოლოდ ფორმალური ლოგიკით არავინ აღარ კმაყოფილდება, გამოაცხადებდა თუ არა ენგელსი ფორმალურ ლოგიკას მეტაფიზიკური აზროვნების გამომხატველ თეორიად, მას რომ აზროვნების ლოგიკურ კანონებზე და ფორმებზე ნამდვილი მეცნიერული მარქსისტული კურსი ენახა, როგორის შექმნასაც ჩვენი საბჭოთა ლოგიკის მეცნიერება ისახავს მიზნად? ამის პასუხი თვით კითხვის დასმაშივეა გაცემული.

თუ ლოგიკის შინაარსი გამოხატავს მეტაფიზიკური აზროვნების თეორიას, წესს, მეთოდს — იგი, ცხადია, მეტაფიზიკური იქნება. მაგრამ თუ ლოგიკის შინაარსი არ გამოხატავს მეტაფიზიკური აზროვნების წესს, არამედ მხოლოდ აღწერს აზროვნების ფორმებს საერთოდ და გვიჩვენებს მათი გამოყენების ხასიათს მეცნიერულ აზროვნებაში, — ასეთ შემთხვევაში, ცხადია, ლოგიკა არ იქნება მეტაფიზიკური აზროვნების თეორია.

მაგრამ იტყოდა თუ არა ენგელსი, რომ ასეთი ლოგიკა «დიალექტიკური ლოგიკაა»?, არა, არ იტყოდა. ენგელსი გარკვევით წერდა: ფილოსოფიურ მეცნიერებად რჩება ლოგიკა და დიალექტიკა. ლოგიკაში იგი გულისხმობდა ფორმალურ

დაწერილა — მონოგრაფია თუ სახელმძღვანელო, მაგრამ ვერც ერთ მათგანში ვერ ნახავთ მთლიან მოძღვრებას მსჯელობათა კლასიფიკაციაზე და ლოგიკის მეცნიერების სხვა არსებით შინაარსზე. ამ ისტორიულ ფაქტს კი უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს ენგელსის აზრის სწორად გასაგებად, ვიდრე ამა თუ იმ ცალკეული დებულების დოგმატურ გაფეტიშებას.

ლოგიკას, ხოლო დიალექტიკაში მას ესმოდა გნოსეოლოგია, შემეცნების თეორია.

* * *

5. განვიხილოთ ფ. ენგელსის კიდევ ერთი დებულება, რომლის სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციასაც ვხვდებით საბჭოთა ლოგიკოსებს შორის.

«მისტიციზმისაგან განთავისუფლებული დიალექტიკა, — წერს ფ. ენგელსი, — აბსოლუტური აუცილებლობა ხდება ბუნებისმეცნიერებისათვის, რომელმაც მიატოვა ის სფერო, სადაც მყარი კატეგორიები, ლოგიკის ეს, ასე ვთქვათ, თავისებური დაბალი მათემატიკა საოჯახო ხმარებისათვის კმაროდა»[1].

ე. ი. აზროვნების «მეტაფიზიკური» კატეგორიები, აზროვნების «მეტაფიზიკური» წესი კმაროდა საოჯახო ხმარებისათვის, მაგრამ სრულიად გამოუსადეგარია მისტიციზმისაგან განთავისუფლებული ბუნებისმეცნიერებისათვის, რომელიც თავისი შედეგების ასახსნელად და შემდგომი განვითარებისათვის დიალექტიკურ კატეგორიებს, დიალექტიკურ აზროვნებას მოითხოვს. მაშასადამე, აქ, უწინარეს ყოვლისა, ლაპარაკია მეტაფიზიკურ მეთოდზე, და არა ფორმალურ ლოგიკაზე.

მაგრამ აზროვნების «მეტაფიზიკური», მყარი კატეგორიების გამოცხადება «ლოგიკის თავისებურ დაბალ მათემატიკად» იმაზე მიუთითებს, რომ ლაპარაკია აზროვნების «ელემენტარულ» ფორმებზე, იმ ფორმებზე, რომლებიც საკმარისნი არიან მოვლენებს შორის «ელემენტარული» მიმართებების ასახსნელად. აზროვნების ეს ელემენტარული ფორმები, როგორც უკვე ვნახეთ, «მეტაფიზიკური» კატეგორიებია. გამოდის, რომ ენგელსის აზრით «მეტაფიზიკური» კატეგორიები ლოგიკის დაბალი მათემატიკაა. მაშასადამე, ლოგიკას უნდა ჰქონდეს მაღალი მათემატიკაც. ასეთი «მაღალი მათემატიკა» ლოგიკისა იქნება დიალექტიკური კატეგორიები, ანუ აზროვნების დიალექტიკური ფორმები და კანონები.

აქედან ცხადია, რომ სიტყვა «ლოგიკით» აქ ენგელსი აღნიშნავს არა ფორმალურ ლოგიკას, არამედ აზროვნებაზე მოძღვრებას საერთოდ. დაბალი და მაღალი მათემატიკა რიცხვებს

---

[1] ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 208.

ეხება. ენგელსს კი ლაპარაკი აქვს აზროვნებაზე, აზრის ფორმებზე, ლოგიკურ ფორმებზე. ხოლო ამ ფორმათა თვისობრივი სხვაობისა და მათ შორის დამოკიდებულების გამოსახატავად აქაც იხსენებს მის ცნობილ შედარებას დაბალი და უმაღლესი მათემატიკის ურთიერთობასა და მეტაფიზიკისა და დიალექტიკის ურთიერთობას შორის.

მაშასადამე, ფ. ენგელსი «ლოგიკას» უწოდებს აზროვნებაზე მოძღვრებას საერთოდ, ე. ი. როგორც მეტაფიზიკურ მეთოდს, ისე დიალექტიკურ მეთოდს; ამასთან მეტაფიზიკურ მეთოდს იგი თვლის ლოგიკის დაბალ მათემატიკად, ანუ დაბალ ლოგიკად, ხოლო დიალექტიკურ მეთოდს — მაღალ ლოგიკად. დაბალ და მაღალ ლოგიკას შორის იგივე დამოკიდებულებაა ენგელსის აზრით, რაც დაბალ და უმაღლეს მათემატიკას შორის.

ამ შემთხვევაში ჩვენ «დაბალი ლოგიკა» გვაინტერესებს. უკვე ვნახეთ, თუ რა არის ამ «დაბალი ლოგიკის» შინაარსი, ანუ, თუ როგორი ხასიათისაა «დაბალი ლოგიკით» აზროვნება — ესაა აზროვნება «მეტაფიზიკური» კატეგორიებით. შეიძლება თუ არა ამ «დაბალი ლოგიკის» გაიგივება ფორმალურ ლოგიკასთან? ან ყოველ შემთხვევაში, ენგელსი აიგივეებს თუ არა ამ ორ სრულიად სხვადასხვა რამეს? იგი ამ შემთხვევაში ლაპარაკობს მეტაფიზიკურ მეთოდზე, რომლის პრინციპებს იძლევა ფორმალური ლოგიკა. აქაც, ისევე როგორც სხვაგან, ენგელსთან გვაქვს მეტაფიზიკური მეთოდისა და ფორმალური ლოგიკის იგივეობაც და განსხვავებაც.

მეტაფიზიკასა და ფორმალურ ლოგიკას შორის განსხვავებაზე ლაპარაკობს ენგელსი, როცა წერს: «ბუნების მკვლევარნი ფილოსოფიას ჯერ კიდევ უხანგრძლივებენ მოჩვენებითი სიცოცხლის ვადას იმით, რომ ძველი მეტაფიზიკის ნარჩენებით კმაყოფილდებიან. მხოლოდ მაშინ, როდესაც ბუნებისმეცნიერება და ისტორიის მეცნიერება დიალექტიკას შეითვისებენ, მაშინ მთელი ფილოსოფიური ხარახურა — გარდა წმინდა მოძღვრებისა აზროვნების შესახებ — ზედმეტი გახდება, დადებით მეცნიერებაში გაჰქრება» [1].

ე. ი. ფ. ენგელსი ამბობს, რომ როცა დიალექტიკა დამკვიდრდება ბუნებისმეცნიერებასა და სოციოლოგიაში, მაშინ

---

[1] ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 214.

ძველი ფილოსოფიიდან დარჩება მხოლოდ აზროვნებაზე მოძღვრებაო. მხოლოდ ის დარჩება, რაც აზროვნებას ეხებაო. აქ ენგელსი გარკვევით განასხვავებს ფორმალურ ლოგიკას მეტაფიზიკისაგან. მეტაფიზიკა ისპობა, ხოლო ფორმალური ლოგიკა რჩებაო.

* * *

6. და ბოლოს: «დიალექტიკის ბუნების სრულ გაუგებრობას წარმოადგენს ის გარემოება, რომ ბატონი დიურინგი მას უბრალო დამტკიცების იარაღად თვლის, ისევე როგორც შეზღუდული გაგების დროს ასეთად შეიძლება ჩაითვალოს ფორმალური ლოგიკა ან ელემენტარული მათემატიკა. თვით ფორმალური ლოგიკაც, უწინარეს ყოვლისა, ახალი შედეგების გამოძებნის მეთოდს წარმოადგენს ცნობილიდან უცნობზე გადასასვლელად; იგივეა, მხოლოდ ბევრად უფრო მნიშვნელოვანი აზრით, დიალექტიკა, რომელიც უფრო ფართო მსოფლმხედველობის ჩანასახს შეიცავს, იმიტომ რომ არღვევს ფორმალური ლოგიკის ვიწრო ჰორიზონტს» [1].

ამ ამონაწერიდან ჩანს, რომ, ენგელსის აზრით, ფორმალური ლოგიკა შეზღუდული გაგების შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს უბრალო დამტკიცების იარაღად, ისევე როგორც ელემენტარული მათემატიკა. მაგრამ არა შეზღუდული, არამედ ნამდვილი, სწორი გაგების შემთხვევაში (ამ ნიუანსს ნიშნავს გამოთქმა «თვით ფორმალური ლოგიკაც უწინარეს ყოვლისა») ფორმალური ლოგიკა ახალი შედეგების გამოძებნის მეთოდს წარმოადგენს ცნობილიდან უცნობზე გადასასვლელად (მხედველობაშია, უწინარეს ყოვლისა, მოძღვრება დასკვნების ფორმებზე, წესებზე, კანონებზე და ა. შ.).

დიალექტიკაშიც ასეთი «ახალი შედეგების (აზრების) გამოძებნის მეთოდის» დანახვა სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა იმის ხაზგასმას, რომ დიალექტიკის კანონები სწორი, მეცნიერული აზროვნების კანონებია, დიალექტიკაც ლოგიკაა, და რომ დიალექტიკის ეს კანონები და მთელი მისი შინაარსი არა მარტო ჰგავს ამ მხრივ ფორმალური ლოგიკის კანონებსა და მის შინაარსს, არამედ მათ შორის არსებითი განსხვავებაცაა, რაც

[1] ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, გვ. 160.

იმაში მდგომარეობს, რომ დიალექტიკა არა მარტო აზროვნების კანონებს სწავლობს, ან, აზროვნების მხოლოდ ფორმების გარკვეულობას, არამედ აზროვნების შინაარსის გარკვეულობას, ანუ მთელი სინამდვილის მოძრაობისა და განვითარების კანონებს, იგი მთელი მსოფლმხედველობის ჩანასახია.

ამასთან, აქ ყურადღების ღირსია ერთი მომენტი. ენგელსი ლაპარაკობს, რომ დიალექტიკა უ ფ რ ო ფ ა რ თ ო მსოფლმხედველობის ჩანასახს შეიცავს, რადგან იგი ფორმალური ლოგიკის ვიწრო ჰორიზონტს არღვევსო. ლაპარაკი უ ფ რ ო ფ ა რ თ ო მსოფლმხედველობაზე (ან ყოველ შემთხვევაში მის ჩანასახზე) უნდა ნიშნავდეს ფორმალური ლოგიკის მიჩნევას ვიწრო მსოფლმხედველობად მაინც (ან მის ჩანასახად). ამასვე ადასტურებს დებულებაში მოცემული დაპირისპირება, რომ დიალექტიკა არღვევს ფორმალური ლოგიკის ვ ი წ რ ო ჰორიზონტს. რა უნდა იგულისხმებოდეს სხვა—ფორმალური ლოგიკის «ვიწრო ჰორიზონტში»? ენგელსი აქ არ უნდა გულისხმობდეს არც ამ მეცნიერების საგნის, საკვლევი ობიექტის განსაზღვრულობას და არც ამ მეცნიერების განვითარების იმდროინდელი დონის ნაკლოვანებებს. «ვიწრო ჰორიზონტი» ეხება უფრო პრინციპულ მხარეს, ლოგიკის მეცნიერების შინაარსობრივ შეზღუდულობას, რომელიც ენგელსის აზრით, საგანთა და მოვლენათა ელემენტარულ მიმართებათა ასახვაში, ან ამ მიმართებათა ამსახველი კანონებისა და აზროვნების ფორმების დადგენაში მდგომარეობს. ენგელსს რომ ფორმალური ლოგიკა ასეთ ე. წ. «ვიწრო ჰორიზონტის» მსოფლმხედველობად მიაჩნია, ამას ადასტურებს ენგელსის მიერ მრავალჯერ მოყვანილი შედარება ელემენტარულ მათემატიკასთან.

მაშასადამე, ფ. ენგელსი აქ კვლავ მიუთითებს ფორმალური ლოგიკისა და მეტაფიზიკური აზროვნების თეორიის ერთგვარ იგივეობაზე.

ჩვენს მიერ მოყვანილ დებულებას «ანტი-დიურინგიდან» ენგელსი იქვე განმარტავს და ასაბუთებს სწორედ მათემატიკის ანალოგიით. ფ. ენგელსი წერს:

«მათემატიკაშიც იგივე ურთიერთობა არსებობს. ელემენტარული მათემატიკა, მუდმივ სიდიდეთა მათემატიკა ფორმალური ლოგიკის ფარგლებში მოძრაობს, ყოველ შემთხვევაში

საერთოდ და მთლიანად; ცვლად სიდიდეთა მათემატიკა, რომლის უმნიშვნელოვანეს ნაწილს უსასრულო მცირეთა აღრიცხვა შეადგენს, არსებითად წარმოადგენს მხოლოდ დიალექტიკის გამოყენებას მათემატიკური შეფარდებისადმი.

უბრალო დამტკიცება აქ გადაჭრით იჩრდილება მეთოდის მრავალგვარი გამოყენების წინაშე ახალი კვლევაძიების დარგებში. მაგრამ უმაღლესი მათემატიკის თითქმის ყველა დამტკიცება, დიფერენციალური აღრიცხვის პირველი დამტკიცებებიდან დაწყებული, ელემენტარული მათემატიკის თვალსაზრისით, მკაცრად რომ ვთქვათ, ყალბია. ეს არც შეიძლება სხვანაირად იყოს, თუ, როგორც აქ ხდება, მოისურვებენ, რომ დიალექტიკის სფეროში მოპოვებული შედეგები ფორმალური ლოგიკის საშუალებით დაამტკიცონ»[1].

აქ ნათლად არის ნათქვამი, რომ დიალექტიკური აზროვნების შედეგების დამტკიცება ფორმალური ლოგიკის საშუალებით შეუძლებელია, რომ ფორმალური ლოგიკის თვალსაზრისით დიალექტიკური აზროვნების შედეგები, «მკაცრად რომ ვთქვათ», ყალბია ისევე, როგორც ყალბია ელემენტარული მათემატიკის თვალსაზრისით უმაღლესი მათემატიკის თითქმის ყველა დამტკიცება, დიფერენციალური აღრიცხვის პირველი დამტკიცებებიდან დაწყებული.

მაშასადამე, აქ ლაპარაკია ფორმალური ლოგიკის მსოფლმხედველობრივ შეზღუდულობაზე, იმაზე, რომ ფორმალური ლოგიკის მიხედვით აზროვნების წესი ეს არის მეტაფიზიკური აზროვნების წესი.

ე. ი. ფ. ენგელსი აზროვნების «მეტაფიზიკურ წესსა» და «ფორმალურ-ლოგიკურ წესს» ზოგჯერ ერთიდაიგივე მნიშვნელობით ხმარობს*.

ვ. ი. ლენინი ფორმალური ლოგიკის შესახებ

როგორც ცნობილია, ვ. ი. ლენინი თავის შრომებში ხშირად უპირისპირებდა ერთმანეთს დიალექტიკურ და ფორმა-

---

[1] ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, გვ. 160.

* ფ. ენგელსი რომ ერთნაირი მნიშვნელობით ხმარობდა «მეტაფიზიკას» და «ფორმალურ ლოგიკას» ამაზე მიუთითებს პროფ. ბ. მ. კედროვიც (იხ. Вопросы философии, 1951, № 4, стр. 225).

ლურ ლოგიკას. ამ დაპირისპირების ხასიათის გასარკვევად განსაკუთრებით საინტერესოა ლენინის აზრები დიალექტიკურ და ფორმალურ ლოგიკაზე, გამოთქმული შრომაში «ერთხელ კიდევ პროფკავშირებზე». ამ შრომის ერთ-ერთ თავში («დიალექტიკა და ეკლექტიციზმი», «სკოლა» და «აპარატი») ლენინი აკრიტიკებს ტროცკის, ბუხარინისა და ზინოვიევის ეკლექტიკურ თვალსაზრისს პროფკავშირების როლისა და ამოცანების გაგების საკითხში.

ბუხარინი და სხვები თვლიდნენ, რომ პროფკავშირები, ერთი მხრივ, წარმოადგენენ «კომუნიზმის სკოლას», მეორე მხრივ, სამეურნეო აპარატის შემადგენელ ნაწილს, ისევე როგორც, მაგალითად, ჭიქა, ერთი მხრივ, შუშის ცილინდრია, ხოლო, მეორე მხრივ, სასმისი ჭურჭელი.

ამის შესახებ ვ. ი. ლენინი წერს:

«აი სწორედ აქ არის ამხ. ბუხარინის ძირითადი თეორიული შეცდომა, მარქსიზმის დიალექტიკის შეცვლა ეკლექტიციზმით...

ამხ. ბუხარინი ლაპარაკობს «ლოგიკურ» საფუძველთა შესახებ... მთელი მისი მსჯელობა ნათელყოფს, რომ იგი აქ — შეიძლება შეუგნებლადაც — დგას ფორმალური ანუ სქოლასტიკური ლოგიკის თვალსაზრისზე და არა დიალექტიკური ანუ მარქსისტული ლოგიკის თვალსაზრისზე».

ვ. ი. ლენინი განმარტავს ამას ბუხარინის მიერ მოყვანილი ჭიქის განსაზღვრების მაგალითზე.

«ჭიქა, ეჭვს გარეშეა, შუშის ცილინდრიც არის და სასმისი ჭურჭელიც. მაგრამ ჭიქას აქვს არა მარტო ეს ორი თვისება ანუ ნიშანი, მხარე, არამედ აქვს უამრავი სხვა თვისება, ნიშანი, მხარე; ურთიერთდამოკიდებულება და «გამეშვეება» ნათელ დანარჩენ მსოფლიოსთან. ჭიქა არის მძიმე საგანი, რომელიც შეიძლება სატყორცნ იარაღადაც გამოდგეს. ჭიქა შეიძლება იხმაროთ როგორც პრესპაპიე, როგორც დაჭერილი პეპელას დასამწყვდევი, ჭიქას შეიძლება ღირებულება ჰქონდეს, როგორც მხატვრულ საგანს, ჩუქურთმით ან ნახატით შემკულს, სრულიად დამოუკიდებლად იმისა, ვარგა თუ არა იგი სასმისად, შუშისგანაა გაკეთებული თუ არა, ცილინდრული ფორმა აქვს თუ არა სავსებით ცილინდრული, და ასე შემდეგ და მისთანანი.

შემდეგ. თუ ჭიქა მჭირდება ამჟამად, როგორც სასმისი ჭურჭელი, ჩემთვის სრულიად არა აქვს მნიშვნელობა იმის ცოდნას, სავსებით ცილინდრულია მისი ფორმა, ნამდვილად შუშისგან არის გაკეთებული თუ არა, სამაგიეროდ მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ძირი გაბზარული არ ჰქონდეს, რომ ამ ჭიქის ხმარების დროს არ შეიძლებოდეს ტუჩების გაკაწვრა და სხვა. ხოლო თუ ჭიქა მჭირდება არა სასმისად, არამედ ისეთ სახმარებელ საგნად, რისთვისაც გამოსადეგია შუშის ყოველი ცილინდრი, მაშინ გამომადგება ძირგაბზარული, ან სრულიად უძირო ჭიქაც და სხვა.

ფორმალური ლოგიკა, რითაც კმაყოფილდებიან სკოლებში (და უნდა კმაყოფილდებოდნენ კიდეც — ზოგიერთი შესწორებით — სკოლის დაბალი კლასებისათვის), იღებს ფორმალურ განსაზღვრებას, ხელმძღვანელობს რა იმით, რაც ყველაზე უფრო ჩვეულებრივია, ანდა რაც ყველაზე ხშირად გვეცემა თვალში, და ამას სჯერდება. თუ ამასთანავე აიღებენ ორს ან მეტს სხვადასხვა განსაზღვრას და აერთებენ მათ სრულიად შემთხვევით (შუშის ცილინდრიც და სასმისი ჭურჭელიცო), ჩვენ მივიღებთ ეკლექტიკურ განსაზღვრას, რომელიც საგნის სხვადასხვა მხარეს აღნიშნავს და სხვას არაფერს.

დიალექტიკური ლოგიკა ჩვენგან უფრო მეტს მოითხოვს, რათა ნამდვილად გაიცნოთ საგანი, საჭიროა მოიცვათ, შეისწავლოთ ყველა მისი მხარე, ყველა მისი კავშირი და «გამეშვევება». ჩვენ ვერასოდეს ვერ მივაღწევთ ამას სავსებით, მაგრამ ყოველმხრივობის მოთხოვნა უზრუნველგვყოფს შეცდომებისაგან. მეორეც, დიალექტიკური ლოგიკა მოითხოვს, რომ საგანი განვიხილოთ მის განვითარებაში, მის «თვითმოძრაობაში» (როგორც ხანდახან ჰეგელი ამბობს), ცვალებადობაში. ჭიქის შესახებ ეს მყისვე ცხადი არ არის, მაგრამ არც ჭიქა რჩება უცვლელი, განსაკუთრებით კი იცვლება ჭიქის დანიშნულება, მისი ხმარება, მისი კ ა ვ შ ი რ ი გარემომცველ სამყაროსთან. მესამე, ადამიანის მთელი პრაქტიკა უნდა შედიოდეს საგნის სრულს «განსაზღვრაში», როგორც ჭეშმარიტების კრიტერიუმი და როგორც პრაქტიკული განმსაზღვრელი საგნის კავშირისა იმასთან, რაც ადამიანს სჭირდება. მეოთხე, დიალექტიკური ლო-

გიკა გვასწავლის, რომ «აბსტრაქტული ჭეშმარიტება არ არსებობს, ჭეშმარიტება ყოველთვის კონკრეტულია», როგორც ამის თქმა უყვარდა, ჰეგელის შემდგომ, განსვენებულ პლეხანოვს...

რასაკვირველია, მე არ ამომიწურავს დიალექტიკური ლოგიკის ცნება, მაგრამ ჯერჯერობით ესეც კმარა. უკვე შეიძლება ჭიქიდან პროფკავშირებსა და ტროცკის პლატფორმაზე გადავიდეთ.

«ერთი მხრივ, სკოლა, მეორე მხრივ, აპარატიო» — ამბობს ბუხარინი და წერს თავის თეზისებში. ტროცკის შეცდომა ისაა, რომ იგი «არასაკმარისად იცავს სკოლის მომენტს»... ზინოვიევს კი აკლია აპარატის «მომენტიო».

რატომ არის ბუხარინის ეს მსჯელობა მკვდარი და უშინაარსო ეკლექტიციზმი? იმიტომ, რომ ბუხარინი ოდნავადაც არ ცდილობს დამოუკიდებლად, თავისი თვალსაზრისით გაუკეთოს ანალიზი როგორც ამ დავის მთელ ისტორიას (მარქსიზმი, ე ს ე ი გ ი დიალექტიკური ლოგიკა, ამას უსათუოდ მოითხოვს), ისე საკითხისადმი მთელ მიდგომას, საკითხის მთელ დაყენებას, — ან, თუ გნებავთ მისი დაყენების მთელ მიმართულებას—ამჟამად ახლანდელ კონკრეტულ გარემოებებში. ოდნავადაც კი არ ცდილობს ამას ბუხარინი, იგი საქმეს უდგება ყოველგვარი კონკრეტული შესწავლის გარეშე, ცარიელი აბსტრაქციებით, ერთ ნაკუწს ზინოვიევისაგან იღებს, მეორეს — ტროცკისაგან, ეს არის ეკლეკტიციზმი»[1].

ამ ვრცელი ამონაწერიდან ბევრი რამ არის ჩვენთვის საგულისხმო.

ვ. ი. ლენინი ერთმანეთს უპირისპირებს «ფორმალური ანუ სქოლასტიკური ლოგიკის თვალსაზრისს» და «დიალექტიკური ანუ მარქსისტული ლოგიკის თვალსაზრისს».

როგორ გავიგოთ ეს დაპირისპირება და რას წარმოადგენენ დაპირისპირებულნი?

ვ. ი. ლენინის აზრით აზროვნების ფორმალურ-ლოგიკური წესი მოითხოვს ან კმაყოფილდება მოვლენის ფორმალური განსაზღვრებით, ანუ იმის აღნიშვნით, რაც ყველაზე უფრო ჩვეულებრივია, რაც ყველაზე ხშირად გვეცემა თვალში.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 32, გვ. 100 — 104.

ხოლო დიალექტიკური აზროვნების წესი არ კმაყოფილდება ასეთი ფორმალური და ზედაპირული განსაზღვრებით და უფრო შორს მიდის. იგი მოითხოვს მოვლენის განხილვას ყოველმხრივ, მისი ყოველი მხარისა და ყოველი კავშირის შესწავლას, მოვლენის განხილვას მის განვითარებასა, მოძრაობასა და ცვალებადობაში, ერთი სიტყვით, იგი მოითხოვს მოვლენის განხილვას დიალექტიკური მეთოდის ცნობილი კანონებისა და ნიშნების მიხედვით*.

ე. ი. «დიალექტიკურ ლოგიკაში» იგულისხმება დიალექტიკური აზროვნების თეორია, დიალექტიკური მეთოდი, რომელიც საგნის ისეთ განსაზღვრებას მოითხოვს, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ამ საგნის ისტორია, მისი ყოველი მხარე, ყოველი მომენტი, ამ მხარეების ყოველი კავშირი გარემო პირობებთან (ანუ ამ საგნის არსებობის კონკრეტულ პირობებთან) და, რაც მთავარია, ნაჩვენები იქნება ის, თუ ამ საგნის რომელი მხარეა ძირითადი, გადამწყვეტი ამა თუ იმ კონკრეტულ პირობებში, ადამიანური პრაქტიკის ამა თუ იმ მდგომარეობაში და საფეხურზე.

თუ არსებობს დიალექტიკურ მეთოდზე მოძღვრების გარდა რაიმე ისეთი მეცნიერება, ისეთი ლოგიკა, რომელიც გვასწავლიდეს საგნის ასეთი გაგების, ასეთი დიალექტიკური განსაზღვრების წესს, წინააღმდეგ განსაზღვრების «ფორმალური» წესისა, რასაც ფორმალური ლოგიკა გვასწავლის? არა, არ არსებობს.

ასეთი «ლოგიკის» მეცნიერება თვითონ დიალექტიკურ მეთოდზე მოძღვრება — თვით დიალექტიკაა, რომელიც იმასაც გვასწავლის, რომ არა მარტო ობიექტური სინამდვილეა ასეთი ცვალებადი, განვითარებადი, «კონკრეტული», არამედ აგ ობიექტური სინამდვილის ამსახველი ცნებებიც (ცნებათა მოქნილობა, ურთიერთგადასვლები).

მაშასადამე, აქ ვ. ი. ლენინი მარქსისტულ დიალექტიკას, მარქსისტულ დიალექტიკურ მეთოდს ახასიათებს როგორც

---

* ვ. ი. ლენინი არ ჩამოთვლის დიალექტიკური მეთოდის ყოველ ნიშანს და სწორედ ამიტომ დასძენს: რასაკვირველია მე არ ამომიწურავს დიალექტიკური ლოგიკის ცნებაო.

ლოგიკას, როგორც აზროვნების შესახებ მეცნიერებას, რომელიც გვასწავლის, თუ როგორ უნდა ვ ი ა ზ რ ო ვ ნ ო თ, როგორ უნდა შ ე ვ ი მ ე ც ნ ო თ სინამდვილე და თუ როგორ უნდა გ ა ნ ვ ს ა ზ ღ ვ რ ო თ, ანუ როგორ უნდა შ ე ვ ა ფ ა ს ო თ ესა თუ ის მოვლენა ამა თუ იმ კონკრეტულ ისტორიულ პირობებში. ე. ი. აქ ფაქტიურად ლენინი შლის და განმარტავს თავის დებულებას დიალექტიკის, ლოგიკისა და შემეცნების თეორიის იგივეობაზე. ესაა ამ იგივეობის სწორი მარქსისტული გაგება.

თუ რა აზრით არის დიალექტიკა — ლოგიკა, ამას კიდევ უფრო ნათელს ხდის ლენინის გამოთქმა: «მარქსიზმი, ესე იგი დიალექტიკური ლოგიკა», ე. ი. არა მარტო დიალექტიკაა ამ აზრით ლოგიკა; არამედ მთელი მარქსიზმი ლოგიკაა, აზროვნების თეორია, სწორი მეცნიერული აზროვნების თეორია. მარქსიზმი თუ კარგად იცი, სწორად, მეცნიერულად იაზროვნებ, — ამ გამოთქმით ლენინი ბუხარინსა და სხვებს ეუბნება, რომ თუ მარქსისტებად მიგაჩნიათ თავი, მარქსიზმი საკითხის სხვაგვარ დაყენებას, გარდა კონკრეტულ-ისტორიული დაყენებისა (როგორც ამას მოითხოვს დიალექტიკური ლოგიკა, მარქსიზმის სული და გული), არ იცნობსო.

მაშასადამე, ვ. ი. ლენინმა მარქსიზმი დაახასიათა როგორც ლოგიკა, მაგრამ განა შეუძლია ვინმეს აქედან გააკეთოს დასკვნა, რომ მარქსიზმი მოძღვრებაა ცნებებზე, მსჯელობებზე და დასკვნებზე? რა თქმა უნდა, არა. «მარქსიზმი ანუ დიალექტიკური ლოგიკა» მხოლოდ იმდენადაა მოძღვრება ცნებებზე, მსჯელობებზე და დასკვნებზე, რამდენადაც იგი მოითხოვს ამა თუ იმ საგნის, მოვლენის არსების განსაზღვრების, ანუ ცნების დადგენის დროს გავითვალისწინოთ ამ საგნის ისტორია და მისდამი კონკრეტულ-ისტორიული მიდგომის აუცილებლობა. მაგრამ დიალექტიკური მეთოდი ცნებათა კლასიფიკაციასა და სხვ. როდი იძლევა.

ასევე არ შეიძლება ვილაპარაკოთ დიალექტიკისა და ლოგიკის აბსოლუტურ და აბსტრაქტულ იგივეობაზე. იგივეობა ჰეგელის გაგებით, აგრეთვე ლენინის თანახმად, შეიცავს განსხვავებას. იგივეობა განსხვავებულთა იგივეობას ნიშნავს. გან-

სხვავების მომენტის არსებობის გარეშე არც კი შეიქმნებოდა იგივეობის ცნება, ანუ აზრი იგივეობაზე.

ჩვენს შემთხვევაში ვ. ი. ლენინი, ერთი მხრივ, მარქსისტულ დიალექტიკურ მეთოდს ახასიათებს როგორც ლოგიკას, ხოლო, მეორე მხრივ, დიალექტიკურ ლოგიკის შინაარსის გასაცნობად დიალექტიკური მეთოდის ნიშნებს ალაგებს.

მაშასადამე, დაპირისპირების ერთი პოლუსი თავისი შინაარსით ყოფილა მეთოდი.

რა შეიძლება დაუპირისპირდეს დიალექტიკურ ლოგიკას როგორც მეთოდს — მეტაფიზიკური მეთოდი თუ ფორმალური ლოგიკა? მხოლოდ მეთოდების დაპირისპირებულობაზე ლაპარაკობს ლენინი, თუ სწორედ ორი ლოგიკის დაპირისპირებაზე პირდაპირი და არა გადატანითი მნიშვნელობით? ანუ, უფრო მარტივად, როცა ლენინი ფორმალურ ლოგიკას აკრიტიკებს და მას გარკვეული აზრით «სქოლასტიკასაც» კი უწოდებს, ამით ლენინი აზროვნების მეტაფიზიკურ მეთოდს აკრიტიკებს მხოლოდ თუ თვით ლოგიკის მეცნიერებას, ფორმალურ ლოგიკას?*.

---

* ვ. ი. ლენინის ზემოაღნიშნულ შრომაში ამის შესახებ ისე ნათლად არის ნათქვამი, რომ ასეთი კითხვა არც დაისმოდა, ზოგიერთი მკვლევარი რომ არ ამტკიცებდეს: აქ ლენინი მხოლოდ მეტაფიზიკას აკრიტიკებს, ხოლო ფორმალურ ლოგიკას იცავს და მცირე შენიშვნებით საშუალო სკოლებში მისი სწავლების აუცილებლობაზე მიგვითითებსო. ასეთი მტკიცება, რა თქმა უნდა, არაა სწორი. იგი მომდინარეობს ფორმალური ლოგიკის, როგორც მეცნიერების დაცვისა და გამართლების სავსებით ჯანსაღი, მაგრამ გადაჭარბებული ტენდენციიდან. ამ ტენდენციას ზოგიერთი მკვლევარი იქამდე მიყავს, რომ ისინი ცდილობენ «შეალამაზონ» ენგელსისა და ლენინის აზრები, გამოთქმები ფორმალურ ლოგიკაზე. ენგელსის ან ლენინის აზრებში უნდათ მაინცადამაინც ის ამოიკითხონ, რასაც თვითონ ფიქრობენ. მაშასადამე, ამით ისინი ენგელსსა და ლენინს მიაწერენ იმას, რაც მათ არ ჰქონიათ. აქ მნიშვნელობა არა აქვს იმას — სწორია თუ არა ის, რასაც ენგელსსა და ლენინს მიაწერენ. «მიწერა» არცერთ შემთხვევაში არაა გამართლებული. კარგად თუ დავუკვირდებით, ძნელი არაა იმის მიხვედრა, თუ როგორი შეიძლება იყოს ამ «მიწერის» ფსიქოლოგიური ხასიათი. ლოგიკოსთა ერთი ნაწილი კლასიკოსების აზრებში იმას ხედავს, რაც მათ პირადად სურთ, ხოლო მეორე ნაწილი კლასიკოსთა აზრების სხვაგვარ გაგებას (ვიდრე ამ ლოგიკოსებს ესმით)

რა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა, ფორმალურ ლოგიკას. ჯერ-ერთი, ლენინი ხომ პირდაპირ ლაპარაკობს იმ ფორმალურ ლოგიკაზე, რომელიც ისწავლებოდა სკოლებში და რომელიც ლენინის აზრით საბჭოთა სკოლებშიაც უნდა ისწავლებოდეს გარკვეული შესწორებებით, ხოლო ჩვენს სკოლებში მეტაფიზიკა არ ისწავლება.

შემდეგ, დავუკვირდეთ თვით დავის საგანს, რის გამოც უპირისპირდებიან დიალექტიკური და ფორმალური ლოგიკა. დავის საგანია განსაზღვრება, განსაზღვრების წესი როგორც ასეთი (ლენინის შრომიდან ამონაწერში ლაპარაკი იყო, როგორც ვნახეთ, პროფკავშირების და ჰიქის განსაზღვრებებზე). განსაზღვრების წესს კი გვასწავლის ფორმალური ლოგიკა და არა მეტაფიზიკა. მაშასადამე, ლენინი უპირისპირებს დიალექტიკურ ლოგიკას არა მეტაფიზიკური აზროვნების მეთოდს, არა მეტაფიზიკას, არამედ ფორმალურ ლოგიკას.

მაგრამ ასეთ შემთხვევაში შეიძლება შემოგვედაონ: დიალექტიკური ლოგიკა ჩვენ გავიგეთ როგორც მეთოდი, ხოლო ფორმალური ლოგიკა არ გვინდა გავიგოთ როგორც მეთოდი, როგორც მეტაფიზიკა, გამოდის, რომ მეთოდს ვუპირისპირებთ არა მეთოდს. ეს კი ულოგიკობაა იმავე ელემენტარული ლოგიკის თვალსაზრისით.

შეცდომად თვლის, წარმოუდგენლად მიაჩნიათ და, ერიდებათ რა კლასიკოსთა აზრების ყოველგვარი შემდგომი დაზუსტება, ისინი კლასიკოსთა დებულებებში სრულიად ან რამდენადმე სხვა, მათი აზრით, «უფრო სწორ» შინაარსს დებენ და იცავენ ამ აზრებს, როგორც კლასიკოსთა აზრებს, ეყრდნობიან ამ აზრებს და გამოდიან იქედან, როგორც კლასიკოსთა აზრებიდან.

როგორც ვხედავთ «მიწერის» შეცდომის ორივე შემთხვევაში საერთოა მიზანი, კეთილი სურვილი — ლოგიკის მეცნიერების დაცვა და გამართლება, მაგრამ განსხვავებულია მოქმედება, თუ ლოგიკოსთა პირველი ნაწილის შეცდომა არაცნობიერი ხასიათისაა, ლოგიკოსთა მეორე ჯგუფის შეცდომა საკუთარი გაცნობიერებული მოქმედებაა. შეიძლება არ დავეთანხმოთ რომელიმე ავტორიტეტის აზრს ამა თუ იმ საკითხზე, მაგრამ არ შეიძლება დავამახინჯოთ მათი აზრები, შევცვალოთ ისინი რაიმე სხვა, თუნდაც უფრო სწორი აზრით. შეიძლება კლასიკოსთა ამა თუ იმ დებულების დაზუსტება, მაგრამ არა «შელამაზება».

შრომის მესამე თავში ჩვენ ვნახავთ მარქსიზმის კლასიკოსთა აზრების ასეთი «შელამაზების» მაგალითებს.

ეს სიძნელე რეალურად არსებობს ჩვენს მსჯელობაში და ასეთი შემოდავება უსაფუძვლო არ არის.

როგორ შეიძლება ავხსნათ ეს სიძნელე?

დიალექტიკური ლოგიკა გავიგეთ როგორც მეთოდი იმიტომ, რომ მას სხვა შინაარსი არა აქვს და ლენინმაც მხოლოდ მეთოდის შინაარსით დაახასიათა იგი*. დიალექტიკური ლოგიკა ლენინთან დახასიათებულია როგორც მარქსიზმის შემეცნების თეორია (კანონებს გარდა, იქ მითითებულია პრაქტიკის როლზე, ჭეშმარიტების კონკრეტულობაზე, რაც, აგრეთვე, დიალექტიკური მეთოდის შინაარსში შედის). ფორმალური ლოგიკა აზროვნების ფორმებზე მოძღვრებაა. მეტაფიზიკა კი ონტოლოგიაა, რომელიც სინამდვილის უცვლელობას და გაქვავებულობას ამტკიცებს. როცა მსჯელობაში პროფკავშირების შესახებ ლენინი არჩევს და აკრიტიკებს ბუხარინის აზრებს, არსად არ ხმარობს ტერმინს «მეტაფიზიკას». ლენინი ბუხა-

---

* შეიძლება აქაც შემოგვედაონ და გვითხრან, რომ ლენინს ეს დახასიათება არ დაუმთავრებია და შეიძლება მას აზროვნების ფორმების სპეციფიკაზე ეთქვა რამეო.

ჯერ ერთი, ცხადია, რომ ლენინი დიალექტიკური ლოგიკის დახასიათების ამოუწურაობაში გულისხმობს იმას, რომ მან დიალექტიკის მხოლოდ ორი ნიშანი დაასახელა და არაფერი უთქვამს დიალექტიკის სხვა კანონებზე, მეთოდის სხვა ნიშნებზე. ამ ჩამოთვლის ხასიათი ნათელს ხდის, რომ ლენინმა მხოლოდ ის დაასახელა, რაც მისი შემთხვევისათვის (პროფკავშირების განსაზღვრებისათვის) იყო საჭირო — მითითება ამ მოვლენის კავშირებზე, მის ისტორიულობაზე, პრაქტიკაში მის მდგომარეობაზე, ანუ პრაქტიკის თვალსაზრისით მის ხასიათზე და მისი განსაზღვრის კონკრეტულობაზე. დიალექტიკის სხვა კანონებზე მითითება პროფკავშირებზე მსჯელობის დროს ლენინს არ სჭირდებოდა, ამიტომ ამბობს იგი «არ ამოიწურავს დიალექტიკური ლოგიკის ცნება, მაგრამ ჯერჯერობით ესეც კმარაო».

და შემდეგ, დიალექტიკური აზროვნების ფორმების სპეციფიკურობაზე მიგვითითებს არა რაღაც სხვა დამატებითი მასალა — მოძღვრება დიალექტიკურ ცნებებზე, მსჯელობებზე და დასკვნებზე, — არამედ დიალექტიკის, როგორც მეცნიერების შინაარსი, რაც შეიძლება ნახულ იქნას დიალექტიკური მეთოდის რომელიც გნებავთ სახელმძღვანელოში (მოძღვრება შემეცნებაზე, ცოდნის ბუნებაზე, შეფარდებით, აბსოლუტურ და კონკრეტულ ჭეშმარიტებაზე, პრაქტიკის როლზე და სხვ. და სხვ.).

რინთან კამათში ლაპარაკობს ეკლექტიკაზე, სკოლასტიკაზე და არა მეტაფიზიკაზე.

ვ. ი. ლენინმა შესანიშნავად იცის ცნებისათვის ტერმინებიხა და მათი სინონიმების შერჩევა და არავითარი დამატებითი «მიაზრება» ამ ტერმინებზე საჭირო არაა. მაშ როგორღა ავხსნათ ის, რომ მეთოდი უპირისპირდება ლოგიკას და არა მეთოდს?

ფორმალური ლოგიკის აზროვნების ერთგვარ მეთოდად აღიარების გარეშე აქ სიძნელეს ვერ მოვხსნით. ასე იყო ობიექტურადაც. ზემოთ უკვე ითქვა, რომ ფორმალური ლოგიკა, განსაკუთრებით ჰეგელის შემდეგ მიჩნეული იყო მეტაფიზიკური აზროვნების თეორიად, გარკვეული «ვიწრო მნიშვნელობის» და «შეზღუდულ» მეთოდად. ასეთი გაიგივება აღვნიშნეთ ენგელსთანაც. თუ რაში მდგომარეობს ამ გაიგივების ფესვები და მიზეზები, ეს ჩვენ უკვე ვნახეთ.

მეტაფიზიკური იქნება აზროვნება, თუ იგი დიალექტიკურ დასკვნებამდე არ მიდის, ობიექტურ დიალექტიკას არ იცნობს და არ ითვალისწინებს, თუ აზროვნება მხოლოდ ფორმალურ ლოგიკურ კანონებს იცავს და ამის იქით არ მიდის.

ეს დამოკიდებულება დიალექტიკასა, მეტაფიზიკასა და ფორმალურ ლოგიკას შორის ასე გამოითქმება:

ყოველგვარი აზროვნება როგორც მეცნიერული, მარქსისტული, ისე არამარქსისტული უნდა იცავდეს აზროვნების ფორმალურ-ლოგიკურ კანონებს. მაგრამ თუ მ ხ ო ლ ო დ ფორმალურ-ლოგიკურ კანონებს იცავ, დიალექტიკურს კი უარყოფ, მაშინ მეტაფიზიკურად აზროვნებ, «მეტაფიზიკოსი» ხარ. ეს იმით აიხსნება, რომ აზროვნება ყოვლად წარმოუდგენელია აზროვნების მეთოდის გარეშე. აზროვნების მეთოდი პრინციპულად მხოლოდ ორი არსებობს, თანაც ურთიერთგამომრიცხველი. თუ აზროვნება არ არის დიალექტიკური, მაშასადამე, იგი მეტაფიზიკურია და, პირიქით. ამ დაპირისპირების ბუნებას კარგად გავიგებთ, თუ დიალექტიკურ აზროვნებას ვუწოდებთ სწორს, მეცნიერულს, ხოლო მეტაფიზიკურს — არასწორს, არამეცნიერულს. ცხადია, სადაც არა გვაქვს სწორი აზროვნება, იქ გვაქვს არასწორი აზროვნება და პირიქით.

თუ აზროვნება ფორმალური ლოგიკის კანონებს იცავს, მაგრამ არასწორია, მაშინ იგი «მეტაფიზიკურია». ლენინის აზრით ასეთი მოაზროვნეები სწორედ იმას უტეხენ სახელს, რასაც იცავენ — ფორმალურ ლოგიკას. ზემომოყვანილ კონკრეტულ შემთხვევაში სწორედ ამიტომ უწოდა ლენინმა ფორმალურ ლოგიკას «სქოლასტიკური». მაგრამ ეს როდი ნიშნავს ფორმალური ლოგიკის უარყოფას საერთოდ. დიალექტიკური აზროვნება, მკაცრად რომ ვთქვათ, ვერ განხორციელდება ფორმალურ-ლოგიკური კანონების დაცვის გარეშე (ზუსტად იმავე აზრით, რა აზრითაც ვერ ამოხსნი ინტეგრალს, თუ არ გამოხვედი იქიდან, რომ 2×2=4). სწორედ ამით აიხსნება, რომ მარქსიზმის კლასიკოსები ამათრახებდნენ მოწინააღმდეგეებს ფორმალურ-ლოგიკური კანონების დარღვევის გულისათვის.

ვ. ი. ლენინი ლაპარაკობდა ლოგიკის მეცნიერების გარკვეულ შესწორებებზე. ეს «შესწორება» უპირველეს ყოვლისა ეხება ლოგიკის ინტერპრეტაციას, მაგრამ ინტერპრეტაციის ცნება კარგად უნდა გავიგოთ; სწორი, მეცნიერული ინტერპრეტაცია ლოგიკის საგნისა და ამოცანებისა მოითხოვს ან იწვევს ლოგიკის მთელი შინაარსის დიალექტიკურ დალაგებასა და გაშუქებას. თვალსაზრისი ლოგიკის მეცნიერებისა გარეგანი და ინდიფერენტული არ არის მისი შინაარსისათვის. როცა ლენინი ამბობს: ლოგიკა უნდა ისწავლებოდეს სკოლაშიო, აქ უკვე იგულისხმება, რომ უნდა ისწავლებოდეს ლოგიკა არა როგორც ონტოლოგია, მეტაფიზიკა, არამედ როგორც მეცნიერება აზროვნების ფორმებზე, ცოდნა ცნებებზე, მსჯელობებზე, დასკვნა-დასაბუთებაზე და სხვა; ხოლო როცა დასძენს: «გარკვეული შესწორებებითო» — აქ იგულისხმება ლოგიკის გაწმენდა იმ შინაარსისაგან, რაც მისი მეტაფიზიკური ინტერპრეტაციის უშუალო ნაყოფია.

მოძღვრება აზროვნების ფორმებზე, ცნებებზე, მსჯელობებზე, დასკვნა-დასაბუთებაზე და სხვა, საერთოდ ლოგიკის მეცნიერება, არასგზით არ შეიძლება «მეტაფიზიკური», «ფორმალური» მეცნიერება იყოს. ლოგიკის ამა თუ იმ სახელმძღვანელოს უვარგისობა და შეუსაბამობა ჩვენი მოთხოვნებისადმი

არ ნიშნავს ლოგიკის მეცნიერების უვარგისობას და შეუსაბამობას.

ამასთან უფრო მეტად ლანძღავენ ლოგიკის .სახელმძღვანელოებს, ვიდრე სწავლობენ მათ და ეხმარებიან ავტორებს ზოგიერთი ხარვეზის, ნაკლოვანებისა ან შეცდომის გამოსწორებაში.

ე. ი. ლ ო გ ი კ ი ს მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ა, რ ო მ ე ლ ს ა ც ტ რ ა-
დ ი ც ი უ ლ ა დ ე. წ. «ფ ო რ მ ა ლ უ რ ი ლ ო გ ი კ ა» ე წ ო-
დ ე ბ ა, შ ე ი ს წ ა ვ ლ ი ს შ ე მ ე ც ნ ე ბ ი ს პ რ ო ც ე ს ი ს
გ ა რ კ ვ ე უ ლ მ ხ ა რ ე ს, ა ზ რ თ ა თ ა ნ მ ი მ დ ე ვ რ ო ბ ი-
ს ა დ ა გ ა რ კ ვ ე უ ლ ო ბ ი ს კ ა ნ ო ნ ე ბ ს; ი გ ი ი კ ვ ლ ე ვ ს
დ ა ა დ გ ე ნ ს ი მ ფ ო რ მ ე ბ ს, რ ო მ ლ ე ბ ს ა ც ე მ ო რ-
ჩ ი ლ ე ბ ა ა დ ა მ ი ა ნ უ რ ი ა ზ რ ო ვ ნ ე ბ ა ო ბ ი ე ქ ტ უ რ ი
ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ი ს შ ე მ ე ც ნ ე ბ ი ს პ რ ო ც ე ს შ ი.

თავი მესამე

დიალექტიკისა და ლოგიკის ურთიერთობის საკითხისათვის

დიალექტიკისა და ლოგიკის საგნების ანალიზის საფუძველზე მათ შორის ურთიერთობა შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ:

ყოველი მეცნიერება მოძრაობის გარკვეულ ფორმას, სინამდვილის გარკვეულ სფეროს, მხარეს ან მომენტს სწავლობს. ფაქტია აზროვნების სინამდვილე, არსებობს აზროვნება როგორც მაღალორგანიზებული მატერიის — ტვინის პროდუქტი, და სინამდვილის ამ ნაწილს, მოძრაობის ამ უნივერსალურ ფორმას გარკვეული მეცნიერება უნდა შეისწავლიდეს. მაგრამ შეიძლება თუ არა აზროვნებამთლიანად ერთმა რომელიმე მეცნიერებამ შეისწავლოს? რა თქმა უნდა, არა.

ა) აზროვნება რთული და მრავალმხრივი მოვლენაა. აზროვნებას აქვს ორგანო — ტვინი. ტვინის მუშაობის კანონზომიერებას სწავლობს სპეციალური მეცნიერება — ფიზიოლოგია. აზროვნების უნარის საფუძველი ფიზიოლოგიური პროცესია;

ბ) აზროვნების ფიზიოლოგიური პროცესი ვლინდება ადამიანის ფსიქიკურ მოვლენებში, შეგრძნებების, აღქმების, წარმოდგენებისა და ცნებების წარმოქმნის პროცესში. აზროვნების პროცესის ამ მხარეს, ამ მოვლენებს სპეციალური მეცნიერება — ფსიქოლოგია შეისწავლის (მაშასადამე, აზროვნება ამავე დროს ფსიქოლოგიური პროცესია);

გ) აზროვნების პროცესის შინაარსი ობიექტური სინამდვილის ასახვაა, ობიექტური სინამდვილის კანონზომიერებათა შემეცნებაა. ეს არის სწორედ აზროვნების მიზანი, მისი ერთადერთი ამოცანა. ამ ამოცანას აზროვნება ახორციელებს გარკვეული წესითა და კანონზომიერებით. აზროვნების ამ წესს, ობიექტური სინამდვილის შემეცნების ამ კანონზომიერებას სწავლობს გნოსეოლოგია.

გნოსეოლოგია შეისწავლის აგრეთვე აზროვნების ისტორიული წარმოშობისა და განვითარების კანონზომიერებას. ე. ი. გნოსეოლოგია შეისწავლის როგორც ცნობიერების ისტორიის კანონზომიერებას, ისე შემეცნების პროცესის კანონზომიერებას, ანუ შემეცნების თეორიას, შემეცნების მეთოდს. მარქსისტული შემეცნების თეორია კი არის დიალექტიკა*.

დ) ობიექტური სინამდვილის შემეცნება არ არის ერთეული, უცაბედი აქტი, შემეცნება არ არის უშუალო ინტუიცია. შემეცნება არის პროცესი მოვლენების უშუალო აღქმიდან ამ მოვლენების არსებაში შეჭრისა და ამ არსების გაგებისა. მოვლენებიდან არსებაში შეჭრა (რის კანონზომიერებასაც, როგორც ვთქვით, გნოსეოლოგია გვასწავლის) ხორციელდება ცნებების ჩამოყალიბების გზით. ცნება ზოგადის ასახვაა. ზოგადი კი სწორედ ის არსებაა, რომელიც მოვლენებს ახასიათებთ. სინამდვილის შემეცნების პროცესი არის ასეთი ცნებების დადგენისა და მათ შორის კავშირ-ურთიერთობის გამოკვლევის პროცესი, რაც ხორციელდება მსჯელობებსა და დასკვნებში.

ადამიანის აზროვნების მთელი ისტორიის მანძილზე ჩამოყალიბდა მსჯელობისა და დასკვნა-დასაბუთების უამრავი ფორმები. საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარება, მეცნიერებისა და ტექნიკის პროგრესი იწვევდა და იწვევს ამ ფორმათა მთელი მრავალფეროვნების გაშლას და განვითარებას.

---

* ვ. პ. როეინი თვლის, რომ დიალექტიკის საგანი იგივეა, რაც ფსიქოლოგიის საგანი. მისი აზრით ისინი მხოლოდ სხვადასხვა მხრივ განიხილავენ ერთსა და იმავე საგანს. როეინი ვერ ამჩნევს, რომ აქ საერთო არის მხოლოდ ტერმინი «აზროვნება» და არა უშუალოდ ის საგანი, რასაც ფსიქოლოგია ან დიალექტიკა შეისწავლის. (იხ. როეინის წერილი «რამდენიმე შენიშვნა ლოგიკის საკამათო საკითხებზე» ჟურნალში «Вопросы философии», 1951, № 4).

ობიექტური სინამდვილის შემეცნების პროცესი ამ ფორმების მოხმარებით ხორციელდება. აბსტრაქტული აზროვნების პროცესი არსებითად დასკვნა-დასაბუთების პროცესია. ყოველი აზრი გარკვეულ ლოგიკურ ფორმაში უნდა გამოითქვას, გარკვეული წესით უნდა ჩამოყალიბდეს. თუ შემეცნების პროცესი, ჰეშმარიტების «მიგნების» პროცესი გარკვეულ კანონზომიერებას ემორჩილება, ამ კანონზომიერების განხორციელების აუცილებელ პირობას წარმოადგენს აზროვნების გარკვეულობის კანონების დაცვა. დასკვნა-დასაბუთების ამ კანონებსა და ფორმებს შეისწავლის სპეციალური მეცნიერება — ლოგიკა.

ადამიანის აზროვნება, როგორი მეთოდოლოგიითაც არ უნდა იყოს იგი შეიარაღებული, მაინც გარკვეულ წესსა და თანმიმდევრობას ემორჩილება. ეს წესი და თანმიმდევრობა რამოდენიმე სიტყვით შეიძლება გამოითქვას როგორც «აზრის გარკვეულობა».

მეცნიერული აზროვნებისათვის აუცილებელია არა მარტო იმის ცოდნა, თუ როგორ უნდა მივუდგეთ ბუნების მოვლენებს, როგორ უნდა შევისწავლოთ ის, ანუ როგორია სინამდვილის ზოგადი და ძირითადი კანონზომიერება, არამედ ისიც, თუ როგორ დავიცვათ აზროვნების სიზუსტე და გარკვეულობა, ანუ როგორია აზროვნების ლოგიკური პროცესის სპეციფიკური კანონზომიერებანი.

აზრის გარკვეულობის, ანუ დასკვნა-დასაბუთების კანონებს დიდი ხნიდან მიაქციეს ყურადღება მეცნიერებმა. ამ კანონების პირველი მკვლევარი არისტოტელე იყო. არისტოტელემ მოგვცა აზროვნების კანონებისა და ლოგიკური ფორმების ბუნებრივ-ისტორიული აღწერა. არისტოტელედან დღემდე ლოგიკის მეცნიერებამ ბევრი რამ მნიშვნელოვანი და საგულისხმო გამოიკვლია.

ლოგიკის მეცნიერების მთელი ამ ისტორიის მანძილზე დაგროვილი პოზიტიური მასალის მარქსისტული ანალიზი, მისი მეცნიერული გადამუშავება და ამის საფუძველზე ლოგიკის მეცნიერების შემდგომი განვითარება საბჭოთა ლოგიკოსების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

მაშასადამე, ნათელია, თუ რა არის ლოგიკის მეცნიერების საგანი, მისი ამოცანები, ასევე ნათელია დამოკიდებულება დიალექტიკასა და ლოგიკას შორის, როგორც დამოკიდებულება შემეცნების ზოგადი თეორიისა შემეცნების გარკვეული მომენტის ან თავისებურების შესახებ სპეციალურ მეცნიერებასთან, როგორც, მაგალითად, ანალოგიას თუ მივმართავთ, დამოკიდებულება ენათმეცნიერებასა და გრამატიკას შორის*.

მაშასადამე, ერთი მხრივ, გვაქვს მოძღვრება ადამიანის ცნობიერების წარმოშობის, განვითარებისა და მოქმედების კანონზომიერებაზე, ანუ ცნებათა დიალექტიკა, რომელშიც აისახება ობიექტური სინამდვილის დიალექტიკა, ხოლო, მეორე მხრივ, გვაქვს ლოგიკის მეცნიერება, რომელიც შეისწავლის აზროვნების გარკვეულობის კანონებს და იმ ფორმებს, რომელთა საშუალებით ხორციელდება ეს გარკვეულობა ობიექტური სინამდვილის შემეცნების პროცესში. ე. ი. ლოგიკა შემეცნების თეორიის ნაწილია.

«მთელისა» და «ნაწილის» დამოკიდებულებას ამ შემთხვევაში ისეთი ხასიათი აქვს, რომ «მთელის» გარეშე და მისგან დამოუკიდებლად არ არსებობს «ნაწილი». შემეცნების თეორიაზეა დამოკიდებული ლოგიკის როგორც მთელი სისტემის აგება, ასევე ყოველი ცალკეული საკითხის გაგება. მხოლოდ მარქსისტული შემეცნების თეორიის შუქზე ხდება გასაგები ლოგიკის ყოველი საკითხი. მატერიალისტური დიალექტიკა როგორც მეთოდოლოგია ლოგიკის მეცნიერების გასაღებია.

---

* გრამატიკასთან ლოგიკის შედარების საფუძველი ამ უკანასკნელთა გარეგნულ, სქემატურ მსგავსებაში როდი მდგომარეობს; იგი ენისა და აზროვნების განუყოფელი ურთიერთობიდან მომდინარეობს. არ არსებობს მეტყველება აზროვნების გარეშე და აზროვნება მეტყველების გარეშე. ამ ზოგად დებულებას ვერ უარყოფს ვერც ყრუ-მუნჯთა აზროვნების ფაქტი და ვერც ფიქრისა და ბოდვის არსებობის ფაქტი. ყრუ-მუნჯთა აზროვნების ფაქტი შესანიშნავად ახსნა ი. ბ. სტალინმა. ხოლო რაც შეეხება «ბოდვასა» და «ფიქრს», რაც თითქოს იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ბოდვა მეტყველებაა აზროვნების გარეშე, ხოლო ფიქრი აზროვნებაა მეტყველების გარეშე, — აშკარაა ასეთი შეხედულების მცდარობა. ბოდვა არ არის არც მეტყველება, ხოლო ფიქრი მეტყველებაცაა.

ცნობილია, რომ მარქსისტული მეთოდოლოგია, მარქსისტული ფილოსოფიური მსოფლმხედველობა სახელმძღვანელოა ყოველი მეცნიერებისათვის საერთოდ. ამ მხრივ დიალექტიკისა და ლოგიკის ურთიერთობა ისეთივეა, როგორც საერთოდ ურთიერთობა მეთოდისა, მსოფლმხედველობისა კონკრეტულ მეცნიერებასთან. ამ მხრივ ერთგვარ სპეციფიკას მხოლოდ ის ქმნის, რომ ლოგიკა, განსხვავებით სხვა კონკრეტულ მეცნიერებათაგან, ნაწილია შემეცნების თეორიისა, ე. ი. თვითონ არის ფილოსოფიური მეცნიერება.

ასეთი დამოკიდებულება დიალექტიკასა და ლოგიკას შორის თითქოს თავისთავად ცხადი და ნათელი უნდა იყოს. ერთი შეხედვით არ უნდა არსებობდეს არავითარი საფუძველი ამ საკითხში რაიმე გაურკვევლობისა და ბუნდოვანებისათვის. მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს ასე არ არის.

წიგნის შესავალში აღნიშნული იყო, ხოლო I და II თავებში ვრცლად იყო დახასიათებული ის სიძნელეები, რომლებიც არსებობენ ამ პრობლემის გადაწყვეტაში. ეს სიძნელეები, როგორც აღინიშნა, იმაში მდგომარეობს, რომ დღემდე არ არსებობს სრული შეთანხმებულობა როგორც დიალექტიკის, ისე ლოგიკის საგნისა და ამოცანების გაგებაში.

დიალექტიკასა და ლოგიკას შორის ჩვენს მიერ ზემოდახასიათებული დამოკიდებულება საეჭვო ხდება როგორც კი დიალექტიკას გავიგებთ არა მარტო როგორც შემეცნების თეორიას, არამედ როგორც მოძღვრებას მთელი სინამდვილის მოძრაობისა და განვითარების კანონებზე, ე. ი. როგორც მეთოდოლოგიას. როგორ შეიძლებაო, — სვამენ კითხვას, — მეთოდოლოგიის ნაწილი იყოს შემეცნების ერთი გარკვეული მომენტის შესახებ მოძღვრება, რომელსაც არაფერი საერთო არა აქვს ობიექტური სინამდვილის კანონზომიერებასთან? ხოლო თუ ვიტყვით, რომ ლოგიკის საგანიც ასახავს ობიექტურ სინამდვილეს, მაშინ ასეთ ლოგიკას განიხილავენ როგორც მეტაფიზიკას, როგორც მეტაფიზიკურ მეთოდს. ამ უკანასკნელს კი დიალექტიკა კი არ შეიცავს როგორც მის ნაწილს, არამედ უარყოფს და გამორიცხავს მას, როგორც კა-

ცობრიობის მიერ აზროვნების განვითარების განვლილ საფეხურს.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ დიალექტიკასა და ლოგიკას შორის ზემოდახასიათებული დამოკიდებულება უცვლელი რჩება დიალექტიკისა და შემეცნების თეორიის იგივეობის პირობებშიც, რადგან ლოგიკის საგანი — აზროვნების ფორმები და კანონები ისევე ასახავენ ობიექტური სინამდვილის საგანთა და მოვლენათა გარკვეულობას და მიმართებებს მათ შორის, როგორც დიალექტიკა ასახავს მთელი სინამდვილის მოძრაობისა და განვითარების კანონზომიერებას. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება აქ ლოგიკა გაგებულ იქნას მეტაფიზიკად.

ერთია — ლოგიკის საგნის ონტოლოგიური ხასიათი და სხვაა — ლოგიკის მეტაფიზიკურობა. ლოგიკის «ონტოლოგიზმი», როგორც ზემოთ ვნახეთ, იმას კი არ ნიშნავს, რომ, მაგალითად, ლოგიკური იგივეობის კანონი საგანთა და მოვლენათა უცვლელობასა და გაქვავებულობას ამტკიცებდეს, არამედ მხოლოდ იმას, რომ მოძრავი და განვითარებადი სინამდვილე ყოველთვის გარკვეული სინამდვილეა, რომ არსებობს გარკვეულ საგანთა და მოვლენათა ცვალებადობა, განვითარება და არა ქაოსი. ობიექტურ სინამდვილეში ყველაფერი რომ გაურკვეველი იყოს, ქაოსი იყოს, მაშინ აზროვნება არც იარსებებდა. მაშასადამე, საგანთა გარკვეულობა აზროვნების ელემენტარული ანუ ძირითადი, აუცილებელი პირობაა. ლოგიკაში იგი აისახება აზრთა გარკვეულობის მოთხოვნაში. ამ მოთხოვნაში კი არაფერი არაა მეტაფიზიკური.

ამრიგად, დიალექტიკისა და ლოგიკის საგნის გაგებაში შეთანხმების გარეშე წარმოუდგენელია ლაპარაკი დიალექტიკისა და ლოგიკის ურთიერთობის საკითხში ერთიანი და გარკვეული თვალსაზრისის შემუშავებაზე.

აქვე უნდა ითქვას, რომ ურთიერთობის პრობლემის გადაწყვეტა, თავის მხრივ, სწორედ იმისათვისაა საჭირო, რომ უფრო ნათელი გახდეს ლოგიკის საგანი, მისი ამოცანები. ამის საფუძველზე კი შესაძლებელი იქნება ლოგიკის მეცნიერების შემდგომი განვითარების სწორი წარმართვაც და ლოგიკის სრულქმნილი მარქსისტული სახელმძღვანელოების შექმნაც.

ჩვენი პრობლემის აქტუალურობას ასეთი თეორიული და პრაქტიკული ინტერესები განაპირობებენ.

განსაკუთრებით მწვავედ დაისვა საკითხი დიალექტიკისა და ლოგიკის ურთიერთობის შესახებ იმის შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ბოლო მოუღო საბჭოთა ფილოსოფიურ მეცნიერებაში ფეხმოკიდებულ ერთგვარ ნიჰილისტურ განწყობილებას ლოგიკის მეცნიერებისადმი და 1946 წელს სპეციალური დადგენილება მიიღო საშუალო სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში ლოგიკის სწავლების შემოღებისა და გაფართოების შესახებ.

ასეთი პრაქტიკული შემობრუნებით წინასწარვე იქნა განსაზღვრული იმის აუცილებლობა, რომ თეორიულად დაძლეულიყო უარყოფითი დამოკიდებულება ლოგიკისადმი და საბოლოოდ გადაწყვეტილიყო დიალექტიკისა და ლოგიკის ურთიერთობის საკითხი.

მრავალმა დისკუსიამ, რომელიც ამ ამოცანის გადაწყვეტას მიეძღვნა სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებებსა და ჟურნალ «Вопросы философии»-ის ფურცლებზე, ვერ მოგვცა სასურველი შედეგები.

დისკუსიებმა, მართალია, გამოავლინა საბჭოთა ფილოსოფოსთა დიდი ნაწილის სრული ერთიანობა ლოგიკისა და დიალექტიკის მთელი რიგი ცალკეული საკითხების გაგებაში, მაგრამ ასეთი ერთიანობა ვერ იქნა მიღწეული დისკუსიის ძირითადი ამოცანის გადაწყვეტაში.

* * *

ჟურნალ «Вопросы философии»-ის ფურცლებზე დისკუსია, როგორც ცნობილია, გაიხსნა პროფ. კ. ბაქრაძის წერილით: «ლოგიკისა და დიალექტიკის ურთიერთობის საკითხისათვის» (1950 წ., № 2).

პროფ. კ. ბაქრაძის თვალსაზრისის ძირითადი დებულებები ზოგიერთი ცვლილებებით არსებითად უკვე დალაგებულ იქნა ჩვენს მიერ შრომის I და II თავებში, მაგრამ დისკუსიის

მსვლელობის სწორი შეფასებისათვის საჭიროა ძალიან მოკლედ მაინც დავახასიათოთ როგორც პროფ. კ. ბაქრაძის, ისე ზოგიერთი სხვა მკვლევარის თვალსაზრისი აღნიშნულ საკითხზე.

პროფ. კ. ბაქრაძე, უწინარეს ყოვლისა, მკვეთრად განასხვავებს ფორმალურ ლოგიკას მეტაფიზიკისაგან და ასაბუთებს თეზისს იმის შესახებ, რომ ფორმალურ ლოგიკურ კანონებს ემორჩილება ჩვენი აზროვნება არა მარტო მარტივ მოვლენათა და მიმართებათა შემეცნებისას, არამედ ურთულეს მოვლენათა და მიმართებათა შემეცნების დროსაც. ამის შესახებ პროფ. კ. ბაქრაძე წერს:

«Нужно сказать со всей определённостью, что всякое познание — как познание простейших отношений между вещами, так и познание сложнейших отношений, как познание относительно сложившихся, неизменных вещей, так и познание развивающихся, изменяющихся вещей — протекает согласно законам и правилам логики. В процессе познания вещей и явлений действительности — всё равно, будут ли эти вещи и явления простыми или сложными, относительно неизменными или изменяющимися и развивающимися — наше мышление должно подчиняться законам и правилам логического мышления.

Диалектический способ мышления является строго логическим мышлением. Классики марксизма-ленинизма... создатели единственно правильного научного метода — диалектики, всегда использовали в своих суждениях, умозаключениях, доказательствах «непреодолимую силу логики».

Диалектика господствует всюду: ей подчиняются и «простейшие» и сложнейшие отношения между вещами, явлениями. Законам логики подчиняется мышление при познании всех явлений, всех отношений — и простейших и сложнейших.

Что касается правильного, логического мышления, оно, с одной стороны, ни в какой области недостаточно для познания действительности, а с другой стороны, во всех областях является необходимым условием познания»[1].

შემდეგ პროფ. კ. ბაქრაძე განმარტავს, რომ ლოგიკისა და დიალექტიკის საგნები ერთმანეთს არ ემთხვევიან, რომ არ არსებობს ორი მეცნიერება ერთსადაიმავე საგანზე, ე. ი. არ არსებობს ორი ლოგიკა: ფორმალური და დიალექტიკური. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროფ. კ. ბაქრაძე დიალექტიკურ ლოგიკას კი არ უარყოფს საერთოდ, არამედ უარყოფს მხოლოდ იმ აზრს, რომ დიალექტიკური ლოგიკა შეისწავლის იმავე საგანს, რასაც ფორმალური ლოგიკა. ამასთან დაკავშირებით პროფ. კ. ბაქრაძე წერს:

«На самом деле диалектическая логика — это не учение о формах и законах правильного мышления *, не учение о формах и законах суждений, умозаключений и т. д., а диалектический материализм — мировоззрение марксистско-ленинской партии. Оно называется диалектическим материализмом потому, что его подход к явлениям природы, его метод изучения явлений природы, его метод познания этих явлений является диалектическим, а его истолкование явлений природы, его понимание явлений природы, его теория — материалистической.

---

[1] об. Вопросы философии, 1950, № 2, стр. 200.

* უკანასკნელ პერიოდში პროფ. კ. ბაქრაძემ თანამედროვე ლოგიკის განვითარების ტენდენციის მიხედვით კიდევ უფრო დააზუსტა ლოგიკის საგნის განსაზღვრება. ლოგიკის საგნად ეხლა თვლიან წანამძღვრებიდან დასკვნის გამომდინარეობის საკითხს. ლოგიკის საგნის ასეთი «შეზღუდვა» შესაძლებელს ხდის იმის ნათელ გაგებას, რომ სწორი, მეცნიერული აზროვნების ფორმებსა და კანონებს სწავლობს დიალექტიკა, დიალექტიკური ლოგიკა, ისე რომ იგი არ ართმევს საგანს ფორმალურ ლოგიკას (იხ. პროფ. კ. ბაქრაძის წერილი: «Против ненаучной и недоброжелательной критики», Вопросы философии, 1956, № 2).

Вот это мировоззрение классики марксизма и называли иногда диалектической логикой. Когда В. И. Ленин характеризует диалектическую логику, то он имеет в виду марксизм и в частности, теорию познания марксизма, метод познания явлений. Что это на самом деле так, видно из слов Ленина: «марксизм, то-есть диалектическая логика...».

Классики марксизма, говоря о диалектической логике, отождествляют ее с диалектикой, диалектическим материализмом. Диалектический материализм, как мировоззрение марксистско-ленинской партии, является также и методологией научного познания, теорией познания. В этом смысле и говорил Ленин, что диалектика, логика и теория познания — одно и то же и поэтому не нужно трех слов.

Отсюда следует, что, решая проблему соотношения логики и диалектики, нужно говорить не о соотношении двух логик, формальной и диалектической, имеющих якобы один и тот же предмет изучения, о котором они говорят на разных языках, устанавливая различные и даже противоречающие друг другу законы, а нужно говорить об отношении логики и диалектики.

Но и тут нужно ограничить постановку вопроса. Вопрос касается отношения логики не к диалектике природы, не к диалектике общества — историческому материализму, — а к диалектике познания, к теории познания. Мы имеем в виду, следовательно, только одну сторону нашего мировоззрения — диалектику как теорию познания. Поэтому вопрос о соотношении логики и диалектики фактически сводится к вопросу о соотношении логики и диалектики как теории познания»[1].

დაიყვანა რა ლოგიკისა და დიალექტიკის ურთიერთობის საკითხი ლოგიკისა და შემეცნების თეორიის ურთიერთობის

---

[1] იხ. Вопросы философии, 1950, № 2, стр. 201.

საკითხამდე, პროფ. კ. ბაქრაძე ჩამოთვლის შემეცნების თეორიის საკითხებს, ახასიათებს შემეცნების პროცესს, როგორც გნოსეოლოგიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს, და უჩვენებს ლოგიკის საგნის ადგილს შემეცნების პროცესში. ამის საფუძველზე კი აკეთებს დასკვნას ლოგიკისა და დიალექტიკის ურთიერთობის შესახებ.

«Диалектика изучает процесс познания. Взаимоотношения бытия и мышления в процессе познания, практика как основа познания, ощущения, восприятия и их отношение к мышлению в процессе исторического развития сознания, проблема об'ективной, абсолютной и относительной истины, проблема практики как критерия истины и т. д. — вот те вопросы, которые изучаются диалектикой как теорией познания. Но в процессе познания осуществляется переход от живого созерцания к абстрактному мышлению, а отсюда к практике, и в этом переходе правильное мышление играет определенную роль. Законы и правила этого мышления составляет предмет логики. Таким образом, предмет логики составляет определенный, необходимый момент процесса познания, который в целом является предметом диалектики как теории познания» [1].

ასეთია პროფ. კ. ბაქრაძის თვალსაზრისი. ვრცელი ამონაწერები პროფ. კ. ბაქრაძის წერილიდან მოვიყვანეთ არა მარტო იმიტომ, რომ რაც შეიძლებოდა ზუსტად გადმოგვეცა მისი თვალსაზრისი, არამედ იმიტომაც, რომ გავაკეთოთ ზოგიერთი შენიშვნა ამ თვალსაზრისის შესახებ:

1. მართალია დიალექტიკური ლოგიკა არ შეისწავლის იმავე საგანს, რასაც ფორმალური ლოგიკა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, შეიძლება ვილაპარაკოთ დიალექტიკური და ფორმალური ლოგიკის ურთიერთობაზე. მარქსიზმის კლასიკოსები, როგორც ცნობილია, ხმარობდნენ ასეთ ტერმინებს. დიალექტიკურ ლოგიკაში, რა თქმა უნდა, იგულისხმება დიალექტიკა,

[1] ob. Вопросы философии, 1950, № 2, стр. 204.

დიალექტიკური მეთოდი, მარქსიზმის შემეცნების თეორია, ანუ მარქსისტული ფილოსოფია საერთოდ.

ასე გაგებულ დიალექტიკას ენგელსი და ლენინი ხშირად «ლოგიკასაც» უწოდებდნენ და ამ ტერმინოლოგიის ამოღება ხმარებიდან არაა რაიმე აუცილებლობით გამოწვეული. არავითარი უხერხულობა არაა «ორი ლოგიკის» აღიარებაში, თუკი გვეცოდინება განსხვავება მათ საგნებს შორის; ხოლო ორივე ამ მეცნიერების ერთი სახელწოდებით («ლოგიკით») აღნიშვნაში ის აზრია ფიქსირებული, რომ, მიუხედავად საგანთა დიდი განსხვავებისა, ეს მეცნიერებანი ენათესავებიან ერთმანეთს, ორივე ფილოსოფიური მეცნიერებაა, ორივე შემეცნებას შეისწავლის, უფრო სწორად, ფორმალური ლოგიკა შეისწავლის შემეცნების გარკვეულ მომენტს და ამდენად იგი ფილოსოფიის ნაწილია, შემეცნების შესახებ საერთო მოძღვრების ნაწილია. ე. ი. არსებითად აქ ტერმინებზეა ლაპარაკი და არა თვალსაზრისების რაიმე სხვაობაზე*.

2. პროფ. კ. ბაქრაძე, ერთი მხრივ, აღნიშნავს, რომ დიალექტიკური ლოგიკა იგივე დიალექტიკაა, დიალექტიკური მატერიალიზმია, რომელიც ამავე დროს მეცნიერული შემეცნების მეთოდოლოგიას, შემეცნების თეორიას წარმოადგენს. იგი აქვე იმოწმებს ლენინის მითითებას იმის შესახებ, რომ სწორედ ამ აზრით არის დიალექტიკა, ლოგიკა და შემეცნების თეორია ერთიდაიგივე, ხოლო, მეორე მხრივ, დიალექტიკა ესმის მხოლოდ როგორც ერთი მხარე ჩვენი მსოფლმხედველობისა. პროფ. კ. ბაქრაძე ზემოგანხილულ სადისკუსიო წერილში დიალექტიკას განიხილავს როგორც მოძღვრებას მხოლოდ შემეც-

---

* ტერმინების ასეთი შერჩევის უმართებულობას აღნიშნავს ტ. ი. ოიზერმანიც, რომელიც ეთანხმება პროფ. კ. ბაქრაძეს იმაში, რომ დიალექტიკა უპირისპირდება არა ფორმალურ ლოგიკას, არამედ მეტაფიზიკას. მაგრამ ოიზერმანი შეცდომას უშვებს ლოგიკის საგნისა და ამოცანების გაგებაში. მისი აზრით ფორმალური ლოგიკა აზროვნების ფორმებს სწავლობს ელემენტარულად, არამეცნიერულად, მეტაფიზიკურად, ხოლო დიალექტიკური ლოგიკა აზროვნების ფორმებს სწავლობს მეცნიერულად, ღრმად, დიალექტიკურად. ე. ი. ოიზერმანი თავის თავს ეწინააღმდეგება და ლაპარაკობს დიალექტიკისა და ფორმალური ლოგიკის დაპირისპირებაზე (იხ. Вопросы философии, 1951, № 2, стр. 186).

ნებაზე და არა როგორც მოძღვრებას მთელი სინამდვილის მოძრაობისა და განვითარების უზოგადეს კანონზომიერებაზე.

სადაო აქ ის კი არ არის, რომ დიალექტიკა გაგებულია როგორც შემეცნების თეორია, არამედ მხოლოდ ის, რომ დიალექტიკის შინაარსი — მოძღვრება მთელი სინამდვილის მოძრაობისა და განვითარების კანონზომიერებაზე (დიალექტიკის კანონები, კატეგორიები და სხვა) არ არის შეყვანილი შემეცნების თეორიაში, მაშინ როცა დიალექტიკისა და შემეცნების თეორიის იგივეობა სწორედ ამას ნიშნავს. უფრო მეტი, დიალექტიკა, დიალექტიკური მეთოდი არის არსებითი შინაარსი შემეცნების თეორიისა. ლენინი მუდამ იმას უსვამდა ხაზს, რომ სწორედ დიალექტიკა არის მარქსიზმის შემეცნების თეორიაო. ლენინი ამით მხოლოდ იმას კი არ ამბობდა, რომ შემეცნების თეორიას, გნოსეოლოგიას სახელწოდებად «დიალექტიკა» უნდა ერქვასო, არამედ იმას, რომ მოძღვრება დიალექტიკაზე არის მარქსიზმის შემეცნების თეორიაო.

პროფ. კ. ბაქრაძეს არათუ არ შეჰყავს დიალექტიკის შინაარსი შემეცნების თეორიაში, არამედ ცდილობს მკვეთრად განასხვაოს ისინი ერთმანეთისაგან. ისე რომ, პროფ. კ. ბაქრაძესთან «დიალექტიკა» მხოლოდ ზედმეტი სახელწოდებაა შემეცნების თეორიისა და არა მისი არსებითი შინაარსი. როგორც ზემოთ ვნახეთ, პროფ. კ. ბაქრაძე გარკვევით მოხაზავს იმ საკითხების წრეს, რომლებიც შეისწავლებიან შემეცნების თეორიის (დიალექტიკის) მიერ. ამ საკითხებში არ არის დიალექტიკის კანონები და კატეგორიები.

პროფ. კ. ბაქრაძის აზრით ეს არის «ბუნების დიალექტიკის» შინაარსი და არა «აზროვნების დიალექტიკისა», ისევე როგორც ისტორიული მატერიალიზმი არის შინაარსი «საზოგადოების დიალექტიკისა».

დიალექტიკის ასეთი დანაწილება ბუნების, საზოგადოებისა

და აზროვნების დიალექტიკად არ უნდა იყოს მართებული. არ არსებობს სამი, ერთმანეთისაგან განსხვავებული დიალექტიკა. დიალექტიკა, როგორც ცნობილია, იმ საერთო კანონზომიერებაზე მოძღვრებაა, რომელიც ერთნაირად ახასიათებს ბუნებას, საზოგადოებასა და აზროვნებას.

სხვა საკითხია, რომ დიალექტიკის კანონები თავისებურად ვლინდებიან სინამდვილის სხვადასხვა სფეროებში. დიალექტიკის კანონზომიერებათა კონკრეტული გამოვლენის ამ სპეციფიკურ ფორმებს კი შეისწავლის არა ფილოსოფია, არამედ ბუნებათმეცნიერებანი და საზოგადოებრივი მეცნიერებანი; ფილოსოფიის საგანი ის ზოგადი კანონზომიერებაა, რომელიც სამივე სფეროში ბატონობს. ეს არის სწორედ მარქსიზმის შემეცნების თეორიის არსებითი შინაარსი, რომელიც გასაგებს ხდის შემეცნების მთელს პროცესს და მის თავისებურებას.

ე. ი. შემეცნების თეორია დიალექტიკური მატერიალიზმის ერთი მხარე კი არ არის, არამედ ჩვენი ფილოსოფია, ჩვენი შემეცნების თეორია არის დიალექტიკური მატერიალიზმი. ეს არის დიალექტიკური ლოგიკა, და საკითხი ისმის ფორმალური ლოგიკის ადგილის შესახებ მაქსისტულ ფილოსოფიაში. ეს არის სწორედ დიალექტიკისა და ლოგიკის, ან დიალექტიკური და ფორმალური ლოგიკის ურთიერთობის საკითხი.

პროფ. ვ. ფ. ასმუსი, რომელსაც ლოგიკის საგანი და ამოცანები თითქმის ზუსტად ისევე ესმის, როგორც პროფ. კ. ბაქრაძეს, დიალექტიკას განიხილავს არა მარტო როგორც შემეცნების თეორიას, არამედ აგრეთვე როგორც განვითარების თეორიას[1].

---

[1] იხ. Вопросы философии, 1951, № 2, стр. 187 — 188. პროფ. ასმუსს შეიძლება სწორედ ეს უშლის ხელს, როცა არ აკეთებს დასკვნას: ლოგიკა შემეცნების თეორიის ნაწილია. მისი აზრით დიალექტიკა ფილოსოფიური მეცნიერებაა, ხოლო ფორმალური ლოგიკა სპეციალური მეცნიერებაა აზროვნების ფორმების შესახებ. ასევე სპეციალურ მეცნიერებად მიაჩნია ლოგიკა ნ. ვ. ვორობიოვს, მაგრამ მიუხედავად ამისა, მას მაინც შემეცნების თეორიის ანუ ფილოსოფიის ნაწილად აცხადებს (იხ. Вопросы философии, 1951, № 2, стр. 190 — 191).

* *
*

«Вопросы философии»-ის იმავე ნომერში პროფ. კ. ბაქრაძის წერილთან ერთად დაიბეჭდა ვ. ი. ჩერკესოვის წერილი «ლოგიკისა და მარქსისტული დიალექტიკის შესახებ».

ჩერკესოვის აზრით, არსებობს ორი ურთიერთდაპირისპირებული თვალსაზრისი ლოგიკის ძირეულ საკითხებში: 1. არსებობს ერთი, ერთიანი და ერთადერთი — მარქსისტული ლოგიკა, რომელიც წარმოადგენს საბჭოთა ხალხის ლოგიკას (ჩერკესოვი შენიშნავს, რომ ფაქტიურად ეს იგივე ძველი ფორმალური ლოგიკაა, რომელშიც შეტანილია ზოგიერთი ცვლილებები). ასეთი თვალსაზრისი მიუღებელია, რადგან იგი ლოგიკის საგნის კლასობრიობას აღიარებს. 2. არსებობს არა საბჭოთა ხალხის ლოგიკა, არამედ ზოგადსაკაცობრიო ლოგიკა, ყველასათვის სავალდებულო. ეს არის შესწორებული ძველი ფორმალური ლოგიკა. იგი ასახავს აზროვნების ყველაზე ელემენტარულ ფორმებსა და კანონებს. ასეთი ლოგიკა ელემენტარულია მარქსისტულ დიალექტიკასთან შედარებით. მარქსისტული დიალექტიკური ლოგიკა, ანუ მარქსისტული დიალექტიკა არის ადამიანური აზროვნების შესახებ მეცნიერების განვითარების უმაღლესი საფეხური.

ჩერკესოვი იცავს ამ უკანასკნელ თვალსაზრისს. იგი ლაპარაკობს ელემენტარული ლოგიკური ფორმებისა და კანონების არაკლასობრივ, საყოველთაო ხასიათზე და ლოგიკის ისეთი სახელმძღვანელოს შექმნაზე, რომელიც გაწმენდილი იქნება იდეალიზმისა და სქოლასტიკისაგან.

მარქსისტული ლოგიკა კი, ჩერკესოვის აზრით, მარქსისტული დიალექტიკური მეთოდია, იგი დიდი ხანია შექმნილია მარქსიზმის კლასიკოსების მიერ და უნდა ვილაპარაკოთ დიალექტიკის სასწავლო სახელმძღვანელოს შექმნაზე და არა თვით მეცნიერების შექმნაზე. ჰქმნიდნენ რა მატერიალისტურ დიალექტიკას, მარქსიზმის ფუძემდებლებმა, ჩერკესოვის აზრით, არ დატოვეს უყურადღებოდ ე. წ. ფორმალური ლოგიკა. ყველაფერი დადებითი და რაციონალური ლოგიკიდან აღებული, კრიტიკულად გადამუშავებული და შეთვისებული იქნა

მარქსისტულ დიალექტიკაში. მაგრამ ეს არ ართმევს ლოგიკას დამოუკიდებელ მნიშვნელობასო.

აქ, უკვე არის შეუსაბამისობა და წინააღმდეგობა. დადებითი და რაციონალური ლოგიკაში არის მოძღვრება აზროვნების კანონებზე და დასკვნა-დასაბუთების ფორმებზე. თუ დიალექტიკამ გადაამუშავა და შეითვისა ეს მასალა, მაშინ მას იმავე საგანთან ჰქონია საქმე, რაც ფორმალურ ლოგიკას. ე. ი. მარქსისტული დიალექტიკა უფრო სწორი და ჭეშმარიტი მოძღვრება ყოფილა აზროვნების ფორმებზე და კანონებზე, ვიდრე ძველი ფორმალური ლოგიკა. თუ დიალექტიკა უფრო ჭეშმარიტი მოძღვრებაა ფორმალური ლოგიკის საგანზე, მაშინ როგორღა რჩება ფორმალური ლოგიკა დამოუკიდებელ მეცნიერებად?

ჩერკესოვი შემდეგ ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ მარქსიზმის კლასიკოსები აღნიშნავდნენ ძველი ფორმალური ლოგიკის მჭიდრო კავშირს აზროვნების მეტაფიზიკურ წესთან, მაგრამ ისინი, რა თქმა უნდა, არ აიგივებდნენ ფორმალურ ლოგიკას მეტაფიზიკურ მეთოდთანო. ამასთან დაკავშირებით ჩერკესოვი წერს:

«Известно, что логика, получившая впоследствии название формальной, появилась в древней Греции задолго до появления и распространения метафизического метода. Однако сочетание старой логики и метафизики не было случайным. И в тех случаях, когда формальная логика заявляла о своем безразличии к связям и отношениям, существующим в материальном мире, а свой интерес ограничивала лишь формами мышления, она не переставала быть метафизической» [1].

ძველი ლოგიკის «მეტაფიზიკურობის» ასეთი განმარტება, რა თქმა უნდა, მცდარია. ერთი მხრივ ავტორი აღიარებს, რომ ლოგიკას საქმე აქვს აზროვნების ფორმებთან და კანონე-

---

[1] იხ. Вопросы философии, 1950, № 2, стр. 212 — 213.

ბთან, ხოლო მეორე მხრივ წერს, რომ ლოგიკა მეტაფიზიკური ხდებოდა როგორც კი თავის ინტერესს (ე. ი. თავის საგანს) განსაზღვრავდა მხოლოდ აზროვნების ფორმებითო*.

როგორც ზემოთ ვნახეთ, ლოგიკის მეტაფიზიკურობა იმაში არ მდგომარეობდა, რომ იგი არაფერს არ ამბობდა ობიექტური სინამდვილის კანონზომიერებაზე, ანუ, ჩერკესოვის სიტყვებით რომ ვთქვათ, «გულგრილი იყო მატერიალურ სამყაროში არსებული კავშირებისა და მიმართებების მიმართ», არამედ სწორედ პირიქით, ლოგიკა მეტაფიზიკური აზროვნების წესად იქცეოდა, თუ მის მიერ შესწავლილ ფორმებსა და კანონებს გაიგებდნენ ობიექტური სინამდვილის ერთადერთ და უნივერსალურ კანონზომიერებად. არა მარტო მითითება ლოგიკის ონტოლოგიურ ხასიათზე, არამედ მისი გააბსოლუტურება იყო იმის მიზეზი, რომ ლოგიკა მეტაფიზიკური აზროვნების თეორიად იქცეოდა.

შემდეგ ჩერკესოვს მოყავს რა მარქსიზმის კლასიკოსთა აზრები დიალექტიკურ ლოგიკაზე, როგორც აზროვნების უმაღლეს ფორმაზე — აკეთებს დასკვნას, რომ ფორმალური ლოგიკა როგორც ელემენტარული მოძღვრება ადამიანური აზროვნების ფორმებზე და კანონებზე, რომლებიც ასახავენ საგანთა ყველაზე ჩვეულებრივ მიმართებებს, არ შეიძლება იყოს ერთადერთი, საყოველთაო და უნივერსალური. უმაღლესი, ნამდვილად მეცნიერული ლოგიკა — ეს არის მარქსისტული ლოგიკა, მარქსისტული დიალექტიკური მეთოდიო. რაც შეეხება ფორმალურ ლოგიკას, მას შეზღუდული მნიშვნელობა აქვს და გამოიყენება შეზღუდულ სფეროში. ამ აზრის დასასაბუთებლად ჩერკესოვს მოყავს ენგელსის მითითება მეტაფიზიკურ კატეგორიებზე, რომ ისინი გამოდგებიან მხოლოდ საოჯახო ხმარებისთვისო.

ძნელი არაა იმის გაგება, რომ ფორმალური ლოგიკის გამოყენების სფეროს ყოველგვარი შეზღუდვა ნიშნავს ისეთი აზროვნების, ან შემეცნების ისეთი საფეხურის, მომენტის აღიარებას, სადაც დაცული არ იქნება აზროვნების ელემენტარუ-

---

* ამ აზრს ჩერკესოვი თვითონვე ეწინააღმდეგება იმავე ჟურნალის 215—216 გვერდებზე.

ლი გარკვეულობის კანონები. ჩერკესოვის აზრით გამოდის, რომ ასეთი აზროვნება უნდა იყოს დიალექტიკური აზროვნება. ასეთ უაზრობამდე მივყევართ შემეცნების პროცესში ლოგიკის გამოყენების სფეროს შეზღუდვას.

მართალია, შეიძლება დავეთანხმოთ იმ აზრს, რომ ფორმალური ლოგიკის კანონები აზროვნების ელემენტარული კანონებია, მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ ამ ელემენტარულობის გამო მას წავართვათ მოქმედების უფლება დიალექტიკურ აზროვნებაში. ჩერკესოვი წერს:

«Признание формальной логики достаточной в области постоянных величин, в области элементарной математики, разумсется, никак не умаляет значения марксистской диалектики» [1].

როგორც ვხედავთ, ჩერკესოვი ერთგვარად «ბოდიშს უხდის» არა ლოგიკას, რომ შეუზღუდა მას მოქმედების სარბიელი, არამედ, პირიქით, დიალექტიკას, იმისათვის, რომ მან მხოლოდ შეზღუდა ლოგიკა და არ მოსპო საერთოდ. ამასთან, ჩერკესოვს მოყავს ენგელსის ცნობილი ანალოგია დაბალი და უმაღლესი მათემატიკის შესახებ. გარკვევით უნდა ითქვას, რომ ეს ანალოგია ძალიან ხშირად არასწორად ესმით. ძალიან მარტივად რომ ვთქვათ, მართალია, დაბალი მათემატიკა ვერასოდეს ვერ გააკეთებს იმას, რასაც აკეთებს ინტეგრალური აღრიცხვა, მაგრამ ინტეგრალური აღრიცხვა არ ამტკიცებს, რომ გამრავლების ტაბულა შეცდომების გროვაა. თუ როგორ უნდა გავიგოთ ენგელსის მითითება დაბალი და უმაღლესი მათემატიკის თვალსაზრისთა შეურიგებლობაზე, ამის შესახებ უკვე ითქვა წიგნის პირველ თავში.

ჩერკესოვის აზრით, რადგან დიალექტიკა არა მარტო შემეცნების თეორიაა, არამედ ამავე დროს ლოგიკაც არის, იგი თვითონ შეიცავს მოძღვრებას აზროვნების ფორმებზე და კანონებზე, თანაც უფრო ღრმა და ჭეშმარიტ მოძღვრებას, ვიდრე ფორმალური ლოგიკა. ამიტომ ობიექტური სინამდვილის შემეცნების პროცესში დიალექტიკას არ ესაჭიროება ფორმა-

[1] იხ. Вопросы философии, 1950, № 2, стр. 212—213.

ლური ლოგიკა, იგი თავისი საკუთარი რესურსებით აღწევს მიზანსო. გამომდინარე აქედან იგი აკრიტიკებს პროფ. კ. ბაქრაძის თვალსაზრისს, რომლის მიხედვით ლოგიკა შემეცნების თეორიის ნაწილია, რადგან ლოგიკის საგანი შემეცნების პროცესის გარკვეული ნაწილი ან მომენტია. ჩერკესოვი წერს:

«Сведение марксистской диалектики только к теории познания и отрицание за ней способности быть также и научной логикой марксизма означают недопустимое принижение роли и значения марксистской диалектики. Более того: марксистскую диалектику не только ограничивают областью теории познания, но заставляют ее потесниться и здесь, в области теории познания, чтобы дать место для формальной логики, которую называют частью теории познания.

Какая же именно часть теории познания отводится для формальной логики?

Говорят, что огромная часть нашего знания — это знание выводное и оно относится к области формальной логики. Знание, полученное путем ощущений, восприятий, — это только первая ступень, только начало познания действительности; опираясь на ощущения и восприятия, мы проникаем в глуб явлений, открываем сущность явлений, их закон. Знание законов явлений — знание опосредованное, выводное.

Но выводное, опосредованное знание достигается через умозаключения, а последние признаются только областью формальной логики. Поэтому оказывается так, что формальная логика целиком ведает самым важным, самым ценным знанием — выводным знанием, которое раскрывает сущность явлений, их законы.

Выходит, что на долю марксистской диалектики остаются ощущения и восприятия, которые об'явлены только первой ступенью, только началом познания. Марксистской диалектике в лучшем случае отводится

роль поставщика конкретных представлений о тех или иных явлениях, которые затем входят в содержание посылок, необходимых формальной логики для ее выводных операций.

Ясно, что подобное понимание дела означает полный отказ от марксистской диалектики и замену ее формальной логикой.

Сторонники критикуемой концепции настойчиво утверждают, что у классиков марксизма-ленинизма нет и не может быть иной логики, кроме формальной. Классики марксизма-ленинизма будто бы лышь применяли те логические приемы, которые были открыты и сформулировани до них. В лучшем случае признается, что они присоединили некоторые новые идеи к старому логическому учению» [1].

აქ ჩვენ მოვიყვანეთ შემეცნების პროცესის მეტად პრიმიტიული გაგებისა და პროფ. კ. ბაქრაძის თვალსაზრისის დამახინჯების ნიმუში.

ზემოთ ვნახეთ, რომ პროფ. კ. ბაქრაძეს არათუ არ დაჰყავს დიალექტიკა ფორმალურ ლოგიკამდე, არამედ ხაზგასმით აღნიშნავს მათ განსხვავებას შესაბამის საგანთა განსხვავების საფუძველზე. ასევე, ყველასათვის ცნობილია, რომ მარქსიზმის კლასიკოსები აზროვნებდნენ დიალექტიკური ლოგიკის მიხედვით, ე. ი. აზროვნებდნენ ღრმად, მეცნიერულად, მაგრამ არასოდეს არ არღვევდნენ ფორმალური ლოგიკის არცერთ კანონს, არცერთ მოთხოვნას. პირიქით, ისინი ყოველთვის ამათრახებდნენ მოწინააღმდეგეებს ელემენტარული ლოგიკური კანონებისა და წესების დარღვევისათვის. ჩერკესოვს სწორედ ის ვერ გაუგია, რომ დიალექტიკური ლოგიკა და ფორმალური ლოგიკა არ ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს.

მარქსისტული დიალექტიკა ლოგიკაა იმდენად, სწორად აღნიშნავს ამხ. ჩერკესოვი, რამდენადაც იგი არის მეცნიერება ბუნების, საზოგადოებისა და აზროვნების განვითარების ზო-

---

[1] იხ. Вопросы философии, 1950, № 2, стр. 217 — 218.

გად კანონებზე. ეს ლოგიკა გვასწავლის, როგორ უნდა ვიაზროვნოთ და როგორ უნდა ვიმოქმედოთ, რომ ახალ წარმატებებს მივაღწიოთ მეცნიერებაში და შეცდომა არ დავუშვათ პოლიტიკაში.

ასე გაგებული ლოგიკა კი დაუპირისპირდებოდა და გამორიცხავდა ფორმალურ ლოგიკას, ეს უკანასკნელიც რომ იმას გვასწავლიდეს, თუ «როგორ ვიაზროვნოთ და როგორ ვიმოქმედოთ», ე. ი. თუ მას გავიგებთ როგორც მეთოდს. ფორმალური ლოგიკა გაგებული როგორც მეთოდი მეტაფიზიკაა და არა მოძღვრება აზროვნების ფორმებზე და კანონებზე.

* *
*

თითქმის ასეთივე თვალსაზრისს ავითარებს პროფ. სტროგოვიჩი მის წერილში «ფორმალური ლოგიკის საგნის შესახებ» (იხ. Вопросы философии, 1950, № 3) იმ განსხვავებით, რომ პროფ. სტროგოვიჩის შეხედულებები შედარებით უფრო ნათელი და გარკვეულია.

პროფ. სტროგოვიჩის აზრით ფორმალური ლოგიკა მეტაფიზიკური აზროვნების მეთოდი არ არის. იგი არის მხოლოდ მოძღვრება აზროვნების ელემენტარულ ფორმებზე და კანონებზე. ფორმალურ-ლოგიკურ აზროვნებასთან შედარებით დიალექტიკური აზროვნება უფრო მაღალი საფეხურია, მაგრამ დიალექტიკა, დიალექტიკური ლოგიკა კი არ ხსნის და უარყოფს ფორმალურ ლოგიკას, არამედ იცავს მას როგორც მის წინა საფეხურს. არ არსებობს ორი ლოგიკა: დიალექტიკური და ფორმალური. ლოგიკა ერთია, ესაა დიალექტიკური ლოგიკა, მაგრამ იგი შეიცავს ფორმალურ ლოგიკას როგორც წინა საფეხურს. ზუსტად ისევე როგორც არ არსებობს ორი მათემატიკა: უმაღლესი და დაბალი, არამედ არსებობს მათემატიკის მეცნიერება, რომელიც შეიცავს დაბალ მათემატიკას, როგორც წინა საფეხურს. დიალექტიკური ლოგიკის წინა საფეხური — ფორმალური ლოგიკა, პროფ. სტროგოვიჩის აზრით, შეისწავლის აზროვნების ელემენტარულ ფორმებსა და კანონებს, რომლებიც ასახავენ საგანთა და მოვლენათა მეტად მარტივ მიმართებებს.

ამ თვალსაზრისში დადებითია იმის აღიარება, რომ აზროვნების ლოგიკური ფორმები და კანონები ყოველთვის დაცული არიან შემეცნების პროცესში, ე. ი. დიალექტიკური აზროვნების დროსაც. საწინააღმდეგო აზრისათვის სტროგოვიჩი აკრიტიკებს კიდეც ჩერკესოვს.

პროფ. სტროგოვიჩი, მართალია, აცხადებს, რომ ფორმალური ლოგიკა არ არის მეტაფიზიკური მეთოდი, მაგრამ იმის აღიარება, რომ ფორმალური ლოგიკა საკმარისია «შინ სახმარებლად», საგანთა «მარტივ მიმართებებზე» მსჯელობის დროს «პატარა მასშტაბებში» — სხვა არაფერია, თუ არა ლოგიკის მიჩნევა აზროვნების მეთოდად, ე. ი. მეტაფიზიკურ მეთოდად.

ამ თვალსაზრისს სწორად აკრიტიკებს პროფ. კ. ბაქრაძე, როცა ამტკიცებს, რომ ფორმალური ლოგიკა არცერთ «სფეროში» არ არის საკმარისი, მაგრამ ყველა «სფეროში» აუცილებელიაო. ამ უკანასკნელ მომენტს, ანუ ლოგიკის აუცილებლობას ყველა «სფეროში» იცავს პროფ. სტროგოვიჩიც, ხოლო პირველ მომენტს ანუ ლოგიკის უკმარობას «დაბალ სფეროშიც» კი უარყოფს, ამით მას მისდაუნებურად ფორმალური ლოგიკა დაჰყავს მეტაფიზიკამდე და, მაშასადამე, ვარდება წინააღმდეგობაში.

პროფ. სტროგოვიჩი თვითონვე გრძნობს ამ წინააღმდეგობას და ცდილობს როგორმე გადალახოს იგი.

«Метафизика есть низшая ступень по отношению к диалектике лишь исторически, как предшествующий, пройденный этап, тогда как формальная логика есть низшая ступень по отношению к диалектике постольку, поскольку наука об элементарных условиях мышления, отражающих простейшие свойства и отношения предметов, явлений об'ективной действительности, есть низшая ступень по отношению к науке о закономерностях человеческого мышления, отражающих все богатство об'ективной действительности в ее движении, развитии, в ее

противоречиях, во всех связях и взаимозависимости ее явлении» [1].

აქ პროფ. სტროგოვიჩი ეწინააღმდეგება ისტორიულისა და ლოგიკურის ერთიანობის დიალექტიკურ პრინციპს, მაგრამ ამის შესახებ ქვემოთ.

ასეთი თვალსაზრისის გასამართლებლად პროფ. სტროგოვიჩი იშველიებს ფ. ენგელსის ცნობილ დებულებებს ფორმალურ-ლოგიკური, მეტაფიზიკური კატეგორიების მოქმედების «სფეროების» შესახებ.

ამასთან პროფ. სტროგოვიჩი თავისებურად განმარტავს ამ დებულებებს და აკრიტიკებს ამ დებულებათა ისეთ ინტერპრეტაციას, როგორსაც იძლევა პროფ. კ. ბაქრაძე.

მაგალითად, როცა ფ. ენგელსი ლაპარაკობს აბსტრაქტულ იგივეობაზე, რომ იგი, ისევე როგორც ფორმალური ლოგიკის სხვა მეტაფიზიკური («გაქვავებული») კატეგორია, საკმარისია მხოლოდ შინ სახმარად, «მეცნიერული მეწვრილმანეობისათვისო», პროფ. ბაქრაძის აზრით, ფ. ენგელსი ამ შემთხვევაში ლაპარაკობს მეტაფიზიკურ მეთოდზე და არა ფორმალურ ლოგიკაზე. ე. ი. ენგელსი მეტაფიზიკურ აზროვნებას თვლის დიალექტიკური აზროვნების წინა საფეხურად და არა ფორმალურ-ლოგიკურ აზროვნებას.

პროფ. სტროგოვიჩი ამტკიცებს ამის საწინააღმდეგოს. მისი აზრით, განხილულ მაგალითში ენგელსი ლაპარაკობს ფორმალურ ლოგიკაზე და არა მეტაფიზიკაზე. ასეთ ინტერპრეტაციას პროფ. სტროგოვიჩი ასაბუთებს იმაზე მითითებით, რომ დიალექტიკა თანამედროვე გაგებით, როგორც ცნობილია, უარყოფს და გამორიცხავს მეტაფიზიკას და არავითარ სფეროში არ ცნობს მას კომპეტენტურად. ამ შემთხვევაში პროფ. სტროგოვიჩი ორ შეცდომას უშვებს: ჯერ-ერთი, იგი, როგორც აღვნიშნეთ, ეწინააღმდეგება ისტორიულისა და ლოგიკურის ურთიერთობის მარქსისტულ თვალსაზრისს, რომლის მიხედვით ლოგიკური ასახავს ისტორიულს, და, მაშასადამე, თუ მეტაფიზიკური აზროვნება ქვედა საფეხური იყო დიალექტიკუ-

[1] იხ. Вопросы философии, 1950, № 3, стр. 313.

რი აზროვნების მიმართ ისტორიულად, ასევე ქვედა საფეხურია იგი ლოგიკურადაც.

ფორმალური ლოგიკის საგანი სრულიად სხვაა, დიალექტიკისა კიდევ სხვა, ამიტომ განსხვავებული საგნების შემსწავლელი მეცნიერებანი არ შეიძლება ერთმანეთის საფეხურები იყვნენ. დიალექტიკური მეთოდის საფეხური ისტორიულიც და ლოგიკურიც შეიძლება იყოს ისევ მეთოდი, ე. ი. მეტაფიზიკური მეთოდი. ეს ისტორიული ფაქტიც არის და ლოგიკური გარკვეულობაც.

ამ მდგომარეობას სრულიად ვერ უარყოფს ის გარემოება, რომ თანამედროვე მარქსისტულ ფილოსოფიაში დამკვიდრებული ტერმინოლოგიის მიხედვით მეტაფიზიკა, როგორც დიალექტიკის წინა საფეხური, არცერთ სფეროში აღარ გამოიყენება შემეცნების მეთოდად, რადგან ყოველივე დადებითი, თუკი მასში რაიმე იყო, შეთვისებული (მოხსნილი და შენახული) აქვს დიალექტიკურ მეთოდს.

პროფ. სტროგოვიჩის მეორე შეცდომა სწორედ იმაშია, რომ მას თანამედროვე ტერმინოლოგია გადააქვს ენგელსის დროინდელ პერიოდში. შეიძლება ეს არც იყოს მხოლოდ ახალი ტერმინოლოგიის საკითხი. შეიძლება აქ საქმე გვქონდეს ენგელსის ზოგიერთი დებულების შემდგომ დაზუსტებასთან. ასეთ შემდგომ დაზუსტებასა და განვითარებას მთელი თავისი არსებით მოითხოვს მარქსისტული დიალექტიკური მეთოდი.

ფაქტი ერთია: ჰეგელიდან მოყოლებული ფორმალური ლოგიკა და მეტაფიზიკური აზროვნების თეორია ერთი და იგივედ მიაჩნდათ. ასეთი აზრი საყოველთაოდ აღიარებული იყო ენგელსის დროს და მის ნაწერებშიც ვხვდებით ასეთ გაიგივებას. ეს საკითხი ჩვენ დაწვრილებით განვიხილეთ წიგნის მეორე თავში. ჩვენს მიერ ზემომოყვანილ მაგალითში ენგელსი ერთნაირად ლაპარაკობს აზროვნების მეტაფიზიკურ და ფორმალურ ლოგიკურ წესზე. ასე რომ, ცალმხრივია როგორც პროფ. სტროგოვიჩის, ისე პროფ. კ. ბაქრაძის ინტერპრეტაცია.

ასეთია საქმის ვითარება ფ. ენგელსის დებულების ობიექტური შეფასების მხრივ. ხოლო თუ დაისმოდა ამ დებულების

ჭეშმარიტება-სისწორის საკითხი თანამედროვე გაგებით, მაშინ, ჩვენის აზრით სწორი უნდა იყოს პროფ. კ. ბაქრაძის თვალსაზრისი წინააღმდეგ პროფ. სტროგოვიჩის თვალსაზრისისა*. ე. ი. დიალექტიკა· შეიძლება დაუპირისპირდეს მეტაფიზიკას და არა ლოგიკას. მაშასადამე, დიალექტიკური აზროვნების წინააღმდეგ საფეხურად შეიძლება გამოვაცხადოთ მეტაფიზიკური აზროვნება და არა ფორმალურ-ლოგიკური აზროვნება, ანუ გარკვეული და თანმიმდევრული აზროვნება. ე. ი. ასეთი გაგებით დიალექტიკა უარყოფს მეტაფიზიკურ მეთოდს, ფორმალური ლოგიკის მეტაფიზიკურ ინტერპრეტაციას და არა ფორმალურ ლოგიკას.

* * *

საინტერესო აზრი გამოითქვა ამხ. ნ. ი. კონდაკოვის წიგნის («Основные законы логики») განხილვის დროს ამხ. ც. ა. სტეპანიანის მიერ, რომელიც თვლის, რომ ფორმალური ლოგიკა დამოუკიდებელი მეცნიერებაა; იგი უკვე გამოეყო ფილოსოფიას და არ შეიძლება მივიჩნიოთ დიალექტიკური მატერი-

---

* პროფ. სტროგოვიჩს ენგელსის დებულების ასეთი ინტერპრეტაციისათვის აკრიტიკებს ი. ი. ოსმაკოვი. იხ. მისი წერილი «აზროვნების ლოგიკისა და ლოგიკის მეცნიერების შესახებ» (Вопросы философии, 1950, № 3). ობიექტურად პროფ. კ. ბაქრაძის ინტერპრეტაციის სასარგებლოდ ლაპარაკობს პროფ. კედროვიც, რომელიც წერს: «Энгельсовское утверждение, что в известных пределах можно пользоваться метафизикой, требует уточнения, вернее сказать, расчленения: пользоваться можно и нужно формальной логикой, ибо она в ее правильном понимании составляет, хотя и очень скромную, долю истины, но отнюдь не является метафизикой, которая превращает эту долю истины в заблуждение. Но пользоваться метафизикой нигде и ни при каких условиях нельзя. Считая, что и формальная логика и метафизика имеют общую логическую основу, Энгельс не делал такого расчленения, и это может привести к недоразумениям». (Вопросы философии, 1951, № 4, стр. 225).

ალიზმის ნაწილად, მაგრამ, როგორც ყოველი საბჭოთა მეცნიერება, იგი ეყრდნობა დიალექტიკურ მატერიალიზმსო[1].

იგივე აზრი გამოთქვა ნ. ი. კონდაკოვმაც. მისი აზრით ფორმალური ლოგიკა შეისწავლის მატერიის (?) მოძრაობის ერთ ფორმას და ამიტომ არ არის შემადგენელი ნაწილი მარქსისტული ფილოსოფიისა, რომელიც შეისწავლის მთელი სინამდვილის განვითარების ზოგად კანონზომიერებას. ლოგიკის ის წესები და კანონები, რომელთაც ემორჩილება მსჯელობების, დასკვნებისა და ცნებების შედგენა, არ შეიძლება ეკუთვნოდეს ფილოსოფიის საგანს. ეს ფორმები, კანონები და წესები შეისწავლება განსაკუთრებული მეცნიერების — ლოგიკის მიერ დიალექტიკური მატერიალიზმის პოზიციებიდან[2].

ა. ა. ჩუდოვის აზრითაც ასევე არ შეიძლება ლოგიკის გამოცხადება ფილოსოფიურ მეცნიერებად და მარქსიზმ-ლენინიზმის ნაწილად. მისი აზრით მარქსიზმ-ლენინიზმი კლასობრივი, პარტიული მეცნიერებაა, ხოლო ლოგიკის კლასობრიობის მტკიცება ისევე არაა სწორი, როგორც არაა სწორი კლასობრივი გრამატიკის ან კლასობრივი ენის აღიარება; უნდა დავნერგოთ მარქსიზმი ლოგიკაში, მაგრამ ლოგიკა არ უნდა შევიყვანოთ მარქსიზმში. დიალექტიკური აზროვნება უმაღლესი ეტაპია აზროვნების განვითარებაში, მაგრამ, ამასთან ერთად, უდაოა, რომ არსებობს და იარსებებს ზოგადსაკაცობრიო ლოგიკა და ერთი მეცნიერება მის შესახებ[3].

ასეთივე დასკვნას აკეთებს ნ. ვ. ზავადსკაია. მისი აზრით ლოგიკა, ისევე როგორც გრამატიკა, გეომეტრია, არითმეტიკა და ზოგიერთი სხვა მეცნიერება, რომელიც ლოგიკას ემსგავსება, არავითარ წინაალმდეგობაში არ არის მარქსისტულ-ლენინურ მსოფლმხედველობასთან, მარქსისტულ-ლენინურ შემეცნების თეორიასთან; მაგრამ, ამასთან ერთად, იგი არ არის ამ მსოფლმხედველობის შემადგენელი ნაწილი. ლოგიკის სწავლებამ მატერიალისტური პოზიციებიდან არ უნდა მიგვიყვანოს ლოგიკისა და დიალექტიკის არევამდე. შესწორება, რო-

---

[1] იხ. Вопросы философии, 1951, № 1, стр. 218.

[2] იქვე, გვ. 219.

[3] იქვე, გვ. 221.

შელთა შესახებ ლაპარაკობდა ლენინი, იმას ნიშნავს, რომ ძველი ლოგიკიდან გადაგდებულ უნდა იქნას იდეალისტური ნაგავი და მეტაფიზიკა. მოსწავლეებს უნდა განვუმარტოთო, რომ ლოგიკური აზროვნების კანონები და ფორმები, რომლებიც ჩამოყალიბდნენ მრავალსაუკუნოვანი საზოგადოებრივი პრაქტიკისა და ადამიანური აზროვნების ხანგრძლივი აბსტრაქტული მუშაობის შედეგად, სწორად, მაგრამ არასრულად ასახავენ სინამდვილის ცალკეულ მხარეებს. ეს კანონები არ უნდა გავააბსოლუტუროთ. აზროვნების ლოგიკური კანონებისა და ფორმების უფრო ღრმა განმარტება ხდება დიალექტიკურ ლოგიკაშიო [1].

თავი რომ დავანებოთ აქ მოყვანილ აზრებში არსებულ ზოგიერთ გაურკვეველობასა და უმართებულობას, საერთო თვალსაზრისის შესახებ შეიძლება ითქვას შემდეგი:

ამბობენ, რომ ფილოსოფიიდან ერთ-ერთ კონკრეტულ მეცნიერებად ლოგიკის გამოყოფის შესაძლებლობაზე ერთგვარ მითითებად თითქოს შეიძლება გაგებულ იქნას ენგელსის დებულება: «თუ ბუნებიდან და ისტორიიდან განდევნილი ფილოსოფიისათვის კიდევ რაიმე ასპარეზი რჩება (ხაზგასმა ჩემია. — გ. ბ.), ესაა წმინდა აზრის სფერო: მოძღვრება თვით აზროვნების პროცესის კანონებზე, ლოგიკა და დიალექტიკა» [2].

იმოწმებენ აგრეთვე ედანოვის მითითებას იმის შესახებ, რომ ფილოსოფიიდან კონკრეტულ მეცნიერებათა გამოყოფის პროცესი ჯერ კიდევ არ დამთავრებულაო, ხოლო ფილოსოფიაში ლოგიკისა და დიალექტიკის გარდა აღარაფერია დარჩენილიო.

ძნელია იმის თქმა, თუ რომელ დისციპლინებს გულისხმობდა ედანოვი ფილოსოფიიდან გამოყოფის პროცესში არსებულად — ლოგიკას თუ, მაგალითად, ესთეტიკას, ან ეთიკას, რომლებიც, როგორც ცნობილია, «ახლოს დგანან» ფილოსოფიასთან, ანუ ფილოსოფიურ დისციპლინებად ითვლებიან.

---

[1] იხ. Вопросы философии, 1951, № 1, стр. 222.

[2] ფ. ენგელსი, «ლ. ფეიერბახი» (იხ. მარქსი და ფ. ენგელსი, რჩ. ნაწ., ტ. 11, გვ. 482).

უნდა აღინიშნოს, რომ ლოგიკის მეცნიერების შემდგომი განვითარებისა და დალაგებისათვის თითქმის არავითარი არსებითი მნიშვნელობა არა აქვს ფილოსოფიიდან გამოყოფილად ვიგულისხმებთ მას თუ—ფილოსოფიის ნაწილად, ფილოსოფიურ მეცნიერებად ჩავთვლით მას თუ — კონკრეტულ მეცნიერებად. მთავარი აქ ის არის, რომ არ იცვლება ლოგიკის საგანი და არ იცვლება ამ საგნის ადგილი შემეცნების პროცესში. ამასთან, თუ ფილოსოფია მეცნიერებაა ცნობიერების შესახებ საერთოდ (კერძოდ შემეცნების თეორია), მაშინ იმავე ელემენტარული ლოგიკის ძალით გამომდინარეობს, რომ ლოგიკა ფილოსოფიის ნაწილია, რადგან ლოგიკის საგანი შემეცნების პროცესის გარკვეული მომენტია*.

თუ ლოგიკა იმიტომ არ მიაჩნიათ ფილოსოფიურ მეცნიერებად, რომ მისი საგანი ზოგადსაკაცობრიოა და არა აქვს კლასობრივი, პარტიული ხასიათი, ხოლო ფილოსოფია, მსოფლმხედველობა ყოველთვის კლასობრივი და პარტიულია (როგორც ვნახეთ დაახლოებით ასე ფიქრობს ჩუდოვი) — ასეთი არგუმენტი არ არის სწორი და სრულ გაუგებრობაზეა აგებული.

საქმე იმაშია, რომ ლოგიკის მეცნიერება, მოძღვრება ზოგადსაკაცობრიო აზროვნების ფორმებზე და კანონებზე, ისევე პარტიული და კლასობრივი ხასიათისაა, როგორც მსოფლმხედველობა, გნოსეოლოგია. მისდაუნებურად თვითონ ჩუდოვი მოითხოვს ამას: «მარქსიზმი დავნერგოთ ლოგიკაშიო». ხოლო რაც შეეხება ამ მეცნიერებათა საგნებს, კლასობრივი და პარტიული არ არის არათუ აზროვნების ლოგიკური ფორმები და კანონები, არამედ ობიექტური სინამდვილის ჭეშმარიტი შემეცნების პროცესი საერთოდ, ობიექტური სინამდვილის შემეცნების დიალექტიკური გზა, კლასობრივი და პარტიული არ

---

* ფილოსოფიიდან ლოგიკის გამოყოფის თვალსაზრისს კარგად აკრიტიკებს ბ. მ. კედროვი იმაზე მითითებით, რომ ლოგიკას ჭეშმარიტების მიღწევის გარკვეულ პირობებთან აქვს საქმე. ხოლო ლოგიკისა და დიალექტიკის ურთიერთობას იგი განიხილავს როგორც ერთი მეცნიერების ორი საფეხურის ურთიერთობას. იხ. მისი წერილი «ლოგიკის დამოკიდებულების შესახებ მარქსიზმთან» (Вопросы философии, 1951, № 4).

არის ობიექტური სინამდვილის მოძრაობისა და განვითარების უზოგადესი კანონზომიერებანი, რომელთა შესახებ ცოდნა, შეხედულებები ყოველთვის კლასობრივი და პარტიული ხასიათისაა.

მაშასადამე, ლოგიკისათვის ფილოსოფიური მეცნიერების «რანგის» ჩამორთმევა თეორიულად არაფრით არაა გამართლებული. პირიქით, რადგან მისი საგანი შემეცნების გარკვეული ნაწილია, უფლებაც არა გვაქვს მას ფილოსოფიური მეცნიერება არ ვუწოდოთ. არაფერს ვამბობთ იმაზე, რომ არსებობს მარქსიზმის კლასიკოსთა პირდაპირი მითითებები ლოგიკის ფილოსოფიურ მეცნიერებად აღიარებაზე.

უნდა აღინიშნოს მხოლოდ ერთგვარი პრაქტიკული მნიშვნელობა ფილოსოფიიდან კონკრეტულ მეცნიერებად ლოგიკის გამოყოფის აღიარებაში. მაშინვე მოიხსნებოდა დიალექტიკისა და ლოგიკის ურთიერთობის საკითხი. მოიხსნებოდა, რადგან ფილოსოფიასა და კონკრეტულ მეცნიერებებს შორის დამოკიდებულება დიდი ხანია საბოლოოდ და ამომწურავად არის გადაწყვეტილი.

* * *

დაახლოებით სწორედ ასე ხსნის დიალექტიკასა და ლოგიკის ურთიერთობის საკითხს ი. ი. ოსმაკოვი სადისკუსიო წერილში: «აზროვნების ლოგიკისა და ლოგიკის მეცნიერების შესახებ». იგი შემდეგნაირად მსჯელობს:

არსებობს არა ფორმალური და დიალექტიკური ლოგიკა, არამედ ერთიანი ზოგადსაკაცობრიო ლოგიკა აზროვნებისა და მარქსისტული მეცნიერული მოძღვრება მის შესახებ — ლოგიკის მეცნიერება*. საყურადღებოა ის არგუმენტები, რომელთა საშუალებით ასაბუთებს ოსმაკოვი ასეთ თვალსაზრისს.

«Известно, что предметы и явления природы и общества изучаются соответственно естественными и общественными науками, и законы и формы правильного

---

* ასეთივე აზრს გამოთქვამენ ვ. მ. ბოგუსლავსკი და ა. ა. ვეტროვი (იხ. Вопросы философии, 1951, № 2, стр. 186—187). ვეტროვის აზრით ლოგიკა ისეთივე კონკრეტული მეცნიერებაა დიალექტიკასთან შედარებით, როგორც ფიზიკა, ქიმია, მათემატიკა და სხვა.

мышления изучаются логикой. Общие же законы развития природы, общества и человеческого мышления изучаются материалистической диалектикой. Таким образом, логика в марксистско-ленинской философии должна рассматриваться не как равноправная с материалистической диалектикой научная методология, имеющая свою отдельную от диалектики сферу действия, а как конкретная наука о мышлении наряду с другими науками о природе и обществе.

Но нужно ли, скажем, для изучения природы, кроме материалистической диалектики, изучающей общие законы развития, и кроме конкретной науки, изучающей данную определенную область природы, еще одна наука, изучающая диалектику той же самой области природы?

Нужна ли для изучения мышления, кроме диалектического материализма, изучающего общие законы развития, и логики, изучающей законы и формы мышления, еще одна наука — диалектическая логика, изучающая законы того же самого мышления, что и логика, и стоящая над нею, над логикой?

Что получилось бы, если бы в место того, чтобы бороться за развитие науки логики на основе материалистической диалектики как единственно научного мировоззрения, стали бы вводить «диалектическую логику» как отдельную науку, равноправную с «формальной логикой»?

Это значило бы отказаться от всего рационального, накопленного в науке логике в процессе многовекового развития человечесвта. Это означало бы отказаться не только от идеалистического и метафизического буржуазного хлама, привнесенного в науку логики, но и от того, что было сделано в ней полезного.

Это было бы игнорированием борьбы, которая ведется в логике, как и во всякой другой науке, между марксистско-ленинской и буржуазной методологией. Та-

кое отношение к логике было бы признанием антинаучных течений и направлений во всех науках: в логике, языкознании, физике, биологии.

Между тем задача заключается в том, чтобы вести борьбу против враждебного марксизму-ленинизму мировоззрения, внедрять марксизм в логике как науку. Вот почему указание В. И. Ленина о логике формальной и логике диалектической не должно быть понимаемо как признание самостоятельного научного значения и за формальной логикой и за логикой диалектической. Тем более это указание не должно быть понято как признание В. И. Лениным существования двух научных методологий, между которыми разделено познание мира.

Указание В. И. Ленина о логике формальной и логике диалектической раскрывает всю несостоятельность распространенной в капиталистических странах формальной логики, «нуждающейся в известных поправках». При внесении соответствующих поправок формальная логика станет такой же диалектической наукой, как биология или физика, если эти науки правильно отражают изучаемую ими область реальной действительности (например, мичуринская биология).

Следовательно, логика, становясь не формальной, а действительно научной логикой, не превращается в материалистическую диалектику, не аннулирует ее, так же как и диалектика, насквозь пронизывающая логику мышления, не аннулирует последнюю, т. е. не становится логикой.

Логика есть и остается частной, конкретной наукой о законах и формах человеческого мышления, а материалистическая диалектика есть и остается общей наукой, единственной методологией всех наук, в том числе и логики»[1].

---

[1] См. Вопросы философии, 1950, № 3, стр. 328—329.

ოსმაკოვი არაფერს ამბობს იმის შესახებ, არის თუ არა ეს კონკრეტული მეცნიერება — ლოგიკა ფილოსოფიური მეცნიერება, ფილოსოფიის ნაწილი. ხოლო ამის გარეშე დიალექტიკისა და ლოგიკის ურთიერთობის პრობლემა უფრო მოხსნილია, ვიდრე ახსნილი.

* * *

ამის სრულიად საწინააღმდეგო, ერთგვარი კომპრომისული, უფრო სწორად, ეკლექტიკური თვალსაზრისი აქვს გამოთქმული პ. ს. პოპოვს.

იგი ლაპარაკობს ლოგიკის საგნის არაკლასობრიობაზე, მიუთითებს ერთ ადგილზე ვ. ი. ლენინის «ფილოსოფიური რვეულებიდან», სადაც ლენინს მოყავს ჰეგელის აზრი ლოგიკისა და გრამატიკის მსგავსებაზე, იმის შესახებ, რომ ლოგიკა დამწყებისათვის ერთია, ხოლო ენის მცოდნისათვის — სხვაა. ჰეგელის ამ აზრს ლენინი შენიშნავს: «ზედმიწევნითი და ღრმაა»[1]. აქედან პოპოვი აკეთებს დასკვნას, რომ ლოგიკა ორმნიშვნელოვანია (двулика). დამწყებისათვის იგი ერთია, ხოლო ზოგადი ფილოსოფიური გააზრებით — სულ სხვაა. პირველ შემთხვევაში იგი არაა იდეოლოგიური ზედნაშენი, ხოლო მეორე შემთხვევაში იგი ღრმა პარტიულია, რადგან ამ ასპექტში იგი ფილოსოფიური მეცნიერებაა.

ამის შემდეგ პოპოვი წერს: იმისათვის, რომ გავიგოთ აზრის ფორმებისა და კანონების მნიშვნელობა, ისინი უნდა განვიხილოთ როგორც ჩვენი შემეცნების თეორიის, ასახვის თეორიის ნაწილი. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება ლოგიკის გაწმენდა იდეალიზმისა და მეტაფიზიკისაგან.

«Истолковав логику с марксистско-ленинских позиций, мы сможем выявить в ней тот свод правил и определений, которые верно фиксируют закономерности мысли. Свод технических правил мысли, этот логический инструментарий, составит материал для логики начинающих, это будет сводом правил, и только. К нему мерка классовости неприложима. Он не относится к сфе-

---

[1] В. И. Ленин, Философские тетради, 1947, стр. 72.

ре идеологии так же, как и таблица умножения, положения геометрии, правила грамматики и т. п.»[1].

თავი რომ დავანებოთ იმას, რომ პოპოვს სწორად ვერ გაუგია, რას ნიშნავს გრამატიკისა და ლოგიკის ორნაირი გაგება, რომელზედაც ლაპარაკობს ჰეგელი და რასაც იწონებს ლენინი, პოპოვი აქ ავითარებს იდეალისტ ზიგვარტის თვალსაზრისს, რომლის მიხედვით ლოგიკა არის ტექნიკური მოძღვრება აზროვნებაზე («Künstlehre des Denkens»). ამავე წერილში პოპოვი გამოთქვამს აზრს, რომ როგორც დიალექტიკაა ორი: იდეალისტური და მატერიალისტური, ასევე არსებობს ორი ფორმალური ლოგიკა: ანტიმეცნიერული, იდეალისტური ლოგიკა და მატერიალისტური ლოგიკა.

პოპოვის აზრით «მატერიალისტური თვალსაზრისი წითელი ზოლივით უნდა გასდევდეს ფორმალური ლოგიკის ყოველ ლოგიკურ კატეგორიას. მატერიალისტურად გააზრებული უნდა ისწავლებოდეს საბჭოთა სკოლაში ლოგიკის ყოველი, თუნდაც ყველაზე სპეციალური ნაწილიც კი, ასეთი გააზრებით უნდა იქნეს შედგენილი ლოგიკის სასკოლო სახელმძღვანელოც»[2].

ე. ი. პოპოვს დავიწყებია, რომ იმავე გვერდზე, რამდენიმე აბზაცის ზემოთ ლაპარაკობდა ლოგიკის ელემენტარული სახელმძღვანელოს არაკლასობრიობაზე.

დიალექტიკისა და ლოგიკის ურთიერთობაზე პოპოვი წერს:

«Но все-таки мы говорим: логика диалектическая и формальная, — значит, мы отделяем их друг от друга? но здесь нужно договориться. В качестве особой учебной дисциплины формальная логика может и должна преподаваться как специальный предмет. Но это, однако, не значит, что формальная логика как наука отмежевана от логики диалектической. Познавательный процесс всегда един. Содержание знания усваивается диалектически, с помощью диалектического метода; условием возможности постичь любой предмет и явление является

---

[1] იხ. Вопросы философии, 1951, № 1, стр. 212.

[2] იქვე.

формальная правильность мысли познающего и рассуждающего суб'екта»[1].

როგორც ვხედავთ, ამხ. პოპოვი აქ ერთმანეთში ურევს ორ სრულიად სხვადასხვა საკითხს, კერძოდ: ლოგიკური აზროვნების ადგილის საკითხს შემეცნების პროცესში და ლოგიკის მეცნიერების ადგილის საკითხს დიალექტიკურ ლოგიკაში.

«Формальная логика не может подлежать никакой отмене, ее законы всегда необходимы человеческой мысли. Но она не должна претендовать на то, чтобы быть методом содержательного знания. Эту мысль можно сформулировать так: формальная логика определяет нашу мысль и всегда и никогда; всегда — как совокупность приемов мышления, и никогда — как самодовляющий познавательный метод исследования; все зависит от того, в каком значении, в каком смысле ее истолковать»[2].

თითქოს ყველაფერი სწორად არის გააზრებული, მაგრამ ამ აზრს ამხ. პოპოვი აქვე ივიწყებს და მომდევნო აბზაცში ავითარებს ამის საწინააღმდეგო აზრს.

«Формальная логика изучает наиболее общие закономерности мысли, наиболее общие правила последовательности мысли и принципы знания. Законы и принципы формальной правильности мысли применяются неизменно, но когда и как они применяются, определяется не самой формальной логикой, а развитием содержания знания, связанным с человеческой практикой. Диалектическая логика прорывает узкий горизонт формальной логики и идет дальше, поскольку диалектика определяет условия приложимости законов формальной логики. Ведущей в развертывании хода мысли является логика диалектическая»[3].

---

[1] იხ. Вопросы философии, 1951, № 1, стр. 212.

[2] იქვე, გვ. 217.

[3] იქვე.

ბოლოს ამბ. პოპოვი ისევ უახლოვდება სწორ აზრს და აღნიშნავს, რომ «ფორმალურ-ლოგიკური აზროვნება» არის «აზრის დიალექტიკური ფორმების» მომენტი... და ამიტომ უნდა ვილაპარაკოთ ფორმალური და დიალექტიკური ლოგიკის არა განცალკევებაზე, არამედ მათ ერთიანობაზე» [1].

* * *

პროფ. ა. ო. მაკოველსკი (ბაქო) ეთანხმება პროფ. კ. ბაქრაძეს იმაში, რომ ლოგიკის მეცნიერება დიალექტიკის მომენტია, მაგრამ მას არასწორად ესმის ლოგიკის საგანი და მეტაფიზიკური აზროვნების თეორიად. მიაჩნია იგი[2]. ფორმალურ-ლოგიკური აზროვნება, მისი აზრით, სავსებით საკმარისია ცოდნის განსაზღვრულ სფეროში. ამავე დროს იგი დიალექტიკური აზროვნების განვითარების წინასწარი საფეხურიაო.

პროფ. მაკოველსკი აკრიტიკებს სტროგოვიჩის სწორ აზრს იმის შესახებ, რომ დიალექტიკური აზროვნება ამავე დროს მკაცრი ლოგიკური აზროვნებაა და არ არღვევს ფორმალურ-ლოგიკურ კანონებს. პროფ. მაკოველსკის აზრით დიალექტიკა არ შეიძლება უთანხმდებოდეს ფორმალურ ლოგიკას იმის გამო, რომ ფორმალური ლოგიკა აზროვნების შეზღუდული მეთოდია.

პროფ. მაკოველსკი აკრიტიკებს იმ ტენდენციას საერთოდ, რომ ლოგიკა არ სურთ გაიგონ როგორც მეთოდი*. ამ მიზნით იგი იშველიებს ენგელსის მითითებებს იმაზე, რომ ფორმალური ლოგიკაც კი არის ერთგვარი მეთოდი ახალი შედეგების მოსაძებნად. პროფ. მაკოველსკის აზრით ლოგიკა, რომელიც არ გადადის მეთოდში, უნაყოფოა და არაფერს არ იძლევა მეცნიერული ცოდნის განვითარებისათვის. ლოგიკისა და მეთოდის გათიშვა არ შეიძლება, ისინი ერთმანეთს განაპირობე-

---

[1] იხ. Вопросы философии, 1951, № 1, стр. 218.

[2] იხ. Вопросы философии, 1951, № 2, стр. 179 — 181.

* ასეთ თვალსაზრისს იცავს ა. პ. გაგარინიც, რომლის აზრით ფორმალური ლოგიკა ისტორიულად განვლილი ეტაპია და იგი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გამოცხადებულ იქნას დიალექტიკური მატერიალიზმის ნაწილად. (იხ. Вопросы философии, 1951, № 2, стр. 185).

ბენო. ამას ადასტურებს ლოგიკის ისტორია: არისტოტელეს კატეგორიული სილოგიზმის თეორია დაკავშირებულია მის აპოდიქტიკასთან; სილოგიზმის დაბალი შეფასება ბეკონთან და დეკარტესთან განსაზღვრული იყო ერთ შემთხვევაში ინდუქციური მეთოდით, ხოლო მეორე შემთხვევაში დედუქციური, მათემატიკური მეთოდით; კანტის წმინდა ფორმალისტური ლოგიკა ორგანულად იყო დაკავშირებული მის ტრანსცენდენტალურ აპრიორიზმთან და ა. შ.

ასეთია პროფ. მაკოველსკის არგუმენტები. მაგრამ ძნელი არაა იმის მიხვედრა, რომ ამით მტკიცდება არა ის, თითქოს ფორმალური ლოგიკა აზროვნების მეთოდია, არამედ მხოლოდ ის, რომ ფორმალური ლოგიკის შინაარსის დალაგება და ინტერპრეტაცია შემეცნების მეთოდზე, შემეცნების თეორიაზეა დამოკიდებული. როგორიცაა შემეცნების თეორია, ისეთივეა ლოგიკა.

დასკვნის სახით პროფ. მაკოველსკი წერს: არ შეიძლება ფორმალური ლოგიკის შეერთება დიალექტიკასთან, რადგან ასეთ შემთხვევაში ფორმალური ლოგიკა ისპობა, მაშინ როცა სინამდვილეში იგი ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას ყოველდღიურობაში და შეფარდებით დაქვემდებარებულ მნიშვნელობას ცოდნის შეზღუდულ სფეროში. ასევე არ არის სწორი ფორმალური ლოგიკის გათიშვა დიალექტიკისაგან, რადგან დიალექტიკური მატერიალიზმი აიარაღებს ყველა მეცნიერებას და მათ შორის ლოგიკასაც ერთადერთი მეცნიერული მეთოდითო.

ე. ი. გამოდის, რომ ფორმალური ლოგიკა არის მეტაფიზიკური აზროვნების თეორია და იგი როგორც მეცნიერება უნდა ეყრდნობოდეს და უნდა ვითარდებოდეს დიალექტიკურ მეთოდზე დაყრდნობით. ასეთ უაზრო წინააღმდეგობამდე მივყევართ პროფ. მაკოველსკის თვალსაზრისს.

თავისებურ თვალსაზრისს ავითარებს დობრინ სპასოვი (სოფია), რომლის აზრით არსებობს ერთი დიალექტიკური ლოგიკა, რომელიც თავისთავში შეიცავს ფორმალურ ლოგიკას როგორც დაქვემდებარებულ მომენტს. თავისი შინაარსით დიალექტიკური ლოგიკა ეს არის მარქსისტული დიალე-

ქტიკა, რომელიც ემთხვევა აგრეთვე გნოსეოლოგიას. დიალექტიკური ლოგიკა იძლევა უფრო ღრმა და მეცნიერულ მოძღვრებას დიალექტიკური აზროვნების ლოგიკური ფორმების შესახებ. ფორმალური ლოგიკა, მისი აზრით, ისეთივე მეთოდია ობიექტური სინამდვილის შემეცნებისა, როგორც დიალექტიკური ლოგიკა, და მათ შორის ურთიერთობა გამოიხატება მოძრაობისა და უძრაობის კატეგორიების ურთიერთობის ანალოგიით, ე. ი. დაახლოებით ისე, როგორც ეს ესმოდა პლეხანოვს.[1]

* *
*

რამდენადმე განსხვავებული თვალსაზრისი გამოთქვა ე. კ. ვოიშვილომ. მისი აზრით ფორმალური ლოგიკა არ არის ცალკე მეცნიერება. არსებობს ლოგიკის ერთი მარქსისტული მეცნიერება, რომელიც დიალექტიკური მატერიალიზმის პოზიციებიდან შეისწავლის აზროვნებას და შემეცნებას საერთოდ. მაგრამ ამ მეცნიერებაში უნდა განვასხვავოთ განსაკუთრებული ნაწილი, რომელიც გამოიყოფა როგორც დამოუკიდებელი საკოლო დისციპლინა. ეს დისციპლინა არის პირველი, ელემენტარული საფეხური აზროვნების კანონზომიერებათა შესწავლაში. ამ აზრით იგი არის დაბალი საფეხური შედარებით დიალექტიკურ ლოგიკასთან.

მაგრამ თუ ვილაპარაკებთ არა თეორიაზე, არამედ თვით აზროვნების კანონზომიერებაზე, მაშინ არ იქნება სწორი ფორმალური და დიალექტიკური ლოგიკის დაპირისპირება განვიხილოთ როგორც დაბალი და მაღალი საფეხურის დაპირისპირება აზროვნების განვითარებაში.

მაშასადამე, ვოიშვილოს აზრით დიალექტიკური ლოგიკა არის არა დიალექტიკური მეთოდი ან დიალექტიკური მატერიალიზმი, არამედ მოძღვრება აზროვნების ფორმებზე და კანონებზე. როგორც ზემოთ ითქვა, თუ დიალექტიკურ ლოგიკას ასე გავიგებთ, მაშინ გამოდის, რომ დიალექტიკა, დიალექტიკური მეთოდი არ ყოფილა ამავე დროს ლოგიკა.

---

[1] იხ. Вопросы философии, 1951, № 2, стр. 182 — 184. ზოგიერთი უმნიშვნელო ცვლილებით ასეთივე თვალსაზრისს იცავს მ. ნ. ალექსეევი. (იქვე, გვ. 188 — 189).

* * *

ერთიანი და უნივერსალური დიალექტიკური ლოგიკის სქემის აგების ერთგვარ ცდას იძლევა პროფ. ა. დ. ალექსანდროვი (ლენინგრადი)[1].

მისი აზრით ლოგიკა არის მოძღვრება შემეცნებაზე, უფრო სწორად, ცნობიერებაში ბუნების ასახვის ფორმებზე, მოძღვრება აბსტრაქტული აზროვნების ფორმებზე. ეს ფორმებია ცნებები, კატეგორიები, მსჯელობები, დასკვნები, ჰიპოთეზები, თეორიები და ა. შ.. ლოგიკა არა მარტო აღწერს აზროვნების ფორმებსა და კანონებს, არამედ აზუსტებს და ავითარებს მათ შემეცნებისათვის ვარგისიანობის თვალსაზრისით. ე. ი. ლოგიკა შეიცავს აგრეთვე მოძღვრებას შემეცნების მეთოდზე. მაგრამ შემეცნების საყოველთაო მეთოდი არის დიალექტიკური მეთოდი და სწორი აზროვნება მას უნდა დაემორჩილოს. მაშასადამე, ლოგიკა უნდა იყოს დიალექტიკური.

ჯერ-ერთი, ბუნებაში ბატონობს ობიექტური დიალექტიკა და ლოგიკა, როგორც მოძღვრება ამ ობიექტური დიალექტიკის ასახვის ფორმებზე, შეიძლება იყოს მხოლოდ დიალექტიკური ლოგიკა. ეს არ ნიშნავს ფორმალური ლოგიკის უარყოფას. გასწორებული და სწორად გაგებული ფორმალური ლოგიკა კი არ იხსნება, არამედ შედის დიალექტიკურ ლოგიკაში როგორც მისი ელემენტარული ნაწილი.

შემდეგ, ადამიანურ აზროვნებას, როგორც ბუნების ყოველგვარ მოვლენას, აქვს თავისი დიალექტიკა. ამ დიალექტიკის ახსნა შეუძლია მხოლოდ დიალექტიკურ ლოგიკას. ამის შესახებ მიუთითებდა ვ. ი. ლენინი, მაგრამ ეს მითითება დღემდე არ არის განხორციელებული. ასმუსისა და სტროგოვიჩის სახელმძღვანელოებში ისევე ძველი ფორმალური ლოგიკა არის დალაგებული და ასევე ესმის ლოგიკა პროფ. კ. ბაქრაძეს. პროფ. ალექსანდროვი აკრიტიკებს ლოგიკის საგნის ისეთ განსაზღვრებას როგორსაც იძლევიან პროფ. კ. ბაქრაძე და სხვები. მისი აზრით, სწორი აზროვნება ისეთი აზროვ-

---

[1] იხ. მისი წერილი «ლოგიკის შესახებ» (Вопросы философии. 1951, № 3).

ნება კი არაა, რომელიც მხოლოდ ემორჩილება აზროვნების კანონებს, არამედ ისეთი, რომელიც სწორად ასახავს ობიექტურ სინამდვილეს.

ფორმალური ლოგიკა შეისწავლის აზროვნების ისეთ ფორმებსა და კანონებს, რომლებიც საგნებისა და მიმართებების უცვლელ მდგომარეობას ასახავენ. დიალექტიკა კი შეისწავლის ამ ფორმების მოძრაობისა და განვითარების მთელ პროცესს. ფორმალური ლოგიკა არცერთ სფეროში არაა საკმარისი შემეცნებისათვის, მაგრამ ყველა სფეროში აუცილებელია, რადგან ბუნების მოვლენებს ყოველთვის ახასიათებს მეტ-ნაკლები გარკვეულობა, დამოუკიდებლობა, განცალკევებულობა (разделенность). მარქსიზმის კლასიკოსები ყოველთვის გამოყოფდნენ მოვლენათა ჯაჭვში ძირითად რგოლს ყოველ ეტაპზე, განსაზღვრავდნენ მდგრადს, უცვლელს ამ დროისათვის, ამ პირობებისათვის, გამოხატავდნენ მას ზუსტ ლოზუნგებში და ყოველგვარი მერყეობის გარეშე სვამდნენ საკითხს — «ან-ან!».

აქედან ალექსანდროვი აკეთებს დასკვნას: «ფორმალური ლოგიკა შეიძლება და უნდა გამოვიყენოთ ყველგან, მაგრამ მის გამოყენებას უნდა ჰქონდეს საფუძველი. ფორმალური ლოგიკის გამოყენების სფერო არ არის განსაზღვრული, მაგრამ განსაზღვრულია თვით მისი გამოყენება», ფორმალური ლოგიკა არის «აზროვნების ყოველ ნაბიჯში», როცა პირობები ისე ნათელია, რომ მისი გამოყენება საფუძვლიანია, ხოლო დიალექტიკა არის მთლიანობაში, მთელი განვითარებისა და კავშირების გათვალისწინებაში*.

მაშასადამე, დიალექტიკური და ფორმალური ლოგიკის ურთიერთობა ფაქტიურად ახსნილია მოძრაობისა და უძრაობის ერთიანობის, ან წყვეტილთა და უწყვეტობის პრინციპით.

---

* პროფ. ალექსანდროვი ფიქრობს, რომ ამით მან საკმაო საფუძვლიანობის სრულიად ახალი კანონი აღმოაჩინა, როგორც კონკრეტული გამოხატულება დიალექტიკის ე. წ. პირველი კანონის მოქმედებისა ლოგიკაში.

ეს კანონი მისი აზრით იმაში მდგომარეობს, რომ ლოგიკის ამა თუ იმ ნორმის გამოყენებას ყოველთვის უნდა ჰქონდეს საკმაო საფუძველი. (იხ. Вопросы философии, 1951, № 3, стр. 160).

რაც შეეხება დიალექტიკური ლოგიკის სქემას, პროფ. ალექსანდროვი მას შემდეგნაირად ახასიათებს:

საგნის შემეცნება იწყება მისი გამოყოფით მოვლენების საერთო მასიდან. ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ ამ საგანზე. აბსტრაქტულ აზროვნებაში ეს აისახება საგნის შესახებ ცნებაში. შესაბამისად ლოგიკა უნდა იწყებოდეს მოძღვრებით ცნების შესახებ.

ვ. ი. ლენინი ალაგებდა რა დიალექტიკის ელემენტებს, მის პირველ ელემენტად აღნიშნა «განხილვის ობიექტურობა (არა მაგალითები, არა გადახვევა, არამედ ნივთი თავისთავად)»[1]. ამას შეიძლება ვუწოდოთ აზროვნების ობიექტურობისა და გარკვეულობის კანონი. ამაში შევა იგივეობის, წინააღმდეგობისა და გამორიცხული მესამის ჩვეულებრივი კანონები, მაგრამ არა როგორც სწორი აზროვნების აბსოლუტური (безусловные) კანონები. არამედ როგორც გაპირობებული კანონები, რომლებიც გარკვეულ პირობებს მოითხოვენ მათი გამოყენებისათვის.

ცნებებზე მოძღვრებაში შეისწავლება საგნის გარკვეულობის კატეგორიები: ქვალიტეტი და ქვანტიტეტი, თვისება, ნიშანი და სხვა.

მაგრამ საგანი იცვლება და ვითარდება. საგნის სხვადასხვა მხარეების, მიმართებების, კავშირებისა და განვითარების ასახვის ელემენტარული ფორმა არის მსჯელობა. ამიტომ ლოგიკის მეორე თავი იქნება მოძღვრება მსჯელობაზე. მსჯელობების კლასიფიკაციამ უნდა ასახოს საგნის მხარეებისა და კავშირების მრავალფეროვანი ფორმები. აქ განიხილება აუცილებლობის, შესაძლებლობისა და სინამდვილის კატეგორიები.

შემდეგ გამოირკვევა, რომ ცნების შინაარსი გაიშლება მსჯელობაში, რომ ცნება მხოლოდ მსჯელობაში არსებობს. ცნება არის სწორედ საგნის ყველა კავშირების ასახვა. აქ უნდა განვასხვაოთ არსებითი და არაარსებითი, აუცილებელი და შემთხვევითი.

არსებითი დამოკიდებულება არის მოვლენათა გაშუალება, მათი გაპირობებულობა. ამიტომ კავშირებზე მოძღვრება წარ-

---

[1] В. И. Ленин, Философские тетради, стр. 192.

მოშობს მოძღვრებას საფუძველზე, და მსჯელობის მიმართ იგი გამოიხატება საკმაო საფუძველის კანონში. მაგრამ საკმაო საფუძველის ჩვეულებრივი კანონი უნდა შეივსოს სხვა კანონით, რომელიც მოითხოვს საფუძველს თვით ლოგიკის ნორმების გამოყენებისათვის. ყოველივე ეს გამოხატავს იმ დებულებას, რომ ჭეშმარიტება კონკრეტულია.

აქედან გადავდივართ დასკვნაზე. აქვე შეისწავლება დასაბუთება. დასკვნა-დასაბუთების ფორმების კლასიფიკაციის შემდეგ დასკვნაში, როგორც «უჯრედში», უნდა ვუჩვენოთ აზრის განვითარება, ცნების განვითარება, ახალი ცნების წარმოქმნა. ეს არის სწორედ ახალი თვისობრიობის წარმოშობა აზროვნებაში, ანუ ახალი მსჯელობის ჩამოყალიბება. მეცნიერების კანონები არის სწორედ ასეთი ახალი მსჯელობები. მაშასადამე, ლოგიკის შემდეგი ნაწილი იქნება მოძღვრება ცნებებისა და მსჯელობების წარმოშობაზე, განვითარებაზე.

აზროვნების ამ პროცესის ერთ-ერთი ფორმა არის ინდუქცია. მეცნიერული ინდუქცია არის სწორედ აუცილებელი თვისობრივი გადასვლა ცალკეული მასალის დაგროვებიდან საერთო დასკვნაზე. აქვე გაშუქდება ანალიზისა და სინთეზის მეთოდები, ექსპერიმენტისა და თეორიის, ინდუქციისა და დედუქციის ერთიანობა.

ბოლოს, ჩვენ აუცილებლობით დავუბრუნდებით ცნების წარმოშობას როგორც თვისობრივ ნახტომს აზროვნების განვითარებაში. ე. ი. დავუბრუნდებით ამოსავალ პუნქტს, მაგრამ ეს მოძღვრება ეხლა წარმოდგება ჩვენს წინაშე მთელი სიღრმით და მრავალმხრივობით. იმისათვის, რომ მოვიცვათ ცნობიერების მთელი მოძრაობა — რჩება ერთი და გადამწყვეტი ნაბიჯი. საჭიროა შემეცნების ცალკეული ფორმების შესწავლიდან გადავიდეთ შემეცნების ყოვლისმომცველი მეთოდის — დიალექტიკური მეთოდის შესწავლაზე, რომელიც მოიცავს ყველა განვლილ საფეხურს.

ე. ი. ლოგიკის უკანასკნელი და ამასთან ყველაზე მთავარი ნაწილი იქნება მოძღვრება დიალექტიკურ მეთოდზე. აქ განმარტებული იქნება დიალექტიკის არსი — დაპირისპირებულთა ბრძოლა და ერთიანობა, განმარტებულ იქნება ცნებათა მო-

ქნილობა, აბსტრაქტული აზროვნებისა და პრაქტიკის ერთიანობა[1].

ასეთია დიალექტიკური ლოგიკის სქემა, წარმოდგენილი პროფ. ა. დ. ალექსანდროვის მიერ. იმის გამო, რომ ამ სქემას არა აქვს პრეტენზია სრული და აბსოლუტურად სწორი იყოს, ამიტომ საჭირო არაა ამ სქემის ცალკეული დეტალების კრიტიკა.

მთლიანად კი იგი შეფასებულ უნდა იქნას, როგორც დიალექტიკისა და ფორმალური ლოგიკის რაციონალური შინაარსის ერთ მეცნიერებად შეერთების ცდა. ასეთი შეერთების გამართლება მხოლოდ და მხოლოდ იმაში შეიძლება იყოს, რომ დიალექტიკა ლოგიკაა, რომ როგორც დიალექტიკა, ისე ფორმალური ლოგიკა აზროვნებას შეისწავლიან. ეს ამოცანა რომ განხორციელებულიყო, იგივე იქნებოდა, რაც ჰეგელის «ლოგიკის» ახალი, მატერიალისტური გამოცემა.

ასეთი «დიალექტიკური ლოგიკის» გვერდით, პროფ. ა. ალექსანდროვის აზრით, უნდა არსებობდეს «ფორმალური ლოგიკა», როგორც მისი ელემენტარული ნაწილი.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასეთი ლოგიკის არსებობის შემთხვევაში ფორმალურ ლოგიკას აღარ ექნებოდა არავითარი საქმე, და იარსებებდა არა ფორმალური ლოგიკა, როგორც დიალექტიკური ლოგიკის ელემენტარული ნაწილი, არამედ ლოგიკის მეცნიერების სხვადასხვა სახელმძღვანელოები სხვადასხვა მოზზადების მკითხველთათვის. ე. ი. შეიძლება ლაპარაკი ლოგიკის მეცნიერების ელემენტარულ სახელმძღვანელოზე და არა მის ელემენტარულ ნაწილზე.

* * *

პროფ. ბ. მ. კედროვი ფორმალური ლოგიკისა და დიალექტიკური ლოგიკის განსხვავებას იმაში ხედავს, რომ ისინი სხვადასხვაგვარად უდგებიან საგნებს. ფორმალური ლოგიკა საგნებს განიხილავს ცალმხრივად და ზედაპირულად, ხოლო დიალექტიკური ლოგიკა—ყოველმხრივ და ღრმად, შინაარსობრივად. იგი აკრიტიკებს ამ პრობლემის პლეხანოვისებურ გადაწყვეტას და აკეთებს დასკვნას:

---

[1] იხ. Вопросы философии, 1951, № 3. стр. 162 — 163.

ფორმალური ლოგიკა არ არის დიალექტიკური ლოგიკის არც შემადგენელი ნაწილი, არც «მომენტი», არც მხარე და არც კერძო შემთხვევა, ისევე როგორც, ცალმხრივი მიდგომა არ არის ყოველმხრივი მიდგომის კერძო შემთხვევა, ხოლო ზედაპირული შეხედულება არ არის შინაარსიანი შეხედულების «მომენტი».

ფორმალური ლოგიკა არის აუცილებელი პირობა დიალექტიკური აზროვნებისათვის, რადგან არავითარი დიალექტიკა არ შეიძლება წარმოიშვას და გაჩერდეს აბნეულ თავში, რომელიც კი არ დაიცავს ლოგიკური აზროვნების ელემენტარულ წესებს, დაუშვებს გაურკვევლობას, წინააღმდეგობას და დაუკავშირებლობას აზრებში.

ფორმალური ლოგიკის წესების ცოდნა და მათი მკაცრი დაცვა ყოველდღიურობაში არის ელემენტარული მწიგნობრულობის აუცილებელი ნიშანი.

* * *

თითქმის ასეთივე თვალსაზრისია განვითარებული დისკუსიის შემაჯამებელ სარედაქციო წერილშიც, სადაც ვკითხულობთ:

ფორმალური ლოგიკა არის მეცნიერება სწორი აზროვნების ელემენტარული კანონებისა და ფორმების შესახებ. იგი არის კრებული ელემენტარული წესებისა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ვისარგებლოთ ცნებებით, მსჯელობებით, დასკვნებით, რომ ჩვენი აზროვნება იყოს გარკვეული, თანმიმდევრული, დასაბუთებული, არაწინააღმდეგობრივი.

ფორმალური ლოგიკა აუცილებელია, მაგრამ არ არის საკმარისი საგნის სრული შემეცნებისათვის. იგი სრულიადაც არ არის მეტაფიზიკა, რამდენადაც არ ხდება მისი აბსოლუტიზირება და არ მიიჩნევა ერთადერთ შესაძლებელ ლოგიკად.

არ არსებობს ორი ფორმალური ლოგიკა: ძველი, მეტაფიზიკური, და ახალი, დიალექტიკური, როგორც არ არსებობს ორი — მეტაფიზიკური და დიალექტიკური — არითმეტიკა, გრამატიკა. ფორმალური ლოგიკა ერთია, ზოგადსაკაცობრიო, იგი არის აზროვნების ელემენტარული წესების კრებული, უმარტივესი მოძღვრება ამ წესებზე.

დიალექტიკური ლოგიკა არის დიალექტიკა და მარქსიზმის შემეცნების თეორია, იგი გამოიყენება როგორც აზროვნების ფორმებისა და კანონების, ისე სინამდვილის კანონების შესწავლაში. დიალექტიკური ლოგიკა განმარტავს აზროვნების ფორმებისა და კანონების ორგანულ კავშირს ობიექტური სამყაროს კანონებთან, რომ ისინი ასახავენ ობიექტური სამყაროს კანონებს.

ფორმალურ ლოგიკასთან შედარებით დიალექტიკური ლოგიკა არის თვისობრივად ახალი, უმაღლესი საფეხური აზროვნების განვითარებაში. მისი მიმართება ფორმალურ ლოგიკასთან, თანახმად ენგელსის ღრმა შედარებისა, ანალოგიურია უმაღლესი და დაბალი მათემატიკის ურთიერთობისა.

დიალექტიკური ლოგიკა, როგორც უმაღლესი ლოგიკა, არ უარყოფს დაბალ ფორმალურ ლოგიკას, მაგრამ აღნიშნავს მის შეზღუდულობას. დიალექტიკური ლოგიკა მარქსიზმის შემადგენელი ნაწილია, ფორმალური ლოგიკა კი არ არის მარქსიზმის შემადგენელი ნაწილი.

ასეთია მარქსისტული თვალსაზრისი ფორმალურ ლოგიკაზე და დიალექტიკასთან მის ურთიერთობაზე[1].

ასეთი თვალსაზრისის შესახებ უნდა ითქვას შემდეგი:

1. შემაჯამებელ წერილში არ არის აღნიშნული, რომ ფორმალური ლოგიკა ფილოსოფიური მეცნიერებაა. მაშინ, როცა დისკუსიის მსელელობაში ამ საკითხმა პრინციპული მნიშვნელობა მიიღო.

2. თუ ფორმალური ლოგიკა ისეთივე მიმართებაშია დიალექტიკურ ლოგიკასთან, როგორც დაბალი მათემატიკა უმაღლეს მათემატიკასთან, მაშინ ფორმალური ლოგიკა ფილოსოფიის მეცნიერების ნაწილი ყოფილა, ისევე როგორც დაბალი მათემატიკა არის ელემენტარული ნაწილი მათემატიკის მეცნიერებისა საერთოდ. ჩვენი ფილოსოფია მარქსისტული ფილოსოფიაა. ე. ი. ფორმალური ლოგიკა ყოფილა მარქსისტული ფილოსოფიის ელემენტარული ნაწილი.

3. ლაპარაკი ფორმალური ლოგიკის შეზღუდულობაზე

---

[1] ის. Вопросы философии, 1951, № 5, стр. 146—147.

იმის აღიარებაა, რომ ფორმალური ლოგიკა მეტაფიზიკური აზროვნების თეორიაა.

4. თუ დიალექტიკური ლოგიკა ღრმა და ყოველმხრივი მოძღვრებაა აზროვნების ფორმებზე და კანონებზე, მაშინ ფორმალური ლოგიკა როგორც მეცნიერება აღარ იარსებებს, რადგან ღრმა და ყოველმხრივი ცოდნა საგანზე თავისთავად შეიცავს ელემენტარულ ცოდნასაც ამ საგანზე, და შეიძლება ვილაპარაკოთ არა ფორმალურ ლოგიკაზე, როგორც დამოუკიდებელ მეცნიერებაზე, არამედ ერთადერთი ლოგიკის მეცნიერების — დიალექტიკური ლოგიკის ელემენტარულ სახელმძღვანელოზე. ასეთ შემთხვევაში იხსნება დიალექტიკისა და ლოგიკის ურთიერთობის პრობლემა, და ამის ნაცვლად ვღებულობთ ლოგიკის მეცნიერების სრული კურსის დამოკიდებულებას ამ მეცნიერების ელემენტარულ კურსთან.

მარქსიზმის კლასიკოსები კი ლაპარაკობდნენ ლოგიკაზე და დიალექტიკაზე, როგორც აზროვნების შესახებ ორ სხვადასხვა მეცნიერებაზე, რომელთაგან ერთი შეისწავლის შემეცნებას მთლიანად, ხოლო მეორე — შემეცნების გარკვეულ პირობებს.

* * *

ჩვენის აზრით ლოგიკა როგორც მოძღვრება აზროვნების ფორმებზე და კანონებზე მარქსიზმის კლასიკოსების მიერ საესებით სრულუფლებიან მეცნიერებად არის აღიარებული, და სწორედ ამიტომ მოითხოვენ ამ დარგში მეცნიერული კვლევაძიების გაშლასა და გაფართოებას, ლოგიკის მეცნიერების ისტორიული განვითარების დადებითი შედეგების ათვისებას და შემოქმედებით განვითარებას.

მაგრამ, შეიძლება თუ არა ვილაპარაკოთ ლოგიკის მეცნიერების განვითარების რაიმე პერსპექტივაზე, მისი საყოველთაო სწავლების აუცილებლობაზე, თუ დავრჩებით მეტაფიზიკური აზროვნების წესად მისი მიჩნევის თვალსაზრისზე, როგორც ამას ფიქრობს დისკუსიის ზოგიერთი მონაწილე? რა თქმა უნდა, არა.

როცა არსებობს აზროვნების უმაღლესი ფორმა — დიალექტიკური აზროვნება და მოძღვრება მის შესახებ — დიალექტიკური ლოგიკა, ანუ მარქსისტული დიალექტიკური მეთოდი,

როცა არსებობს სწორი მეცნიერული აზროვნების თეორია, მეტაფიზიკური აზროვნების წესის სწავლება არავითარი მოსაზრებით და არავითარ პირობებში არაა გამართლებული.

თუ არსებობს ნამდვილად მეცნიერული დიალექტიკური მოძღვრება აზროვნების ფორმებზე და კანონებზე, როგორღა შეიძლება აიხსნას ამავე საგანზე არადიალექტიკური (ე. ი. არამეცნიერული, უფრო მკაცრად თუ ვიტყვით, მეტაფიზიკური) მოძღვრების სწავლება?

როგორც დისკუსიის მასალების განხილვისას ვნახეთ, ზოგიერთი ამხანაგი ფიქრობს, რომ ფორმალური ლოგიკა მოსამზადებელი საფეხურია დიალექტიკური აზროვნებისათვის*, რომ აზროვნების ეს დაბალი მეთოდი საშუალო სკოლებში უნდა გასწავლოთ იმისათვის, რათა ახალგაზრდობა მოვამზადოთ დიალექტიკური ლოგიკის — აზროვნების უმაღლესი მეთოდის — შესასწავლად უმაღლეს სასწავლებლებში.

ასეთ შემთხვევაში იმაზე უბრალო მითითებაც საკმარისია, რომ ფორმალური ლოგიკა უმაღლეს სასწავლებლებში ისწავლება დიალექტიკური მატერიალიზმის გვერდით.

ლაპარაკობენ იმის შესახებ, რომ უნდა შევისწავლოთ ელემენტარული ლოგიკა, თუ გვინდა დავეუფლოთ მაღალ ლოგიკას, დიალექტიკურ ლოგიკასო.

ტერმინი «ელემენტარული ლოგიკა» ძალიან ხშირად არის ხმარებაში და სწორი არ იქნებოდა ამ ტერმინისათვის ანგარიში არ გაგვეწია. ჩვეულებრივად ამ ტერმინით აღნიშნავენ ცნებას, რომლის შინაარსი აზროვნების გარკვეულობის კანონებია. უფრო მარტივად, როცა ამბობენ: «ამა და ამ პიროვნებას არა აქვს ელემენტარული ლოგიკაც კი», ამით იმის თქმა სურთ, რომ ეს პიროვნება არღვევს აზროვნების გარკვეულობის კანონების მოთხოვნებს, თავი რომ დავანებოთ საგნის არცოდნას, ანუ სინამდვილის კანონზომიერებათა არცოდნასო. მხოლოდ ამ აზრით შეიძლება ვილაპარაკოთ «ელემენტარულ

* ასე ფიქრობენ, მაგალითად, ბ. მ. კედროვი, ვ. კ. აკსტაფიევი, ბ. ი. ლოზოვსკი და სხვები. ლოზოვსკის აზრით ფორმალური ლოგიკა ისეთივე დამოკიდებულებაშია დიალექტიკურ ლოგიკასთან, როგორც მოვლენების ლოგიკა არსების ლოგიკასთან.

ლოგიკაზე», განსხვავებით «საგანთა ლოგიკისაგან», ანუ სინამდვილის ობიექტური კანონზომიერებისაგან, რასაც დიალექტიკური ლოგიკა შეისწავლის. სხვა შემთხვევაში ყოვლად შეუძლებელია ლაპარაკი «დაბალ», «ელემენტარულ» მეცნიერებაზე* და «მაღალ» მეცნიერებაზე. შეიძლება ლაპარაკი მეცნიერების ელემენტარულ კურსზე, ელემენტარულ სახელმძღვანელოზე, მაგრამ უაზრობაა ლაპარაკი «ელემენტარულ» მეცნიერებაზე.

ლოგიკის მეცნიერების ელემენტარული კურსის ჩამოყალიბების ამოცანა არ ნიშნავს ამ მეცნიერების გამოცხადებას ელემენტარულ მეცნიერებად.

არც აზროვნების ლოგიკური ფორმებისა და კანონების გარკვეული აზრით ელემენტარულ ფორმებად და კანონებად მიჩნევა არ ნიშნავს ამ ფორმების შესახებ მოძღვრების ელემენტარულ მეცნიერებად გამოცხადებას.

იმაზე უფრო ელემენტარული არაფერია, ვიდრე სტატისტიკური ანგარიში, მაგრამ ამის გამო სტატისტიკა როგორც მეცნიერების დარგი, არავის გამოუცხადებია ელემენტარულ მეცნიერებად.

მეტყველების ელემენტების ანალიზი და გამოკვლევა უფრო რთული როდია, ვიდრე აზრის ელემენტების ანალიზი, მაგრამ გრამატიკა არავის გამოუცხადებია ელემენტარულ დისციპლინად.

საბჭოთა ლოგიკოსი, როგორც ყოველი საბჭოთა მეცნიერი, დიალექტიკური მატერიალიზმით უნდა იყოს შეიარაღებული, დიალექტიკოსი უნდა იყოს. მან თავისი საგანი უნდა იკვლიოს ამ მეთოდით, ე. ი. ღრმად, მეცნიერულად და ამით უნდა წასწიოს წინ მეცნიერების ესა თუ ის დარგი. ეს აქსიომაა, და ასეთ პირობებში განა სრულ უაზრობად არა ჩანს იმის მოთხოვნა, რომ ლოგიკის სპეციალისტებმა თავიანთი ღრმა, მეცნიერული აზრები აზროვნების ფორმებზე, წესებზე, კანონებზე

---

* ფორმალური ლოგიკა ასეთ ელემენტარულ მეცნიერებად მიაჩნია. მაგალითად, ფ. ი. ოსტროუხს. იხ. დისკუსიის მასალებში მისი წერილი «მარქსიზმის დამახინჯების წინააღმდეგ ლოგიკის საკითხებში».

და ა. შ. დაალაგონ დიალექტიკურ ლოგიკაში, ხოლო ამის გვერდით არაღრმა, არადიალექტიკური აზრები დაალაგონ ფორმალურ ლოგიკაში, განა შეიძლება მათ ექნეთ რაიმე სათქმელი ფორმალურ ლოგიკაში, თუ თავიანთი კვლევის შედეგები დიალექტიკურ ლოგიკაში დაალაგეს?

სავსებით ნათელია, რომ უაზრობაა ერთსა და იმავე საგანზე ორი სხვადასხვა მეცნიერების აღიარება ერთსა და იმავე დროს.

ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ აქ ერთი და იგივე მეცნიერების საფეხურებთან გვაქვს საქმეო*. მაგრამ რად გვინდა დაბალი საფეხურის სწავლა, როცა გვაქვს მაღალი საფეხური?

— ისე მაღალ საფეხურს ვერ გავიგებთ, — გვეტყვიან ისინი.

როგორც ზემოთ ვთქვით, პრაქტიკა არ ადასტურებს ამას, მაგრამ ასეც რომ არ იყოს, რად გვინდა მაშინ ამ დაბალი, წარსული, განვლილი საფეხურის განვითარება (ხომ მოვითხოვთ, რომ ფორმალური ლოგიკა როგორც მეცნიერება ვითარდებოდეს)?

— იმისათვის რომ შეიქმნას, რაც შეიძლება კარგი სახელმძღვანელო ამ დაბალი საფეხურის შესახებო, — გვიპასუხებს ზოგიერთი მკვლევარი.

უხეში შეცდომაა მეცნიერების განვითარების ცნების დაყვანა კარგი სახელმძღვანელოს შექმნის ცნებამდე. ასეთი თვალსაზრისის მიხედვით ლოგიკა ერთხელ და სამუდამოდ დამთავრებულ მეცნიერებად გამოცხადდება. ფილოსოფიის ისტორიაში ცნობილია ასეთი თვალსაზრისის მცდარობა. ფ. ენგელსი არაერთხელ მიუთითებდა ამაზე.

მაშასადამე, ლაპარაკია არა ერთი და იგივე მეცნიერების საფეხურებზე, არამედ სრულიად სხვადასხვა მეცნიერებებზე სხვადასხვა საგნებით.

საფეხურებად აზროვნების ისტორიაში ჩვენ ვიცნობთ მხოლოდ აზროვნების მეტაფიზიკურ და დიალექტიკურ მეთო-

---

* ასე ფიქრობს, მაგალითად, იგივე ოსტროუხი, რომლის წერილის სპეციალური განხილვა საჭირო არაა.

ებს. დიალექტიკა პრინციპულად ეწინააღმდეგება მეტაფიზიკას და არავითარი სახით ამ უკანასკნელის კვლევა-ძიება, განვითარება და სწავლება ჩვენ არ გვესაჭიროება. თუ ამ მეთოდში ისტორიულად რაიმე დადებითი იყო ეს შეთვისებულია, «დაჭერილია», ასახულია დიალექტიკურ მეთოდში და სწორედ დიალექტიკის საშუალებით გავეცნობით მას.

მართალია, არსებობს ერთგვარი განსხვავება ყოველდღიურ ჩეულებრივ აზროვნებასა («ჯანსაღი ადამიანის გონებასა») და მეცნიერულ დიალექტიკურ აზროვნებას შორის; მართალია, გვაქვს ორი ისტორიული საფეხური აზროვნების განვითარებაში (რაც ლოგიკურად აზროვნების თითქოს ორი სხვადასხვა: დაბალი, «ელემენტარული» და «მაღალი», «დიალექტიკური» საფეხურით უნდა გამოიხატებოდეს), მაგრამ ორივე ამ (ისტორიულ და ლოგიკურ) საფეხურს განა ერთი მეცნიერება — ლოგიკა არ უნდა შეისწავლიდეს? განა შეიძლება არსებობდეს სხვადასხვა მეცნიერება ერთი და იგივე მოვლენის განვითარების სხვადასხვა საფეხურებზე ისეთ შემთხვევაში, როცა ამ საფეხურების კავშირის გარეშე არ არსებობს თვით ეს მოვლენა?

როგორც ვხედავთ, საფეხურებზე მსჯელობის შინაარსი ორი მეთოდის — მეტაფიზიკისა და დიალექტიკის ურთიერთობაზე მსჯელობაა და ეს სავსებით გასაგებია, რადგან წარმოუდგენელია სხვა რამ იგულისხმო აზროვნების განვითარების საფეხურებში. ასეთ საფეხურებად ვერ იგულისხმებ აზროვნების ლოგიკური კანონების ერთგვარ ფორმულირებას და განმარტებას მარქსამდელ ლოგიკაში და მარქსის შემდეგ, დიალექტიკური მატერიალიზმის შექმნის შემდეგ. ხოლო აზროვნების ფორმებისა და კანონების ობიექტურ განვითარებაში ასეთ ნახტომებს არ იცნობს ისტორია.

სრულიად სხვა საკითხია, რომ ფილოსოფიაში ნახტომის შემდეგ, ე. ი. ნამდვილად მეცნიერული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების შემდეგ, განვითარების სრულიად ახალი, ფართო პერსპექტივები იშლება ლოგიკის მეცნიერების წინაშე. მეცნიერული მსოფლმხედველობით შეიარაღებულ მკვლევარებს, ლოგიკოსებს შესაძლებლობა ეძლევათ უფრო ღრმად,

ამომწურავად შეისწავლონ აზროვნების ფორმები, წესები, კანონები, ე. ი. წინ წასწიონ ეს მეცნიერება და შექმნან ლოგიკის მეცნიერული სახელმძღვანელოები. ესაა და მხოლოდ ეს საბჭოთა ლოგიკის მეცნიერების ამოცანა, ისევე როგორც ფილოსოფიის დარგის მუშაკთა ამოცანაა საერთოდ დიალექტიკური მეთოდის პრობლემების დამუშავება და მისი სრულყოფილი სახელმძღვანელოების შექმნა.

როგორც ვნახეთ, დასმული პრობლემის დალაგების მთელ მანძილზე შევეცადეთ დაგვესაბუთებინა უსაფუძვლობა თვალსაზრისისა, რომლის მიხედვით დიალექტიკური მეთოდი არ არის ლოგიკა და არსებობს სრულიად სხვა დიალექტიკური ლოგიკა.

საჭიროა ცალკე განვიხილოთ ამ თვალსაზრისის ერთ-ერთი სახესხვაობა, რომლის მიხედვითაც ფაქტიურად გამოდის, რომ არსებობს მხოლოდ ერთი, დიალექტიკური ლოგიკა როგორც დიალექტიკური აზროვნების ლოგიკური თეორია, რომელიც შეიცავს მთელს ცოდნას აზროვნების კანონზომიერებათა შესახებ.

ამ თვალსაზრისის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი საქართველოში არის ამხანაგი სავლე წერეთელი*.

ს. წერეთელის თვალსაზრისი ძალიან მარტივად ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ: ობიექტურ სინამდვილეში დიალექტიკური კანონზომიერება ბატონობს. აზროვნება, რომელიც სწორად ასახავს ამ ობიექტურ დიალექტიკურ კანონზომიერებას, აუცილებლად დიალექტიკური უნდა იყოს, თუ სწორი, მეცნიერული აზროვნება დიალექტიკური ბუნებისაა, მაშინ უნდა არსებობდეს მეცნიერება, რომელიც ასახავდა აზროვნების ამ დიალექტიკურ ბუნებას. აზროვნების შესახებ მეცნიერება არის ლოგიკა: ე. ი. უნდა არსებობდეს ისეთი ლოგიკა, ისეთი ლოგიკური თეორია, რომელიც სწორად ასახავდა აზროვნების დიალექტიკას.

დიალექტიკური აზროვნების პროცესი ერთიანი აქტია, არ არსებობს ფორმალურ-ლოგიკური და დიალექტიკურ-ლოგი-

---

* იხ. მისი შრომა «ლოგიკურის მარქსისტულ-ლენინური გაგებისათვის» (ფილოსოფიის ინსტიტუტის შრომები, ტ. IV. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1952.).

კური აზროვნება. აზროვნება, თუ იგი მცდარი, ყალბი არ არის — დიალექტიკურ-ლოგიკურია. აქედან კი ის გამომდინარეობს, რომ ამ ერთიანი პროცესის შესახებ მეცნიერებაც ერთი და ერთიანი უნდა იყოს. დიალექტიკური ლოგიკა, როგორც ლოგიკა, ერთი და ერთადერთია.

ერთი შეხედვით მეტად საჭირო და სწორი წამოწყებაა, თითქოს ყველაფერი რიგზეა, მაგრამ თუ კარგად დავუკვირდებით საკითხის ასეთ გადაწყვეტას შეიძლება დავეჭვდეთ მის მართებულებაში.

საქმე იმაშია, რომ ასეთ თვალსაზრისში სრულიად წაშლილია ყოველგვარი განსხვავება მეთოდოლოგიურ და ლოგიკურ მომენტებს შორის, ეს კი ეწინააღმდეგება მარქსისტული გნოსეოლოგიის პრინციპებს. ლოგიკურისა და მეთოდოლოგიურის ასეთი გაიგივება, როგორც ცნობილია, მომდინარეობს ჰეგელიდან და ისევე მცდარია, როგორც მათი კანტიანური აბსოლუტური გათიშვა. რეალურად, აზროვნების პროცესში გარკვეული მიმართებაა მათ შორის და მარქსიზმი ამ მიმართების დადგენას, შესწავლას მოითხოვს.

მარქსიზმის კლასიკოსები დიალექტიკური ლოგიკით აღნიშნავდნენ არა რაღაც ერთიან უნივერსალურ ლოგიკურ თეორიას, რომელიც თითქოს თავისში შეიცავს მოხსნილი და შენახული სახით კლასიკური ფ ო რ მ ა ლ უ რ ი ლ ო გ ი კ ი ს მასალასა და მის რაციონალურ შინაარსს, არამედ «დიალექტიკური ლოგიკით» მარქსიზმის კლასიკოსები აღნიშნავდნენ დიალექტიკურ მეთოდს, აზროვნების დიალექტიკურ თეორიას, დიალექტიკის მეცნიერებას.

ის ფაქტი, რომ მარქსიზმის კლასიკოსები ლაპარაკობდნენ ფორმალური ლოგიკის საჭიროებაზე, ფილოსოფიურ მეცნიერებად მის არსებობაზე, იმას მოწმობს, რომ ამ ლოგიკასა და დიალექტიკურ მეთოდს გარდა კიდევ რაღაც ახალი უნივერსალური ლოგიკის შექმნის შესაძლებლობას ისინი არ ითვალისწინებდნენ. ისინი ითვალისწინებდნენ ლოგიკის მეცნიერების განვითარებას დიალექტიკური მეთოდის საფუძვლებზე, ისევე როგორც ყოველი სხვა მეცნიერების განვითარებას; ამავე დროს გვიჩვენებდნენ ლოგიკის ცალკეული საკითხების დია-

ლექტიკური მეთოდით განხილვის, ე. ი. ნამდვილად მეცნიერული განხილვის კონკრეტულ ნიმუშებს.

ის ფაქტი, რომ ლენინი აზროვნების დიალექტიკურ თეორიას, დიალექტიკურ ლოგიკას ახასიათებს დიალექტიკის ცნობილი ნიშნებით (იხ. «კიდევ ერთხელ პროფკავშირებზე») და ამავე დროს მიგვითითებს ფორმალური ლოგიკის სწავლების აუცილებლობაზე, მეტყველებს იმაზე, რომ მარქსიზმ-ლენინიზმის მიერ გარკვეულია განსხვავება აზროვნების მეთოდოლოგიურ და ლოგიკურ მომენტებს შორის.

თუ ერთის შინაარსს ჭეშმარიტების მიღწევის კანონზომიერება შეადგენს, მეორეს შინაარსი აზროვნების გარკვეულობის კანონზომიერებაა, რომლის გარეშე წარმოუდგენელია ჭეშმარიტების მიღწევა, წარმოუდგენელია სწორი, მეცნიერული, ჭეშმარიტი აზროვნება. ამ ორ მომენტთაგან პირველს შეისწავლის დიალექტიკა, დიალექტიკური მეთოდი, ანუ შემეცნების თეორია, ხოლო მეორეს — ლოგიკა*.

თუ პირველი — აზროვნების მთელი მეთოდოლოგიაა, მეორე — შემეცნების გარკვეული მომენტის შესახებ მოძღვრებაა, როგორც ერთის, ისე მეორის შესწავლა და დაუფლება აუცილებელია ნამდვილი მეცნიერული, სწორი და გარკვეული აზროვნებისათვის. თუ დაუფლებული არა ვართ მეთოდოლოგიას, ვერაფერს გვიშველის ლოგიკა, ხოლო თუ დაუფლებული არა ვართ ლოგიკას, წარმატებით ვერ გამოვიყენებთ მეთოდოლოგიას.

როგორც გრამატიკის ცოდნა არაა საკმარისი იმისათვის, რომ კარგი ორატორი იყო, ასევე არაა საკმარისი ლოგიკის ცოდნა იმისათვის, რომ მეცნიერულად იაზროვნო. მეცნიერული

---

* სწორედ ის ლოგიკა, რომელსაც კანტის შემდეგ «ფორმალურ ლოგიკასაც» უწოდებენ, და რომელიც თავისი სახელწოდებით ასე აფრთხობს ბევრ ლოგიკოსსა და არალოგიკოსს. სიტყვა «ფორმალურის» არც ხმარება ცვლის რაიმეს და არც მისი ამოღება ხმარებიდან. კანტი ამ ტერმინში სულ სხვა შინაარსს დებდა, ვიდრე ჩვენ. «ფორმალურის» ჩვენი გაგება ლოგიკის თვით საგნის განსაზღვრაშია ფიქსირებული და ამ ცნების გამოყოფა ლოგიკის პრედიკატებიდან სრულიად ზედმეტია. ამით უნდა აიხსნებოდეს ის ფაქტი, რომ თითქმის არ არსებობს ლოგიკის ისეთი სახელმძღვანელო, რომელსაც სახელწოდებად ჰქონდეს — «ფორმალური ლოგიკა».

აზროვნებისათვის გარკვეული მეთოდოლოგიაა საჭირო, საბოლოო ანგარიშით, საგნის ცოდნაა საჭირო. საგნის შესწავლაში, ანუ მეცნიერული აზროვნების პროცესში კი ლოგიკის ღრმა ცოდნა წარმატების ერთ-ერთი პირობაა.

ლოგიკა არის სწორედ აზროვნების გრამატიკა. ამიტომაა, რომ მეთოდოლოგია და ლოგიკა ორგანულად მოითხოვენ ერთმანეთს. უფრო სწორად, ლოგიკა შედის მეთოდოლოგიაში როგორც მისი ნაწილი ან მომენტი. ლოგიკა შემეცნების თეორიის ნაწილია.

ნამდვილი, მეცნიერული, ჭეშმარიტი აზროვნება ცოცხალი განხორციელებაა დიალექტიკისა და ლოგიკის ორგანული, შემოქმედებითი კავშირისა. მეცნიერული აზროვნების ფაქტში ვლინდება ეს კავშირი, ერთიანობა, და ლოგიკოსების ამოცანა სწორედ ამ შინაგანი კავშირის ასახვა-ჩამოყალიბებაა. ამ კავშირის შინაარსი სხვა არაფერია, თუ არა ლოგიკურის განსაზღვრა მეთოდოლოგიურით. ლოგიკა ჩვენს მეთოდოლოგიას, დიალექტიკას უნდა ეფუძნებოდეს.

ამხ. ს. წერეთელი დიალექტიკური მეთოდით უდგება რა ლოგიკის საკითხებს, ბევრ რაიმეს აზუსტებს და ასწორებს ძველი ფორმალური ლოგიკიდან. ეს ძალიან კარგი საქმეა, დიდი საქმეა, მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს ფორმალური ლოგიკის მოხსნას დიალექტიკური ლოგიკის მიერ.

ჩვენი ამოცანაა არა დიალექტიკის გალოგიკურება ან ლოგიკის გადიალექტურება, არამედ: 1) მეცნიერებათა მიღწევების, პრაქტიკული მოღვაწეობისა და რევოლუციური მოძრაობის გამოცდილებათა მეცნიერული განზოგადება, მარქსიზმის კლასიკოსთა დიალექტიკური ნააზრევის ღრმა შესწავლა და ყოველივე ამის საფუძველზე მარქსისტული დიალექტიკური მეთოდის გაღრმავება და განვითარება;

2) აზროვნების ლოგიკური ფორმების წესებისა და კანონების ღრმა, სისტემატური გამოკვლევა დიალექტიკურ მეთოდზე დაყრდნობით და ამის საფუძველზე ლოგიკის მეცნიერების გაღრმავება და განვითარება.

ამხ. ს. წერეთელს შეიძლება დავეთანხმოთ იმაში, რომ ტრადიციულ ფორმალურ ლოგიკაში, ან დღეს არსებულ ლო-

გიკის სახელმძღვანელოებში ბევრი რამ ვერ არის ახსნილ-სწორად, მეცნიერულად, მაგრამ ვერ დავეთანხმებით იმაში, რომ ეს საერთოდ ნაკლოვანი ლოგიკაა, ე. წ. «ბოლოვადი აზრის» ლოგიკა, და უნდა შეიცვალოს ახალი, დიალექტიკური, ე. წ. «დაუბოლოებული აზრის» ლოგიკით.

დიალექტიკური დასკვნის ანუ დიალექტიკური აზროვნების ლოგიკური თეორია პრინციპულად სხვა არაფერია, თუ არა მარქსისტული დიალექტიკური მეთოდით აზროვნების წესი. ეს უკანასკნელი კი, როგორც ვიცით, იმაში მდგომარეობს, რომ ობიექტურ სინამდვილეს კონკრეტულად უნდა მივუდგეთ და განვიხილოთ იგი ისე, როგორც თავისთავად არის, ყოველგვარი წინასწარ აღებული ლოგიკური სქემების გარეშე. თუ «როგორ არის» ობიექტური სინამდვილე და როგორ უნდა შევიმეცნოთ იგი, ამის შესახებ არსებითი პრინციპული დებულებები უკვე ჩამოყალიბებულია მარქსიზმის კლასიკოსთა შრომებში.

ჩვენის აზრით, ამხ. ს. წერეთელი არ უნდა იყოს მართალი, როცა დიალექტიკური (ე. წ. დაუბოლოებული) დასკვნის ლოგიკური თეორიის ჩამოყალიბებას ცდილობს, თითქოსდა იგივე დიალექტიკური მეთოდი არ იყოს დიალექტიკური აზროვნების ლოგიკური თეორია. სამაგიეროდ იგი ამ «თეორიის» ძიებისა და კვლევის პროცესში დიალექტიკური აზროვნების ცალკეული კონკრეტული ნიმუშების მეტად ღრმაშინაარსიან ანალიზს იძლევა და ამის საფუძველზე დიალექტიკის კანონებისა და კატეგორიების ლოგიკის მეცნიერების მიმართ გამოყენების საინტერესო ცდებს აკეთებს.

ამხ. ს. წერეთელს სურს ასახოს «კაპიტალის» ლოგიკა. სურს ჩამოაყალიბოს ლოგიკური თეორია ისეთი მეცნიერული დიალექტიკური აზროვნებისა, როგორიც მარქსის «კაპიტალშია» განხორციელებული. ამ ამოცანის სიდიადეზე კი თვით ვ. ი. ლენინი მიუთითებდა. ამხ. ს. წერეთელი მხოლოდ იმაში უნდა ცდებოდეს, რომ მას ეს ამოცანა არსებითად რაღაც განსხვავებული ჰგონია დიალექტიკური კატეგორიების სისტემატური გამოკვლევა-დალაგებისაგან, რაც ჩვენს ფილოსოფოს ამხანაგებს ჯერ კიდევ არ განუხორციელებიათ.

«უნივერსალური» ლოგიკური თეორიის «ძიების» გზა არ შეიძლება არ იყოს ძველი ფორმალური ლოგიკის ცალკეული დებულებების კრიტიკის გზა. უნდა ითქვას, რომ ამხ. ს. წერეთელი ამ ამოცანას უმრავლეს შემთხვევაში წარმატებით სძლევს. ძველი ფორმალური ლოგიკის კრიტიკა-შესწორება კი ასევე დიდი ლენინის მიერ დასახული ამოცანაა.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ამხ. ს. წერეთლის მიერ ფორმალური ლოგიკის კრიტიკა, ჩვენის აზრით, ზოგჯერ არ არის დამაჯერებელი. ერთ მაგალითს მოვიყვანთ მხოლოდ.

ცნების განსაზღვრება ამხ. ს. წერეთლის შრომაში დახასიათებულია, ახსნილია როგორც ამა თუ იმ მოვლენის შემეცნება. ცნების განსაზღვრების წესი, გზა, მეთოდი უნდა იყოს ამ მოვლენის შინაარსის განვითარების გზა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ცნებას მხოლოდ მაშინ განვსაზღვრავთ სწორად, თუ საგნის, მოვლენის განვითარების ხასიათი ვიცით. დიალექტიკა გვასწავლის, რომ ყოველი მოვლენის განვითარების ხასიათი — ეს არის ამ მოვლენაში არსებული დაპირისპირებულ მომენტთა, ძალთა, ტენდენციათა ერთიანობა და ბრძოლა. მაშასადამე, მოვლენის არსების პოვნის, ანუ ცნების განსაზღვრების გზა ამ მოვლენაში დაპირისპირებულ მომენტთა პოვნა და მათი ერთიანობის აღიარებაა.

ეს წესი, წერს ს. წერეთელი, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე გამოდგება ყოველი ცნების განსაზღვრისათვის, კატეგორია იქნება ის, ერთეული ცნება თუ სხვა: მხოლოდ ცნება უნდა იყოს იგი და არა წარმოდგენა ან სხვა რამ.

ძნელი არაა იმის დანახვა, რომ მოვლენის არსების პოვნის, ანუ ცნების განსაზღვრის გზა, მეთოდი — ეს არის ამ მოვლენის შემეცნების მეთოდი. ხოლო მეთოდის ძიება ან შედეგის ახალ რაიმედ გამოცხადება სწორი არ არის. შემეცნების დიალექტიკური მეთოდი (შინაარსის განვითარების გაგება) შესანიშნავად არის დახასიათებული მარქსიზმის კლასიკოსების შრომებში. პოპულარულად დალაგებულია იგი ამხანაგ სტალინთანაც. ამასთან ამხანაგ სტალინთან შემეცნების დიალექტიკური მეთოდი დახასიათებულია არა ერთი ნიშნით — დაპი-

რისპირებულთა ერთიანობით, არამედ ოთხი ნიშნით. ვ. ი. ლენინიც უშუალოდ აზროვნების დიალექტიკის დახასიათებისას შემეცნების სფეროში და მოვლენებში ხედავს არა მარტო ე. წ. მეოთხე, არამედ ყველა ნიშანს და ყველა კატეგორიას. (იხ. ვ. ი. ლენინი «დიალექტიკის საკითხისათვის»).

მაშასადამე, ლაპარაკია მოვლენის შემეცნებაზე, მისი არსების შემეცნებაზე, ე. ი. შემეცნების მეთოდზე და არა განსაზღვრების წესზე.

ფორმალური ლოგიკა კი ლაპარაკობს არა შემეცნების მეთოდზე, არამედ «შემეცნებულის»* განსაზღვრაზე და ამ განსაზღვრების წესზე. განსაზღვრების წესში კი არსებითი ნიშნების მოთხოვნა შეიძლება უფრო მეტის მოთხოვნა იყოს, ვიდრე არსების დაპირისპირებულ მომენტთა ერთიანობის აღნიშვნა. ამ დაპირისპირებულ მომენტებს და მათ ერთიანობას თავისთავად გამოხატავდა არსებითი ნიშნების ერთობლიობა, თუ ეს ერთობლიობა ნამდვილად ამოწურავდა ცნებას, საგნის არსებას, მოვლენას.

ამხ. ს. წერეთელს «დაუბოლოებული აზრის» ლოგიკის ასაგებად ხშირად მოჰყავს მაგალითები კ. მარქსის «კაპიტალიდან» ან ი. სტალინის შრომიდან «დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შესახებ». მაგრამ ეს მაგალითები მხოლოდ იმას გვიჩვენებს, რომ მარქსი და სტალინი სწორად, მეცნიერულად აზროვნებდნენ, და ყოველი სწორი, მეცნიერული აზროვნება თავისი ბუნებით დიალექტიკური აზროვნებაა. ამ დიალექტიკური აზროვნების ფაქტის ანალიზი რაღაც ახალ და განსაკუთრებულ ლოგიკას კი არ იძლევა, არამედ შემეცნების დიალექტიკურ მეთოდს, ანუ, რაც იგივეა, სუბიექტურ დიალექტიკას, რითაც ობიექტური დიალექტიკა აისახება.

მაგრამ, რა თქმა უნდა, შემეცნების მეთოდის ოთხი არსებითი ნიშნის ჩ ა მ ო თ ვ ლ ა იმას არ ნიშნავს, რომ ამ მეთოდის

---

* მოვლენის განსაზღვრება, თავის მხრივ, შემეცნების პროცესის ერთგვარი გაგრძელებაა.

მთელი არსება ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ ა დ ამოვწურეთ და დიალექ-ტიკურ მეთოდზე მეტი არაფერი არ შეიძლება ითქვას*.

აზროვნების დიალექტიკის დეტალური ანალიზი (მარქსიზ-მის კლასიკოსთა მეცნიერული ნააზრევის ღრმა ობიექტური ანალიზი) სხვა არაფერია, თუ არა დიალექტიკური მეთოდის, როგორც შემეცნების უნივერსალური მეთოდის კონკრეტული შინაარსის მთელი სიმდიდრის გაშლა და მისი შემდგომი სის-ტემატური დალაგება-დამუშავება. ეს კი უფრო დიდი და სა-პატიო ამოცანაა, ვიდრე რაღაც ახალი «დაუბოლოებული აზ-რის» ლოგიკის ძიება ჩვეულებრივი ლოგიკის საპირისპიროდ.

ლოგიკის მეცნიერება შემეცნების მეთოდი არ არის, იგი აზროვნების გარკვეულობის კანონებისა და ფორმების შესახებ მოძღვრებაა, და თუ შემეცნების დიალექტიკური მეთოდის დეტალური ანალიზი, დიალექტიკური კატეგორიების ანალიზი ლოგიკის მეცნიერების ზოგიერთი წესისა და კანონის ნაკლს, არამეცნიერულობას გამოაჩენს, ამით იგი მთლიანად ლოგიკას ახალი ლოგიკით კი არ შეცვლის, არამედ გაასწორებს და განა-ვითარებს მას.

არავინ არ ამტკიცებს, რომ ყველაფერი ის, რაც დღემდე არის ცნობილი ლოგიკის მეცნიერებაში, და, მითუმეტეს, ძველ ფორმალურ ლოგიკაში — ერთხელ და სამუდამოდ დადგენი-ლი აბსოლუტური ჭეშმარიტებაა. ასე შეიძლება მხოლოდ მეტაფიზიკოსი მსჯელობდეს.

ლოგიკის მეცნიერების აგება მარქსისტულ მსოფლმხედვე-ლობაზე დაყრდნობით, ანუ დიალექტიკური მეთოდის საფუძ-ველზე, სწორედ იმას მოითხოვს, რომ კრიტიკულად შევაფა-სოთ ლოგიკის მთელი შინაარსი და გავწმინდოთ იგი ყოველივე არამეცნიერულისაგან. შემეცნების მეთოდის დამოკიდებულე-ბა «კონკრეტულ» მეცნიერებასთან სხვაგვარად არაა წარმო-სადგენი.

დიალექტიკური აზროვნების ლოგიკური ანალიზი აზროვ-ნების რაიმე ახალ ლოგიკურ ფორმებსა და კანონებს კი არ

---

* თვითონ ლენინი ლაპარაკობდა შემეცნების თეორიის, დიალექტიკის სისტემატური დამუშავების საჭიროებაზე — როცა მიგვითითებდა, თუ ცო-დნის რა და რა დარგების შესწავლა იყო საჭირო ამისათვის.

იძლევა, არამედ დიალექტიკური მეთოდის ნიშნებს, კანონებსა და კატეგორიებს. აზროვნების სფეროში დიალექტიკის მოქმედების სპეციფიკის ანალიზი საშუალებას იძლევა გამოვიკვლიოთ და სწორად შევაფასოთ ლოგიკის მეცნიერების ესა თუ ის კანონი, წესი ან თეორია. ამ გზით შეიძლება ლოგიკის მეცნიერების განვითარება, მაგრამ არა ახალი ლოგიკის ჩამოყალიბება.

დასკვნა

დიალექტიკისა და ლოგიკის საგნების ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ ლოგიკის მეცნიერების ადგილის შესახებ ფილოსოფიაში და განვსაზღვროთ მისი დამოკიდებულება დიალექტიკასთან.

1. მარქსისტული მატერიალისტური დიალექტიკა არის მეცნიერება მთელი სინამდვილის მოძრაობისა და განვითარების უზოგადეს კანონებზე. მოძღვრება ობიექტურ დიალექტიკაზე მკვიდრდება და ვითარდება კონკრეტულ მეცნიერებებში ბუნებისა და საზოგადოების შესახებ. ამ მოძღვრების დაუფლება გვაძლევს მეცნიერული კვლევა-ძიებისა და აზროვნების მეთოდს, ჭეშმარიტი შემეცნების თეორიას. დიალექტიკა მარქსიზმის შემეცნების თეორიაა.

2. ლოგიკის მეცნიერება არის მოძღვრება შემეცნების პროცესის გარკვეულ მომენტზე და, რადგან შემეცნების ზოგად პრინციპებსა და კანონზომიერებას დიალექტიკა შეისწავლის, ამდენად ლოგიკის მეცნიერება შეიძლება ჩავთვალოთ დიალექტიკის ანუ შემეცნების თეორიის «ნაწილად». ისევე როგორც გრამატიკა არის ენათმეცნიერების «ნაწილი».

3. მარქსისტული მატერიალისტური დიალექტიკა ანუ დიალექტიკური ლოგიკა ფაქტიურად უპირისპირდება არა ლოგიკის მეცნიერებას, არამედ აზროვნების მეტაფიზიკურ მეთოდს, მეტაფიზიკურ მსოფლმხედველობას. დამოკიდებულება ამ დაპირისპირებულთ შორის ენგელსის აზრით ისეთივეა, როგორიცაა დამოკიდებულება მუდმივ სიდიდეთა მათემატიკასა და ცვლად სიდიდეთა მათემატიკას შორის. მაგრამ ასეთი შედარება

სწორია მხოლოდ ერთგვარი შეფარდებითი მნიშვნელობით. «დაბალი» მათემატიკის შესწავლა აუცილებელია «უმაღლესი» მათემატიკის შესწავლისათვის. «დაბალ» მათემატიკას ვასწავლით ახალგაზრდობას სკოლაში, ხოლო მეტაფიზიკას არ ვასწავლით არავის არავითარი სახით. «დაბალი» მათემატიკა მოძღვრებაა ელემენტარული რაოდენობრივი მიმართებების შესახებ, ხოლო მეტაფიზიკა ცრუმეცნიერებაა.

ლოგიკური აზროვნების წესი არ არის მეტაფიზიკური აზროვნების წესი. ფორმალური ლოგიკა არ არის მეტაფიზიკა. იგი არის მოძღვრება აზროვნების ელემენტარულ ფორმებზე და კანონებზე. ლოგიკის მეცნიერება კი არ უპირისპირდება, არამედ ეყრდნობა მარქსისტულ მსოფლმხედველობას — დიალექტიკურ მატერიალიზმს, ისევე როგორც ყოველი სხვა კონკრეტული მეცნიერება.

4. ერთსა და იმავე საგანზე არ შეიძლება არსებობდეს ორი სხვადასხვა მეცნიერება ერთსა და იმავე დროს. კერძოდ «მარქსისტული დიალექტიკური ლოგიკა» არ არის იგივე, რაც «მარქსისტული ლოგიკის მეცნიერება»,—ტერმინების მსგავსება არ ნიშნავს ცნებათა იგივეობას. «მარქსისტული დიალექტიკური ლოგიკა» მეთოდია, მეცნიერული მსოფლმხედველობაა, ხოლო «მარქსისტული ლოგიკის მეცნიერება» — სწორი, ჭეშმარიტი მოძღვრება აზროვნების ფორმებზე და კანონებზე, იმ ფორმებზე და კანონებზე, რომელთაც ემორჩილება როგორც მარქსისტის, ისე არამარქსისტის, როგორც დიალექტიკოსის, ისე მეტაფიზიკოსის, როგორც მატერიალისტის, ისე იდეალისტის აზროვნება. სწორედ ამაში მდგომარეობს აზროვნების ლოგიკური ფორმებისა და კანონების საყოველთაო ხასიათი. ლოგიკის კონკრეტულ-ფილოსოფიურ მეცნიერებად აღიარების აუცილებლობაც ამით არის გაპირობებული.

5. ლოგიკის მეცნიერების განვითარების გზა — ეს არის მარქსისტული დიალექტიკური მეთოდით აზროვნების ფორმებისა და კანონების სისტემატური კვლევისა და ლოგიკის მეცნიერების ისტორიული განვითარების დადებითი შედეგების კრიტიკული ათვისების გზა. სწორედ ეს შეადგენს საბჭოთა ლოგიკის მეცნიერების ამოცანას.

შინაარსი

შესავალი .	3
თავი პირველი. მარქსისტული დიალექტიკა როგორც მეცნიერება	7
1. ფილოსოფიის საგნის შესახებ .	7
2. დიალექტიკა როგორც ლოგიკა და შემეცნების თეორია	19
ა) მეთოდისა და თეორიის ერთიანობისათვის	19
ბ) დიალექტიკა ბუნებაში, საზოგადოებასა და აზროვნებაში .	29
გ) დიალექტიკის მეცნიერება როგორც ობიექტური დიალექტიკის ასახვა . .	35
3. დიალექტიკა უპირისპირდება მეტაფიზიკას და არა ლოგიკას	47
თავი მეორე. ლოგიკის მეცნიერების საგანი და ამოცანები	73
1. შემეცნების თეორია და ლოგიკა	73
2. აზროვნების გარკვეულობის კანონები	76
ფ. ენგელსი ფორმალური ლოგიკის შესახებ	90
ვ. ი. ლენინი ფორმალური ლოგიკის შესახებ	120
თავი მესამე. დიალექტიკისა და ლოგიკის ურთიერთობის საკითხისათვის	132
დასკვნა	190

რედაქტორი ნ. კუპრავა
მხატვარი ვ. გიორგობიანი
მხატვრული რედაქტორი გ. გორდელაძე
ტექრედაქტორი ა. ნინიძე
კორექტორი ნ. მიქელაძე

*

გადაეცა წარმოებას 6/VI — 1956 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 14/IX — 1956 წ. უე 04695. ანაწყობის ზომა 5,5×9. ქაღალდის ზომა 84×108 1/32. ნაბეჭდი თაბახი 12. ტირაჟი 5.000. შეკვ. № 513.

*

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარპოლიგრაფგამომცემლობის 1-ლი სტამბა. თბილისი, ორჯონიკიძის ქ., 50.

1-ая типография Главполиграфиздата Министерства культуры Грузинской ССР. Тбилиси. ул. Орджоникидзе. 50.